In this paper we try to reveal the peculiarities and difficulties characteristic to translation of the Persian Phraseological Units of to Georgian language. The Persian language is rich in Phraseological Units. Phraseological units are a prime example of cultural connections. The difficulty of translation is due to the fact that people with different languages and different cultures have their own ways of expression and the translator must consider this circumstance. National and international elements are closely linked to a semantic structure of phraseological units. International elements manifest themselves in human mentality as well as in interaction of languages and cultures. Phraseological units are used in all spheres of communication: in everyday life, science, politics, culture, education and literature. Phraseological units are peculiar expressions unique to each language. We also try to prove the importance of lexical-semantic and stylistic transformations in the process of translating the Persian Phraseological Units.

რეცენზენტი: პროფ. ს. ეკლემბეგა

ქუთაისი, საქართველო

**КОНЦЕПТ «ЖИЗНЬ» В РУССКИХ И ГРУЗИНСКИХ ПАРЕМИЯХ:
ЛИНГВОКУЛЬТУРОЛОГИЧЕСКИЙ АСПЕКТ**

В статье рассматриваются лингвокультурологические особенности русских и грузинских паремий, в состав которых входит компонент «жизнь». Подчеркивается значимость концепта «жизнь» для носителей как русской, так и грузинской лингвокультуры. Сходство или различие паремических репрезентантов концепта «жизнь» в сопоставляемых языках может проявляться в аксиологической оценке, тематике паремий, особенностях их образного основания, ситуативной мотивированности.

Концепты как ментальные образования являются продуктами культурного и исторического развития этноса. Их возникновение связано с национальными традициями и фольклором, религией и идеологией, жизненным опытом и системой ценностей того или иного народа. Описание лингвокультурологических особенностей концептов играет важную роль в раскрытии моделей языкового мышления индивида, языковой общности или нации в целом. Понятие концептосферы, по мнению Д.С. Лихачева, особенно важно тем, что оно «помогает понять, почему язык является не просто способом общения, но неким концентратом культуры – культуры нации и ее воплощения в разных слоях населения вплоть до отдельной личности» [Лихачев 1997: 164].

Одним из важнейших элементов концептосфер русского и грузинского языков является концепт жизнь. Являясь ключевым для русской и грузинской ментальности, он обладает семантической многоплановостью, которая специфически проявляется уже в толковании лексемы «жизнь».

В «Толковом словаре живого великорусского языка» В. И. Даля лексема «жизнь» понимается как: житие, бытие; состояние особи; существование отдельной личности [Даль 1989:541]. В Малом академическом словаре лексема «жизнь» имеет следующие значения: 1) особая форма движения материи, возникающая на определенном этапе ее развития. 2) физиологическое состояние человека, животного, растения от зарождения до смерти; 3) полнота проявления физических и духовных сил; 4) период существования кого-л.; 5) образ существования кого-л.; 6) деятельность общества и человека в тех или иных ее проявлениях, в различных областях, сферах; 7) окружающая нас реальная действительность; бытие; 8) оживление, возбуждение, вызываемое деятельностью живых существ.

В грузинском языке для выражения концепта «жизнь» употребляются четыре лексемы: *ხიცოცხლება*, *ცოცხლობა*, *ცხოვრება*, *ცხოვრობა*.

ხიცოცხლება: 1) მატერიის არსებობისა და მოძრაობის ფორმა, რომელიც წარმოიშვება მატერიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე; 2) ცოცხალი არსების, ორგანიზმის მდგომარეობა დაბადებიდან სიკვდილამდე, ფიზიოლოგიური არსებობა, ცოცხლად ყოფნა, - ცხოვრება; 3) გადატ. ძვირვასი, საყვარელი არსება, სიხარულისა და ბენიერების მომნიჭებელი; 4) ხალისი, სიმწევე, ეჭხი.

ცხოვრება: 1) არსებობა, სიცოცხლება; 2) ტავგადასავალი, გავლილი გზა (ძღვამიანისა, ხალხისა); 3) მოვლენების ერთობლიობა რაიმე სფეროში, - ყოფა-ცხოვრება; 4) (ხაუბ.) ქონება, საცხოვრებელი, დოვლათი.

В русском языке лексема «жизнь» является составной частью многих устойчивых сочетаний – фразеологических выражений: *даровать жизнь*; *дать жизнь*; *кончить жизнь*; *маячить жизнь*; *мыкать жизнь*; *отдать жизнь*; *прожигать жизнь*; *лишились(ся) жизни*; *выйти в жизнь*; *вычеркнуть из своей жизни*; *уйти из жизни*; *возвратить к жизни*; *покончить с жизнью*; *вопрос жизни или смерти*; *на склоне жизни*; *не на жизнь, а на смерть*; *жизни не рад*; *по гроб жизни*; *путевка в жизнь*; *право жизни и смерти*; *между жизнью и смертью*; *ни в жизнь*; *свет жизни*; *жизнь моя*; *подруга жизни*.

Грузинская фразеология представлена фразеологическими выражениями: *ჩემდა (ძება...)* *ხიცოცხლება! ჩემ (თავის...)* *ხიცოცხლება ამ (ვერ...)*; *ჩემ (თავის...)* *ხიცოცხლება პირველი (ძერებულ...)*; *ცხოვრება ღულა (და ვადაღულა)*.

В наивной картине мира жизнь отражена с различных сторон. В словаре пословиц В.И. Даля содержится свыше 80 паремий, доминантой которых являются лексемы, производные от корня «жи-»: «жизнь», «жить», «житъе». Эти данные говорят о значимости рассматриваемого ментального образования для носителей русской лингвокультуры. Грузинские паремии менее многочисленны, однако на фоне других однотипных образований их число не выглядит незначительным. Как показал проведенный анализ, отношение к «самому главному, что есть у человека», отражаемое в языковых картинах мира двух народов, имеет как сходства, так и различия.

Русские паремии с компонентами «жизнь» и «жить», достаточно известные и употребительные в современной речи, можно распределить на несколько тематических групп в соответствии с главной идеей, ими выражаемой. Их грузинские аналоги передают сходный или отдаленно близкий смысл. Сравнительный анализ позволил сделать следующие выводы.

В жизни человека есть **главные ценности**, которые придают ей высокий смысл и богатое содержание. По мнению русских, это служение родине, знания: *Жить – родине служить; Век живи – век учись; Жизнь дана на добрые дела; Жизнь короткая, да слава долгая; Лучше смерть славная, чем жизнь позорная* и др. Обладая сходным смыслом, грузинские аналоги, могут содержать компонент «жизнь» эксплицитно или имплицитно. Первая пословица имеет два аналога в грузинском языке. Одна пословица утверждает приоритет гибели в бою за высокие идеалы над бесславно прожитой жизнью: *ხჯობ ხიცოცხლება ნაძახება ხიჯფილი ხახლოვანი* (известный аформизм Шота Руставели). Другая говорит, что дурно прожитая жизнь никому не принесет пользы: *თავა ჭვებული ცხოვრება ამავის ამავი*. Грузинский аналог второй русской пословицы содержит компонент «жизнь»

имплицитно и передаёт тот же смысл – человек должен учиться в течение всей своей жизни, до старости: *ხელი კავშირი სიცოცხლის მიზანის დროის განვითარებისათვის.*

По мнению русских, **жизнь – большая ценность для человека** (*Вволю наешься, а вволю не наживешься; Живи, не тужи: помреши, заплачешь и др.*). Порой жизнь бывает настолько безрадостная, что остаётся только терпеть, однако смерть хуже жизни (*Жизнь надокучила, а и к смерти не привыкнешь*). Русские и грузинские пословицы этой тематической группы схожи. В грузинских аналогах тоже утверждается абсолютная ценность жизни: *ხიციცხლებული არავის მოხატვის გამარჯვის; ხელმწიფებული ერთი დღის ხიციცხლისათვის ძაღლის ლეგენდი უდაბათ; ხიციცხლებული და ხამობების ძაღლ-ძაღლ გაახლება.*

С точки зрения **характеристики жизни**, русские и грузинские паремии обнаруживают как сходство, так и различия. Так, в русских пословицах и поговорках отмечается трудность жизни, ее зависимость от социальных и бытовых условий, подчеркивается положительная или отрицательная оценка жизни в целом или какого-то ее этапа: *Жизнь прожить – не поле перейти; Век прожить – море переплыть; Вот жизнь: и помирать не надо; Жизнь жизни рознь; Жизнь изжить – не лапоть сплести; Живем, (да) хлеб жуем. Жизнь – как луна: то полная, то на ущербе.*

Согласно мировосприятию грузинского народа, жизнь имеет смысл, когда она веселая и интересная: *ხადაც ვიდო, რა მგამა, ხიციცხლებული დებოდებ* (на основе афоризма Руставели – *ხადაც ვიდო ვიდო, რა მგამა, უმვაცა დებოდებ*). Начало жизни и ее конец в грузинской пословице представлено как восхождение и нисхождение по лестнице (*ეს ქვედა (ცხოვრება) კიბე: ზოგი ძღვის, ზოგი ჩამოდის (ჩადის), а также предстает в виде сравнения с пламенем и пеплом: ხიციცხლებული ცეცხლება მიაგავს, ძინი დახახული აღია და დახახული ხავით.*

Наконец, пословицы могут отражать жизненный опыт народа. Это пословицы, которые дают оценку тем или иным действиям человека, его поведению, образу жизни. Например, безделье осуждается в русских пословицах: *Без дела жить – только небо коптить. Много спать – мало жить: что проспано – то прожито.* В грузинском аналоге: *ოუ ჭავა ამ გაფეხაუბა, იხ ვერ იცხოვდებო; აღებ აღვთმა ძეგი ხიციცხლება.* Противоречиво отношение к жизни по правде: с одной стороны, осуждается жизнь человека, живущего нечестно (*Тому худа не отбыть, кто привык неправдой жить*), а с другой стороны, признается, что жить по правде весьма трудно: *Неправдою жить – не хочется, правдою жить – неможется.* В грузинском аналоге: *ხიდართლის ძარბველი კავშირი ხიციცხლებული იდევდოულებელი.* Жизнь глупого человека, согласно одной русской пословице, беспечна (*Дураком на свете жить – ни о чем не тужиться*), а согласно другой, безрадостна: *С умом жить – тешиться, а без ума – мучиться.* Жизнь глупого человека – хуже смерти; такое сравнение лежит в основе грузинской пословицы: *ბრიუზი კავშირი ხიციცხლებული იდევდოულებელი.* Человек стремится к обогащению, даже в самые критические моменты жизни, гласит русская пословица: *Жизнь висит на нитке, а думает о прибытии.* Та же мысль звучит в грузинском аналоге: *ჭაბუჭველი გევხი დღის ხიციცხლებული ერთი გევხი მარტო ედებათ.*

Таким образом, сопоставительное исследование пословиц с компонентом «жизнь» в русском и грузинском паремическом фонде, проведенное в русле лингвокультурологического направления, позволило выявить универсальное и национальноспецифическое в них. Сходство или различие может проявляться в аксиологической оценке, тематике паремий, особенностях их образного основания,

ситуативной мотивированности. Эти единицы отражают устойчивые архетипы этнического сознания обоих народов и регулярно воспроизводятся в речи носителей русского и грузинского языков.

Литература:

1. Воркачев С.Г. Лингвокультурная концептология: становление и перспективы // Изв. РАН. Сер. лит. и яз. 2007. Т. 66. №2. С. 13–22.
2. Даль В. Пословицы русского народа: в 3 т. СПб.: Диамант, 1996.
3. Даль В. Толковый словарь живого великорусского языка. 1989.
4. Карасик В.И. Языковой круг: личность, концепты, дискурс. М.: Гнозис, 2004.
5. Лихачев Д.С. Концептосфера русского языка // Русская словесность: от теории словесности к структуре текста: антолог. – М.: 1997. – С. 280–287.
6. Словарь русского языка в четырех томах. М.: Русский язык, 1981.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბ.: 1990.
8. კანდელაკი ა. ქართული ანდაზები. თბ.: საბჭოთა მწერალი, 1959.
9. სახოკიძე თევდო. ქართული ანდაზები. თბ.: 1967.

Sitchinava Nelly

The concept "life" in russian and georgian proverbs: linguocultural aspect

Abstract

The article deals with the linguistic and cultural features of Russian and Georgian paroemias, which include the component "life". The importance of the concept of "life" for speakers of both Russian and Georgian linguistic culture is emphasized. Similarity or dissimilarity the representatives of the concept "life" in the compared languages may manifest itself in an axiological assessment, the subject of Proverbs, the characteristics of their figurative base, situational motivation.

ნელი სიჭინავა

კონცეპტი “სიცოცხლე” რუსულ და ქართულ პარემიებში:

ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტი

რეზიუმე

სტატიაში განიხილება ლინგვოკულტუროლოგიური თავისებურებები იმ რუსული და ქართული პარემიებისა, რომელთა შემადგენლობაში შედის კომპონენტი “სიცოცხლე”. აღინიშნება კონცეპტი “სიცოცხლის” მნიშვნელობა როგორც რუსული, ასევე ქართული ლინგვოკულტურის მატარებლებისთვის. ორივე ენაში კონცეპტი “სიცოცხლის” პარემიული რეპრეზენტატორების მსგავსება და განსხვავება ვლინდება აქსიოლოგიურ შეფასებაში, პარემიების თემატიკაში, მათი ხატოვანი საფუძველის თავისებურებაში, სიტუაციურ მოტივირებაში.

რეცენზენტი: პროფ. ო. გუსევა

გიორგი ყუფარაძე, ციური ახვლედიანი

თბილისი, საქართველო

ფრანგულ და ინგლისურ ეკოლოგიურ ტერმინთა ფუნქციონირების თავისებურებანი

ფრანგული და ინგლისური ენების ეკოლოგიური სისტემას გააჩნია დიდი სამეცნიერო გამომხატველობა, სიზუსტე და დეფინიციათა დახვეწილობა. ჩატარებული პოლიპარადიგმული ანალიზი მოწმობს, რომ ფრანგული და ინგლისური ენების ეკოლოგიური სისტემა აგრძელებს აქტიურ განვითარებას, იგება რა ახალი საკუთრივ ეკოლოგიური დენოტატებით ასევე სიტყვათა და გამონათქვათა ოკაზიონალური ხმარებითაც, სემანტიკური ტრანსფორმაციებითაც, ხასაც ხელს უწყობს ეკოლოგიის პრობლემათა სოციალური აქტუალიზაცია.

ჩვენს ნაშრომში, პოლიპარადიგმატულობის თეორიის საფუძველზე, განვიხილავთ ფრანგულ და ინგლისურ ეკოლოგიურ მატერიებს, განვსაზღვრავთ მათ ალომორფულ და იზომორფულ მახასიათებლებს, ასევე მათი ფუნქციონირების თავისებურებებს. ეკოლოგიური ტრანსფორმაციების ანალიზის შედეგად, შეინიშნება იმ საერთო მახასიათებელთა დიდი რაოდენობა, რაც საფუძვლად უდევს ფრანგულ და ინგლისურ ეკოლოგიურ მატერიებებს; მაგალითად, ფრანგ. **la liste rouge** – ინგლ. **red list**; ფრანგ. **corridor écologique** - ინგლ. **conserved corridor, ecological corridor** და სხვ. ფრანგული და ინგლისური ენების ეკოლოგიური სისტემას გააჩნია დიდი სამეცნიერო გამომხატველობა, სიზუსტე და დეფინიციათა დახვეწილობა. ეკოლოგიური სრულად არის ასახული ენციკლოპედიურ განმარტებით ლექსიკონებში და ეკოლოგიის თითოეული დარგის სპეციალიზირებულ გლოსარიუმებში, რომლებიც შეიცავს როგორც ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო თრგანოთა დოკუმენტებში თფიციალურად აღიარებულ ტერმინებს, ასევე პროფესიონალური ჟარგონისა და პუბლიცისტიკის ერთეულებსაც.

ეკოლოგიური არ არის ერთგვაროვანი; თავიანთი სტრუქტურის მიხედვით, ისინი შეიძლება დაიყოს მარტივ, შედგენილ და რთულ ტერმინებად; ისინი განეკუთვნებიან სხვადასხვა ენობრივ დონეებს.

ფრანგულ და ინგლისურ ენებში, ეკოლოგიის ახალი ტერმინები ხშირად წარმოიშვება ორი ფუძის შექმნებით (ფრანგ. **informatique, information + automatique**; ინგლ. **informatics**). ტერმინ-ნეოლოგიზმს შეიძლება პქონდეს ე. წ. ადამიანური ფუნქცია და ან გაკილოს, ან რეკლამა გაუკეთოს, მაგალითად, სასარგებლო პროდუქტებს. საკვები პროდუქტების ჯგუფისათვის, რომლებიც იმავდროულად, წარმოადგენენ ექიმების მოერ რეკომენდებულ პრეპარატებსაც, განმაზოგადებელი სახელწოდების შექმნისას, გამოყენებულია სიტყვა **aliment** + **médicament**). იმავდროულად, გამოჩნდა სხვა ნეოლოგიზმებიც (**médicaliment, nutraceutique, nutriceutique**), მაგრამ საფრანგეთისა და კანადის ფრანგულ ენაში ისინი ვერ დამკვიდრდა. ეს მოწმობს ასეთი ნეოლოგიზმების ოკაზიონალურ ხასიათს. კერძოდ, კვებების პროვინციაში, ჯანმრთელობისათვის სასარგებლო საკვებ პროდუქტებს უწოდებენ **aliment fonctionnel**, რაც წარმოადგენს სრულ კალკირებას ინგლისური ტერმინისა **functional food**.

ფრანგული **poubelle** საკუთარი სახელის ტერმინად გადაქცევის ნათელი მაგალითია: სენის დეპარტამენტის (პარიზის) პრეფექტმა ეჟენ პუბელმა (Eugène Poubelle), 1884 წელს, განკარგულება გამოსცა, რომ საყოფაცხოვრებო და საწარმო ნარჩენები ჩაეყარათ 40 – 120 ლიტრიანი მოცულობის მქონე სპეციალურად განკუთვნილ ჭუთებში. ამ ჭუთებს მისი სახელი უწოდეს – **poubelle** და ეს სიტყვა 1890 წელს შეტანილ იქნა XIX საუკუნის უნივერსალური ლექსიკონის დამატებით ტომში (“Grand dictionnaire universel du XIXe siècle”).

ამ ერთეულის (ტერმინის) მნიშვნელობის განვითარება უშუალოდ უკავშირდება საფრანგეთის მოსახლეობის შეგნებულობის ამაღლებასა და ეკოლოგიური შემცნების ფორმირებას. პირველადი მნიშვნელობა – “ნაგვის ჭუთი, ურნა” – რეალიზდება ფრანგული ენის სიტყვაშექმნებებში: **descendre la poubelle** (“ნაგვის გატანა”), **mettre / jeter qch à la poubelle** (“რაიმეს გადაგდება, გადაყრა”), **relever les poubelles** (“ნაგვის გატანა”). სახურავიანი ბაკი გადაზრუნებულია ნაგვისშესაგროვებულ ბაკებში და შეგროვებული ნაგვის გადაზიდვისათვის საჭირო ტრანსპორტულ საშუალებებში: ფრანგ. **camion poubelle** (“ნაგავმზიდი”) და ფრანგ. **sac-poubelle** (“პლასტიკური პაკეტი ნაგვისათვის”). ინგლისური ექვივალენტური ტერმინებია **waste bin, litter bin, refuse receptacle, trash room**. Современные термины-эквиваленты – англ. **waste bin, litter bin, refuse receptacle, trash room**. ფრანგ. **Poubelle d'immeuble** (“სახლის სანაგვე”), **local à poubelles** (“საკონტეინერო ადგილი”; “პატარა ნაგებობა ნაგვის ბაკების განსათავსებლად”).

სემანტიკის სოციოლოგიური კომპონენტი რეალიზდება ფრანგ. გამონათქმაში **faire les poubelles** (« სიღატაკეში ცხოვრება; სანაგვე ჭუთებში საკვების ძებნა »).

უარყოფითი შემფასებლური კონტაცია მთავარია ფრანგულ გამონათქმაში **jeter**

qch à la poubelle (“დაწუნება, წუნის დადება”) და **de qualité poubelle** (« დაბალი ხარისხისა », ხალხურ მეტყველებაში « ძველი ურემი »).

2000 – 2015 წლების პრესის ანალიზიდან, სამეცნიერო და საქმიანი ოფიციალური წყაროებიდან ჩანს, ეკოლოგების პრაგმატიკული ამოცანაა მეცნიერული ფაქტების გადმოცემა და მოწოდება, რომ დაფიცვათ გარემო სამყარო. ზოგ შემთხვევაში, მეცნიერების

ზოგიერთი დარგის ტერმინმაც და ასევე საზოგადოდ გამოყენებადმა სიტყვამაც კი შეიძინოს ეკოლოგიური ტერმინის სტატუსი.

ჩატარებული პოლიპარადიგმული ანალიზი მოწმობს, რომ ფრანგული და ინგლისური ენების ეკოტერმინთა სისტემა აგრძელებს აქტიურ განვითარებას, ივსება რა ახალი საკუთრივ ეკოლოგიური დენოტატებით, ასევე სიტყვათა და გამონათქვამთა ოკაზიონალური ხმარებითაც, სემანტიკური ტრანსფორმაციებითაც, სპეციალური ნაციონალურ-მარკირებული ასოციაციებით, რასაც ხელს უწყობს ეკოლოგის პრობლემათა სოციალური აქტუალიზაცია.

ტერმინოლოგიური სისტემა წარმოადგენს ენობრივი სისტემის ნაწილს და მას აბსოლუტურად დამოუკიდებელი განვითარება არ შეუძლია; ამას მოწმობს ზემოთ წარმოდგენილი ენობრივი ფაქტები.

შიდაენობრივი, პრაგმატიკული, კულტუროლოგიური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ეკოტერმინის ახალი მნიშვნელობის ფორმირებას, უზრუნველყოფება აქტუალიზაციის, რესემანტიზაციის მექანიზმს და შესაძლებელს ხდიან, რომ ეკოტერმინი გარდაიქმნას საყოველთაო ხმარების სიტყვად.

ლიტერატურა

Larousse. Le Petit Larousse Compact. Paris, 2004.

Rey Alain. Dictionnaire Historique de la langue franncaise, En 3 vol. Paris, 1998.

Англо-русский экологический словарь. Москва, 2001.

Лингвистический энциклопедический словарь. Москва, 1990.

Giorgi Kuparadze, Tsiuri Akhvlediani

Peculiarities of Functioning of French and English

Ecological Terms

Abstract

The system of ecological terms of the French and English languages has a great scientific expression, accuracy, and refinement of definitions. Having conducted the poly-paradigmatic analysis of the ecological terms of the French and English languages, once again, proves that the given systems of the languages under the analysis are actively developed, permanently enriched and complemented by new ecological denotatives, as well as occasionalisms of words and expressions with semantic transformation, special national-labeled associations which is constantly contributed by social actualization of the ecological problems.

რეცენზენტი: პროფ. გ. მიქაელ

ფაცებითი და უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიებისა და
სახის შელახვისა და შენარჩუნების აქტების შესწავლის
მნიშვნელობა მუქარის ფენომენთან მიმართებაში

აღნიშნულ სტატიაში განხილულია დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიები და ასევე სახის შემდახველი და სახის შენარჩუნების აქტები მუქარის ენასთან მიმართებაში.

თავაზიანობის საკითხით დაინტერესება მეცნიერებულ თუ არა მეცნიერებულ წრეებში დღითიდღე იზრდება. ეს იმით აიხსნება, რომ გლობალიზაციის პროცესების დაჩქარებამ და საკომუნიკაციო სისტემების თითქმის სრულყოფილებამდე დახვეწამ ფართო ასარები გაუხსნა ადამიანებს ურთიერთობისათვის. ადამიანები აღარ არიან შეზღუდული მხოლოდ ინტერაკულტურული ურთიერთობებით და მათ ხშირად უწევთ როგორც უშუალო, ისე დისტანციური (ელექტრონული, სატელეფონო) კომუნიკაციის დამყარება უცხო კულტურის მატარებლებთან. წარმატებული კომუნიკაციის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად კი თავაზიანობის ხორმების დაცვა მოისაზრება.

დადებით და უარყოფით თავაზიანობას, ისევე როგორც ხოციალური სახის ცნებას, მუქარის ენის შესწავლის დროს მნიშვნელოვანი აღვილი უჭირავს.

ყოველდღიურ ცხოვრებაში, ურთიერთობის ნებისმიერ ასპექტში თითოეული ჩვენგანი მნიშვნელოვანი ყურადღებას აქცევს თავაზიანობის ნებისმიერ გამოხატულებას (მაგალითად, ტრანსპორტში ადგილის დათმობა, კარის გადება ვინმესთვის, ჟესტებითა თუ ენობრივი საშუალებით კეთილგანწყობის გამოხატვა და სხვა), რომელსაც ჩვენ მიმართ ამჟღავნებენ. ამის საპირისპიროდ არათავაზიანი ქმედებაც არ რჩება საზოგადოებაში შეუმჩნეველი და ხშირად ხდება კრიტიკისა თუ გაკიცხვის საგანი. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე ლოგიკურია, რომ თავაზიანობის საკითხის კვლევა ლინგვისტების ყურადღების არეალშიც მოექცა და მისმა შესწავლამ ფართო განვითარება პპოვა.

თითოეული ადამიანი სასურველი სახის მატარებელია და სოციალური ინტერაქციის დროს გამოყენებული საკომუნიკაციო აქტები შესაძლოა საპირისპირო შხარისათვის შუქარის შემცველი აღმოჩნდეს. ეს კი მაშინ ხდება, როდესაც აღნიშნული აქტების განხორციელების მიზანი საფრთხეს უქმნის მსმენელის ან მოსაუბრის სახეს.

ენობრივი ურთიერთქმედების შესწავლაში „სახის“ ცნება, როგორც ლინგვისტური ტერმინი, პირველად გოფმანის (Goffman, E., 1967:5) ნაშრომებში გვხვდება, იგი აღნიშნავს, რომ სახესთან პირდაპირ კავშირშია დადგებითი სოციალური ფასეულობები (“positive social value”), რომლის შენარჩუნებაც გვხვრს სოციალური ურთიერთობების პროცესში.

უარყოფითი, ანუ ნეგატიური სახე ნიშნავს პიროვნების სურვილს იყოს დამოუკიდებელი და თავისუფლად შეძლოს მოქმედება. რაც შეეხება დადებით, ანუ პოზიტიურ სახეს, იგი რადიკალურად განსხვავდება ნეგატიურისაგან და გულისხმობს ადამიანის სურვილს იყოს დაკავშირებული სხვებთან და აცნობიერებდეს, რომ მის სურვილებს, სულ მცირე, ერთი ადამიანი მაინც იზიარებს (Yule, 1996:62, Brown and Levinson, 1987:62).

ბრაუნმა და ლევინსონმა (1987:65-68), იმისათვის, რომ სახის შენარჩუნებისა (FSA = Face Saving Act) და სახის შემლახველი აქტების (FTA = Face Threatening Act) სწორი და ზუსტი კლასიფიცირება მოქმედინათ, თავდაპირველად ერთმანეთისაგან გამიჯნეს სამეტყველო აქტები, რომლებიც ემუქრება დადებით სახეს იმ სამეტყველო აქტებისაგან, რომლებიც ემუქრება უარყოფით სახეს. შედეგად მათ მიიღეს 4 ძირითადი ჯგუფი:

1. სახის შემლახველი სამეტყველო აქტები (FTAs), რომლებიც ემუქრება მსმენელის უარყოფითი სახის მოთხოვნას;
2. სახის შემლახველი სამეტყველო აქტები (FTAs), რომლებიც ემუქრება მსმენელის დადებითი სახის მოთხოვნას;
3. სახის შემლახველი სამეტყველო აქტები (FTAs), რომლებიც ემუქრება მოსაუბრის უარყოფითი სახის მოთხოვნას;
4. სახის შემლახველი სამეტყველო აქტები (FTAs), რომლებიც ემუქრება მოსაუბრის დადებითი სახის მოთხოვნას.

აღნიშნულის გათვალისწინებითა წარმოგიდგენთ ცხრილებს, სადაც სტრუქტურულად გამოხატულია თითოეული ვარიანტი.

ცხრ. №1 ს.ა. (FTAs) , რომლებიც ემუქრება მსმენელის უარყოფით სახეს

სამეტყველო აქტი	სამეტყველო აქტის მიზანი
<ul style="list-style-type: none"> • ბრძანება, თხოვნა • რჩევა • შეხსენება • მუქარა • გაფრთხილება 	მოსაუბრის სამომავლოდ გამიზნული განაცხადი, რომელიც გულისხმობს მსმენელზე გარკვეული ზეწოლის განხორციელებას.
<ul style="list-style-type: none"> • შეთავაზება • დაპირება 	მოსაუბრის სამომავლოდ გამიზნული განაცხადი, რომელიც გულისხმობს პოზიტიური შედეგის დადგომას მსმენელისათვის, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც ადგილი აქვს ზეწოლას, რადგან მოსაუბრებულებს ავალდებულებს მსმენელს გადაწყვეტილების მიღებას.
<ul style="list-style-type: none"> • ქათინაურები • შური ან აღშფოთება • ძლიერი უარყოფითი ემოციების (სიძულვილი, ბრაზი) გამოხატვა 	სამეტყველო აქტი, სადაც მოსაუბრებული გამოხატვები ძლიერ სურვილს მსმენელისგან საპასუხო სასურველი მოქმედების მიღების მიზნით.

ცხრ. №2 ს.ა. (FTAs), რომლებიც ემუქრება მსმენელის დადებით სახეს

სამეტყველო აქტი	სამეტყველო აქტის მიზანი
<ul style="list-style-type: none"> • უგმაყოფილება / კრიტიკა • შეურაცხყოფა • იმედგაცრუება • საჩივრები / საყვედურები და ბრალდებები • შეწინააღმდეგება / უთანხმოება 	მოსაუბრის განცხადება ემსახურება მსმენელის პოზიტიურ სახეზე უარყოფითი შეფასების გაკეთებას.
<ul style="list-style-type: none"> • ძალადობრივი (უკონტროლო) ემოციების გამოხატვა, რაც ემსახურება მსმენელში შიშსა ან/და სირცხვილის გრძნობის ჩანერგვას; • შევიწროვება, ტატუდადებულ თემებზე საუბარი, მათ შორის, შეუსაბამო კონტექსტში; • მსმენელისათვის უსიამოვნო ან მოსაუბრისათვის სასიამოვნო განცხადების გაკეთება; 	მოსაუბრის განცხადებები ცხადყოფს, რომ მას არ აინტერესებს მსმენელის დაღვბითი სახის შენარჩუნება.

- ემოციურად სახიფათო ან ისეთი თემების განხილვა, როდესაც ხშირია აზრთა სხვადასხვაობა და კონსენსუსი როგორც მიღწევა (პოლიტიკა, რელიგია, უმცირესობები, ქალთა უფლებები და ა.შ.);
- თანამშრომლობითი პრინციპის დარღვევა საუბრის დროს: საუბრის შეწყვეტინება ან გულგრილობისა და უინტერესობის გამოხატვა მსმენელის მიმართ;
- სტატუსის ან სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინების გამოყენება მიმართვაში, რაც მსმენელს თავს უხერხეულად ან შეურაცხყოფილად აგრძნობინებს.

როგორც ცხრილებიდან ჩანს, ზოგიერთი სამეტყველო აქტი ორივე კლასიფიკაციაში მოხვდა, რადგან ისინი შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს მსმენელის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი სახისათვის (Brown and Levinson, 1987:69). ასეთია მაგალითად: ჩივილი, საუბრის შეწყვეტინება, მუქარა, ემოციების გამოხატვა, პიროვნულ საკითხებზე საუბარი.

მომდევნო ორ ცხრილში წარმოდგენილია სამეტყველო აქტები, რომლებიც მოსაუბრის სახეზე მოხდენილ ზეგავლენას აღწერს.

ცხრ. №3 ს.ა. (FTAs), რომლებიც ემუქრება მოსაუბრის უარყოფით სახეს

სამეტყველო აქტი	გამოწეული შედეგი
მადლობის გადახდა	თავის დამდაბლება, ვალდებულების გამოხატვა
მსმენელის მიერ გამოხატული მადლიერების ან ბოდიშს მიღება	უხერხეულობის განცდა
შეთავაზების მიღება	მოსაუბრე თავს უხერხეულად გრძნობს მიიღოს შემოთავაზება და ამით შეზღუდოს მსმენელის უარყოფითი სახის მოთხოვნა.
არასასურველი (ნაძალადევი) დაპირებებისა და შეთავაზებების გაპეტება	მოსაუბრე საპუთარ თავზე იღებს ისეთი სამომავლო მოქმედების განხორციელებას, რისი სურვილიც არ აქვს და ამან შესაძლოა მსმენელის დაგბით სახეზე იქონიოს გავლენა.
მსმენელის შეცდომაზე, ან უხერხელ ქვევაზე უურადღების გამახვილება	როდესაც მოსაუბრე კომენტარს აკეთებს უსიამოვნო სიტუაციაზე, თვითონ განიცდის უხერხეულობას, რადგან ეწინააღმდეგება საკუთარ პრინციპს და ახშობს აზრის გამოხატვის სურვილს

ცხრ. №4 ს.ა. (FTAs), რომლებიც ემუქრება მოსაუბრის დადებით სახეს

ნებისმიერი გონიერი ინტერაქტანტის სურვილი იქნება, რომ თავი აარიდოს ზემოთ

სამეტეველო აქტი	გამოწვეული შედეგი
ბოდიშის მოხდა	საკუთარი თავის დამცირება
ემოციების (სიცილი, ტირილი...) უკონტროლობა	
მანჭვა-გრეხა, სულელურად მოქცევა და ისეთი განცხადებების გაკეთება რაც წინააღმდეგობაში მოდის საკუთარ სიტყვებთან	
შეცდომის აღიარება, თავის დამნაშავედ ცნობა	


ხსენებულ სახისათვის სახიფათო აქტებს. აქედან გამომდინარე მან, სოციალური სახის, სულ მცირე, სამი მოთხოვნა (face want) მაინც უნდა გაითვალისწინოს:

1. სურვილი, რომ გარკვეული იყოს FTA-ს საკომუნიკაციო მიზანი და შინაარსი;
2. სურვილი, რომ აქტი იყოს წარმატებული და მიზანი მიღწეული;
3. სურვილი, რომ შენარჩუნდეს მსმენელის სახე გარკვეულ დონეზე;

FTA (Face threatening Act)-ების ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის საფუძველზე, ბრაუნმა და ლევინსონმა შეიმუშავეს სქემა (იხ. სქემა №1), რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს ამ აქტების ჯვარედინი კლასიფიცირება და შეირჩეს თავაზიანობის შესაბამისი სტრატეგია სახისკენ მიმართული არასასურველი გავლენის მინიმუმამდე შემცირების მიზნით.

სქემა №1 სახის შემლახველი აქტების განსახორციელებელად საჭირო შესაძლო სტრატეგიები (Possible strategies for doing FTAs)

(პირველწელი: Brown and Levinson, 1987:69)



ბრაუნისა და ლევინსონის ამ სქემის მიხედვით ჯ. იულმა პრაქტიკული მაგალითის სახით (სქემა №2) წარმოგვიდგინა, თუ როგორ მუშაობს აღნიშნული სტრატეგიები.

სქემა №2

(პირველწელი:Yule,1996:66)



აღნიშნულ სქემაზე ცხადად ჩანს, რომ ერთი და ოგივე სამეტყველო აქტი თავაზიანობის სტრატეგიების მიხედვით 5 განსხვავებული ფორმით შეიძლება აიგოს.

პირველი, ყველაზე თავაზიანი ქცევის ფორმა (რომელიც ვერბალურად არ გამოიხატება), გახლავთ უსიტყვოდ კალმის ჩანთაში ძებნა. მიუხედავად იმისა, რომ თავაზიანობის მხრივ ის პირველ ადგილზეა, აუცილებელია გავითვალისწინოთ ამგვარი კომუნიკაციის ნაკლოვანი მხარე, შესაძლოა, მეორე მხარემ ვერ შეძლოს ან შეცდომით მოახდინოს პირველი აქტანტის მიერ გაგზავნილი მესიჯის/გზავნილის დეკოდირება და შედეგად მივიღოთ წარუმატებელი კომუნიკაცია.

მეორე ფორმა უკვე გახლავთ ვერბალური აქტი, რომელიც თავის მხრივ, ორი სახით არის წარმოდგენილი: პირდაპირი (on record) და ირიბი (off record) სამეტყველო აქტი. ამათგან ირიბი სამეტყველო აქტი, როდესაც ვითხოვთ სასურველის მიღებას, მაგრამ ფარულად ან მინიშნებით, უფრო თავაზიან ფორმად მიიჩნევა, ვიდრე პირდაპირი სამეტყველო აქტი. ეს უკანასკნელიც ორ მიმართვას აერთიანებს საკუთარ თავში: სახის შენარჩუნების სამეტყველო აქტსა და პირდაპირ (bold-on record), შეულამაზებელ მოთხოვნას, რომელიც ჩემი აზრით, თამაშად შეგვიძლია მივიჩნიოთ მსმენელის სახეზე შეტევის აქტად.

რაც შეეხება სახის შენარჩუნებისათვის გამიზნულ სამეტყველო აქტს, აქ შესაძლებელია განაცხადი გაკეთდეს ორი გზით: დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის სამეტყველო აქტის შერჩევით; დადებითი თავაზიანობის დროს, ზემოთ მოყვანილ მაგალითში უშუალოდ, მეგობრულად ვითხოვთ კალმას, რაც გარკვეულწილად იწვევს მსმენელის სახის რღვევას, ხოლო უარყოფითი თავაზიანობა დისტანციური კომუნიკაციის ნიმუშად წარმოგვიდგება და ერიდება მიმღების სახის შელახვას.

დადებითი და უარყოფითი თავაზიანობა, საქმაოდ ფართო მნიშვნელობის მატარებელი სიდიდეებია და მათი ასეთი მწირი დახასიათება, რა თქმა უნდა, სრული სურათის წარმოდგენის საშუალებას არ იძლევა. ეს ორი ტერმინი აერთიანებს სამეტყველო აქტების მთელ სისტემებს, რომლებიც მათი ლოკურიული ელემენტის, ილოკურიული ძალის და პერლოკურიული ეფექტის გათვალისწინების შედეგად შესაძლებელია მივაკუთვნოთ თავაზიანობის ამა თუ იმ კატეგორიას.

აქ წარმოდგენილი თეორიული მასალის განხილვის, ცხრილებისა და სხვა თვალსაჩინოებების გაანალიზების შედეგად, შეგვიძლია დაგასკვნათ, რომ ჩვენი საკვლევი ფენომენი - მუქარა - ხორციელდება პირდაპირი მოთხოვნის სტრატეგიის გამოყენებით რომელიც შეიძლება საფრთხის შემცველი იქნას მსმენელის უარყოფითი სახისათვის, რამდენადაც იგი ითვალისწინებს მსმენელისათვის მისაღები, ე.წ. „ჰარმონიული“ მდგომარეობის ხელყოფას.

მაგ.: ირმა ინაშვილი რომან გოცირიძეს: „ბოლომდე გაგახწორებო მიწახთან პოლიტიკურად, მორალურად და ზნეობრივად!“

(<https://www.youtube.com/watch?v=EI1Fxdi7A1A> გამოქვეყნებულია: 12/11/2018; მოძიებულია: 01.02.2019)

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასე ცალსახად და მშრალად, ერთ რომელიმე ჩარჩოში მუქარის სამეტყველო აქტის მოქცევა არასწორად მიმაჩნია. გამომდინარე იქიდან, რომ მუქარა შესაძლებელია განხორციელდეს თავაზიანობის მეხუთე, ირიბი მოთხოვნის (Off-record) სტრატეგიის მეშვეობითაც, როდესაც მუქარა იმპლიციტურია, თუმცა კონკრეტულ სიტუაციაში, გარკვეული სოციოლინგვისტური ცვლადების გათვალისწინებით, მაინც ამოცნობადია. მაგალითად, როდესაც გამოცდაზე პროფესორი ამჩნევს, რომ სტუდენტი ცდილობს გადაწერას, მაგრამ არ უნდა პირდაპირ მიანიშნოს, თუ რა საფრთხე ემუქრება მას ამისთვის ამბობს: „ზორი კიდაცას ხუფთა პაკეზე გასევირება მოუხდა და დავეხმარები, თუ ჭკვიანად არ მოიქცევა?!” (ბ.ჭ.)

წინამდებარე განცხადებით პროფესორი ახვედრებს სტუდენტს, რომ ის შეიძლება გამოცდიდან მოიხსნას და უნიშნოდ დარჩეს. თუმცა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ტიპის სამეტყველო აქტის გამოყენება უმეტეს შემთხვევებში სახიფათოა, რადგან იოლი შესაძლებელია ადრესანტმა ვერ მოახდინოს მიწოდებული ინფორმაციის სათანადოდ გაგება და კომუნიკაცია არ შედგეს.

როგორც ვხედავთ, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიების გამოყენების მთავარ მიზანს წარმოადგენს, კონკრეტულ სიტუაციაში კონფლიქტის თავიდან არიდება და წარმატებული ურთიერთობის დამყარება კომუნიკანტებს შორის.

ლიტერატურა:

1. Goffman, E. (1967). *INTERACTION RITUAL: Essays on Face-to-Face Behaviour*. Made and printed Offset Litho in Great Britain by Cox & Wyman Ltd, London, Fakenham and Reading.
2. Brown, P. and Levinson, C. S. (1987) *Politeness: some universals in language usage. (Studies in interactional sociolinguistics; 4)*. Great Britain, Cambridge University Press.
3. Yule, G. (1996). *Pragmatics*. Great Britain, Oxford University Press.
4. <https://www.youtube.com/watch?v=EI1Fxdi7A1A> გამოქვეყნებულია: 12/11/2018; მოძიებულია: 01.02.2019

Positive and negative politeness strategies as well as FTAs**Abstract**

The article describes positive and negative politeness strategies as well as FTAs (Face threatening acts) and FSAs (Face saving acts) in regards with the threat phenomenon.

Interest in politeness is constantly increasing in both in scientific and in non-scientific spheres day by day. All this can be explained by the fact of accelerated globalization processes and improving communication systems that has resulted into forming a wide range of communication opportunities for people. Consequently, people are no longer limited to intracultural communication and it has become quite common nowadays to interact with international society both in face and at distance. One of the key preconditions for successful communication is following the basic norms of politeness.

It is not surprising that positive and negative politeness together with the concept of face plays an important part in the studies of threat language since the act of threatening on its own implies the type of communication (verbal or non-verbal) between interactants, when the speaker expresses a demand in order to receive the desired result. At the same time face-threatening and face-saving acts are speech acts, which might cause the damage of one's positive or negative social face-want.

რეცენზენტი: პროფ. ც. ახვლედიანი

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

ნანა გონჯილაშვილი

თბილისი, საქართველო

„ქეყანა ზეცას, ზეცა ქეყანას ეკავშირება...“ (აკაკი წერეთლის ლირიკის მიხედვით)

აკაკი წერეთლის ლირიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ პოეტი სამყაროს ჰარმონიულობის იდეას, მიწიერის ზეციერთან მიმართებას, არაერთგზის განასახოვნებს. აქ ბიბლიურ-ქრისტიანული, კონკრეტულად, ევანგელიური აზროვნების წესია თავჩენილი.

მიწისა და ზეცის ურთიერთლტოლვა, ამქვეყნიურის ზეამყვანისკენ „გრძნობით სმენის“ წარმართვა-მიპყრობა და არაამქვეყნიურის განცდა წარმოჩინდება ლექსში „ერისთავის ასულს საპასუხოდ“. პოეტი ხატავს დამის მშვენიერებას, რომელიც ცისა და ქვეყნის მიმართ „სხივმფინარეული“ მთვარის ალერსში იხილვება და ერთსულოვნების იდეის წარმოჩენას ისახავს მიზნად –

გამოიღვიძა ცამ და ქეყანამ,
გერ აშორებენ ერთმანეთს თვალსა
და თანასწორად, თანხმობით გრძნობენ
შემოქმედების დიადსა ძალსა! [წერეთელი, 2012: 100].

აკაკის ხედვა სავსებით მიპყვება კოსმიური განსახოვნების პრინციპებს, ცისა და ქვეყნის ჰარმონიულ თანაყოფნას, „ტებილ-მომლიმარე“ მეგობრულ სიყვარული რომ ესაძირ-კვლება; ასევე – ცისა და ქვეყნის ერთობაში შემოქმედის „დიადი ძალის“ „თანასწორად“ და „თანხმობით“ შეგრძნება-აღიარებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გასაცნობიერებლად და საწვდომად სამყაროს იერარ-ქიული წყობის პრინციპთა და ყოფიერების სახეობრივი კონცეფციის გათვალისწინება (ყველაფერი რაღაცის სახეა) გვმართებს.

არეოპაგიტიკის მიხედვით, მთელი სამყარო იერარქიულ წყობად გაიაზრება. იგი ორი მიმართულებით წარიმართება (ზემოდან ქვემოთ და პირიქით, ქვემოდან ზემოთ) და ერთიან სახეობრივ სისტემას ქმნის. ზეციდან დაღმავალი კიბის სათავეში ღმერთი იხილვება, ყოველი შემდგომი საფეხური წინარეს „ხატია“ და მას აირეკლავს [პეტრე იბერიელი, 1961: 164].

იოანე პეტრიშვილის თქმით, „თვისდა ხატად წარმოიქმს ყოველი წარმოქმნელი ყოველსა თვისგნით წარმოქმნილსა“ [პეტრიშვილი, 1937: 71, 35]. რ. სირაძე აღნიშნავს, რომ „კოსმიური განსახოვნება სამი პრინციპით ხდება: ერთის მხრივ, დვთაებას განასახოვნებს მთელი სამყა-

რო... მეორეს მხრივ, ღვთაების განსახოვნება ხდება იერარქიულად... მესამე გზად შეიძლება გამოვყოთ ბუნების მოვლენებში სიმბოლურად ღვთაების არეკვლა...“ [სირაბე, 1978: 102].

უპირველეს ყოვლისა, ადსანიშნია, რომ ყოვლისმთლიანობის ევანგელური იდეა პავლე მოციქულის სიტყვებში იკვეთება – „რაითა იყოს ღმერთი ყოვლად ყოველსა შინა“ [1 კორ. 15, 28]. გრიგოლ ნოსელის კი ამბობს, რომ „სამყარო ყოვლისშემძლე ძალის მიერ უცხოდ შეთხული საგალობელია“. მსგავსად ამისა, ა. წერეთლის თქმით, „აქ ისმის ცის და ქვეყნის ამბავი ერთად შეთხული... შეზავებული!“ [წერეთლი, 2012: 171].

ზემომოხმობილ საღვთისმეტყველო სწავლებათა თვალთახედვითაა გამსჭვალული ლექსი „სოფიო ამირეჯიბის სახსოვრად“, რომელშიც მთვარისა და ვარსკვლავთ გუნდის არემარესთან „ტებილი კავშირი“ იხილვება –

და გამსჭვალული
მით ქვეყნის გული,
ზეციურ ძალებს თანა მიჰყვება;
ქმედანა ზეცას,
ზეცა ქმედანას
ეკავშირება, ეთანახმება! [წერეთლი, 2012: 199].

ლექსში სამყაროს ყოვლისმთლიანობის იდეა ქვეყნისა და ზეცის ურთიერთლტოლვას, „შეკავშირება“, „შეთანახმებას“ წარმოაჩენს. ამგვარი ხილვა მიწიერ საზრუნავს მიჯაჭვული მკიონებების გულისყერს ღვთისაგან ქმნილი მშვენიერებისკენ მიაჰყობს, რამეთუ სწორედ ღვთის ხატადქმნილს პმართებს და ევალება მასზე არა მხოლოდ ზრუნვა, მისი მშვენიერების ჭვრება და ტკბობა; მით უფრო, რომ გარემომცველი სივრცე თავად „გრძნობს დიად ძალით აღვსებას“ და შვებას, სიტებოება-ლხენით „გამოვხიზლებას“.

ბუნების ჰარმონიის სურათი მეტად შესაგრძნობია გაზაფხულის მოახლოვებისას, რაც აღდგომის უამს მოასწავებს და, სიმბოლურად, სამშობლოს ხსნასა და მკვდრეობით აღდგომის რწმენას უკავშირდება –

რაც კი ქვეყნად გაჩენილა,
უენოა თუ აქეს ენა,
სულიერს თუ უსულოსა
საზოგადო აქვთ დღეს ლხენა! ...
და იმდერენ საიდუმლოთ
ერთხმად „მრავალეამიერსა“ [წერეთლი, 2011: 97].

კოსმიური განსახოვნების პრინციპთა გამოვლენის კვალობაზეა შესაძლებელი აკაკის შემდეგი სტრიქონების წვდომაც –

იღვიძებს და იმოსება
ათასფერად დღეს ბუნება,
თითქო იგი „ქრისტე აღდგას“
თვით შემოქმედს ეუბნება [წერეთლი, 2011: 31].

მოხმობილი ნაწყვეტებში არა მხოლოდ სამყაროს იერარქიული წყობა და მის საფეხურთა „თანასწორობა“, „შეთანახმება“, „შეკავშირება“ ვლინდება, აქ ისმის „ქვეყნის მაყრული“. ღვთიური ძალით გასულიერებული სამყაროს თითოეული წევრი, ლხენით აღვსილნი (საკუთარი ბუნებისდა კვალობაზე) უგალობენ და „აღიდებენ შემოქმედსა“. აქ უნდა მოვიხმოთ „ფსალმუნის“ სიტყვები: „აქებდით სახელსა უფლისასა, რამეთუ მან თქვა

და იქმნეს, თავადმან ბრძანა, და დაებადნეს. აქებდით უფალსა ქუეყანით ვეშაპნი და ყოველნი უფსკრულნი, ცეცხლი, სეტყეა, თოვლი, მყინვარი, სული ნიავ-ქარისა, რომელნი პყოფენ სიტყუასა მისსა, მთანი და ყოველნი ბორცუნი, ხენი ნაყოფიერნი და ყოველნი ნაძუნი; მეფენი ქუეყანისანი და ყოველნი ერნი, მთავარნი და ყოველნი მსაჯულნი ქუეყანისანი, ჭაბუკნი და ქალწულნი, მოხუცებულნი ყრმათა თანა. აქებდით სახელსა უფლისასა, რამეთუ აღმაღლდა სახელი მისი მხოლოდსა და აღსარება მისი ზეცასა და ქუეყანასა“ [ფსალმ. 148, 5-13].

ოთანე პეტრიწის თქმით, „აქებდით მას ცანი და მზე, ყოველნივე ვარსკვლავნი, ქუეყანად და ქუენანი ესე ყოველნი, ბუნებითისა იტყვის აღმვრად ქებისა და არა ორდანოებრივსა“ [პეტრიწი 1937: 212, 21-25]. სასულიერო მოდვაწები იმასაც განმარტავენ, რომ ქება „უპირველესად თვით მაქებელთათვის არის საჭირო – „კაცს რადცა რად უყუარან და აქებნ, მისსა მიმართ მიისწრავგინ“ (გიორგი მცირე 1967: 239). შესატყვისად ამისა, სამყაროს წევრთა (სულიერთა და უსულოთა) უფლის სადიდებელი შესხმა-გალობა თავად მათვე განაწმინდავებს, მათს სრულყოფილისკენ ლტოლვას განასახოვნებს. ამგვარ გააზრებათ მიჰყვება აკაკის ლექსებში უნივერსუმის საგალობელი.

პოეტისათვის დღუ-დამის თვალწარმტაც სურათთა ერთიანი „სუნნელებით“ აღვსება, მის მკვიდრთა სიყვარულით შეხმატებილებული თანაყოფნა ბუნების „ნიჭი“ როდია. იგი „ზენაართ სამყოფისგან“ მოფენილი მადლია, ბუნების თითოეულ წევრს ნეტარებას რომ განაცდევინებს. აქ „ბუნების ქების შესხმა“ შემოქმედის ხოტბა-დიდებას მიემართება –

შემოქმედების სარკევ, ბუნება,

ვინ ჩაგისახა ეგ ძლიერება?..

ნეტავ თუ იყოს დვოთისა ქმნილება,

გჭერებდეს და არ პეტრძოს მან ნეტარება? [წერეთელი 2010: 18]

არეოპაგიტიკის მიხედვით, დვოთაებას განასახოვნებს მთელი სამყარო, რომლის მშვენიერება დვოთიური მშვენიერებისგან მომდინარეობს („...სახიერების შუენიერებით განმრავლდების“ – პეტრე იბერიელი 1961: 1, 2). მშვენიერი ისწრავვის მშვენიერებისაკენ, „ზეშთაარსისაკენ“. ხილული სამყაროს გზით ხორციელდება ზეშთაარსის შემეცნება. შესატყვისად ამისა, აკაკის ლირიკაში სამყარო შემოქმედის ხელოვანების საუფლოა, „სარკეა“, რომელშიც ზეციური „გამონაშუქი“ (მშვენიერება, სიყვარული, სიკეთე) „ჩაისახება“ და აირეკლება – ზეგარდამო მადლისა ჰუკენდა

ძალთა ძალი უხილავი.

ცა ქვეყანას, ქვეყანა ცას,

უერს უგდებდნენ ერთმანეთსა,

მით ორივე შეთანხმებით

ადიდებდენ შემოქმედსა! [წერეთელი, 2011: 258]

დვოთაებრივი მადლის მიმღებლობის ძალით მიწიერ-ზეციერის „შეთანხმება“, შემოქმედის ქება-დიდებად გამოვლენილი, პოეტისაგან „ამაურული ნეტარების“ მომფენ სამოთხისეულ ნაყოფად აღიქმება, რაც პირველმიზეზთან თანაყოფნის განცდას ბადებს. ამგვარი ხილვის შეგრძნება განწმენდილი ცნობიერების ძალით მიიღწევა (ლექსი „მწუხრი“).

აკაკის ლექსთა განხილვა ცხადყოფს, რომ ბუნების ჰარმონიის, მისი მშვენიერების წვდომა ადამიანში ესთეტიკურ ტკბობას აღძრავს. აღნიშნული პეტრიწის ნააზრევს ეხმიანება – სახეთა გააზრებით სამყაროს შეცნობა პირველმიზეზთან მიმახლებელია; ყოველივე ეს

კი ადამიანებს სიამოვნებას ანიჭებს. იკვეთება აზრიც, რომ „ღვთისა ქმნილებათ“ „შექავშირებას“ ერთურთის სიყვარული ასაზრდოებს.

წმ.მამათა ნააზრევის მიხედვით, სამყაროს იერარქიული წყობის საფეხურთა მიმართების გამომწვევი „ტრუიალებაა“ – „ყოველი წარმოჩენილი თვისსა წარმომჩენელსა უპარ ეტრუის“ [პეტრიწი, 1937: 81, 30; იხ. 82, 36-83]. უფალი თავისი ქმნილებების მიმართ უსაზღვრო ტრუიალებას ავლენს, სიყვარულის ძალით მათ თავისკენ იზიდავს. ა. წერეთლისათვის სწორედ სიყვარულია გარემომცველი სამყაროს წევრთა „შემათნხმებელი“. სიყვარულის გზით „გაერთხორციება“, „გაერთსულდება“ მიწიერი და ზეციერი – „და ნეტარება ცისა და ქვეყნის შეათანხმორა... შეასისხლხორცა!“ [წერეთლი, 2012: 247]. სიყვარულით სუნთქვავს მთელი სამყარო –

ზენარე და ქვენარე,
ცხოველი და მცენარე
ყველა ამბობს: „გიყვარდეს,
დასტები და გაიხარჯ!“ [წერეთლი, 2010: 63].

ყოფიერების სახეობრივი კონცეფციის კვალობაზე, სიყვარულით გაჯერებული სამყაროს იერარქიული წყობა იხილვება ლექსში „ხულიკო“ –

„სამად დაშლილა ის ერთი:

ვარსკვლავად, ბულბულ, ვარდათო,
თქვენ ერთმანეთი რადგანაც
ამქვეყნათ შეგიყვარდათო“ [წერეთლი, 2011: 295].

ლექსში „საღამო“ ვარდის „ფშვინვისა“ და ბულბულის სტვენის შეხმატებილებულ ტრუიბას მთვარე და ზედ „დამფეთქავი“ ვარსკვლავნიც „ემოწმებიან“; მათს ჰარმონიულ კავშირს ღვთიური სიყვარული „იწვევს“ –

ქვეყნიერად გადმოსულა
სასუფევლით სიყვარული!...
იწვევს ყოველ სულიერსა,
რომ მიჰმადლოს სიხარული.
ცა და მიწას შეამყარებს
ბუნებისა ეს ქორწილი...“ [წერეთლი, 2011: 109].

სამყაროს ჰარმონიული ერთიანობა ღვთაების „ერთიანობას“ ავლენს და აღბეჭდავს. ხილული მშვენიერების ჰორიზონტალური ხაზი სიყვარულის ძალით ვერტიკალურს „ესისხლხორცება“ და პირველმიზეზისაკენ ისწრაფვის, რადგან

სიყვარული კაგშირია
ამ ქვეყნის და იმ ქვეყნისა;
იგივეა მაცხოვარი –
„მადლი“ კაცო გამოხსნისა [წერეთლი, 2012: 87].

ყოველელივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია თქმა იმისა, რომ აკაკის „მთელი სამყარო“ კოსმიური განსახოვნების კვალობაზეა საწვდომ-ამოსაცნობი. მოხმობილ ლექსებში სამყაროს იერარქიული წყობის ჰარმონიულობის განსახოვნებისას იკვეთება უმთავრესი – ეს მშვენიერება ადამიანს ეძღვნება. ბუნების ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ მიიზიდოს ადამიანის „გული, ცნობა და გონება“; ახილვინოს, შეაგრძნობინოს და შეაცნობინოს „ზეშთაარსის“ სახიერება და ამ გზით – ღვთის ხატობის საზრისი

(დანიშნულება და „საღმრთო ვალი“), რასაც კვლავაც ბიბლიურ სწავლებასთან მიუყარო – ადამიანი, ხატი დგთისა, დგთიური შესაქმის უმაღლესი სახექმნადობაა და დგთიური და მიწიერი არსის მთლიანობით, ამ სამყაროში ერთადერთია. მასში მთელი სამყაროს მრავალფეროვნება ირეკლება. ადამიანი არა მხოლოდ საკუთარ ხსნაზეა ორიენტირებული, მას კოსმიური მისია აკისრია – მთელი სამყარო უზენაესისაკენ უნდა წარმართოს [რომ. 8, 19-22].

აკაკის პოეზიაში სწორედ ამგვარი თვალთახედვა ვლინდება – ადამიანის მიზეზით დაცემული ქვეყნიერება ადამიანისვე გათავისუფლების გზით „ხრწილების მონობისაგან“ თავდასხნას ელის. ლექსში „აღდგომა“ სულიერისა და უსულოს სიხარული ქრისტეს აღდგომის რწმენას უკავშირდება –

იცის, რომ ეს ნიშანია
მკვდრეობით კაცთა აღდგინების
და მით თვისი აღდგომაცა
მომავალი ელხინების [წერეთელი, 2011: 31].

ლექსში „მგოსანი“ აკაკის ლირიკული გმირის და თავად პოეტის საფიქრად-საზრუნავი ქვეყნისგან ნაგრძობ-გაგებულის დანახვა-შეთვისებაა („ქვეყანამ გული გამისხნა, – საიდუმლოთა სალარო...“ – წერეთელი, 2012: 11), ბუნების წევრთაგან მიღებული ცოდნის გზით დგთის ხატობის საზრისის წვდომა და პასუხისმგებლობის შეგნების ამაღლებაა. სამყაროს უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, აკაკის საწუხარ-სატკივარი ისაა, რომ –
...ეს ციური სიმართლე,

მხოლოდ კაცს არ ეყურება!.. [წერეთელი, 2012: 11]

აკაკი, „როს უკვირდება“ ბუნების შვილთა შესხმა-გალობას, თავადაც განიმსჭვალება ამ გზებით. ლექსში „გედი“ ლირიკული გმირი გედის „უცნაურ“, (რუსთველის სიტყვით – „უცხო“ და „საკვირველ“) გალობას სწორედ მიწიერისა და ზეციურის თანაშეწყვილებით, თანაშეზავებით ხსნის – „შემოქმედების ქებაა,

ცისა და ქვეყნის შემკვრელი...“ [წერეთელი, 2012: 200].

აკაკის ზემომოხმობილ ლექსებში თაგჩენილი თემები და პრობლემატიკა მთელი სისრულითაა გაშლილი ლექსში „ქებათა-ქება“, რომელიც ზეცის, მიწისა და ადამიანის საგალობელია. აქ იკვეთება „ტკბილ ნეტარებით შეზავებული“ დრო-სივრცე, ლირიკული გმირის სულში მიდამოს სიტურფე-მშვენიერებით „გამრავალკეცებული ნეტარება“ და ამ გზით მისი ცნობიერების განწმენდა – ბუნების საიდუმლოს „შეტყობინება“, მისი გულის სამოთხისაკენ „უცნაურად“ მიზიდულობა და ზეადსვლა-აღმაფრენის შეგრძნება –

აპა, ვგრძნობ მეცა,
რომ არის ზეცა,
აღვსილი რაღაც ძალით საგზნობით.
და ეს ქვეყანა,
ყოვლგნით ყველგანა,
თავს უხრის შემქმნელს მადლით საგრძნობით! (წერეთელი 2011: 83)
მიწის ყოველი არსებისაგან უფლის შესხმას „ძალთა დიდებით“ გამსჭვალული ცის კრებული „შექმნათა ქებით“ შეერთვის, ერთიანად კი მათი „შეთხული“ მღერა „ქებათა-ქებად“ წარმოდგება, რომელიც კაცსაც სწვდება და დგთის ხატობას შეაცნობინებს –
ბუნების მაყრულს

საქორწილოდ სრულს,
ეკავშირება, ზე ემატება, –
და ახლა მეც ვგრძნობ,
საიდუმლოდ ვცნობ,
რომ არის კაცში ღვთისა ხატება!.. (იქვე)

ლექსში თვალნათლივაა გაცხადებული სამყაროს კოსმიური წყობის „შეხმატებილების“ პროცესი, რომელიც კრებულთა „საქორწილოდ სრულ“ „მაყრულად“ წარმოდგება, რაც შექმნილთა „პატარძლად“ წარმოსახვისკენ გვიბიძგებს და შეუქმნელთან („სიძესთან“) შერთვის მოლოდინად აღიქმება. უზენაესთან „საქორწილო“ მზაობით გამთლიანებული სამყარო ლირიკული გმირისკენ მიიღოვის, რათა მათ უფლის წიაღისაპენ წარუძღვეს. პოეტი გამოკვეთს ამ „ქებათა ქების“ ერთსულოვნების საფუძველს –

შენ, სიყვარულო, ცისა და ქვეყნის
კავშირო და თან შუამავალო!

შენ, რომლის ერთს წამს, იმ სანეტაროს,

მზა ვარ, სიცოცხლე მთლად ვანაცვალო!... [წერეთელი, 2011: 84]

„ფრთხებშესხმული“ პოეტის „აღტაცებით სიმთა ქდერა“ ამ ქებათა-ქებას შეერთვის და „ეთანახმება“. მისი თქმით, მხოლოდ ღვთიური ტრფიალებით აღვსილ პოეტს ძალუბს „უცნაურ ჰანგზე ჩახმატებილება“ და „საშვილიშვილო გალობის“ თქმა. „ქებათა ქება“ კიდევ ერთხელ გაცხადებს, რომ ყოფიერება სიბრძნეზე დაფუძნებული „ცისა და ქვეყნის შემქვრელი“ სიკეთე და სიყვარულია, უმაღლეს მშვენიერებასთან ზიარებაა.

ლიტერატურა:

გიორგი მცირე, 1967: გიორგი მცირე, გიორგი ათონელის ცხოვრება, ძეგლები, II, ილ. აბულაძის რედ., თბ., „მეცნიერება“, 1967.

პეტრე იბერიელი, 1961: პეტრე იბერიელი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ენუქაშვილმა, თბილისი: თსუ გამომც. 1961

პეტრიშვილი, 1937: პეტრიშვილი ი. განმარტებაი პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხეჩიშვილმა, თსუ გამომცემლობა, 1937

სირაძე, 1978: სირაძე რ. ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბილისი: გამოცემლობა „ხელოვნება“, 1978

წერეთელი 2010: წერეთელი აკაკი, თხზ. სრული კრებული ოც ტომად, ტ. I, თბილისი: ლიტ. ინსტიტუტის გამომც., 2010.

წერეთელი 2011: წერეთელი აკაკი, თხზ. სრული კრებული ოც ტომად, ტ. I, თბილისი: ლიტ. ინსტიტუტის გამომც., 2011.

წერეთელი 2012: წერეთელი აკაკი, თხზ. სრული კრებული ოც ტომად, ტ. I, თბილისი: ლიტ. ინსტიტუტის გამომც., 2012.

“World is Tied to the Heaven and the Heaven is Tied to the World”

(Based on AkakiTsereteli’s Lyrics)

Abstract

Studying of A.Tsereteli’s lyrics shows that the poet has emphasized many times the idea of the world harmony, relationships between the worldly and heavenly. Here shows up the biblical, Christian, specifically evangelic way of thinking. For clarifying the above, work takes into consideration the principles of hierarchic structure of the world (Dionysius the Areopagite, IoanePetrtsi). In certain part of Akaki’s poems, each creature animated by the divine power “praises”, chants and “glory the Creator”. Careful studying of the poems shows that the world is the “mirror” of the Creator’s art, where the beauty, love, kindness of the heavenly is “conceived” and reflected. There is clarified that understanding of the harmony of nature, its beauty causes in individual esthetic pleasure. Akaki’s poetry underlines the idea that the basis of world entirety, connection – concordance of the Lord’s creatures is love (according to the Bible and theological teachings). In the cited poems by AkakiTsereteli, in demonstrating the hierarchic structure of the world and its harmonic nature, the main thing is underlined – this beauty is dedicated to human; the human is a medium between Lord and nature; the human has to orient the entire world to the Lord.

რეცენზენტი: პროფ. ნ. სულავა

ლიტერატურათმცოდნეობა Literature

თამარ ვეფხვაძე

სოხუმი, საქართველო

„ხე ცხოვრებისა“ გოლერძი ჩოხელის მოთხოვის ში „წერილი ნაძვებს“

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება განსაკუთრებულ მოვლენას XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში -- გოლერძი ჩოხელი. „შეიცან თავი შენი“-- ეს ფრაზა ანტიური დროიდან ისმის და, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ შეიცნო საუთარი თავი და სახელი მოვლენილმა ადამიანმა. გოლერძი ჩოხელის მოვლი შემოქმედება ხომ ამ მარადიულ პრობლემას ეხმიანება. მისი მიზანია, დაეხმაროს მითხველს საკუთარი სულის, საკუთარი თავის ძიებასა და რეალიზებაში. გოლერძი ჩოხელი უნიჭიერესი მწერალია, რომელიც არაორდინალური, განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ მწერლობასა და კინგმატოგრაფიაში. ასეთი არაორდინალურია მისი ნაწარები „წერილი ნაძვებს.“ თუმცა ნაშრომი იწყება სიტყვებით: „მღვრიემდე გაგვიმარჯვას!“ მისივე ნაწარმოებიდან „მოხევის სადღეგრძელო“. ამ წერილის და, კვიჭობ, გოლერძი ჩოხელის შემოქმედების მიზანიც ეს არის, დაეხმაროს ადამიანს, შეინარჩუნოს სულიერი წონასწორობა, რომ თითოეულმა ჩეგენანმა „ია-ვარდითამც გალიოს სულეთის ქვეუნისაკენ მიმავალი ამ წერილოვლის შარაგ ზა“.

„ბალდები სუფთა იბადებიან, ადამიანებს მერე გვემდვრევა სული!“--- ამბობს გოლერძი ჩოხელი თავის პატარა შესანიშნავ მოთხოვის „მოხევის სადღეგრძელო“. გვებადება კითხვა: რატომ? რა არის ამის მიზეზი? და ავტორიც გვპასუხობს: „თანდათან ცოდვებით მდვრიე ცხოვრებას ვუერთდებით და იმადა...“ იქვე კი აგრძელებს: „მანამ სული სუფთა გვაქვს, გული სუფთა გვაქვს, სუფთა საქმეებს ვაკეთებთ და ისე არ ავიმდვრევით, რო ვეღარ ვგებულობთ, საით მივდივართ, მანამდე გაგვიმარჯვას. მღვრიემდე გაგვიმარჯვას!“ [ჩოხელი, II ტ.2007: 141]

თვით ჩოხელი, აუმდვრეველი და მშვიდობისმყოფელი, სულ რამდენიმე წლის წინ შეუერთდა სულეთის სამყაროს. მისი ნაწარმოებები ერთი ამოსუნთქვით იკითხება და ჩაგვაფიქრებს ამქვეუნიური ცხოვრების აგ-პარგზე. ავტორის მიზანიც ეს არის... ამ კუთხით გოლერძი ჩოხელის შემოქმედების შესახებ ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი

მანანა კვაჭანტირაძე ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „გოდერძი ჩოხელი მწერალია და ნამდვილი მწერლობის დანიშნულებაც დღემდე ესაა - ადამიანის სულში მადლის მარცვლები დათესოს, სიკეთის ძალა შემატოს და „დვთის ხატი“ გამოაღვიძოს. ამას პირდაპირაც ათქმევინებს თავის გმირებს და ირიბადაც - „შთაგონების“ ცნობილი ხერხით. ალბათ, გახსოვთ, იგი ხშირად ლაპარაკობს დმურთზე, ამ სოფლიდან წასვლაზე, ამქვეყნად მოსვლის მიზანზე, ადამიანში ღმერთის წილის განსაზღვრას ცდილობს. მოკლედ, თუკი რაიმეზე წერს, სწორედ ამაზე.“ როგორ შეინარჩუნოს ადამიანმა ჰუმანურობა, როგორ იცხოვოს აუმდვრევლად, როგორ აარიდოს თავი ცოდვებს და როგორ დაიხსნას სული - ეს ის მარადიული კითხვებია, რომლებიც კაცობრიობას აწუხებს დასაბამიდან. იმ დღიდან, როცა აკრძალული ნაყოფის გასინჯვის შემდეგ ადამიანმა შეიძინა დამოუკიდებელი ცნობიერება, მაგრამ დაკარგა დვთაებრივი ხატი. წუთისოფელი ხომ ადამიანის დროებითი სამკვიდროა. ადამიანმა საკუთარ თავში უნდა აღადგინოს დაცემული ადამი და ამაღლებული, განმდრობილი ცნობიერებით კვლავ დაემკვიდროს ზეცის სასუფეველში. ძველი საბერძნეთის რელიგიურ-ფილოსოფიურ კერძებსაც ეს ჰქონდათ დევიზად: „შეიცან თავი შენი“. მათ მიაჩნდათ, რომ თუ ადამიანი საკუთარ თავს შეიცნობდა, - ეს სამყაროს შეცნობაც იყო. ხოლო რადგან „ლიტერატურაში აირეკლება ერის მრწამსი, ადათ-წესები, ეპოქალური მოვლენები თუ სარწმუნოებრივი იდეოლოგია, ამ „დანალექის“ კვლევა განსაკუთრებით საგულისხმოა [დათაშვილი, 2015:4] „ქართული ლიტერატურა, ხომ, ქრისტიანული კულტურის ზედნაშენია და მასაც ერთი უმთავრესი მიზანი აქვს—თითოეულ ჩვენგანს დაეხმაროს, „ია-ვარდითამც გალიოს სულეთის ქვეყნისაკენ მიმავალი ამ წუთისოფლის შარაგზა“ (გოდერძი ჩოხელის ერთ-ერთი პერსონაჟის სიტყვები რომ მოვიშველიოთ) [იქვე]. სწორედ ამიტომ მისი შემოქმედება დატვირთულია პარადიგმული სახეებითა და პერსონაჟებით.

გოდერძი ჩოხელი განსაკუთრებული მწერალია, ის დაიბადა (1954 წ.), ჯერ კიდევ უძრაობის ხანაში, კოლონიური რეჟიმისა და სტერეოტიპული აზროვნების დროს და, შესაბამისად, ძალიან რთული და სახიფათო იყო ასეთ თემებზე წერა. არსებობს მოსაზრება, როცა აზროვნება აკრძალულია, ეპოქის სულის ამოსაცნობად უნიჭო მწერალი უფრო მეტ მასალას იძლევა, ვიდრე ნიჭიერი. უნიჭო მწერალი ქვევრია, რომელსაც მხოლოდ ჩაძახებულის ამოძახება შეუძლია. იგი ეპოქის კონიუნქტურას, დოგმასა და გემოვნებას ფოტოგრაფიულად ასახავს, რაკი თავისი აზრი არ გააჩნია, თუთიყუშივით იმას იმეორებს, რაც ყოველდღე ესმის. ამ გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, გოდერძი ჩოხელი უნიჭიერესი მწერალია, რომელიც არაორდინალური, განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ მწერლობასა და კინემატოგრაფიაში. მისი მისტიკური შემოქმედების გაგება არც თუ ისე ადვილია, მეტიც, ზოგჯერ ძალიან რთულიც კია, რადგან ავტორი გამუდმებით „სულეთის სამყაროში“ მოგზაურობს დ მკითხველსაც ამოგზაურებს. შეიძლება ითქვას, რომ გოდერძი ჩოხელი ყველაზე სევდიან, მაგრამ მართალ შემოქმედად არის მიჩნეული, რადგან მის ნაწარმოებებში ჩანს დიდი რწმენა და იმედი სულიერი ცხოვრებისა. ერთ-ერთ ლექსში: „მე აღარ წავალ საიქიოში,“ ამბობს:

„ მე დავბრუნდები საიქიოდან,
ვიქნები მზეში, მზის ამოსვლაში...“

მაღალი ღმერთის სუნთქვა ვიქნები

სიყვარულს დავთეს კველას გულებში!.. [ჩოხელი, ტ. 4:68]

გოდერძი ჩოხელის მეუღლე ნინო მელაშვილი იგონებს: გოდერძი ხშირად ამბობდა: „როგორ წარმომიდგენია სული? როცა ქართულ სიმღერას ვისმენ, თითქოს წინაპრების სულს ვხედავ, ერთად შეკრულს, აგუგუნებულს, ზეცისკენ მიმავალს... სული ნამგალს პგავს, ჩაუანგება იცის ნამდვილად, სულ ეკიდება შენი წარსული, არსებობს ყანა, რომ ბოლომდე კარგად მოიმკას, სულს გაფხავება უნდა ქასურით. ქასური სალესი ქვაა, ხოლო გაფხავება გალესვას ნიშნავს. კარგია, რომ სული გააფხავო, მაგრამ რეცეპტი არ არსებობს, თუ როგორ უნდა იშოვო ის სალესი ქვა. სული მმიმდება წარსულით, იმ ყოფით, რა ყოფაშიც ხარ. სულს თითქოს უანგიც ეკიდება. სულიდან უანგის მოცილება ალბათ ისევ დვთის რწმენით უნდა შეძლო. თუმცა არც ესაა მთლად შეწევ დამოკიდებული. ხშირად სული ისეთ მდგომარეობაშია, რომ რწმენაშიც მერყეობს, თითქოს ღმერთს შორდება და ადარ იცის, რა ქნას. ხშირად კეთილად მშურს ხოლმე იმ ადამიანების, რომლებიც ალალად არიან ღმერთს მინდობილნი. მათ უბრალოდ სწამთ და ყველაფერი ისეა, როგორც სწამთ. უბედურებაა, როდესაც იცი, რომ უნდა გწამდეს და მაინც რადაცა გიშლის ხელს."

მისნაირ ადამიანებს ყოველთვის უჭირთ, რადგან ღრმა გააზრება ამა თუ იმ პრობლემისა ყველას არ ძალუდს. გოდერძი ჩოხელი იყო იმ იშვიათთაგანი, რომლსაც შეეძლო განსხვავებულად შეეხედა და განსხვავებულად აღექვა ყველაფერი, თუმცა ეს მისთვის, რა თქმა უნდა, უდიდესი ტგირთიც იყო.

მისი პირველი ნაწარმოები 1980 წელს დაიბეჭდა, ეს იყო „წერილი ნაძვებს“ (რომელიც შემდგომ ფილმადაც გადაიღეს). ნაწარმოებს უცნური სიუჟეტი აქვს. მთავარი მოქმედი გმირია ბერი, თუმცა კარგად არ იკვეთება ბერი სახელია თუ წოდება. მას ჰყავს მეუღლე, ქრისტიანული წესით კი ბერს მეუღლე არ უნდა ჰყავდეს. სავარაუდოდ, ბერი-სახელად არის მოაზრებული, თუმცა ესეც შემთხვევითი არ უნდა იყოს. ნაწარმოებში მოქმედება ასე ვითარდება: როგორ უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს, ბერს, რომელსაც გული აწუხებს, მხარზე ნაძვი ამოსვლია (ომში დაჭრილა და ტყეში ნაძვის მტვერი ჩაყრია ჭრილობაში). ყველა განიცდის მის მდგომარეობას, ექიმი ურჩევს, გაიკეთოს რაღაც ნემსი, რომელიც გაახმობს ხეს და ბერსაც ეშველება, თუმცა ბერი სასტიკი წინააღმდეგია და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ გადაარჩინოს ხე. ამისთვის მიდის ბორჯომში, რათა ნაძვმა უკეთესად იგრძნოს თავი, ასეც მოხდა: „უცებ აიყარა ტანი ნაძვმა. ბერი გულ-მკერდში გრძნობდა იმის ფეხებს და წიწვების სახეში მოლამუნებით ტკბებოდა. ის ახლა ნაძვის ყოველ ნაფიქრალს ხვდებოდა, გრძნობდა, როგორ ელაპარაკებოდნენ ხეები ერთურთს. ბერი ახალ სამყაროს გრძნობდა, გრძნობადს და არა ხილვადს, უჩინარს, იდუმალებით მოცულს. ახლა იმის სხეულში ორი სული იდგა და ეს ორი სხვადასხვა სული ერთურთის შერწყმას ლამობდა“ [ჩოხელი, ტ.1, 2007:40]. რა თქმა უნდა, რთულია მიხვდე, რისი თქმა უნდა ავტორს. ბერი რთული და საინტერესო მხატვრული სახეა, რომელსაც მარადმწვანე ნაძვი მხარზე აქვს და მას სულს უწოდებს, რაღაც სიახლეს, რაღაც ახლის დაბადებას წითელ საუკუნეში... „გრძნობადს და არა ხილვადს“, როგორც მას ავტორი უწოდებს. ადამიანში მიჩქმალული გრძნობადი

სამყაროს გადვიძებას ლამობს გოდერძი ჩოხელი. ნაძვი ამბობს: „აქაურ ტყეებს სიყვითლე შეეპარა. ამათ ძალიან უკვირთ, მე რომ სულ მწვანე ვარ და ფერს არ ვიცვლი. ეს კიდევ არაფერი, მე რომ სიარული შემიძლია, ამაზე მთლად გიჟდებიან, ალბათ ზეციდან მოვლენილი ვგონივარ, ისე მეკრძალებიან.“

მე ვუთხარი მათ, რომ არ ვარ სხვაგნიდან მოსული.

არ დამიჯერეს:

--თუ მიწაზე დაიბადე, რატო შენც ჩვენსავით ფერს არ იცვლი, შენიანებს სიარული არ შეუძლიათ, შენ დადიხარ, სადაც მოგესურვება, იქ დგები, თან ჩვენნაირი ფოთლები არ გაქვსო.

რა უნდა ვუთხრა... რით დაგაჯერო. წიფელს კიდევ რამეს გააგებინებ, სხვები მთლად ურწმუნოები არიან.“ აქ აშკარაა ხაზგასმა რწმენასა და ურწმუნოებაზე. მარადმწვანე ნაძვი მეტაფორული სახე უნდა იყოს უფლისა, რომელიც არ გაწირა და გაზარდა ბერმა.

საგულისხმოა, რომ ხის სიმბოლიკას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ქართულ ქრისტიანულ ლიტერატურაში. ლალი დათაშვილი წიგნში „ოლამი ქართულ ლიტერატურაში“ მიიჩნევს, რომ „ხე რამდენიმე ასპექტითაა საყურადღებო: თვითონ ხე, ვარჯითა და ფესვებით, მემკვიდრეობითი კავშირის თვალსაზრისით წარმოჩინდება, საინტერესო და მნიშვნელოვანია „ცხოვრებისა და „კეთილისა და ბოროტის ცნობადის“ ხეების სიმბოლური სახისმეტყველებაც. (ამ სახეს იყენებს ილია ჭავჭავაძეც მოთხოვობაში „კაცია ადმიანი?!“). ლ. დათაშვილი მიიჩნევს, რომ ადამიანთა კავშირი უფალსა და ერთმანეთთან შესაძლოა გამოიხატოს „ხის“ სიმბოლოთი. ამ თვალსაზრისით, სამგვარი სიმბოლური გააზრებაა შესაძლებელი:

1. უფალი თვითონაა „ ხე"- „ხე ცხოვრებისა";
2. იგი „რგავს" ადამიანს;
3. და ყოველი კაცი, როგორც „ხე ვარჯოვანი", უკავშირდება წინაპრებსა თუ შთამომავლებს" [დათაშვილი, 2015:88].

საინტერესოა რას ეყრდნობა ეს სიმბოლო „ უფალი - ხე ცხოვრებისა". ლ. დათაშვილი იქვე აგრძელებს: „ხე ცხოვრებისა" თვით უფლის სიმბოლოა. „მამის ძეში მყოფობას გულისხმობს. როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში უფალი იქსო ხშირად მოიხსენიება, როგორც „ხე" ან „ყლორტი. ესაია და ზაქარია წინასწარმეტყველები უფალს მოიხსენიებენ განსაკუთრებული სახელით: „მორჩი".

საშობაო საგალობელში შეპხარიან ბეთლემს, როგორც ქრისტეს-- ცხოვრების ხის" დაბადების ადგილს:

„ბეთლემო, იხარებდ, რამეთუ ხე იგი

ცხოვრებისა შენ შორის აღმოცენდა დღეს" [იქვე].

ასევე, ქეთევან დიღმელაშვილი თავის სადისერტაციო ნაშრომში: „ქრისტიანული სიმბოლიკა I-VI სს. საქართველოში", წერს: „ხშირად, ქართულ ადრექტისტიანულ ხელოვნებაში, ხეს აბსტრაქტულ სახეს აძლევდნენ, რომელშიც რომელიმე კონკრეტული ხის ჯიშის დანახვა შეუძლებელია. მაგრამ, ასევე ხშირად სიცოცხლის ხეში კარგადაა გამოკვეთილი ხის სახეობა. ასეთთა რიგში ექცევა ვაზი, მუხა -- ქრისტიანობაში

მამა-ღმერთის განსახიერება და მარადმწვანე ხეები -- ქრისტეს სიმბოლო." [დიდმელაშვილი, 2010: 125] როგორც ვხედავთ, მარადმწვანე ხეები ქრისტეს სიმბოლოდ არის მიჩნეული.

იმ დროს არაერთი ნაწარმოები დაიწერა, რომლებშიც ჩანდა სურვილი და მისწრაფება სულიერი ცხოვრების აღორძინებისა, ჩანდა ჩუმი მოწოდება საზოგადოების გამოსაფხიზებლად, რასაც დიდი სიცროთხილეც სჭირდებოდა. ასეთი იყო რეზო ინანიშვილის, ნოდარ დუმბაძის, ანა კალანდაძის, ნაირა გელაშვილის, ჯემალ ქარჩხაძის, გურამ დოჩანაშვილის, ოთარ ჭილაძის და სხვათა ნაწარმოებები. როგორც ზემოთ ვთქვით, მწერალს, შემოქმედს დიდი როლი აკისრია ერის სულიერი ცხოვრების წარმართვაში, მაგრამ ეს როლი კიდევ უფრო მეტად ეკისრება ეკლესიას, რომლის აღორძინებაც გაოქალური მოვლენა იყო იმ დროს, მრავალსაუკონვანი ქრისტიანული ტრადიციების მქონე ქვეყანაში.

ცხადია, ეს ნაწარმოები მცდელობაა ღმერთთან მიახლოებისა, სულიერი საწყისის ძიებისა და ვინ უნდა იყოს ამ დიდ საქმეში პირველი, თუ არა სულიერო პირი, რისი მანიშნებელიცაა გოდერძი ჩოხელის პერსონაჟი--სახელად, ბერი. მოთხოვთა „წერილი ნაძვებს" რომ დაკარგული ღმერთის ძიებაა, ადასტურებს შემდეგი გპიზოდიც:

„სოფლის თავს ერთი ბებერი კაცი ცხოვრობს, არც ცოლ-შვილი ჰყავს იმ კაცს, არც დამშები, მარტოა, რაც თავი მახსოვს. ადრე ღმერთი არა სწამდა და სოფელს იმიტომ გამოშორდა სოფლის თავს სახლი აიშენა და შეუვალი ღობე შემოავლო. მთელი თავისი სიცოცხლე ღმერთის გმობაში გაატარა. ახლა მოხუცდა, ჯან-ღონე წაერთვა და სიღარიბე წელში მოხარა. სამადლოდ თუ ვინმე მიაწვდის პურ-წყალს. ჩამომხმარ სხეულში ცოდვილობს იმისი სული. ყოველდღე ღმერთს ევედრება შეწყალებას... სახლის წინ მუხლებზე დახოქილი დგას ხოლმე და ცას შესძახის:

„ჩამომეშველე, ზენაარო,

ეგ თალხი კალთა ჩამომაფარე..."

წამიყვანე!"

თორემ დავიდალე,

ამ ბნელ მდვიმეში ყოფნით დაგიდალე..."

და ამ ლოცვის დროს მე თუ დამინახა, აკანქალებული მეხვეწება:

სთხოვე უფალს, ჩამომეშველოს,

სთხოვე, ჩამომეშველოს,

მიშველე, სთხოვე..."

სულის შემძვრელია ეს მონოლოგი. ბერიც სთხოვს შემწეობას, მაგრამ „არ სჩანს გამკითხავი. იგვიანებს..."

ავტორი ხახს უსვამს, რომ თხოვნა დაგვიანებულია, ხახს უსვამს იმასაც, რომ ადამიანის სული თავისას ითხოვს, ადრე თუ გვიან, საწყისს უბრუნდება და უფლისკენ მიიწვევს.

ნოდარ დუმბაძე „მზიან დამეში" წერდა: „ღმერთი ისე ნათელია, ისე ახლობელი, ისე ცხადი და ისე უბრალო, რომ როდესაც ხედავ, არ იცი, რომ ღმერთია, ამიტომ არ წამო ღმერთი. ღმერთი რომ სხვაგან იყოს, შორს ჩვენგან, ცალკე და მაღლა, ღმერთი რომ ჩვენში

არ იყოს, მაშინ ყველა იწამებდა. ამაშია საქმე!.. ღმერთი მაშინ უნდა იწამო, ღმერთის სახე რომ არ აქვს, რომ არ პგავს ღმერთს, რომ არ გეუბნება, ღმერთი ვარო..." [დუმბაძე, 1980:223].

„ღმერთი?" -- პირდაპირ კითხულობს ავტორი და პასუხესაც პირდაპირ სცემს: „მე მწამს ღმერთი, რადგან მწამს დედამიწა და რაკი ჩვენ ყველანი დედამიწის ნაწილი ვართ, ალბათ, დედამიწაც ასევე ღმერთის ნაწილია... ალბათ, როგორც დედამიწას შეერთვიან მისგან გამოსული სახეები, თვითონ დედამიწაც შეერთვის ღმერთს.

მე რატომდაც მგონია, რომ ღმერთი ერთია და ამასთანავე იმდენი, რამდენი სახეცა დგას მასში". გავბედავ და ვიტყვი, რომ ეს განმარტება არის ჩოხელისეული აღქმა უფლისა, ეს იყო იმ მიების შედეგი, რაც მის სულში ხდებოდა. ერის გამოღვიძებას ყოველთვის სჭირდება ბიძი, დიდი შინაგანი ძალა, რომელიც ერისა და უფლის რჩეულებს აქვთ მხოლოდ...

„ რა უნდა გააკეთოს პიროვნებამ იმისთვის, რომ გახარებული იყოს ამა-სოფელსა შინა? უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გვქონდეს რწმენა, არა ნებისმიერი, არამედ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, რომელმაც გადაარჩინა ჩვენი წინაპრები, ჩვენი სამშობლო და რომელსაც ადამიანი მიჰყავს უფალთან, სასუფევლში.

ვფიქრობ, აუცილებელია რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ეკლესიის როლს. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეკლესია იესო ქრისტეს - ღმერთის მისტიური სხეულია და იგი თვით უფლის მიერ არის დადგინებული. „კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიად ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას (მათე 16, 18) - ბრძანებს მაცხოვარი. მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის მადლით არის შესაძლებელი აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან მიახლება, სულიერი სრულყოფის კიბეზე ამაღლება, ოდენ იგი იცავს განუყოფელი სამოციქულო ეკლესიის რწმენას და ტრადიციებს. წმიდა ირინეოს ლიონელი ამბობს: „სადაც ეკლესია, ის სულიწმიდაა და სადაც სულიწმიდაა, იქ ეკლესიაა მისი სრული ჭეშმარიტებით".

ჩვენ როულ ეპოქაში გვიხდება ცხოვრება. ბოროტი ყოველნაირად ცდილობს ეკლესიაში განხეთქილებისა და შფოთის შემოტანას. დღეს მართლმადიდებელ ქრისტიანს დინების აღმა უხდება სფლა, რაც სულ უფრო მეტ წინააღმდეგობებს გვიქმნის, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ მაინც უნდა ვიაროთ ამ გზით.

“შე ვაფრთხილებ ჩვენს ხალხს, ჩვენს მორწმუნეთ: იყავით დაკვირვებულნი და ყურადღებიანი: ნუ დაკარგავთ ჭეშმარიტებას, ნუ დაკარგავთ ჩვენს სარწმუნოებას, მიწიერ საცდურზე ნუ გაცვლით მარადიულ ცხოვრებას, თორემ მერე გვიან იქნება..."(სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).

საყურადღებოა ნაწარმოების დასასრული: „ბერმა ღრმა ორმო ამოთხარა და შიგ ჩადგა. მერე ნათხარი მიწა შიგნით ჩაიყარა და ხელებით ფეხებში ჩაიტკენა წელამდე. იდგა ასე. უკანასკნელი, რაც ბერმა იგრძნო, ის იყო, თუ როგორ შეაგსო ორმა სხეულმა ერთი მოლიანი და გახდა ერთსახე, რომელიც წვრილი ფეხებით საოცარი სისწრაფით ჩაებდაუჭა მიწას. ხოლო პირველი, რაც ნაძვმა იგრძნო, ეს მზის ამოსვლა იყო" [ჩოხელი გ.1, 2007:44].

ორი სიმბოლიკა იყრის ერთად თავს, მარადმწვანე ნაძვი და მარადიული მზე.

„ორი მზე – საცნაური და უცნაური! – ასე განმარტავს მას დავით გურამიშვილი. ერთი მზე – ასტრონომიული პლანეტა და მეორე მზე – უფლის მეტაფორა. საცნაური მზისთვის თვალის გასწორებაც კი ჭირს, ხოლო უცნაური მზის (უფლის) გზა-კვალის ცნობა კიდევ უფრო რთულია: „ო! ღმერთის სიმდიდრეთა და სიბრძნისა და შემეცნების სიღრმე! როგორ ჩაუწვდომელნი არიან მისნი სამართალნი და მიუკვლეველნი მისი გზები!!“ [რომაელთა 12, 33]. [ბარბაქაძე, 2014:]

გრიგოლ რობაქიძე პუბლიცისტურ წერილში: „მზის ხანა საქართველოში“ ამბობს: „ასევე შეიძლება გავიხსენოთ სულხან-საბა ორბელიანის განმარტება სიტყვისა „ღმერთი“: „წვა და ხედვა“. ეს განმარტება მზეზეა თითქო გამოჭრილი. მზე იწვის, არ იფერფლება, იწვის და „მზერს“-ანათებს...

მზისგან იშვის სხივი და ნივთიერი იდებს „სახეს“- იმდენად, რამდენად იგივე სხივმფენია. მხოლოდ სხივის გამოკრთომით ეზიარების ნივთიერი დვთიურსა: იქვევა „სახიერ“. არც ერთ ენაში არ იხმარება ზედშესრულიო „სახიერი“ დვთის მიმართ ისეთი ღრმა მნიშვნელობით, როგორც სწორედ ქართულში. რაც სახიერია, ის დოიურია –ასე ვგონებთ ქართველნი.“

მზის სიმბოლიკა არაერთ მწერალსა და პოეტს აქვს გამოყენებული თავის ნაწარმოებში უფლის ან დვთისმშობლის მხატვრულ სახედ. გავიხსენოთ, მაგალითად, დავით გურამიშვილი: „სახით სიტყვა შვენიერო, სხიო, მზეთა მზის სახეო, ვეძებე და შენი მსგავსი მე აქ ვერცადა ვნახეო..“ [ქართ. ენა და ლიტ-რა, 2012: 359] ან კიდევ:

„დიდება შენდა, დიდება, სახით მზეთა მზეო,

მიუწვდომელო ნათელო, გრძელო ძველო დღეო,

უფალო უფლებათაო, მეფეთ მეუფეო!“ [იქვე]

გავიხსენოთ გალაქტიონიც, რომელიც დვთისმშობელს მიმართავს:

„ დედაო დვთისავ, მზეო მარიამ!“ [ქართ. ენა და ლიტ-რა, 2012: 327]

ცხადია, პირველ შემთხვევაში მზე უფლის მეტაფორაა, ხოლო მეორე შემთხვევაში დვთისმშობლის. ამ პრინციპით თუ ვიმსჯელებთ, მზე, რომლის ამოსვლაც ნაძვმა იგრძნო, უფალთან მიახლოებას უნდა ნიშნავდეს, თვით მარადმწვანე ნაძვიც მეტაფორული სახეა მარადიულობისა და დაუსრულებელი სიცოცხლისა. ასეთივე მეტაფორას იყენებს გურამ დოჩანაშვილი თავის გენიალურ რომანში „სამოსელი პირველი“, რომლის ერთ-ერთ ეპიზოდში სრულიად უდანაშაულო, ძალადობის მსხვერპლი ბალახისფერი კაცის გარდაცვალების ადგილას მარადმწვანე ფოჭები ამოდის.

საბოლოოდ, შეიძლება მაინც გაუჩნდეს ვინმეს კითხვა: რას შეეწირა ბერის სიცოცხლე? ჩემი აზრით, აქ სულიერი თვალია საჭირო და საკითხავიც ადარაფერი რჩება, უფლის შეცნობა დიდ მონდომებასა და ძალისხმევას მოითხოვს, ავტორს სურს გვითხრას, რომ თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაზარდოს გულში ქრისტე, „რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჯსი მხოლოდშობილი მოსცა მას, რაითა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებად საუკუნო“ [იოანე 3, 16].

წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს, რომ ქრისტეს დაბადება შეუძლებელია გააზრებულ იქნეს ადამიანური ლოგიკით. ეს არის სასწაული, რომელიც აღემატება ადამიანის გონებას. „ნუ შემეკითხები: როგორ მოხდა სასწაული? რამეთუ, როდესაც ბრძანებს უფალი, ბუნება მხოლოდ მორჩილებს; მან ინება და შეძლო, მოვიდა და გვიხსნა! დვთის ნებამ არ იცის, რა არის წინააღმდეგობა და არსებული უწინარეს ყოველთა საუკუნეთა - დღეს ხორციელდება!“ მაგრამ დვთის განხორციელების საიდუმლო გასაგები ხდება მისთვის, ვისი გულიც გამობარია რწმენითა და სიყვარულით, იმიტომ, რომ ეს სიყვარულის საიდუმლოა. სიყვარულის საიდუმლო გაუგებარია იმათვის, ვისაც არ ძალუბს რწმენა და სიყვარული, მაგრამ გასაგებია მათვის, ვისაც ძალუბს თავისი სიყვარულით უპასუხოს ჩვენს მოყვარულ უფალს [საშობაო ეპისტოლე, 1980].

თავის გმირებს შორის გაზრდილი გოდერძი ჩოხელი ამბობდა:

„ეს ჩემი სულის ლოცვებია, სიმარტოვეში დავწერე. მინდოდა რაღაცით გამეობეთ. ღმერთო შემინდე! ისე ვიღოცე, როგორც შევძელი“ [ჩოხელი 4, 2007: 3].

და ბოლოს, „ადამიანები იმიტომაც ბერდებიან, რომ, სხვა ყველაფერთან ერთად, თანდათანობით აკლდებათ სითბო: მშობლების სითბო, შვილების სითბო, შეყვარებულის სითბო, მეგობრებისა და ახლობელი ადამიანების სითბო და, რაც მთავარია, იმედის სითბო. ადამიანს დაბადებიდან სულ თან დაჰყვება იმედის სითბო, ფიქრობს, რომ ერთხელაც იქნება... მაგრამ რაკი ის რადაც ამ ქვეყანაზე თურმე არ ხდება, ნელ-ნელა, რაც წლები გადის, თანდათანობით ქრება იმედის სითბო და, მართალია, სიკვდილამდე მაინც ღვივის მისი ნაპეწყლები ადამიანის სულში, მაინც საზარელია სიმარტოვის ჟამს საიდანლაც მონა ქროლის ამაოების ქარი. [ჩოხელი 2, 2007: 35].

ლიტერატურა:

1. ბარბაქაძე ც., „მზის მეტაფორები“ 25 მარტი, 2014წ. (გამოყ. 11 ივნისი, 2018წ)
2. დათაშვილი ლ., „ოლამი ქართულ ლიტერატურაში“, თბ., 2015.
3. დიღმელაშვილი ქ., „ქრისტიანული სიმბოლიკა I-VI სს. საქართველოში“, სადისრტაციო შრომა, თსუ, თბ., 2010.
4. კვაჭანტირაძე მ., „სიტყვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“ www.Georoyal.ge
5. რობაქიძე გ., „მზის ხანა საქართველოში“, ბურუსი 30.05. 2009. 9გამოყ. 11 ივნისი, 2018.
6. ქართული ენა და ლიტერატურა, როდონაია ვ., არაბული ა., ნაკუდაშვილი ნ., ხუციშვილი მ., „სწავლანი“ 2012წ.
7. ქართული ენა და ლიტერატურა, როდონაია რ., გიგინეიშვილი მ., გრიგოლაშვილი ლ., „სწავლანი“, 2012წ.
8. ჩოხელი გ., თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, „საქართველოს მაცნე“, თბ., 2007წ.
9. ჩოხელი გ., თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II, „საქართველოს მაცნე“, თბ., 2007წ.
10. ჩოხელი გ., თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III, „საქართველოს მაცნე“, თბ., 2007წ.
11. ჩოხელი გ., თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. IV, „საქართველოს მაცნე“, თბ., 2007წ.

Tamar Vepkhvadze

“Cheers to Us till We Stay Clean” Goderdzi Chokheli – “A Letter to the Firs!”

Abstract

The current work is dedicated to a particular phenomon of XX century Georgian literature – Goderdzi Chokheli. “Know Your Self” – has been heard since the antic times and to our great sorrow a human – the one born as an image of God, cannot still know oneself. All the works by Goderdzi Chokheli consider this eternal problem. Their purpose is to help people to find his/her self and soul. Goderdzi Chokheli is the most talented writer and an extraordinary representative of Georgian literature and cinematography. His work “A Letter to the Firs!” is also extraordinary. Though the work starts with the words: “Cheers to Us till We Stay Clean” from his own work “Mokheve’s Tost”. The aim of this letter as well as of all Goderdzi Chokheli’s creations is to help a human to keep the inner balance so that each of us could end the road from this world to that one easily.

რეცენზიის მროვლი: ქ. ქორენოვსკა

ლიტერატურათმცოდნება | Литератураведение | Literature

სალომე ზვიალაძე

ახალგვითარებულობა

ტიპიკურნების შესწავლის ისტორიიდან

Τύπος δημόσιων ραδιοφωνικών σταθμών “Σακελλάρειο”, “Ελλάση” ή “Ελληνική Ραδιοφωνία” είναι το παρόν.

სამონასტრო გიპიკონებია: პალესტინური – საბაწმილის; კონსტანტინებოლის – სამონასტრო გიპიკონებია: პალესტინური – საბაწმილის; კონსტანტინებოლის.

ქართული ეპლებია *V-X* საუკუნეებში მაჟყვებოდა იერუსალიმურ წებე, *X-XII* - ში - კონსტანტინებოლისას, *XII-XVIII*-ში - საბაწმიდისას (პარალელურად *XIV-XV* საუკუნეებში მოქმედდოდა გიორგი მთაწმინდის “ფილი სვინაქსარიც”).

“წმიდა ნინოს ცხოვრებაში” აღნიშნულია, რომ მირიან მეფემ მოქცევის შემდეგ “წარავლინნა მოციქული და წიგნი ნინოსი საბერძნეთად, მეფისა კონსტანტინესსა, თხოვად მდდელთა... ხოლო მეფემან წარავლინნა ეპისკოპოსი იოვანე და ორნი მდდელი და ერთი დიაკონი და ხატი მაცხოვრისად“ (ძეგლები, 1963-64: 85-86). საგარაულოდ, უკვე ამ დროიდან უნდა დაწყებულიყო დვოიმსახურებისათვის საჭირო წიგნების თარგმნა და აქედანვე ჩაისახა ლიტურგიკული მწერლობა. ყოველ შემთხვევაში, V საუკუნეში, იაკობ ცურტაველის “შუშანიკის მარტილობაში” მოხსენიებულია, რომ ქართულ ენაზე უკვე არსებობდა სახარება, პავლეს ეპისტოლენი, დავითნი და წმინდანთა ცხოვრებანი. ამას არა მხოლოდ ავტორისეული ცნობა მოწმობს, არამედ ციტატები ამ წიგნებიდან. მაგალითად, ფსალმუნიდან, პავლეს ეპისტოლებიდან და ა.შ. ამ მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანია პალესტინის უდიდესი ლავრის დამაარსებლის საბა განწმენდილის “ანდერძი” 532 წლისა, რომლიდანაც ჩანს, “რომ ქართველებს VI საუკუნის დასაწყისს უკვე პქონიათ თავიანთ დედაენაზე სახარება, სამოციქულო, ჟამნი, სამხრისად, 1, 3, 6 და 9 ჟამნი. ცხადია, ყოველივე ეს VI საუკუნის დასაწყისში ვერ გაჩნდებოდა, ადრე შემუშავდებოდა“ (კიკელიძე, 1980: 39).

VI საუკუნის ბოლოსთვის საქართველოს ყველა ეპარქიაში წირვა-ლოცვა ქართულად სრულდებოდა, რაც თანდათან საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის ერთიანობას.

ქრისტიანულ ეკლესიაში არსებობს განსაზღვრული ყველასთვის სავალდებულო წესი დვოისმსახურებისა თუი — “სახე, ხატი, მაგალითი” — ტიპიკონი, რაც დვოისმსახურების ძირითად მიმართულებას ასახავს. არსებობს სამრევლო ანუ მსოფლიო და სამონასტრო ტიპიკონები. სამრევლო ტიპიკონები ლიტურგიკული ხასიათისაა, - რომელ დღეს რა უნდა წაიკითხოს და იგალობოს მდვდელმა, დიაკონმა, მედავითნემ, მგალობლებმა, - სამონასტრო კი — ლიტურგიკული და ყოფითი, - ზუსტადაა გაწერილი ზოგადცხოვრებულთა დღის ყოველი წუთი და ასახავს დვოისმსახურების ძირითად მიმართულებას. იმის მიხედვით, თუ რომელი ეკლესის ტრადიციებს მიჰყებოდა, ქართული ეკლესია შესაბამის ტიპიკონს თარგმნიდა. ცნობილია ორგვარი სამრევლო ტიპიკონი: იერუსალიმის — ქრისტეს საფლავისა და მეორე - კონსტანტინეპოლისა — აია-სოფიისა, ანუ დიდი ეკლესიისა. სამონასტრო ტიპიკონები კი სამი სახისაა: საბაწმიდისა — პალესტინური, სტოდიელთა — კონსტანტინეპოლური და მთაწმინდური — ათონისა. ისინი ძირითადად ერთნაირია, მაგრამ ნიუანსებით განსხვავდებიან.

V-VIII საუკუნეებში ქართლში მოქმედებდა დვოისმსახურების იერუსალიმური წესი. პირველი ლიტურგიკული წიგნებიც იერუსალიმიდან მივიღეთ. ესენია: იერუსალიმური ლექციონარი, იაკობის ჟამისწირვა, მრავალთავი და ჰიმნოგრაფიკული მასალის შემცველი უძველესი იადგარი, რომლის ბერძნული ანალოგი არ შემონახულა, მაგრამ ქართულში სინურ იადგარში (Sin. 11, 17v) დაცულია მისი ბერძნული სახელწოდება “ტროპოლოგიონი”, რომელიც იადგარის ტიპისა იყო. ხელნაწერის აშიაზე წარწერილია: “იადგარი ტროპოლოჯინი”, რაც მათ იდენტობას მიუთითებს.

თავდაპირველად დვოისმსახურებისთვის სულ რამდენიმე წიგნი გამოიყენებოდა, შემდეგ კი მათგან სხვადასხვა კრებული ადმიცენდა. ამჟამად გამოიყენება: სახარება, სამოციქულო, მოციქულთა ეპისტოლენი, პროფტოლოგიონი (საწინასწარმეტყველო), დავითი, თოუენი ათორმეტნი, მარხვანი, ზატიკი, ჟამნი, სვინაქსარი, ტიპიკონი, სიტყვანი, ლოცვანი, კონდაკი ან ჟამისწირვა, კურთხევანი და დიდ დღესასწაულებში წასაკითხი წიგნები, აგრეთვე ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში გავრცელებული გულანი — კრებული, რომელშიც ყველა საღვთისმსახურო წიგნია თავმოყრილი და ძალიან დიდი ზომისაა.

ჩვენში სხვადასხვა დროს სამნაირი სამონასტრო ტიპიკონი მოქმედებდა. პირველი იყო პალესტინური, რადგან ქართული ეკლესია X საუკუნემდე პალესტინის ლიტურგიკულ პრაქტიკას მიჰყვებოდა. ამას ადასტურებს არა მხოლოდ მთლიანად ან ნაწილობრივ შემორჩენილი ტიპიკონების თარგმანები, არამედ “გრიგოლ სანცოველის ცხოვრებაც”: „ნეტარმან გრიგოლ განაწესა წესი თვისისა ეკლესიისად და მონასტრისად, სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით გაბრწყინვებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული” (ძეგლები, 1963-64: 265), რასაც საფუძვლად საბაწმიდის განგება დაუდო. სამწუხაროდ, ეს ტიპიკონი არ შემოგვრჩენია, დაიკარგა ისევე, როგორც ძველი საქართველოს ფარგლებში არსებულ მონასტერთა ტიპიკონები. დღემდე მოდწეულია მხოლოდ ერთადერთი, ვაჲანის ქვაბთა ტიპიკონი, ისიც, სამწუხაროდ, ნაკლებლი, მაგრამ მაინც ძალიან მნიშვნელოვანი იმდროინდელი სამონასტრო ცხოვრებისა და ისტორიის შესასწავლად.

იერუსალიმური ტიპიკონი საქართველოში X საუკუნის ბოლომდე მოქმედებდა. ამ დროისათვის ათონის ნახევარკუნძულზე აქტიურად მკვიდრდებოდნენ განდეგილები, მათ შორის ქართველებიც 978-83 წლებში აშენდა ცნობილი ივერიის დვთისმშობლის ქართველთა მონასტერი, რომლის პირველი წინამდგარი წმ. ოოვანე მთაწმინდელი გახდათ. მან, იგრძნო რა აღსახრული, “ყოველი ჭელმწიფებად და უფლებად მამასა ეფთვეს მისცა, რამთა, რომელიცა განგებად და წესი ენებოს, იგიცა დაუდგას მონასტერსა და მას ზედაცა განკანონოს” (ძეგლები, 1967: 57). მანაც, ვითარცა იყო “სავსე ზეგარდმოთა მადლითა, ეგრეთვე საღმრთონი წესი და განგებანი დაესხნეს მონასტერსა თუსსა: პირველად წესი ეკლესიისანი და განგებანი ყოვლისა წელიწდისანი, ვითარ წერილ არს დიდსა მას სჯნაქსარსა სრულებით და დაუკლებლად” (ძეგლები, 1967: 69). საეკლესიო დვთისმსახურების ლიტურგია დიდი სვინაქსარის მიხედვით იმართებოდა, ხოლო “იოვანესა და ეფთვეს ცხოვრებაში” მოცემული 42 მუხლი ყოფით სამონასტრო ცხოვრებას არეგულირებს. ამ დროისათვის ქართული ეკლესია კონსტანტინეპოლის ეკლესიას დაუახლოვდა და წმ. ექვთიმე მთაწმინდელმაც სახელმძღვანელოდ აირჩია წმინდა ქალაქის, აია-სოფიის საპატრიარქო ტაძირის ტიპიკონი “მცირე სჯნაქსარი”, ხოლო 1042 წელს იგივე ტიპიკონი სრულად თარგმნა წმ. გიორგი მთაწმინდელმა. ესაა “დიდი სჯნაქსარი”, რომელშიც განავრცო ჰაგიოლოგიური ნაწილი, შეიტანა სტოდიელთა სამონასტრო ტიპიკონის, ათონის მთის ათანასეს ლავრის ტიპიკონის ელემენტები და მასში ქართული მასალაც ჩართო.

XII საუკუნის დასაწყისში არსენ ბერს, იგივე არსენ იყალთოელს, უთარგმნია პალესტინური, საბა განწმენდილის მონასტრის ტიპიკონის სვიმეონწმინდური ვერსია და იოვანე ქართლის კათალიკოსთან ერთად დავით აღმაშენებლისათვის შეუთავაზებიათ, ეს წესი დაემკვიდრებინა მის მიერ ახლად აგებულ შიომღვიმის დედაღვთისას ეკლესიისა და მთელი მონასტრის საღვთისმსახურო სახელმძღვანელოდ. დედანი ჩვენამდე არ შემონახულა. არსებობს XIII საუკუნის შუა სანებში მისგან გადაწერილი სელნაწერი (H-1349). არსებობს ამ ტექსტის შემცველი გვიანდელი სელნაწერებიც, სულ 18. მათი ტექსტები საინტერესოა ლიტურგიკული და, საზოგადოდ, ლიტერატურულ-ენობრივი თვალსაზრისით.

სვიმეონწმინდური ტიპიკონით დვთისმსახურება მთელ საქართველოში გავრცელდა. მისი სელნაწერები შემორჩენილია უცხოეთშიც, სინას მთაზე (Sin.83) და იერუსალიმში (Jer.146, Jer.150). ამ ტიპიკონით სელმძღვანელობდა თამარის კარის ეკლესიაც.

საბაწმინდურმა ტიპიკონმა შეავიწროვა წმ. გიორგი მთაწმინდელის “დიდი სჯნაქსარი” და საბოლოოდ მხელოდ XIV–XV საუკუნეებში დაიჭირა მისი ადგილი. იგი გამოიყენებოდა ქართულ დვთისმსახურებაში XVIII საუკუნის ნახევრამდე, როდესაც ის სლავური ტიპიკონის მიხედვით შეასწორა საქართველოს მაშინდელმა კათოლიკოს-პატრიარქმა ანგონ I-მა.

აუცილებელია, აღვნიშნოთ ე.წ. “ქტიტორული” ტიპიკონებიც. ხშირად დიდგვაროვანი ერისკაცები აშენებდნენ მონასტრებს, (როდესაც სურდათ, რომ იქ ბერად შემდგარიყვნენ, როგორც იოვანე-თორნიკე ათონზე, ან საკუთარ საძვალედ, მაგ., გრიგოლ და აბაზ ბაკურიანები), დიდ ქონებას სწირავდნენ და სახელმძღვანელოდ თავიანთ შერჩეულ ტიპიკონს უდებდნენ. ასეთი შემთხვევები ბევრი იყო საქართველოშიც. კერძოდ, “ილარიონ ქართველის ცხოვრება” (ძეგლები, 1967), „გრიგოლ ხანცოელის ცხოვრება“ (ძეგლები, 1963/1964), „ცხორება იოვანესი და ეფთვესი“ (ძეგლები, 1967), შიომღვიმის მონასტრისადმი მიცემული დავით აღმაშენებლის “ანდერძი”

(სილოგავა, 2003), პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი (შანიძე, 1986), მხარგრძელისა, „განგებად ვაჲანის ქვაბთა მონასტრისაა“ (მუსხელიშვილი, 1939).

ეს ტიპიკონები მეტად მნიშვნელოვანია საეკლესიო ცხოვრების შესასწავლად. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ პეტრიწონის ტიპიკონის „ქართველი ტესტი მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია ქართული სალიტერატურო ენისა. იგი შედგენილია XI საუკუნეში და ძირითადად ძველი ქართული ენის ნორმების თანახმად არის დაწერილი, თანაც შიგ მდიდარი ლექსიკური მასალაა წარმოდგენილი“ (შანიძე: 125-138).

სამწუხაროდ, დასახელებული ქტიტორული ტიპიკონებიდან სრულად მხოლოდ პეტრიწონის ტიპიკონის ქართული და ბერძნული ტექსტებია შემორჩენილი.

ბერძნული „ტიპიკონის“ ბადალი „გრიგოლ ხანცოელის ცხოვრებაში“ არის „წესი საღმრთო“ (ძეგლები, 1963/1964: 264) „იოანესა და ეფთამეს ცხოვრებაში“ - „განგებად და წესი“ (ძეგლები, 1967: 57); პეტრიწონის ტიპიკონში გრიგოლ ბაკურიანის ძესთან: „წესი განგებისაა“ (შანიძე, 1986: 36, 1); „გუჯარი განსაგებელისაა, რომელ არს ტიპიკონი, (იქვე, ოავი 39), „განსაზღვრებად საკრებულო და მცნებად კანონისაა (იქვე, 6); ვაჲანის ქვაბისას „განგებად“ და „ძეგლი და განგებად“.

ლიტერატურა:

1. განგება ვაჲანის ქვაბთა მონასტრისა (XIII ს.), გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა; ტფილისი, 1939.
2. გიორგი მთაწმინდელი, იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ილ. აბულაძის რედაქციით. ტ. II. 1967.
3. გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონი, ქართული და ბერძნული რედაქცია. გამოსცა, შესავალი, გამოკვლევა, ლექსიკონი, საძიებელი, ფოტოპირები დაურთო ს. ყაუხეჩიშვილმა. გეორგიკა. ტ. V. თბილისი, 1969.
4. გრიგოლ ხანცოელის ცხოვრება. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ილ. აბულაძის რედაქციით. ტ. I. «მეცნიერება», თბილისი, 1963.
5. დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომდვიმის მონასტრისადმი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და ფოტომასალა დაურთო ვ. სილოგავამ. «ნეკკრი», თბილისი, 2003, 2010.
6. დიდი კურთხევანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სქოლიოები დაურთო ვ. ჭელიძემ, დოგმატურ-საღვთისმეტყველო სერია, 4, თბილისი, 2002.
7. ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი. გამოკვლევა და ლექსიკონი. 1975.
8. თ. ჟორდანია, «ისტორიული საბუთები შიომდვიმის მონასტრისა და «ძეგლი» ვაჲანის ქვაბთა; ტფილისი, 1896.
9. სინური მრავალთავი 864 წლისა, წიგნი გამოსაცემად მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, სერია: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. თბილისი, 1959.
10. ტიპიკონი შომდვიმის მონასტრისა; XIII საუკუნის ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ე. კოჭლამაზაშვილმა და ე. გიუნაშვილმა. თბილისი, 2005.
11. უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ე. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა. თბილისი, 1980.

12. ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები), ტ. I, ნაწილი I, ა. შანიძის რედაქციით. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩეჩენკელმა და ბ. შავიშვილმა. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კორნელი დანელიამ. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1967.
13. ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია. ერთვის აკად. შანიძის წინასიტყვაობა, გამოკვლევა, ლექსიკონი, საბიებელი; ძველი ქართული ენის ძეგლები, 13. გამომცემლობა «მეცნიერება», თბილისი, 1971.
14. ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია. თხზულებანი თორმეტ ტომად. ერთვის რესული თარგმანი, გამოკვლევა, ლექსიკონი და საბიებელი; პეტრიწონის მონასტრის ფოტოები და ხელნაწერის ფოტოპირები. ტ. IX. თბილისი, 1985.
15. ა. შანიძე, ხანმეტი ლექციონარი, თბილისი, 1944.
16. ჭილ-ეტრატის იადგარი. გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. შანიძემ, ა. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა, თბილისი, 1977.

Salome Zviadadze

From the history of studying typikons

Abstract

Τύπος is a Greek word that means "face", "image". This is a set of rules and regulations for divine services obligatory for everyone. The Georgian Church translated the typikon of the church, whose traditions it followed.

There are two kinds of typikons - those for the parish, earthly, and those for monasteries.

Typikons for the parish are of two kinds - that of Jerusalem or the Sepulchre and that of Constantinople or Hagia Sophia - the Great Church. Monastery typikons are as follows: Palestinian of Sabatsminda; Constantinople of the Stodian Monastery, and Athos of Mtatsminda.

In the V-X centuries, the Georgian Church followed the Jerusalem typikon; In the X-XII centuries the Constantinople typikon; In the XII-XVIII centuries the Sabatsmindatypikon (at the same time, Giorgi Mtatsmindeli's Great Synaxarion was also used in the XIV-XV centuries)

რეცენზენტი: პროფ. ხ. არსლანი

ლიტერატურათმცოდნეობა Literature

ნინო თოლია

თბილისი, საქართველო

„...რის ფავინყებასაც დღემდე ვერ ვახერხებ...“ (ერეალუ დეისაძის პიესა „FaceFuck“)

ერეალუ დეისაძის პიესა „FaceFuck“ ძალადობის თემას ეხება და მასში აღწერილია ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის არაურთი გამოვლინება საზოგადოებისა თუ ოჯახის მხრიდან. ძალადობის მხერმალი პერსონაჟები მძიმე ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ იმუოვებიან და წარსულის დავიწყებენ ვერ ახერხებენ, რადგან ამ ვაქტებმა მათ ცხოვრებაზე წარუშლები კვალი დატოვა. პიესა განხილულია როგორც მხატვრულ, ასევე ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ კონტექსტში.

დრამატურგიას, როგორც ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანებს დარგს, უძველესი ისტორია აქვს. ის დიდ როლს ასრულებდა საზოგადოების ცხოვრებაში, რადგან მას მამხილებლის ფუნქცია ჰქონდა. თუ თვალს მივადევნებთ დრამატურგიულ ნაწარმოებებს ისტორიული ქრონოლოგიით, ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ რა პრობლემები აწესებდათ ადამიანებს ამა თუ იმ ეპოქაში. გასაკვირი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბევრი მათგანი დღემდე არ აღმოფხვრილა. მათგან ერთ-ერთი ძალადობის თემაა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხს ჩვენს ეპოქაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა და დრამატურგებიც სხვადასხვა კუთხით აშუქებენ ამ პრობლემას. ამ წერილში ერთ მათგანზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას და პიესას განვიხილავთ როგორც მხატვრულ, ასევე ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ ჭრილში.

ერეალუ დეისაძის პიესაში „FaceFuck“ სამი პერსონაჟია: 23 წლის სტუდენტი ნიკა, რომელიც აფხაზეთიდან დევნილია, 20 წლის ქმარსგაცილებული სტუდენტი კესო და ტერმინებორ - გასაბერი კაცი. ნიკა და კესო ძალადობის მსხვერპლი არიან და მათი ფსიქიკა დასახიჩრებულია, რაც მათ ცხოვრებაზე მძიმედ აისახა.

ნიკას მძაფრი შეგრძნებები აკაგშირებს აფხაზეთთან. სიტყვა, რომელიც ყველაზე ხშირად ესმოდა, ევაკუაცია იყო, რაც მასში შიშის შეგრძნებას იწვევდა. „შიში - ადამიანური არსებების ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა. ამ გრძნობის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ის არ წარმოადგენს ადამიანების მხოლოდ განმაცალკევებულ ემოციას, მაგრამ, ნადველის მსგავსად, თავის მსგავსებთან ცალმხრივი კავშირის დამყარებაში ეხმარება“ [ადლერი 2014 : 285]. შესაძლოა, სწორედ ეს იყოს იმის

მიზეზი, რომ კესოსა და ნიკას გზები გადაიკვეთა. ის (ნიკა) ჩვეულებრივი ბავშვი იყო თავისი ოცნებებით, რომლებიც, რა თქმა უნდა, არ აუხდა. ის ამბობს, რომ მოხუცები მასში სიბრალულსა და ზიზდს იწვევენ, რასაც ბებიას აბრალებს. ერთი შეხედვით, ეს ორი გრძნობა ურთიერთგამომრიცხველია. „ზიზდი ანტიპათიის გრძნობაა. მისი თანმდევი გრიმასები ნიშნავს ყველას და ყველაფრის არად ჩაგდებას და უარყოფის ჟესტით პრობლემის გადაჭრის მცდელობას" [ადლერი 2012 : 285]. სიბრალული, სრულიად ბუნებრივად, შესაძლოა დაგუკავშიროთ თანაგრძნობას. „თანაგრძნობა - სოციალური გრძნობის ყველაზე წმინდა გამოხატულებაა. ... ალბათ, ამ გრძნობით საყოველთაოდ ცნობილი ბოროტად სარგებლობა უფრო მეტად გავრცელებულია, ვიდრე თავად ის, წმინდა სახით" [ადლერი 2012 : 291]. ბოროტად სარგებლობა ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებასა და მოჩვენებით თანაგრძნობას გულისხმობს. აქედან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ზიზდსა და სიბრალულში ლოგიკურ კავშირსაც დავინახავთ. ნიკა აგრესიულად არის განწყობილი უფროსი თაობის მიმართ და ამისათვის არაერთი მიზეზი აქვს: „დღეს ჩემი მთავარი პრობლემა უფროსი თაობაა, ჩვენ მათ ხმასაც არ უნდა ვცემდეთ. ... ვერ წარმოიდგენთ როგორი რთულია, როცა ისინი მორალს გიკითხავენ. მომავალს გიხატავენ და გიღგენენ წესებს, რომლის გამოც მათი გენოციდი სრულიად დასაშვებია. ოდონდ ამის უფლება მხოლოდ ახალგაზრდებს გვაქვს" [დეისაძე 2012 : 96]. მისი ცხოვრების ერთ-ერთი უმძიმესი სტრესი თბილისამდე ასობით კილომეტრის გავლას უკავშირდება. ამ გზაზე შავებით მოსილ ქალს უმძიმესი ჩემოდნის წამოდებაში ეხმარებოდა, როგორც ბავშვებს ჩვევიათ, ისეთი სიმამაცით. ბოლოს აღმოჩნდა, რომ იმ ჩემოდანში მიწაწაყრილი ბავშვის გვამი იდო. მისთვის არანაირი ფასი არ აქვს სიტყვებს: „გახსოვდეს აფხაზეთი", რადგან ფიქრობს, რომ ყველა ომი რეკლამაა, რომელსაც „უსინდისო მარკეტოლოგები ქმნიან" [დეისაძე 2012 : 96]. „გახსოვდეს აფხაზეთი" მისთვის ომისკენ მოწოდებაა, იმ ომისკენ, რომლის მსხვერპლადაც ის იქცა. ამ ომმა, ყველაზე დიდი ძალადობის იარაღმა, იგი დათრგუნა. ნიკა შინაგანად გაბრაზებულია, გაბრაზებულია თავის ქვემინაზე, უფროს თაობაზე, მამაზე, რომელიც ჩამოვარდნილმა ჭურვმა „შემთხვევით გმირად" აქცია, დედაზე, რომელიც, ერთი მხრივ, შვილის თვალში მამის გმირად წარმოჩენას ცდილობს, ხოლო, მეორე მხრივ, პედოფილ მამაკაცზე ცვლის მას ისე, რომ ვერც კი ხვდება, რამხელა სატანჯველში ჩააგდო შვილი. ნიკა ომში დამარცხებული სოციუმის ნაწილია. იგი ქვეცნობიერად ამ დამარცხების გამოა დათრგუნული და აგრესიაც აქედან მოდის. ამ ფონზე მას ჩემოდანში ჩადებული მიწაწაყრილი ბავშვის ცხედარი (რომელიც მას, თავად ბავშვს, ათრევინეს) ისევე აღიზიანებს, როგორც დამარცხებული და დევნილი მამების „გმირობა"და ბაქიბუქი.

საბოლოოდ კი მისი ცხოვრება მამინაცვალმა გაანადგურა. რომელმაც დედა-შვილი ჯერ მოჩვენებითი მზრუნველობით შეიფარა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პატარა ბიჭით მოიხიბლა და იგი გააუპატიურა. შიშმა, იმავე ეპაკუაციამ, სახელი შეიცვალა და მას მამინაცვალი დაერქვა. ამ ფაქტს ნიკას მხრიდან რეალური პროტესტი არ მოჰყოლია და შეეგუა კიდეეც: „შეგუება შეიძლება გახდეს სინამდვილისაგან გაქცევის საბაბი. ის შეიძლება თვითიზოლაციის ჟესტად გადაიქცეს, მსუბუქი დეპრესიის თანხლებით, რაც საფრთხის შემცველი სიტუაციიდან გაქცევის მზადყოფნის ტოლფასია" [ადლერი 2014 : 292].

შეგუება არსებობს მოჩვენებითი და რეალური. რეალურად შეგუება მაშინ ითვლება, როდესაც შინაგანად მთლიანად ქრება პროტესტის გრძნობა და, რასაც ეგუები, ის სამართლიანად და ბუნებრივად გეჩვენება. ნიკას გაღიზიანება, მამათა თაობის გენოციდის სურვილი მამინაცვლის ძალადობას უკავშირდება და მის შეუგუებლობაზე მიგვანიშნებს.

გამოდის, რომ ძალადობამ (ომი, მამინაცვალი) შექმნა სკეფსისით გულგამოჭმული, აპათიური, სამყაროზე გულაყრილი ადამიანი, შექმნა პოტენციური მოძალადე, რომელიც, საშუალებას და გასაქანს თუ მისცემ, აწამებს, მოკლავს, გაანადგურებს.

კესოს სტრესი მის ქორწინებასა და პირველ დამეს უკავშირდება. თავდაპირველად იგი მამამ ძალით გაათხოვა თავისი ბიზნესპარტნიორის შვილზე, ხოლო მას შემდეგ, რაც პირველ დამეს ქალწულობის დამამტკიცებელი სისხლი არ წამოუვიდა, ჯერ ქმარმა სცემა, შემდეგ - მამამ და ყველა ნათესავმა, ვისაც არ ეზარქოდა. არავის მოსვლია აზრად, ერთი ნათესავის გარდა, რეალობა გაერკვია. ამ ნათესავის წყალობით გაირკვა, რომ კესო ქალწული იყო და არავერში იყო დამნაშავე, თუმცა ამ შეცდომის გამო ბოდიში არავის მოუხდია. იგი დარწმუნებულია, დედა რომ ცოცხალი პყოლოდა, ამას არ დაუშვებდა. როგორც ზემოთ განხილულ პიესებში, დედა აქაც მფარველის როლშია. კესოს იმ დღის გახსენება არ სურს, რადგან მისთვის მოუშუშებელი ჭრილობაა და ტკივილს გაურბის: „შუაღამე იქნებოდა, სახლში რომ მივედი. არ მკითხოთ, როგორ მოვახერხე ეს, არ მინდა იმის გახსენება, რის დავიწყებასაც დღვემდე ვერ ვახერხებ" [დეისაძე 2012 : 99]. კესო მამის მიმართ ზიზდს განიცდის და არც არის გასაკვირი. იმის ნაცვლად, რომ საკუთარი ქალიშვილის რწმენა ჰქონოდა და დაეცვა, თავად იქცა მის უპირველეს მტანჯველად. ამის შემდეგ გასაკვირი არაა, რომ მამას სრულიად უპატივცემულოდ, უხეშად და უზრდელად ესაუბრება. მამა მის ცნობიერში ტანჯვასთან, უნდობლობასთან, ძალადობასთან ასოცირდება. ბუნებრივია, რომ ტონი მისი საუბრისა, რომელსაც ის მამასთან ურთიერთობისას იყენებს (და არა მარტო მამასთან) გამოძახილია იმ ტკივილისა, რომელიც მას ბნელმა საზოგადოებამ (მამამაც) მიაყენა. ეს ტონი მისთვის ერთგვარი თავდაცვაა, რომ კვლავ მსხვერპლის როლში არ აღმოჩნდეს. „ის (არაეთიკურად მოსაუბრე ადამიანი - ხაზგასმა ჩემია) ნათლად ახდენს ჩვენ წინაშე იმის დემონსტრირებას, რომ არ ეთანხმება წესებით თამაშს და ამჯობინებს სხვა ადამიანებისგან განრიდებას" [ადლერი 2014 : 259].

გვიქრობ, ნათელია, თუ რამ გამოიწვია ახალგაზრდების ზიზღი უფროსი თაობის მიმართ, მაგრამ მათ არც თავიანთი თაობის წარმომადგენლები მოსწონთ, რადგან, მათი აზრით, ისინი ბოლომდე ვერ თავისუფლდებიან ტრადიციებისგან, მაგალითად, როგორიცაა „ქალიშვილობის ინსტიტუტი", ეს მათოვის დაცინების საგანია. თავის მხრივ, მამათა თაობა მათ ვერ პატიობს იმ გარკვეულ, შესაძლოა, დოზირებულ თავისუფლებას, რომელიც შვილებმა მოიპოვეს, თავად კი არ ჰქონდათ. კესოსა და ნიკას, შესაძლოა ითქვას, ზღვარგადასული სექსუალური ცხოვრება გამოსავლად ქცევიათ. ეს მათოვის არის ერთგვარი თრობა, რომლისგანაც თავის დაღწევა არც უნდათ. პირიქით, ისწრაფვიან მისკენ, როგორც სსინისაკენ. ამ დამოკიდებულების, გოგოსა და ბიჭის დამახინჯებული ცხოვრების (რაშიც მათი დანაშაული ნაკლებია) მეტაფორულ-გროტესკული სახეა გასაბერი კაცი, ტერმინებორი.

უთუოდ უნდა აღინიშნოს პიესაში წარმოდგენილი ახალგაზრდების სამშობლოსადმი ნიპილისტური დამოკიდებულება, რაც ჩვენი ეპოქის პრობლემად იქცა. ეს თემა პიესაში

ტერმინების სიტყვებით ცხადდება: „ლოდინს მიჩვეული არა ვარ, ერთადერთი, რისი მოლოდინიც არ მწყინდება, იბერიის გაბრწყინებაა“; „ო, ენავ ჩემო, ქართულო ენავ!“ [დეისაძე 2012 : 107] და ა. შ. მას ახალგაზრდების მიმართ, ერთგვარად, ირონიული დამოკიდებულება აქვს, ტექნოლიგებს ეძახის და ამბობს, რომ მათ არაფერი ესმით. ასევე, სიმართლის თქმასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება აქვს: „სიმართლის თქმას გაუცხოვებაც მოჰყვება, ყოველგვარი ერთიანობის სათავე კარგად შეფუთული ტყუილია“ [დეისაძე 2012 : 108]. სრულიად მართალია ფაქტი, რომ ხშირად სიმართლის თქმას კონფლიქტი და გაუცხოება მოჰყვება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ტყუილში ცხოვრება არავის მოუტანს სიკეთეს. ამდენად, უმჯობესია, ადამიანმა გაუცხოება დასძლიოს, ვიდრე მთელი ცხოვრება ტყუილში გაატაროს. ვფიქრობთ, ეს პერსონაჟი მამათა თაობას განასახიერებს. პიესა მთავრდება მისი სიტყვებით: „ყველაფერს გაპატივის, შვილო, მაგრამ მე იმისთვის არ გამიზრდიხარ, რო პროტესტი გქონდა“ [დეისაძე 2012 : 114]. არავისთვის არის უცხო, რომ ყოველ წინა თაობას მომდევნო თაობის მხრიდან პროტესტი აფრთხობს, რადგან საკუთარ შეცდომებსა და დანაშაულთან თვალის გასწორების ეშინიათ, თუმცა ამას არ აცნობიერებენ, უბრალოდ, მათ მორჩილი შვილები უნდათ, რათა უკეთ იგრძნონ თავი, დაკმაყოფილდეს მათი პატივმოყვარეობა. ამას აღზრდის პრობლემებთან მივყავართ. კითხვა უნდა დაისვას ასე: რა გვსურს ჩვენ, მივიღოთ „პროტესტანტი“, განვითარების მოწადინე, სიახლის მძებნელი, მოაზროვნე, პროგრესზე ორიენტირებული თაობა თუ დამყოლი, საკუთარი აზრის უქონელი, უინიციატივო, მორჩილი და შემგუებელი? თუ საზოგადოება პირველზე შეაჩერებს არჩევანს, პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობაც გაჩნდება.

ავტორი შემზარავი სიცხადით ხატავს დამახინჯებულ, ძალადობის მსხვერპლ ადამიანებს. პიესა მიმართულია პიროვნების ზომბირების წინააღმდეგ, საზოგადოების განვითარება კი სწორედ პიროვნულ თავისუფლებაზეა დამყარებული. ამიტომაც უშლიდა საბჭოთა რეჟიმი ხელს ინდივიდის განვითარებას და ქმნიდა ეგრეთ წოდებულ „პოლექტიურ ცნობიერებას“. ამ თემას ეხება მერაბ მამარდაშვილი: „საბჭოთა კავშირის სინამდვილეში ჩამოყალიბდა გამჭვირვალობის ისეთი მეტაფიზიკური გრძნობა, რომ კერძო პირთაოვის დამახასიათებელი ხელშეუხებელი სიღრმე, ეს უკუმშვადი სიღრმე, რომელიც ჩემშია, რომელიც არსებობს „მე-სა“ და „ჩემს“ შორის და რჩება მარად შეუვალი, დაინგრა სამოქალაქო საზოგადოების ნგრევასთან ერთად. ნივთთა ფანტომურობა და ადამიანთა ფანტომური, ზომბის ხასიათი ცხოვრების წესად იქცა. რაციონალური კრიტიკით ამის დანგრევა შეუძლებელია“ [მამარდაშვილი 2011 : 189].

დასკვნის სახით მინდა ვთქვა, რომ პიესა ნიჭიერადაა დაწერილი და მასში პრობლემათა ფართო სპექტრია წარმოდგენილი. პერსონაჟთა ხასიათის თვისებებიც საკმაოდ ოსტატურადაა დახატული და, ვთვლი, რომ ამ პიესას პოპულარობისთვის ეპატაჟი არ სჭირდება, თუმცა, სრულიად შესაძლებელია, დრამატურგი ეპატაჟისთვის სრულიად არ იყენებს ასე უხვად სქაბრეზს და გროტესკული ეპიზოდების დახატვით სურს, დაგვანახოს, თუ როგორ არყევს ადამიანის ფსიქიკას ძალადობა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკაბრეზები, მეტ-ნაკლებად, დამახასიათებელია პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურისა და პოსტმოდერნიზმისათვის, რომელიც ამავე ეპოქის ლიტერატურულ მიმდინარეობად მიიჩნევა.

ლიტერატურა

ადლერი ა., როგორ გავიგოთ ადამიანის ბუნება, თბ., „პეგა”, 2014;
 გამარდაშვილი მ., ცნობიერების ტიპოლოგია, თბ., „ქართული ბიოგრაფიული ლექსიკონი”,
 2011;
 9 პიესა VS ძალადობა, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო”, თბ.,
 2012.

Nino Todua

"...What I am still trying to forget"....
 (a play by Erekle Deisadze "Facefuck")

Abstract

The theme of the play by Erekle Deisadze "Facefuck" is violence and abounds with violent acts of physical and psychological oppression by the family and the society. The victims of violence in the play are under a heavy psychological stress and can't get rid of their past experiences. Because those events left deep scars which are impossible to heal. The play is discussed in terms of literary, psychological and philosophical analyses.

რეცენზენტი: პროფ. ა. ლევაცქი

ლიტერატურათმცოდნეობა Литератураведение Literature

ლია კუხიანიძე

ქუთაისი, საქართველო

აკაკი ქართველი ინტელიგენციაზე

სიტყვა ინტელიგენტი ჩვენში რუსული ენიდან შემოვიდა, თავად რუსულში კი მის დამკიდრებას მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუს მწერალ პეტრე ბობორკინს მიაწერენ. ამ ტერმინს ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი ახალი „საბჭოთა იმპერიის“ გარდა არსად იყენებდნენ და ასევე დღესაც (დასავლეთი ინტელიგენტს ინტელექტუალად მოიხსენიებს). ინტელიგენტსა და ინტელექტუალს შორის, ერთი შეხედვით, დიდი განსხვავება თითქოს არ უნდა იყოს, მაგრამ ერთი შეხედვით. ორივე სიტყვაში, როგორც წვეთში ოკეანე, ისე ჩანს წარმომავლობა და ისტორია არა მარტო ადამიანთა ჯგუფისა, საზოგადოების ნაწილისა, რომელიც ზემოაღნიშნულში იგულისხმება, არამედ თავად ქვეყნების ისტორიაც.

ქართველი ინტელიგენციის ისტორია სერიოზული კვლევის საგანი ჯერ არ გამხდარა, განსხვავებით რუსულისა (ფონვიზინიდან მოყოლებული პეტრე პირველს რომ აკრიტიკებდა ინტელექტის მქონე ადამიანების გამოყენებისა და მათი, მიუღებლობის გამო) და ევროპულისა (ამ მხრივ აღსანიშნავია შარლ კრისტოფის საინტერესო ნაშრომი „დრეიფუსის საქმიდან დღემდე“. ხსოვნა და ისტორია"), იგი თავის მკვლევარს ელოდება, მაგრამ არსებული მასალა ამ საკითხით დაინტერესებულ ადამიანს ნამდვილად შეუქმნის სწორ წარმოდგენას ინტელიგენციად წოდებულ სოციალურ ფენაზე, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე, ხშირად კი დამღუპველ როლზე, რომელიც მისმა წარმომადგენლებმა შეასრულეს ქვეყნის ისტორიაში.

ცნობილი პრინციპი დამპურობლისა, დაიმსგავსოს დაპყრობილი, არ ახალია, უძველესია და ყველასათვის ცხადი გახდავთ, რუსეთმა რაც დაგვმართა. გვინდა, არ გვინდა, ქვეყანაში მომხდარი მრავალი ფაქტის მიზეზი და ძირი რუსეთის საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ამა თუ იმ მოვლენაში უნდა ვეძებოთ.

ყველა ხელისუფლება ინტელიგენციას კიდეც იყენებდა და დაუძინებელ მტრადაც მიიჩნევდა. ამის გამო, ინტელიგენტებში მუდამ იყვნენ ხელისუფლების მეხოტებენიც და ოპოზიციურად განწყობილიც. ამათგან პირველთ, ფარისევლობისა და ხელის ბიჭობის გამო, ამქვეყნიური სიკეთენი განადდებული პქონდათ, მოწინააღმდეგებებს კი - უსახსრობა, დევნა, ციხე, გადასახლება და არც თუ იშვიათად, სიკვდილიც.

ასე იყო საქართველოშიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ანუ იმ დროიდან მოყოლებული, როცა რუსეთში განათლება მიღებული ქართველი ახალგაზრდები, ე. წ. ინტელიგენტები, მიუხედავად მცირეობიცხოვნებისა, ანგარიშგასწევ ძალად ყალიბდებოდა.

აქაცი თავად კარგი მცოდნე რუსული და ქართული რეალობისა, რუსი და ქართველი საზოგადოებისა, უცდომლად აფასებდა უკელასა და ყველაფერს, რაც ქვეყანაში ხდებოდა და რაღგან ინტელიგენცია იმ ძალად მიაჩნდა, ერს წინ რომ უნდა გაძლიერდა, მეთაურობა ეკისრა და მტრისთვის საკადრისი პასუხი გაეცა, თავის შემოქმედებაში (ლექსებსა და პუბლიცისტურ წერილებში) დიდ ადგილს უთმობდა მასზე მსჯელობას, მისი (ქართველი ინტელიგენციის) საქმიანობის განჩხრეკა-გააანალიზებას, პირუთვნელ შეფასებას, რაც ხშირ შემთხვევაში მის მიმართ უსაფუძვლო კრიტიკასა და ცილისწამებას იწვევდა. ყოველივე ეს პოეტს გულს ტკინდა, მაგრამ უკან ვერ ახევინებდა, რადგან სწამდა, ქვეყანას მხოლოდ მოვლენათა სწორი განსჯა და სიმართლის თქმა წაადგებოდა.

სტუდენტი აკაკი თანამემამულე სტუდენტებში, ინტელიგენციის მომავალ წარმომადგენლებში, უკვე ხედავდა მეხოტბეებსა და მეამბოხეებს, სამშობლოს სამსხვერპლოზე თავის მიმტანებსა და სამშობლოს პირადი ინტერესებისთვის გამომყენებლებს, მიუხედავად მის წინააღმდეგ მიმართული მოსალოდნელი აგრესიისა, არაფერს უშინდებოდა, დაუნდობლად ამხელდა მათ.

ეს კარგად ჩანს 1860 წელს დაწერილ ილია ჭავჭავაძის ლექსის „ქართველი სტუდენტების სიმღერა“, აკაკის 1861 წელს პაროდიულ გამოპასუხებაში „დედამ რომ შვილი გაზარდოს...“, რომელშიც იგი ამათრახებდა იმათ, რომელთა სწავლის მიზანიც მხოლოდ პირადი სარგებელი იყო. პოეტი მათ ერთ-ერთ ლექსში ჭრელაძეებად, საქართველოს ფუჭ ძეებად, უსწავლელ სწავლულებად მოიხსენიებს, ყველაფერი სხვისი რომ მოსწონთ, საკუთარს კი დასცინიან.

აკაკი 60-იანელებს ძველი თაობის ინტელიგენციად მიიჩნევდა. ახლებს კი - ახალთაობად წოდებულ ინტელიგენციად, მოწინავე დასად მოიხსენიებდა, რომლის მთავარ ვალდებულებად ბოროტების მხილება, ხალხისთვის შეცდომების დანახვება, საჭიროებისას ყიუინის დაცემა და გულისხმაში ჩაგდება მიაჩნდა. ამიტომაც უნდა ეფხიზლა აკაკის დარ მამულიშვილს, ყურადღება არ უნდა მოედუნებინა, ინტელიგენციის ნიდაბს ამოფარებულთ სარეველასავით ყველაფრისთვის რომ არ გადაევლოთ.

როგორი უნდა ყოფილიყო ინტელიგენცია და როგორი იყო სინამდვილეში, პოეტმა კარგად გვიჩვენა წერილში „ფიქრები ბუხრის წინ“, რომელშიც წარსულისა და მომავლის შემაერთებელი ხიდის ფუნქცია ინტელიგენციას, ახალთაობას დააკისრა. მას მებაღე და ხუროთმოძვარი უწოდა, იმად აღიარა, ვის ხელშიცა ჩვენი ქვეყნის ავ-კარგი, ისე, როგორც ძველად დიდებული ერისთავების ხელში იყო, მაგრამ იქვე შეკითხვაც დასვა: „...კეთილი, მაგრამ ვინ არის ან რა არის ეს ინტელიგენცია? ...ეგ რომ დაიბადა ჩვენში, ფეხი აიდგა და გამოვიდა სარბიელზე, მომსწრე ვარ... აგერ ნახევარ საუკუნეს აღარ აკლია რა, რომ მე მაგათ მოქმედებას, მაგათ ავსა და კარგას, მაგათ კეთილ-ბოროტს თვალყურს ვაღევნებ და ეგენიც აწონილ-გაზომილი მყავს. მინახავს ერთის წაღმა ხნული ათისგან უკულმა ნაფარცხი. შემინიშნავს ბევრი მათგანის უკუდმართობა და მიტომაც არის, რომ მე დღეგანდელი ინტელიგენციის უმეტესობა მძულს ისე, როგორც დედას გარეწარი შვილი... მძულს, მაგრამ,

ამავე დროს, მაინც მიყვარს, კავშირი ვეღარ გამიწყვეტია მათთან და მათზე ფიქრი წმინდა მოვალეობად მიმაჩნია."

აკაკი თავის თანამედროვე ინტელიგენციას სამ ნაწილად ჰყოფდა: „ქარაფშუტებად", „ფარისეველ-გაიძვერებად" და „კეთილ მუშებად". „ქარაფშუტებად" იმათ მოიხსენიებდა, ერთი წიგნის წამკითხავნი თავს ფილოსოფოსად რომ წარმოიდგენდნენ და ტიკებივით დაბერილნი და დრმად ჩაფიქრებულნი დაბრძანდებოდნენ, თითქოს ქვეყნის ტვირთი ზურგზე მოუკიდნიათ. „ადვილი საცნობი კი არიან ეს ვაჟბატონები: შინაგან ღირსებას მოკლებულები, ცდილობენ, რომ გარეგნობით გამოიჩინონ თავი და ხალხის წინ პირ-ბადით დაიარებიან... ამ საწყლებს კეთილის მოსურნეც რომ იყონ, ქვეყნისთვის არა შეუძლიათ რა და იძულებულნი არიან მიეკედლონ ერთსა და ან მეორე გუნდს".

პოეტს გაიძვერობისა და ფარისევლობის წარმომშობად პირადობის მიმდევრობა და მუცელდმერთობა მიაჩნდა, იმათ „თეორიულ მრწამსად" - როცა მე ადარ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნულა ყოფილა" და „პრაქტიკულ მცნებად"- კიდევ უარესი, „ამყოლს აჟყვი, ჩამყოლს ჩაჟევი" ან და „რა ქვეყანაშიც მოხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურე... მათთვის სულერთიდ მარჯვენა და მარცხენა და ამიტომაც საერო ბურთი და მოედანი ხელში ადვილად უვარდებათ ხოლმე. ეს არის საზოგადო, მსოფლიო კანონი და ამას, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყანაც ვერ ასცდებოდა. როდესაც ჩვენმა ახალმა თაობამ ბევრი ტანჯვისა და ბრძოლის შემდეგ, ცოტა სახელი და ძალა შეიძინა, მაშინ ეს გაიძვერებიც გამოხტენებ მზა-მზარეულზე და ქვეყანას ფარისევლობით თვალში ეჩრებოდნენ, აქტიორულად ახალი თაობისა და ნამდვილ მოღვაწეობის ქურქში გამოხვეულები. აუბეს თვალი საზოგადოებას და სადაც კი საზოგადო საქმე იყო, თავში დაუდგნენ მხოლოდ იმ განძრახვით, რომ თვალსაჩინო სიმაღლეზე ყოფილიყვნენ და საპირადოდ ხელი მოეთბოთ".

აკაკი „ნამდვილ მუშებში" ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებს აერთიანებდა, რომელთა დვაწლის დანახვა მხოლოდ გონების თვალს შეეძლო, რადგან ზნეობითი მუშაობა უხილავია, მაგრამ, რადგან „გონების თვალი კი ხალხში ძალიან გვიან იხილება ხოლმე: დრო ეჭირვება და ცოდნა". პოეტი მუშა ინტელიგენტებს იმ მუშებს ადარებს, ახოს რომ იღებენ, ხნავენ და თესავენ, განსხვავებით მომკელებისგან, დამწიფებული პური ნამგალს თავს რომ მოამკევინებს.სწორედ ამგვარივე ძნელია დასაწყისი ხალხის განვითარება-წარმატებისა და დღევანდელი ჩვენი მუშა ინტელიგენციაც ამ მდგომარეობაში არის და შემოდგომის მუშებს მოგვაგონებს. კეთილმა მუშებმა დაინახეს, რომ ჩვენი ქვეყანა უმეცრებაშია, რომ იმის ზნეობით ნიადაგს შამბი გადავლია, გაეკლულა... და ძნელიდაა, რომ გაუმარგლავათ და გაუწმენდელათ თესლი გამოიღოს. ამისთვის ჩუმათ, თავდახრით შრომობენ და მარგლავენ. ამგვარი მუშაობა თვალსაჩინო არ არის, თვით მუშებიც დაბლობში დგანან". აკაკი იმასაც აღნიშნავდა, ილიას „აჩრდილში" გამოთქმული გულისტკივილის მსგავსად, რომ ერთგულ მუშებსაც არ ჰქონდათ ერთმანეთის ნდობა და, ამის გარდა, რაც მთავარია, წინამდოლი არ ჰყავდათ.

თუ რამ საზოგადო საქმე ჩამორჩებოდა ან ნაკლი ჰქონდა, აკაკი ამის მიზეზს ინტელიგენციის არასწორ ქმედებაში ხედავდა. ეს კარგად ჩანს მის წერილებში: „შავი ქვის ამბავი" და „თეატრის გამო". პირველ წერილში აკაკი ქართველების ეკონომოკურ სიდუხჭირესა და უცოდინარობაზე საუბრობს და ერთ საზიზდარ სენს ახსენებს, ქვეყანას

რომ მოსდებია და გულგატეხილობა პქვია, რაც იმით გამოიხატება, რომ ახალ საქმეს ყველა ერიდება, ვინც წამოიწყებს თუ საქმით არა, სიტყვით მაინც ხელს უშლიან და თუ კეთილდად დაბოლოებულს დაინახავენ, თავად მოინდომებენ მის ხელში ჩაგდებას. ცხადია, შეძენის სურვილი აქვთ, მაგრამ გზები არ იციან და გულგატეხილობაც ხელს უშლით „...მდიდარი ვინც უნდა იყოს, მათ თვალში პატივსაცემია, გინდა ავაზაკობითა და ცუდგაცობით შეეძინოს ქონება, მორჩილად ეთაყვანებიან და ჭკვიანად თვლიან, დარიბებს კი სულ სხვაგვარად ექცევიან. ეს არც ბოროტებით, არც უგუნურობით და არც გაუგებრობით მოხდის ჩვენს ხალხს, ისე, როგორდაც გიპნოტიზმურად გაუდალავს, შეუგონებია".

აკაკი, რა თქმა უნდა, საჭიროდ მიიჩნევს ამ სენისგან განკურნებას და აღნიშნავს: „შეგნებული ნაწილი ჩვენის ხალხისა, ინტელიგენცია, ვალდებულია, რომ ამხილოს ხალხს მისი შეცდომა, კიუინა დასცეს და ჩააგდოს გულის-ხმაში, მაგრამ ამის ნაცვლად ჩვენ რას ვხედავთ? ზოგიერთი ინტელიგენტები, პირიქით, ბანს აძლევენ ხალხის სამწუხარო ჩვეულებას და მით თავიც მოაქვთ."

წერილში „თეატრის გამო" აკაკი სამართლიან გულისწყრომას გამოხატავს ინტელიგენციის მიმართ, რომელმაც მასზე მინდობილი ხალხის იმედები ვერ გაამართლა, „დიდი ხანია ჩვენმა ხალხმა გული მიანდო ახალთაობად წოდებულ ინტელიგენციას, თავიც ჩაუდვა კალთაში და ყოველგვარ სარბიელზე მეთაურად იწვევს... ვინც კი ჯერ ახალგაზრდაა, ერთი ორი პრაშტა-პრუშტი უსწავლია და კუდა სურთუკი ჩაუცვამს, ყველას ახალ-თაობის კაცად მოაქვს თავი და ქვეყანა ტყუზდება. ერთ ახალთაობის კაცზე, ათი-ოცი თაღლითი და მოჩვენებული მოდის. ერთი რომ აქეთებს, ათი და ოცი იმ ერთს ნაკეთებს პარაგს და ფარცხავს რამე საპირადო განძრახვით და ქვეყანა კი ზარალშია".

აკაკი რომ უმიზეზოდ, ხელაღებით მკილავი არ იყო ქართველი ინტელიგენციისა და საკითხის მხოლოდ საფუძვლიანი გაცნობის შემდეგ წარმოგვიჩნდა კარგსა თუ ცუდს, საქვეუნო ინტერესების საზომით მიუზღავდა ყველას და არა პირადი სიმპათია-ანტიპათიით, ვეცნობით წერილში „მოამბის საპასუხოდ", რომელშიც აკაკი პასუხს სცემს ცილისმწამებლებს და აღნიშნავს: „მე რომ ერთგვარ ინტელიგენტებს თუთიყუშებს, კაჭკაჭებსა და ფარისევლებს ვეძახი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით საზოგადოო, მთელს ინტელიგენტობას შეურაცხყოფას ვაყენებდე, სადაც ერთი გმირია, იქ ათასი ნაცარქექიაა - რომ ვიანგარიშოთ, ერთ ნამდვილ ინტელიგენტზე ათი და ოცი მოჩვენებული, ე. ი. ცრუ და ყალბი ინტელიგენტი დაგირჩება ხელში. ჩვენდა სამწუხაროდ, ცხოვრებას ისე მოუტანია, რომ ის ნამდვილი მუშა-ინტელიგენტები ღობის გადაღმა რჩებიან და ქვეყნის თვალშიც არც სჩანან, მაშინ, როდესაც ყალბები კი თვალსაჩინო ადგილებზე გამოჭიმულან, გარსაც მონებსა და ყურ-მოჭრილ ყმებს შემოიკრებენ ხოლმე. ჯერ არც ერთი საზოგადო საქმე არ დაწყებულა ჩვენში, რომ ინიციატორებად და საქმის გამხორციელებლად ის ღობის გაღმა დარჩენილები არ ყოფილიყო, მაგრამ ნათქვამია: სახლი რომ აშენდება, პირველად შიგ ბუზები შევლენ და დაისადგურებენ". აკაკის იმის მიზეზისც კარგად მოეხსენება, რატომაა, რომ ნიჭიერები და პატრიოტები უნიჭოებს ვერ ჯობნიან და ქვეყნის მართვის სადავეები იმათ უპყრიათ, „რომელთა არც წარსულში რამ მიუძღვით, არც მომავლისათვის რამეს გვიქადიან და აწმყოშიაც თუ რამეს წაახდენენ, თვარა ვერას გააკეთებენ". ქვეყნისათვის სავალალოდ, ნიჭიერთათვის უნიჭოების თავზე გადალაჯების მიზეზად აკაკი იმას მიიჩნევს,

რომ „ვისაც ნიჭი აქვს და თავისთავის იმედი, სხვის ბატონობას ვერ აიტანს და ვერავის დაემონება. სწორედ იმ გვარი ყალბი ინტელიგენტები არ მომწონს მე, - იმათ ვკიცხავ და ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვითომც საზოგადოდ ინტელიგენციას ვდევნიდე".

განსაკუთრებულ საშიშ მოვლენად მიუჩნევია აკაკის ისედაც დაყოფილ ქართულ საზოგადოებაში გაჩენილი ახალი ტენდენცია „სურთუკოსან-მუნდიროსანთა" ე. წ. ინტელიგენციისა და „ჩოხოსანთა" (ქართველობას რომ ინარჩუნებენ) დაპირისპირებისა და თავის წერილში „სახუმარო გასართობი, ალუუზ!" აღუნიშნავს: „სულელი კაცი, ბუნებითაც უნიჭო, მაგრამ ნასწავლი და გაწვრთნილი, კაჭკაჭს ჰგავს და თუთიყუშს, სხვის ნათქვამს იმეორებს და ფრენის დროს აქეთ-იქით აფარფატებს. აგრევე ბუნებითაც ნიჭიერი და ჭკუიანი კაცი, თუ სწავლა არ მიუღია და უწვრთნელია, ჯაჭვით დაბმულ ლომს ჰგავს, ძალ-დონე აქვს, მაგრამ ვერ ხმარობს. სასარგებლო და საქები მაშინ არის კაცი, რომელსაც ბუნებითი ჭკუა და სწავლა ორივე ერთად აქვს". აკაკი კილავს სხვადასხვა უცხო ენაზე მოლაპარაკე კაჭკაჭებს, რომლებისთვისაც, სამწუხაროდ, კარი ყველგან ლიად და პატივცემულნი არიან, თავი მაღლა უჭირავთ და მედიდურობით უყურებენ სოფლელ ჩოხიანებს, რომლებსაც „კიდევ ეტყობათ ქართველობა, არ დავიწყებიათ სამშობლოს წარსული, სწამო მომავალი და ერთგული არიან აწყვოსი".

თუ რა დანაშაული შეიძლება მიუძღვოდეს ფსევდო ინტელიგენციას ხალხის წინაშე, რომელიც მას ენდობა და მიჰყვება, ის კი, საპირადოს გადაყოლილი, ქვეყნის ბედს ბურთივით ათამაშებს და თაობების წინაშე გამოუსწორებელ დანაშაულს ჩადის, აკაკიმ გვიჩვენა წერილში „ალექსანდრე ყაზბეგის პუბლიკ", რომელშიც საუბრობს ინტელიგენციის უდიერ დამოკიდებულებაზე დიდი მამულიშვილების მიმართ, ინტელიგენციისა, რომლის წარმომადგენლები ყაზბეგისნაირ კაცებს ატირებდნენ („ცოცხალი ვარ-მატირებ, მოკვდები და მიტირებ"). აკაკი ამაში ხალხს, უბრალო ქართველებს, არ ადანაშაულებს: „...სანამ ცოცხალი არიან, თითქოს მათ ვერც კი ვხედავთ, არ ვიცნობთ და რომ მოკვდებიან, მაშინ კი უეცრად დავიძახებთ: ჩაესვენა მზე, დაბნელდა მთვარე, მოსწყდა ვარსკვლავიო და სხვანი... ეს თითქმის ფარისევლობას ჰგავს და ვისი ბრალია? არა ხალხისა!.. არა ...მხოლოდ იმათი, ვისაც ქვეყანამ კალთაში თავი ჩაუდვა და სთხოვს: შენ მიმითითე ავზედაც და კარგზედაცაო, - ესე იგი, ინტელიგენციისა და მათი მეთაურებისა, რომელთაც აღარ სცალიან და პირადობას უნდებიან".

დრომ დაადასტურა, ფსევდო ინტელიგენციის აკაკისეული შეფასებები უდავო ჭეშმარიტება იყო, მათი საქმინობის შედეგები-დამდუპველი. მეფის რუსეთის დანგრეული იმპერიის ნანგრევებიდან აღმდგარმა ახალმა „საბჭოთა იმპერიამ" ჭრელაძეები კიდევ უფრო გაამრავლა, დააფრთიან-გააძლიერა თავისი ბოროტი განზრახვების უკათ განსახორციელებლად. იმის გამო, რომ ქვეყნის პრობლემებს აკაკის შემდეგ ბევრი არაფერი მოკლებია და დიდად არც ქართველი ინტელიგენციის სულიერი წყობა შეცვლილა, არა მარტო აკაკის ზემოაღნიშნულმა წერილებმა არ დაკარგეს აქტუალობა, არამედ მეტიც, მნიშვნელობა უფრო შეიძინებს.

აკაკის მხილების მახვილი მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მწერალმა ოთარ ჩხეიძემ აიღო და თავისი მდიდარი შემოქმედებით, „აკაკის ნაპერწკლიანი ცრემლით" (ო. ჩ) გვიჩვენა სახე „წითელი ინტელიგენციისა", რომელიც ყოველთვის იქმოდა საქმეს ერის

„მაფურთხებელთა საამებლად“ და რომლის დღევანდელი შთამომავალნი თვალბედითი შავი ყორანივით ადგნებიან ქვეყანას და მისი მეობისა და სახის წაშლის მსურველნი, დემოკრატიის ფასეულობების სახელით აგრძელებენ თავიანთი სულიერი წინაპრების დაწყებულ დამანგრევებულ საქმეს. მაგრამ არის ქართველი ინტელეიგენციის მეორე ნაწილიც, რომლის არსებობაც თავის დროზე აკაკის ყოვლის შემამჩნეველ თვალს არ გამოჰკარვია, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თავდახრილი, უსასყიდლოდ აკეთებს თავის, დღეს კიდევ უფრო გაძნელებულ, საქმეს, დაბლობში დგომის გამო რომ არ ჩანს, მაგრამ ერის ინტერესების სადარაჯოზე შეურყევლად დგას და გლობალიზაციის მრისხანე ტალღებს არ უშინდება.

ლიტერატურა:

1. აკაკი წერეთელი - პუბლიცისტური წერილები.
2. Кристофф Шарль - французские интеллектуалыМосква: новое изд-во, 2005.

Liana Kukhianidze

Akaki about intelligentsia

Abstract

Akaki believed in the strength of the intelligent society, which should lead the country, take the leadership positions and give the adequate response to the enemy. Therefore, in his publicist writings he devoted a great place to discuss about Georgian intelligentsia, to analyze their activities, to have an objective assessment, which in most cases, caused a groundless criticism and defamation towards him. This was the reason of his heartsore, but he didn't retreat as he believed that the only true fact- judgement could benefit the country.

რეცენზენტი: პროფ. ს. სიგუა

ლიტერატურათმცოლნეობა Literature

ნათია ნასარიძე

ქუთაისი, საქართველო

**ერნსტ თეოდორ ამალექს ჰოთმანი „კატა მურის
ცხოვრებისეული ფილოსოფია“ – პაროლია გერმანულ
განმანათლებლურ „ალზორის რომანზე“**

პოფმანის რომანი „კატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფია“ თავისი არსით და მხატვრულად ტრანსფორმირებული სამყაროთი იმ კონფლიქტებურ რეალობას გვიჩვენებს, რომელიც ექმნება ხელოვანს ბიურგერული მსოფლმხედველობით დეტერმინირებულ პოლიტიკურ-ხაზოვალებრივ ცხოვრებისეულ პირობებში. ორ დიდ ფრაგმენტად დაყოფილი, თხრობის განსაკუთრებული მანერით შექმნილი ეს რომანტიკული ნაწარმოები ორგვარი ხელოვანის პიოვრაფიას წარმოგვიდგენს, რომელთაგან ერთი ჯეშმარიტი ხელოვანი კრაისლერია, ბიურგერული ცხოვრებისეული სტილის უარმყოფელი და გარკვეულწილად აუსენზაითერი; მეორე კი, რომლის სახელსაც თავად ნაწარმოები ატარებს, ფიქტიური ხელოვანი, კატა მური.

მური ცენტრალური პერსონაჟია, კრაისლერი მასზე დაქვემდებარებული. ორიგვე შემთხვევაში კატა მურთანაც და კრაისლერის ეპიზოდშიც „აღზრდის რომანის“ ირონიულ დესტრუქციასთან გვაქვს საქმე კერც სწავლული კატა მური ახერხებს „აღზრდის რომანის“ გმირის სიმადლის მიღწევას და კერც ხელოვანი იოპანეს კრაისლერი თვითრეალიზებას და სოციუმისაგან მოწყვეტილი რჩება. კატა მური ირონიულ ასკექტში იმეორებს „აღზრდის რომანის“ სტრუქტურას, კრაისლერთან კი ეს სტრუქტურაც დარღვეულია, იდეალები კი ორიგვე შემთხვევაში მიუღწეველი.

„აღზრდის“ თუ „განვითარების“ რომანი, როგორც მას უწოდებენ, თავისი განვითარების მწვერვალს მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში აღწევს. მის მთავარ თემას წარმოადგენს გმირის შინაგანი სამყაროს განვითარების ჩვენება, მისი ფორმადქმნადობა და სრულყოფა. ლიტერატურათმცოდნებით თვლიან, რომ „აღზრდის რომანის“ მწვერვალს და მის საუკეთესო მაგალითს გოეთეს „ვილჰელმ მაისტერი“ წარმოადგენს. პეტერ რაიზნერი აღნიშნავს, რომ ეს არის კლასიკური „აღზრდის რომანის“ ბრწყინვალე მაგალითი, რომელშიც მოცემულია ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი ყველა მნიშვნელოვანი ნორმა. უმრავლეს შემთხვევაში განვითარების რომანის გმირი ხელოვანია, რომლის ცხოვრება ხელოვანის სიმწიფით სრულდება, იგი ახერხებს საკუთარი „მე“-ს პოვნას, თავისი სურვილებით და აზრებით

არსებულ ურთიერთობებში გონივრულ ინტეგრირებას, სამყაროსთან დამაკავშირებელი ხიდის გადებას და ამ სამყაროში შესაფერისი მდგომარეობის მიღწევას.

ერნეტ თეოდორ ამადეუს პოფმანის რომანი „კატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფია“ თავისი არსით და მხატვრულად ტრანსფორმირებული სამყაროთი იმ კონფლიქტურ რეალობას გვიჩვენებს, რომელიც ექმნება ხელოვანს ბიურგერული მსოფლმხედველობით დეტერმინირებულ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებისეულ პირობებში. ორ დიდ ფრაგმენტად დაყოფილი, თხრობის განსაკუთრებული მანერით შექმნილი ეს რომანტიკული ნაწარმოები ორგვარი ხელოვანის ბიოგრაფიას წარმოგვიდგენს, რომელთაგან ერთი ჭეშმარიტი ხელოვანი კრაისლერია, ბიურგერული ცხოვრებისეული სტილის უარმყოფელი და გარკვეულწილად აუსენზაიონერი; მეორე კი, რომლის სახელსაც თავად ნაწარმოები ატარებს, ფიქტიური ხელოვანი, ტიკისეული სახელგანთქმული „ჩექმებიანი კატის“ პირდაპირი შთამომაგალი, ნაკითხი კატა, რომელიც საკუთარი თავს „საქვეყნოდ ცნობილ მწერალს“ უწოდებს. მას სურს მკითხველს საკუთარი ავტობიოგრაფიის საფუძველზე აჩვენოს, როგორ ყალიბდებიან „დიდ კატებად“. პოფმანი ამ ორი ბიოგრაფიით გვიჩვენებს ადამიანური არსებობის ორ ფორმას: ერთის მხრივ დგას მორალურ-ზნეობრივ დირებულებებთან გადაჯაჭვული ინდივიდუალისტი ხელოვანის სამყარო, მეორეს მხრივ კი მუდმივად ცხოვრებისადმი კეთილგანწყობილი ეპიგონური ხელოვნება.

„აღზრდის რომანში“ გმირი სიმწიფის პერიოდამდე გადის გზას, სადაც ის ხვდება სიყვარულს, მეგობრობას, კრიზისს, რეალობაში თვითდამკიდრებისთვის უხდება ბრძოლა, და ბოლოს, თვითშემცნებამდე აღწევს. აღნიშნულ გზას გვიჩვენებს პოფმანი ორი ბიოგრაფიის მეშვეობით, რომლებიც ფრაგმენტულად ებმიან ერთმანეთს.

იოჰანეს კრაისლერი, ხელოვანი კაპელმაისტერი იტანჯება იმით, რომ თითქოსდა ერთი შეხედვით ხელოვნებისადმი მეგობრულად განწყობილ საზოგადოებას არაფერი ესმის მისი მუსიკალური შემოქმედების იდეალებისა. ამ სატანჯველს შინაგანი დაფლეთილობის შეგრძნებაც ემატება. მას ადელვებს არა მხოლოდ საკარო საზოგადოების ინტრიგები, რომელთა წინაშეც უსუსურია, არამედ მოსვენებას არ აძლევს საკუთარი შეგრძნებების და მისწრაფებების დაუძლეველი ანტაგონიზმი: ერთის მხრივ იულიასადმი უმაღლესი პოეტური სიყვარული და მეორეს მხრივ ფარული ხორციელი გულისთქმები. გაორებული არსობრიობა კიდევ უფრო ნათლად ჩნდება კატა მურის სახეში, რომელშიც კალოსეული გროტესკული მანერით ხორცი ესხმება ორბუნებრიობას: ადამიანურ ცნობიერებასთან გადაჯაჭვულია ცხოველური ბუნება.

კრაისლერის ბიოგრაფია ეწინააღმდეგება აღრეული რომანტიზმის „აღზრდის რომანის“ გმირის მხატვრულ სახეს. რომანტიკული „აღზრდის რომანის“ გმირი შინაგანი განვითარების გზას გადიოდა და საბოლოოდ ყალიბდებოდა მკვეთრი სუბიექტურობით დეტერმინირებულ პიროვნებად, რომელიც ცდილობდა თავისი პოეტური წარმოსახვა საზოგადოებრივ რეალობასთან დაეკავშირებინა. კრაისლერი ვერ თავსდება ასეთი გმირის ყალიბში: მინიატურულ, ბუტაფორიულ სამთავროში მას პიროვნული განვითარების ყველანაირი საშუალება აქვს წართმეული. ინტრიგათა ქსელში გახვეული კარის ცხოვრებიდან იგი ილტვის მონასტრისაკენ, სადაც მონატრებულ სიმშვიდეს ემებს. მაგრამ მისი ტრაგედია ის არის, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ მტერი საკუთარ თავშივე ჰყავს. მართალია, საერო ცხოვრებაში აღგილს ვერ პოულობს, მაგრამ ამავდროულად მის გარეშე ცხოვრებაც არ შეუძლია და ამიტომ ამბობს უარს მიწიურ სიამეთა უარყოფაზე. სწორედ ამ შინაგანი

კონფლიქტის მსხვერპლად და ტყველ ქცეულა იგი. მას არ გამოსდის, რომ სწორედ ეს წინააღმდეგობები აქციოს ძირითად წინაპირობად საკუთარი თავში ხელოვანის ჩამოყალიბებისათვის. საბოლოოდ კი ის ვერ ახერხებს როგორც საზოგადოებაში რეალიზებას, ისე მისი ხელოვნების სოციუმის სამსახურში ჩაყენებას და ვერც პირადი ბედნიერების მიღწევას, რაც იულიას დაკარგვით ხდება ნათელი.

კრაისლერისაგან განსხვავებით სწავლული კატა აგროვებს რა, დიდ გამოცდილებას, გადის განვითარების გარკვეულ გზას, რის შედეგადაც იგი იცვლება და საბოლოოდ მეტნაკლებად ბედნიერ ინტეგრაციას ახერხებს სოციუმში. ხედავს რა საკუთარ თავში ხელოვანს, მური იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარ ცხოვრებას, რომ იგი ფურცლებზე გადააქვს, რათა რაც შეიძლება ბევრმა მკითხველმა წაიკითხოს. საკუთარ ავტობიოგრაფიაში იგი ისე წარმოაჩენს თავის თავს, რომ დისტანცირებასაც ახერხებს მკითხველთან იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა, რომ აღფრთოვანება გამოიწვიოს მათში და ამავდროულად არ დაკარგოს გზა ამ საზოგადოებაში საკუთარი იდენტობის პოვნისა: „სრული დამაჯერებლობითა და სიმშვიდით გამომაქვს სამსჯავროს წინაშე ჩემი ცხოვრება, სწორედ ისე, როგორც ჰეშმარიტ გენიოსებს სჩვევიათ ხოლმე. დაე, იცოდნენ ადამიანებმა, რა გზებით აღწევენ კატები დიდების მწვერვალს; დაე, უკელამ მოელი სისაგსით შეიგრძნოს ჩემი არსების სრულყოფილება, შემიყვაროს, აღტაცება ვერ დამალოს და ბოლოს, გამაღმერთოს კიდეც.“ [ე.თ.ა. პოფმანი 2014:12].

მურს მიაჩნია, რომ იგი დიდ საზოგადოებრივ საქმესაც აკეთებს და ამით კიდევ უფრო უდრმავდება იმის შეგრძნება, რომ იგი სოციუმისგან მოწყვეტილი კი არა პირიქით, მის სამსახურში ჩამდგარა კიდეც თავისი ხელოვნებით: „ჰოდა, ჩემი შედევრებიც, ალბათ, არა ერთი და ორი გონიერი, მეოცნებე ჭაბუკი კატის გულში დაანთებენ პოეზიის წმინდა ლამპარს[...]“ [ე.თ.ა. პოფმანი 2014:37].

მურის სახით პოფმანი განმანათლებლურ-კლასიკური განვითარების მოდელის ირონიზორებას ახდენს. მურმა, როგორც განმანათლებელმა ავტორმა ძალები მოსინჯა დიდაქტიკური რომანის, საგმირო ეპოსისა თუ პათეტიკურ-სენტიმენტალური ლირიკის ქანრში.

მითოსური ტენდენციების პაროდიზირების უნიკალური მომენტია, როცა კატა მური საკუთარ ცხოვრებას დიადი გმირების ან თვით ღმერთების ანალოგით გვიყვება. მაგალითად, როცა დედისაგან გაიგებს, რომ მამამისმა იგი დაბადებისას კინაღამ შესანსლა, ამას ტრაგიკულად კი არ აღიქვამს, არამედ უცებ პოულობს მსგავსებას მითიურ იუპიტერთან: „საყვარელო დედიკო! [...] დიდად ნუ შეიცხადებო მამაჩემის ამ ნაკლს [...] ერთ დროს იუპიტერიც ჩემსავით დასძრომია ხელიდან საშინელ განგებას.“ [ე.თ.ა. პოფმანი 2014:54].

საინტერესოა დედის დარიგებები მურის მიმართ. დედას არ მოსწონს მურის სწავლა-განათლების საქმე, მას დვორისგან ბოძებული ბუნება უფრო პრივილეგირებულ საწყისად მიაჩნია. სწორედ მაშინ, როცა მურს დედისთვის შეპირებული ქაშაყის თავი შემოეჭმება, იმარჯვებს ის ბუნება, რომელსაც საბრალო მშიერი დედა ასეთ წყალობად აღიქვამდა. ამ ეპიზოდში ნათლად ჩნდება ფიხტეს პაროდია: „სწორედ ის გაუცხოებული „მე“ გადაიქცა ჩემი ნამდვილი „მეს“ ჰეშმარიტ არსად [...] ჩემს არსებაში ბოროტი და კეთილი საწყისების ამ უცნაურმა ჭიდილმა ერთიანად შემძრა. ბოლოს ბოროტმა სძლია კეთილს და მე დავმარცები! [...] იმ აზრის სიღრმესაც მხოლოდ ახლა ჩავწვდი, რომ თურმე მკრეხელობაა დედაბუნების წინააღმდეგ წასვლა.“ [ე.თ.ა. პოფმანი 2014:57-58]. ანუ ასე შეინარჩუნა მურმა

სწორედ ის ცხოველური ბუნება, რომელიც მასში თანდაყოლილ ინსტიქტად რჩებოდა და რომელსაც სინამდვილეში უნდა აღეფრთოვანებინა დედამისი.

მური იზიარებს მე-18 საუკუნის განმანათლებლურ ოპტიმიზმს, როდესაც იგი ეთანხმება მოსახრებას, რომ ადამიანის გარეგანი და შინაგანი განვითარება გარემოსა და წესჩეულებების ზეგავლენით ხორციელდება. იგი წმინდა სისხლის საზოგადოებრივი არსებაა, რომელიც გარკვეული კრიტიკული დისტანციის მიუხედავად, ერგება და ეგუება ბიურგერული საზოგადოების იმ პრინციპებს, რომელიც ამ უკაში ნორმადაა სახელდებული. ორი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, რომელშიც ბურშ კატათა საზოგადოებაში გარევა და პუდელ პონტოს სახით არისტოკრატიულ საზოგადოებაში მოხვედრის შესაძლებლობა უნდა მივიჩნიოთ, კატა მური უბრუნდება თავის ბიდერმაიერულ ყოფას, სადაც იგი ბურშთა ლიბერალიზმისა და ფეოდალური რესტავრაციისგან მოშორებული, „ხელოვნებისა და მეცნიერების სიყვარულით“ ცხოვრობს. მურის აზროვნებისა და ქცევის, მისი პათეტიკურ-რიტუალური და კლიშეებით სავსე ენის განმაპირობებელი უპირატესად განმანათლებლურ-სენტრიზმნაციი ტრადიციაა. ბიურგერული საზოგადოების ნორმები და კონგრიები განსაზღვრავენ მისი აზროვნებისა და წერის სტილს. სწორედ ამ თვალთახედვით განიხილავს იგი თავის განვითარებას, როგორც „განვითარებას სამყაროსთვის“ „Bildung für die Welt“. კატა მური განმანათლებლური იდეალის ის სატირულად დამახინჯებული სურათია, რომელიც ინდივიდის განვითარებას საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს უქვემდებარებდა.

მური კულტურისადმი ამბიციური სწრაფვისა და ცხოველური ინსტიქტების შეუთავსებლობის სურათ-ხატია. იგი კრაისლერისგან განსხვავებით არასოდეს არ ეძებს „მაღალი ყოფის“ იდეალებს, პირიქით მას მიაჩნია, რომ დაგროვილი „ცოდნის“ საფუძველზე იგი უკვე ულობს „უმაღლეს მდგომარეობას“. მისი ამბიციები და საზოგადოებრივი რეალობის მოთხოვნები მოჩვენებით სინთეზშია, რომლის საეჭვო ხარისხი სწორედ ამ სინთეზის შეუძლებლობას უსვამს ხაზს.

თუ კარგად დავაკვირდებით, სატირა მიმართულია არა მართლაც სიმპატიური, ჰკვიანი ცხოველის, არამედ ბიურგერული საზოგადოების „ცხოველურ ფილისტერთა“ წინააღმდეგ, რომელთა ეპიგონალურ იდეოლოგიასაც იგი წარმოადგენს. მე-18 საუკუნის „აღზრდა-განვითარების“ ცნება, რომელიც ნასაზრდოები იყო ინდივიდის უსაზღვრო განვითარებისადმი რწმენით, პაროდიულად იქნა დეფორმირებული პოფმანის მიერ, რადგან კატის სულიერი პროგრესი მისი ცხოველური ანიმალიზმის ნიშნითაა დადგასმული. სწავლული კატა ვერასოდეს იპოვის პიროვნულ იდენტობას, რადგან მას არ შეუძლია შეიცნოს თავის ორმაგი ბუნების წინააღმდეგობრიობა. ამგვარი გროტესკული ფიგურის კულტურული ამბიციები კი სხვა არაფრად აღიქმება, თუ არა პაროდიად.

ორივე წინააღმდეგობრივ ფიგურას, მურსა და კრაისლერს, თავისებურად აკლიათ ადამიანური საწყისი, რადგან ერთის მხრივ, აუსენზაითერობა სოციუმისაგან და მეორეს მხრივ სრული თანხვედრა საზოგადოებრივ მოთხოვნებთან გამორიცხავს პიროვნული იდენტობის შემეცნებას. „მაღალ ყოფიურებაში“ ფესვგადგმულ კაპელმაისტერს არ ძალუმს ფეხი მყარად დააბიჯოს მიწაზე, მაშინ როცა ყოჩადი კატისათვის ყოველდღიურობა კომფორტული სახლია, სამაგიეროდ მისთვის სრულიად უცხოა ჰეშმარიტი სულიერი ღირებულებები. ამგვარი ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ პოფმანმა ეჭვის ქვეშ დააყენა როგორც განმანათლებლური ეპოქის კონფორმირებული „საზოგადოებრივი

განვითარების“, ასევე რომანტიზმის პერიოდის სუბიექტივისტური „შინაგანი განვითარების“ იდეა, ეს კი მან მიაღწია კლასიკური აღზრდის რომანის პაროდიულ-ირონიული რღვევით.

საინტერესოა რომანის კომპოზიციაც, რომელიც აგებულია დისონანსური, ანტიოპტური სტრუქტურით. ორივე მთავარი პერსონაჟი საპირისპირო ცხოვრებისეული იდეოლოგიის წარმომადგენლები არიან და ურთიერთკონტრასტს ქმნიან. საზოგადოებისგან გაუცხოებული, ექსტაზიური კრაისლერი ცხოვრებისეულ ტკბობაში ჩაძირული კატის ანტიპოდია. იდეალსა და რეალობას შორის ტრაგიკული დაფლეთილობის შეგრძნება კომიკურად უპირისპირდება სიმაძღვასა და ცხოვრებით კმაყოფილებას. ღრმა შემოქმედებითი უნარი ეპიგონური ხელოვნების საპირისპირო პოლუსს ქმნის. ამ ორი საწყისის შეუთავსებლობა მხატვრული ფორმით იმაში გამოიხატება, რომ მოქმედების მსვლელობისას მათი სიუჟეტი ერთმანეთს არ კვეთს, ერთი არისტოკრატიულ საზოგადოებაშია, მეორე კი ცხოველთა სამყაროში. ეს ანტიოპტური სტრუქტურა ყოფიერების გამაერთიანებული ხაზის დაკარგვას ასიმბოლოებს, მხატვრულად მოდელირებული მიუთითებს, რომ სუბიექტური ჩაშინაგნება ვერასოდეს შეურიგდება ბიურგერული საზოგადოების ცხოვრების წესს. თხრობის ქრონოლოგიური წესრიგის მოშლაც კრაისლერის შინაგანი განვითარების მიზნობრიობის დაკარგვას ემსახურება. ადრეული გერმანული რომანტიზმის „მე“-ს სათვის დამახასიათებელი შედარებით უშფოთველი შინაგანი განვითარების კულტი დანაწევრებული სუბიექტის კონფლიქტური დამოკიდებულებით იცვლება საზოგადოებრივი გარემოს მიმართ.

ადსანიშნავია, რომ თავის რომანში პოფმანი რეალისტური ნაწარმოებისათვის უჩვეულო კომპოზიციას მიმართავს. თხრობის განსაკუთრებულ ფრაგმენტულ სტილში კარგად ჩანს „აღზრდის რომანის“ სტრუქტურის ირონიული რღვევა. თხრობა კლასიკურად ქრონოლოგიურ ასპექტში კი არ მიმდინარეობს, სადაც ერთი მოქმედი პერსონაჟის განვითარებისა და აღზრდის საფეხურები იქნებოდა ნაჩვენები, არამედ ორადაა გახლებილი. „აღზრდის რომანის“ სტრუქტურისაგან განსხვავებით აქ ორი ძირითადი მოქმედი პერსონაჟია, რომელთა განვითარების თუ განვითარების შეუძლებლობის იდეა თხრობის ორ პარალელურ ხაზში „აღზრდის რომანის“ პაროდიული რღვევის საფუძველზე ვლინდება.

მური ცენტრალური პერსონაჟია, კრაისლერი მასზე დაქვემდებარებული. ორივე შემთხვევაში კატა მურთანაც და კრაისლერის ეპიზოდშიც „აღზრდის რომანის“ ირონიულ დესტრუქციასთან გვაქვს საქმე. ვერც სწავლული კატა მური ახერხებს „აღზრდის რომანის“ გმირის სიმაღლის მიღწევას და ვერც ხელოვანი იოპანეს კრაისლერი თვითრეალიზებას და სოციუმისაგან მოწყვეტილი რჩება. კატა მური ირონიულ ასპექტში იმეორებს „აღზრდის რომანის“ სტრუქტურას, კრაისლერთან კი ეს სტრუქტურაც დარღვეულია, იდეალები კი ორივე შემთხვევაში მიუღწეველი.

ლიტერატურა:

1. პოფმანი, ე.თ.ა.: კატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფია. პალიტრა L, თბილისი, 2014.
2. Braun, P.: E.T.A. Hoffmann. Diechter, Zeichner, Musiker, Biographie. Patmos Verlag GmbH&Co. KG Arteims&Winkler Verlag, Düsseldorf und Zürich, 2004.
3. Ettelt, W.: E. T. A. Hoffmann. Der Künstler und Mensch. Königshausen & Neumann, Würzburg, 1981.

-
4. Keil, W.: Erzähltechnische Kunststücke in E. T. A. Hoffmanns Roman *Lebens-Ansichten des Katers Murr*. In: Mitteilungen der E.T.A. Hoffmann-Gesellschaft. Reclam, Graz, 1985.
 5. Mayer, G.: Der deutsche Bildungsroman: von der Aufklärung bis zur Gegenwärt; J. B. Metzlersche Verlagsbuchhandlung, Stuttgart, 1992.

Natia Nasaridze

Hoffman "The Philosophy Life of Cat Mur" - a parody of a German Enlightenment novel

Abstract

Hofmann's novel "The Philosophy Life of Cat Mur" is characterized by the essence and the artistically transformed world of the conflictual reality that creates the artist in the political and social life of the forecasted Müllerian worldview. This work created by special edition of the narrative is a two-dimensional fragment that represents the biographical dual artist, one of which is a true artist, and the second one whose name is derived.

Moore is the main character, and the chassiser depends on it.

რეცენზენტი: პროფ. ს. მუხიძი

ლიტერატურათმცოდნეობა Literature

სოსლან სურმანიძე

ქუთაისი, საქართველო

ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“ და ქართული
ლიტერატურული კრიტიკა

ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ, თუ როგორ შეხვდა „ოთარაანთ ქვრივები“ ილიას თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკა, როგორი შეფასება დაიმსახურა ნაწარმოებმა, რამდენად ჩახვდნენ თავის დროზე ქართველი კრიტიკოსები მოთხოვნის პრობლემატიკასა და იდეურ ჩანაფიქრს, რა არის მათ ნააზრები სადღეისთვის ხავულისხმო და რა – ნაკლებად გასაზიარებელი თუ მიუღებელი.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ილიას თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკამ მოლიანობაში ვერ მოახერხა სათანადოდ შევასებინა „ოთარაანთ ქვრივის“ პრობლემატიკა და მხატვრული მხარე.

„ოთარაანთ ქვრივი“ ილია ჭავჭავაძის პროზის მწვერვალია. ამ ნაწარმოებში მთელი სისავსით გამოვლინდა ილიას შემოქმედებითი ოსტატობა, მხატვრული ხასიათების ძერწვის თავისებური მანერა, თხრობის თვითმყოფადი, ორიგინალური სტილი. მოგონებათა მიხედვით ცნობილია, რომ „ოთარაანთ ქვრივი“ ილიას ერთი ამოსუნთქვით, ერთოვანი თავდაუზოგავი შრომის შედეგად დაუწერია [მანსვეტაშვილი, 1987: 429]. დაბეჭდვამდე მოთხოვნის ილიას ქართველი ინტელიგენციის ვიწრო წრეში, დავით სარაჯიშვილის სახლში წაუკითხავს. უმრავლესობას მაღალი შეფასება მიუცია ნაწარმოებისთვის. დამსწრეთაგან საგულისხმო აზრი გამოუთქმას თვალსაჩინო ქართველი პუბლიცისტსა და კრიტიკოსს ნიკო ნიკოლაძეს, რომელსაც აღუნიშნავს, რომ სოციალურ ფენათა შორის ხიდჩატებილობის მთავარი მიზეზი მათ შორის არსებული კულტურული დაშორებაა: „აბა, გიორგი უბრალო მოჯამაგირედ, ისიც უსწავლელ უწიგნო კაცად არ მისდგომოდა კესოს კარებს? წარმოიდგინეთ, რომ გიორგის სწავლა მიედო ყოფილიყო, ვთქვათ, ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი, – როგორ გგონიათ კესო გულცივად შეპხვდებოდა გიორგის?.. კესო არც კი იკითხავდა გიორგი გლეხია, თუ თავადიშვილიო“ – აღუნიშნავს ნიკოლაძეს [მანსვეტაშვილი, 1987: 430].

იაკობ მანსვეტაშვილის თქმით, ზოგიერთმა გიორგის სიკვდილი დაუწენა ილიას, როგორც არაბუნებრივი, არალოგიკური მოვლენა, ზოგმა სხვა უმნიშვნელო წვრილმანზე გაამახვილა

უკურადღება, მაგრამ „საზოგადოდ კი შთაბეჭდილება მოთხოვობისა დიადი იყო, მომხიბლავი“ [მანსვეტაშვილი, 1987: 430].

კრიტიკოსთაგან სპეციალური ნაშრომით თავდაპირველი შიო დავითაშვილი გამოეხმაურა მოთხოვობას პატარა ბროშურით: „ჩატებილი ხიდი“, „ოთარაანთ ქვრივის“ ბ. ილია ჭავჭავაძის მოთხოვობის შესახებ მკითხველის შენიშვნები“ (თბილისი, 1887). კრიტიკოსმა სცადა დაწვრილებით დაეხასიათებინა მოთხოვობის პერსონაჟები და შეეფასებინა ნაწარმოების იდეური მიზანდასახულობა.

შ. დავითაშვილი, უპირველეს ყოვლისა, გაკვირვებას გამოთქვამს მოთხოვობის სათაურის გამო, რადგან ოთარაანთ ქვრივი სქემატურ სახედ მიაჩნია, რომლის ერთადერთი დამსახურებაც გიორგის დედობა იყო. უფრო მეტიც, შ. დავითაშვილის თქმით, ნაწარმოებში ისიც არ ჩანს, თუ რა კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა დედამ გიორგიზე: „მოთხოვობაში ერთი მაგალითიც არ არის, რომ დედას შვილზე ავი ან კარგი გავლენა ჰქონდეს და მისი სურვილი შეეცვალოს მაშინაც კი, როცა გიორგი თავისი ხასიათით ბევრს ხიფათს ემთხვევოდა [დავითაშვილი, 1887: 4]. კრიტიკოსი ფიქრობს, რომ ოთარაანთ ქვრივი არ არის ტიპური სახე ქართველი ქალისა, რომელიც, სინამდვილეში, მისი თქმით, ძალზე გულჩვილნი არიან და რომელთათვისაც სრულიად უცხოა ქვრივისათვის დამახასიათებელი სიკერპე: „ოთარაანთ ქვრივს კი შვილი უპევება და მაინც თავისი სიამაყე ახსოვს, ერთი ცრემლიც არ გადმოაგდო“ [დავითაშვილი, 1887: 11].

სამწუხაროდ კრიტიკოსი ვერ აცნობიერებს, რომ ეს „უცრემლობა“ ოთარაანთ ქვრივის ნაკლი კი არაა, არამედ ღირსება, მისი შინაგანი თავშეგავებულობის გამოხატულება. ოთარაანთ ქვრივის ქცევა გიორგის გარდაცვალებისას საუკეთესო გამოვლენაა დედის შინაგანი ღირსებისა, თავმოყვარეობისა და გაუტეხელობისა. ის ფაქტი, რომ იგი არ იგლოვს ხალხის წინ საკუთარ შვილს, მის გულქვაობაზე როდი მიუთითებს. სინამდვილეში ეს დიდი უბეგურება შინაგანად არღვევს გმირის სულიერ მთლიანობას, განუკურნებელი ვარამით ასნეულებს მას. ოთარაანთ ქვრივი შვილის საფლავთან ჩახუტებული ასრულებს სიცოცხლეს. განა ამის შემდეგ შესაძლებელია ვისაუბროთ მის სიამაყესა და უგრძნობელობაზე?

არადამაჯერებლად მიაჩნია შ. დავითაშვილის გიორგის გულში კესოსადმი სიყვარულის აღძვრაც, რადგან მისი აზრით, არ არსებობდა ამ გრძნობის აღმოცენების რეალური პირობები. იგი მიუთითებს, რომ ავტორი ვერ გვიჩვენებს, თუ როგორ ჩაუგარდა გულში გიორგის თავადის ქალი, როგორ გაიფურჩქნა და გაუძლიერდა მის მიმართ ტრფობა.

კრიტიკოსის კეთილგანწყობას ვერ იმსახურებენ ვერც მოთხოვობის სხვა პერსონაჟები. არჩილი და ქესო, მისი აზრით, არიან „სიტყვით სწორე, საქმით კუზა“. გიორგის დაუფასებლობა და-მის მხრიდან, შ. დავითაშვილის შეხედულებით, გამოწვეულია არა წოდებრივი, არამედ მატერიალური პირობებიდან გამომდინარე: „ოქვე დალოცვილებო, თუ მაგისთანა დვთაებივ ღირსებას არ იკადრებოთ და გვერდს აუქცევთ, რადად იწუხებოთ თავს და ჩვენც გვაბრაზებო ლაქლაქით და რაღაც ჩატებილი ხიდებით? ახლა ერთს კითხვას ჩვენც გადაღებოთ: მდიდარი ვაჭრის ქალი, ქალწული ანუ ქვრივი, რომ იყოს, კარგ მზითვიანი, მას ხომ შეირთავდით... გიცნობთ!...“ [დავითაშვილი, 1887: 30] – ირონიით მიმართავს მოთხოვობის პერსონაჟებს კრიტიკოსი.

შ. დავითაშვილი ვერ ახერხებს, სწოდეს ნაწარმოებში სოსია მეწისქვილის მხატვრული სახის ფუნქციას. მისი აზრით, ამ პერსონაჟის ერთადერთი დანიშნულება ისაა, რომ ჭირისუფლობა გაუწიოს მოთხოვის მთავარ პერსონაჟს.

დღეს უკვე არავისათვის წარმოადგენს სადავო გარემოებას ის, რომ ოთარაანთ ქვრივის დახატვით ილია ჭავჭავაძემ მოახერხა უკვდავი, ქართული ყოფიდან ამოზრდილი ხასიათის შექმნა, რომელიც შემდეგ არაერთი მწერლის შთაგონების წყაროდ და არაერთი პერსონაჟის არქეტიპადაც იქცა. ამის გათვალისწინებით ძალზე გასაკვირია კრიტიკოსის მსჯელობა, რომ „მთელ მოთხოვისაში არ არის არც ერთი დასრულებული სახე: ერთისა ენა გვაჩვენეს, მეორისა მკლავი, მესამისა ფეხი და მეოთხისა ჩრდილი... ერთი ჩვენი ნაცნობი სახეც ვერ დავინახეთ... ვის გინახავთ ჩვენში მაგისთანა დედაკაცი?“ [დავითაშვილი, 1887: 38].

კრიტიკოსი წუნს სდებს ილიას მოთხოვის მხატვრული დამაჯერებლობის თვალსაზრისითაც, რადგან მიაჩნია, რომ მასში იდეალიზებულია არსებული სინამდვილე. ამის ერთ მაგალითად შ. დავითაშვილს მიაჩნია თუნდაც ოთარაანთ ქვრივის სოციალური მდგომარეობა, მისი დამოკიდებულება ფულისადმი: „თქვენ ვერ დამისახელებთ ისეთ გლეხს, რომ ფული ხელის ჭუჭყად მიაჩნდეს და მე კი გიჩვენებთ, რამდენსაც მიბრძანებთ, ერთი თუმანი თვალითაც არ ენახოს... ჩვენში შეძლებული ოჯახი იშვიათია, და თუ საზოგადო ოჯახს გვიხატავდა ბ. ჭავჭავაძე, ზოგადი მაგალითიც უნდა აეღო“ [დავითაშვილი, 1887: 29].

კრიტიკოსი ვერ აცნობიერებს, რომ ოთარაანთ ქვრივის და მისი ოჯახის სახით ილია ჭავჭავაძე ტიპურ გლეხის სახლობას კი არ აღგვიწერს, არამედ –სასურველ იდეალს, რომელიც დირსეული შრომით არსებობს. ოთარაანთ ქვრივმა, ერთი მხრივ, კარგად იცის შრომისა და ფულის ფასი (იგი არავის შეარჩენს საკუთარ ნამუშაკევს), მაგრამ მეორე მხრივ, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს, შინაგანი უანგარობაც ახასიათებს და გაცნობიერებული აქვს, რომ ფული „ხელის ჭუჭყია“ და მასში არავითარი მარადიული ფასეულობა არ ძევს.

დამაჯერებლად არ მიაჩნია კრიტიკოსს არც გიორგის სახე: „გიორგისთანა გლეხი სადღა გინახავთ? კამბეტსავით მუშაობა და პირუტყვად გარდაქცევა ხომ არ არის კაცობა! სულ თავ-დაღუნილი, წარბ-შეკრული, პირ-დაღვრემილი მუშაობა ქართველ კაცისა ვის გაუგონია?“ [დავითაშვილი, 1887: 31].

კრიტიკოსს ერთგვარად აღიზიანებს „ჩატეხილი ხიდის“ ილიასეული მეტაფორა. ეს პრობლემა, მისი თქმით, გამოგონილი პრობლემა და მას თავად საზოგადოება ვერ ამჩნევს: „რა ვიცი, არა ერთი სოფელი მომივლია, არა ერთს თავადს, აზნაურს ვიცნობ, არა ერთ გლეხთან მილაპარაკი და ჩატეხილ ხიდზედ ხსენებაც არსად არის“. [დავითაშვილი, 1887: 34]. ცხადია, ის ფაქტი, რომ მასის დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებს ამ პრობლემას, ეს როდი მიუთითებს იმაზე, რომ იგი საერთოდ არ არსებობს სინამდვილეში. ილია ეროვნული პოზიციიდან აღიქვამს საკითხს, ეროვნული თვალთახედვით აფასებს სოციალურ ფენათა ურთიერთობას. ამ სიბრტყეზე კი, ცხადია, პრობლემა უმწვავესად არსებობდა რეალურად. უბრალოდ, მასას, ისევე როგორც ზოგიერთ კრიტიკოსს, არ აღმოაჩნდა თვალთახედვის ის სიფართოვე, რომ ამ სიმაღლიდან შეეხდა საკითხისათვის.

კრიტიკოსი ფიქრობს, რომ სადღეისოდ ხალხს სულ სხვა პრობლემები უდგას, უფრო მნიშვნელოვანი და ყოფითი, ვიდრე „ჩატეხილი ხიდია“ და ფიქრობს, რომ ორივე სოციალურ

უკას „თუ საერთო მტერი დაინახეს... დაავიწყდებათ საჭმელიც და სასმელიც, გუშინდელი მტრობაც, დღევანდელი წყენაც და ერთმანეთისთვის თავს დასდებენ“ [დავითაშვილი, 1887: 37].

ასეთია, შ. დავითაშვილის ძირითადი თვალსაზრისი „ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ.

1888 წელს გამოქვეყნდა დავით კეზელის („დავით სოსლანის“ ფსევდონიმით) წიგნაკი „კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“ (მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა)“, რომელშიც ასევე წარმოდგენილია მცდელობა მოთხრობის პრობლემატიკის კომპლექსური ანალიზისა.

დ. კეზელის პირველი საგანგებო შენიშვნაც, შ. დავითაშვილის მსგავსად, მოთხრობის სათაურს უკავშირდება: „როდესაც მთლად მოთხრობას გარდაიკითხავ... პირველი კითხვა, რომელიც თავში გებადება შემდეგია: რისთვის პქვიან ამ მოთხრობას „ოთარაანთ ქვრივი?“ რატომ გიორგი არ პქვიან, კესო ან არჩილი? ოთარაანთ ქვრივი, თუ გნებავთ, შემთხვევითი და დაუპატიჟებელი სტუმარია მოთხრობაში“ [კეზელი, 1888: 4]. ამის თაობაზე უნდა ითქვას შემდეგი: როგორც იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს, თავდაპირველად ილიას მოთხრობის მართლაც „გიორგი“ რქმევია და არა „ოთარაანთ ქვრივი“. როგორც ჩანს, ილიას სწორედ გიორგი პყავდა ჩაფიქრებული მოთხრობის მთავარ პერსონაჟად, როგორც დრამატული ამბის მთავარი მონაწილე. ეს ასეც უნდა ყოფილიყო ნაწარმოების საკვანძო პრობლემიდან გამომდინარე, თუმცა, როგორც ჩანს, მოთხრობის ტექსტზე მუშაობისას ავტორის წინაშე იმდენად ცხოვლად ამოიზარდა ოთარაანთ ქვრივის სახება, რომ მწერალმა სწორედ იგი აქცია მოთხრობის მთავარ პერსონაჟად. ეს გარემოება შენიშნული და სათანადოდ ახსნილიცაა ილიასმცოდნეობაში [იხ. მინაშვილი, 2018].

საგულისხმოა კრიტიკოსის ცნობები „ოთარაანთ ქვრივის“ საზოგადოებრივი რეზონანსის შესახებ. ზოგიერთმა მკითხველმა, როგორც ჩანს, ნაწარმოები, სრულიად უსაფუძვლოდ, „ხალხოსნური“ სულისკვეთების ტექსტად მიიჩნია, რომელშიც დაბალი სოციალური წრის იდეალიზაცია მოცემული. დავით კეზელმა პირიქით, ილიას მოთხრობა არათუ ხალხოსნური სულისკვეთების ნაწარმოებად, არამედ ავტორის წოდებრივი ფსიქოლოგიის გამომხატველ ტექსტად მიიჩნია: „ეხლა თქვენი ბედნიერი თვალით პხედავთ, რომ ბ. ჭავჭავაძე ძლიერ დაშორებულია გლეხობასთან არშიყობაზედ, პირიქით ჩვენს წინა სდგას თვალის სისხლის შეუბდალაობის დარაჯი გლეხის მყრალი სისხლით. თვით ის აზრი, რომ სიყვარული, მიჯნურობა გაიდოს „გზად და ხიდად“ ამ ორს, გრძელი ისტორიული წესწყობილებით ერთი-ერთმანეთზედ დაშორებული, წოდებათა შორის, სათავეშივე ყალბი და შემცდარია“ [კეზელი, 1888: 12].

კრიტიკოსი სრულიად უსაფუძვლოდ ფიქრობს, თითქოს ილია სოციალურ ფენათა შორის ჩატებილი ხიდის გასამრთელებელ გზად სიყვარულს, მიჯნურობას გვთავაზობდეს. ასეთი მიზანდასახულობა მწერალს არც პქონია. კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ გამოსავალი სხვა სიბრტყეზეა საძიებელი: „ჩატებილი ხიდის გამოყენება, რომლისთვისაც ასე გოდებენ არჩილი და კესო, და მათი მორიგება მოხერხდება მხოლოდ იურიდიულ და ეკონომიკურს ნიადაგზედ, ამიტომ, რომ დაშორების მიზეზი უფლებების წარმევა და ეკონომიკური დაჩაგვრა ყოფილა“ [კეზელი, 1888: 14]. ეს თვალსაზრისი, რა თქმა უნდა არ შეეფერება სინამდვილეს. ილია ჭავჭავაძემ „ოთარაანთ ქვრივში“ სწორედ ის გარემოება გვიჩვენა, რომ იურიდიული და ეკონომიკური თანასწორობის პირობებშიც (ამ პერიოდში ბატონიშვილი უკვე გაუქმებელია, ეკონომიკური თვალსაზრისით კი ოთარაანთ ქვრივის ძლიერი ოჯახი ბევრად არ ჩამორჩება თავადების ოჯახს) თავადსა და გლეხს შორის მაინც ჩატებილია ხიდი და ეს ფსიქო-სოციალური, მენტალური ფაქტორებითაა ასახსნელი და არა ეკონომიკური და იურიდიული მოტივებით.

დ. კეზელს ნაწარმოების პერსონაჟთაგან თითქმის ყველა რეალისტურ სახეებად მიაჩნია, მაგრამ „ახალგაზრდა კნიჟნა კესოსი კი რა მოგახსენოთ... უფერული და უგემური კნიჟნები მრავალია ჩვენში, მაგრამ ეს ისეთი რაღაც ყოვლად უფერულია, რომ ამაზედ ამის მეტი არაფერი ითქმის, რომ კესო პქვიან“ [კეზელი, 1888: 15].

ძალზე ტენდენციურია კრიტიკოსის მსჯელობა გიორგის შესახებ. იგი აცხადებს, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არადამაჯერებელია გიორგის ტრფობა კესოსადმი და გლეხებაცის გულში ასეთი გრძნობის წარმოშობა: „ვინებს მონად გახდომა და ნამეტურად დიაცისა გიორგების დავთარში არ სწერია. ეს ცილის წამება იქნება მათზედ. გიორგისთანა გლეხს სისხლში აქვს თავად-აზნაურის სიმძულავრე“ [კეზელი, 1888: 16]. გლეხის ასეთ ზოგად დამოკიდებულებას თავადისადმი კრიტიკოსი უმართებულოდ აზოგადებს გიორგის პერსონაჟზეც, რაც, ცხადია, არასწორია, რამდენადაც გამონაკლისები ყვალგან და ყოველთვის არსებობს.

დ. კეზელი ფიქრობს, რომ ავტორმა სათანადოდ არ იზრუნა მხატვრული დასაბუთება მოეძებნა გიორგის გრძნობისათვის, არ გვაჩვენა მის გულში სიყვარულის აღძვრისა და განვითარების დინამიკა. მკითხველი მხოლოდ ბოლოსდა იგებს მისი გაუმჯდავნებელი გულისნადების შესახებ. მაგრამ კრიტიკოსის მთავარი ბრალდება მაინც გიორგის სიკვდილის სცენასთანა დაკავშირებული. იგი მიიჩნევს, რომ ეს მომენტი არ არის განპირობებული ნაწარმოების მხატვრული განვითარების ლოგიკით და სქემატურობის იერი დაპკრავს: „დაღუპვა მოთხრობის გმირისა უნდა იყოს ლოდიგური შედეგი ამისივე ვნებათა მდგლვარებისა, იმ გარემოებისა, რომელშიაც ის ავტორს ჩაუყენებია, და არა შემთხვევითი მიზეზისა“ [კეზელი, 1888: 17] – ფიქრობს კრიტიკოსი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დ. კეზელის რეცენზია აშკარად ხალხოსნური პოზიციოდანაა დაწერილი და ამიტომაც ილიას მცდელობა „ჩატეხილი ხიდის“ გამთელებისა მას უნაყოფოდ მიაჩნია.

1888 წელს „ივერიაში“ (№58) ქვეყნდება მიხეილ ხელთუფლიშვილის წერილი „რამდენიმე შენიშვნა შესახებ ილ. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივისა“. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ იგი მიზნად არ ისახავს მეცნიერული ნარკვევის შექმნას, არამედ მხოლოდ თავისი, როგორც რიგითი მკითხველის შთაბეჭდილებათა გადმოცემას.

მ. ხელთუფლიშვილის პირველი შენიშვნა ნაწარმოების მთლიანობას, მის კომპოზიციურ შექრულობას უკავშირდება. იგი მიიჩნევს, რომ მოთხრობას აკლია მხატვრული სისრულე, იგი ერთგვარი დაუმთავრებლობის ნიშნითაა აღბეჭდილი და თავისი არსით ვრცელი ამბის ნაწილის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე – დამოუკიდებელი, თვითმყოფადი თხზულებისას.

კრიტიკოსი მოთხრობის ავტორს საყვედურობს შიშველ ტენდენციურობას. მისი აზრით, ნაწარმოების იდეა შენივთებული კი არ არის მის მხატვრულ ქსოვილთან, არამედ თითქოს მასზე გარედანაა მიბმული. მ. ხელთუფლიშვილის აზრით, „ოთარაანთ ქვრივი“, „ერთ სუსტ, ტენდენციურ მოთხრობას წარმოადგენს, რომლის ნაწილები თეთრის ძაფით არიან შებლადულნი“ [ხელთუფლიშვილი, 1888: 1].

ისევე როგორც მისი წინამორბედი კრიტიკოსები, მ. ხელთუფლიშვილიც გაკვირვებულია მოთხრობის მწერლისეული დასათაურებით: „რად პქვიან ამ მოთხრობას „ოთარაანთ ქვრივი“, როდესაც-რომ მოქმედნი კაცი ამ მოთხრობისა, – თუ კი ისინი არიან, – სხვანი არიან, და არა ოთარაანთ ქვრივი?“ [ხელთუფლიშვილი, 1888: 2]. ამ განცხადებასთან აშკარა წინააღმდეგობაში

მოდის კრიტიკოსის აზრი, რომ ოთარაანთ ქვრივის სახით ილია ჭავჭავაძემ მოახერხა შეექმნა ჩვენი ყოფიდან ამოზრდილი, ღრმად ეროვნული და სახასიათო ტიპი და მალე „ოთარაანთ ქვრივი“ „საზოგადო სახელად გარდაქცევა, და, სადაც შევხვდეთ ცხოვრებაში ოთარაანთ ქვრივს, ჩვენ ადგილად ვიცნობთ, „ო, ნოლიდედ, ნათლიდედ!“ – მხიარულად მივეგბებით, როგორც ძველ ნაცნობს; ოთარაანთ ქვრივი ამიერიდამ დაიჭერს საპატიო ადგილს ჩვენი ლიტერატურის და იმ გვარი უკვდავ ტიპთა შორის, როგორნიც არიან ლუარსაბ თათქარიძე და დარეჯანი“ [ხელთუფლიშვილი, 1888: 3].

რეალისტურ სახედ მიაჩნია კრიტიკოსს გიორგიც, რომელიც იმავე ცხოვრების „ოთარნეშია გამოცხობილი“, რომელშიც ოთარაანთ ქვრივი, „იმ გვირისტიო არის შეკერილი, რომელიც მარტო ბუნებამ იცის“. კრიტიკოსის თქმით, იგი ხალხის წიაღიდან გამოსული გმირია, მასთან ღრმად დაკაგშირებული. თავისი პირნათლობით, პატიოსნებით, გამრჯელობით გიორგი ქართველი გლეხის იდეალურ სახედ გვევლინება, რომელიც „ცხოვრების ძირიდამ ამოღებული“.

მ. ხელთუფლიშვილის კეთილგანწყობას ნაკლებად მსახურებს არჩილი. მართალია, თავადიშვილს აქვს გარკვეული დადგებითი თვისებები და მასში, ერთი მხრივ, იკვეთება მისწრაფება გლეხებთან დაახლოებისა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კრიტიკოსი ფიქრობს, რომ „განათლებას ვერ მოუკლავს არჩილში თავადის მედიდური შეხედულება გლეხზე, როგორც ამაზე მოწმობის X ხანას თვით სათაური“ [ხელთუფლიშვილი, 1888: 2]. არჩილი, კრიტიკოსის დასკვნით, სქემატური პერსონაჟია, რომელსაც ავტორი თავისი თვალსაზრისის გამხმოვანებლად იყენებს. ასეთივე სქემატურ სახედ ეჩვენება კრიტიკოსს არჩილის და კესორც: „კესო კიდევ უფრო განყენებულად და ბუნდად არის გამოხატული, მინამ არჩილი“ [ხელთუფლიშვილი, 1888: 3].

მიხეილ ხელთუფლიშვილის წერილი ფასეულია ერთი დაკვირვების გამო. კრიტიკოსი მარჯვედ ახერხებს მიაგნოს იმ მიზეზს, რაც ხიდჩატეხილობის მთავარ მიზეზად გვევლინება და რისი დაძლევაც არის სწორედ ხიდის გამოყელების საფუძველი. ესაა ხოციალურ ფენებს შორის კულტურული დაშორება. როგორც აღინიშნა, ჯერ კიდევ ნიკო ნიკოლაძეს მიუთითებია ამ ფაქტორზე. მ. ხელთუფლიშვილი კიდევ უფრო გარკვევით საუბრობს აღნიშნულ საკითხზე: „განა აქ მოყვანილ ორ წოდებათა წარმომადგენელთა შორის დაშორებულობა, ერთისგან მეორის გაუგებლობა მარტო „სისხლ-ხორცის“, „გვარიშვილობის“, „გულის“ ბრალია? ამ გვარივე განწყობილებაში არ იქნებოდნენ გაუნათლებელი და ზედათად-განათლებული გლეხი, გაუნათლებელი და ზედათად-განათლებული თავადი? განა იმგვარივე ჩატეხილი ხიდი არ იქნებოდა იმათ შორის?“ [ხელთუფლიშვილი, 1888: 3].

შ. დავითაშვილის მსგავსად მ. ხელთუფლიშვილსაც უფუნქციო პერსონაჟად ეჩვენება სოსია მეწისქილე, მისი სიყვარულიც ოთარაანთ ქვრივისადმი დიდ გაუგებრობად მიაჩნია, რომელიც უფრო კომიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს, იმის მაგივრად, რომ კითხველში თანალმობის განცდა აღძრას. ვერც შ. დავითაშვილმა და ვერც მ. ხელთუფლიშვილმა ვერ შეძლეს სოსია მეწისქილის მხატვრული სახის ფუნქციის გაანალიზება. არადა, სინამდვილეში ხომ ამ პერსონაჟს ნაწარმოებში მეტად საგულისხმო დატვირთვა ენიჭება (მოგვიანებით უზუსტესად ამოიცნობს ამას კიტა აბაშიძე). სოსიას თავგადასავალი ხომ იმ თვალსაზრისისს ნათელი დადასტურებაა, რომ ხიდჩატეხილობის პრობლემა მხელოდ განსხვავებული სოციალური წრის ინდივიდთა შორის არ არსებობს და მას შეიძლება ერთი და იმავე სოციალური წოდების ადამიანთა შორისაც შევხვდეთ.

„ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ გამოქვეყნებული წერილებიდან აღსანიშნავია სტეფანე ჭრელაშვილის „მცირე შენიშვნა „ოთარაანთ ქვრივის“ გამო“, რომელიც „ივერიის“ რამდენიმე ნომერში, გაგრძელებებით დაიბეჭდა 1888 წელს. ნაშრომი საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ ს. ჭრელაშვილმა გაითვალისწინა მისი წინამორბედი კრიტიკოსების შეხედულებები ილიას მოთხოვობის შესახებ და თავისი თვალსაზრისის გადმოცემაც მათთან პოლემიკის კონტექსტში სცადა.

სტეფანე ჭრელაშვილი აღნიშნავს, რომ მოთხოვობაზე დაწერილ რეცენზიათა სიმრავლე უკვე თავისთვად მიუთითებს მის დირებულებაზე, რადგანაც „ოთარაანთ ქვრივმა“ საუბრის, მსჯელობის საღერღელი აუშალა დიდა თუ მცირეს: „თქვენა ხედავთ, რომ ზოგი ეკამათება ავტორს, მაგეთი სახელი რად დაუძახე მოთხოვობასაო, ზოგი ემდურება – მაგეთი სიყვარული შეუძლებელიაო, ზოგი რას ამბობს და ზოგი რას. მაგრამ ყველას კი ეტყობა, რომ ლაპარაკის მადაზედ მოსულა, ყველას რაღაც მოჰვედრია გულსა და ჭკუაში და ამიტომ უნდა პასუხის გაცემა“ [ჭრელაშვილი, 1957: 337].

წინარე კრიტიკული წერილებიდან ს. ჭრელაშვილი შედარებით მაღალ შეფასებას მ. ხელთუფლიშვილის სტატიას აძლევს, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ „მთელი კრიტიკული ძალა ამ მწერლისა დახარჯულია რაღაც წვრილმანებზე, გარეგნობაზე და სიტყვების გაცვლა-გამოცვლზე“ [ჭრელაშვილი 1957: 330].

ძალზე მარჯვედ ამჩნევს კრიტიკოსი მიხეილ ხელთუფლიშვილის მსჯელობის შინაგან წინააღმდეგობას, როდესაც ეს უკანასკნელი მოთხოვობის სათაურის შეუსაბამობაზე საუბრობს: „ბ-ნი ხელთუფლიშვილი თითონვე გვარწმუნებს, რომ ოთარაანთ ქვრივი ისე ხელოვნურად არის ამოთვალ-თვალებული ჩვენის ცხოვრებიდან, რომ სადაც-კი ტიპის წარმომადგენელს შექმნდები, მხიარულად მიეგებები: „ო, ნათლიდედ, ნათლიდედო“, როგორც ჩვენს ძველ ნაცნობსაო, – მაგრამა ამსთანავე საშინლად უკვირს, რად დაარქვა ჭაფჭავაძემ თავის მოთხოვობას „ოთარაანთ ქვრივიო“. თითონ კრიტიკოსი გვეუბნება, რომ ქვრივის ხასიათი ბევრით უფრო ცხოვლად არის დახატული, ვიდრე სხვა გმირებისაო, და თითონვე უკვირს მოთხოვობის სახელი“ [ჭრელაშვილი 1957: 332-333]. უზუსტესი შენიშვნაა, რომელშიც კრიტიკოსის აზროვნების სისხარტე შესანიშნავად ვლინდება.

ს. ჭრელაშვილი პასუხობს მ. ხელთუფლიშვილის სხვა, უხეირო შენიშვნასაც მოთხოვობის უკანასკნელი თავის დასათაურებასთან დაკავშირებით (თუ რატომ ჰქვია მოთხოვობის უკანასკნელ თავს „ეძახის“) „ვისაც-კი მისხლის თდენა ჭკუა მოექმნება თავში, ყველამ გაიგო, რომ აქ მომავალდავი ოთარაანთ ქვრივი ელაპარაკებათავის გიორგის სულს, და ყველაზედაც შთაბეჭდილება მოახდინა ამ საშინელმა სურათმა დედა-შვილობის სიყვარულისამ. ვინც ვერ გაიგო, და აბა იმას რა წამალი დაედება!“ [ჭრელაშვილი, 1957: 336-337].

სტეფანე ჭრელაშვილის თქმით, ამ მოთხოვობით მწერალმა გვიჩვენა ქართული საზოგადოების სულიერი ევოლუცია ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. ლუარსაბმა და დარეჯანმა თავიანთი ადგილი არჩილსა და კესოს დაუთმეს, დათოსა და ლამაზისეულის ადგილი კი ოთარაანთ ქვრივმა და გიორგიმ დაიკავეს. საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების ერთ-ერთი ნიშანი, კრიტიკოსის თქმით, არის თუნდაც შრომის საკითხისადმი გლეხობის დამოკიდებულების აშკარა ცვლილება, რაც სათანადოდაა ასახული „ოთარაანთ ქვრივში“.

კრიტიკოსები თითქმის ერთხმად და ერთსულოვნად საყვედურობდნენ ილიას, რომ მან არ გვიჩვენა გიორგის გულში სიყვარულის აღძვრისა და განვითარების პერიპეტიები. ს. ჭრელაშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ ეს სრულიადაც არ წარმოადგენს არსებით ფაქტორს მოთხოვობაში და „ალბათ ისეთის თვისებისა ნახა გიორგიმ კეხო, რომ დირსად სცნო თავის სიყვარულისა, ჩვენთვის ისიც საკმარისია, რომ პირველი და უკანასკნელი გრძნობა სიყვარულისა გამოწვია კეხომ. როგორ მოხდა, სად შეემთხვა და რად მოხდა ეს ასე, ეგ ყველამ თავისათვის წარმოიდგინოს, თუ ეხალისება“ [ჭრელაშვილი 1957: 356].

საინტერესოა ს. ჭრელაშვილის აზრი ნაწარმოების პერსონაჟებზე, განსაკუთრებით არჩილის შესახებ. არჩილი, კრიტიკოსის თქმით, შესაძლოა ცოტა მკრთალი სახეა, მაგრამ იგი კეთილგონიერი, შემეცნების მოყვარე ადამიანი ჩანს, რომელსაც უყვარს ფაქტებში ჩაძიება, მიზეულებელი კავშირთა კალევა, იგი მჭვრეტელია თავისი ბუნებით. კრიტიკოსი მკითხველს ყურადღებას მიაპყრობინებს ერთ გარემოებაზე, რომელიც თითქოს თვალში არ ხვდება მას, მაგრამ ბევრს გვეუბნება არჩილის მდიდარ სულიერ სამყაროზე. ის გარემოება, რომ ნასწავლი, პერსპექტიული ახალგაზრდა კაცი უარს ამბობს ქალაქში ცხოვრებაზე და სოფელში სახლდება, მითითებს მის შინაგან დირსებაზე, უბრალოებაზე. წინამორბედი კრიტიკოსებისაგან განსხვავებით სტეფანე ჭრელაშვილი ცდილობს წარმოაჩინოს არჩილის დადებითი თვისებები, რომელიც მათ უსამართლოდ უგულებელჲყვეს. მართალია არჩილი თავისი ბუნებით ცოტა იღეალისტია, მაგრამ ეს მის არაპრაქტიკოსობაზე როდი მეტყველებს: „ის როდი სჯერდება მარტო კრიტიკას, იმას არა თუ არ მოსწონს საქციელი წარსულის თაობისა, არა თუ მხოლოდ აზრით ამტყუნებს დათიკოებს, არამედ კიდევაც განუზრახავს საქმითაც იმოქმედოს სრულებით წინააღმდეგ დათიკოებისა და ასეც ირჯება“ [ჭრელაშვილი, 1957: 380].

სტეფანე ჭრელაშვილის წერილი გამორჩეულია ობიექტურობითა და პროფესიული კეთილსინდისიერებით. ს. ჭრელაშვილმა შეძლო, რომ არგუმენტირებული პასუხი გაეცა მისი წინამორბედი კრიტიკოსების ტენდენციური მსჯელობისათვის და წარმოეჩინა „ოთარაანთ ქვრივის“ მხატვრული დირსება.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ილიას თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკამ მთლიანობაში ვერ მოახერხა სათანადოდ შეეფასებინა „ოთარაანთ ქვრივის“ პრობლემატიკა და მხატვრული მხარე. ზოგიერთი კრიტიკოსი აშკარა ანტიპათიით შეხვდა ნაწარმოებს, რაც მათი იდეოლოგიური პოზიციიდან გამომდინარეობდა. შ. დავითაშვილი და დ. კეზელი აშკარად ხალხოსნური პოზიციებიდან აკრიტიკებდნენ ნაწარმოებს და მათვის მიუღებელი იყო სოციალურ ფენათა კონსოლიდაციის კონსოლიდაციის ილიასეული ფორმულა.

კრიტიკოსთა ძირითადი შენიშვნები ეხებოდა ნაწარმოების დასათაურებას, ცალკეულ პერსონაჟთა სქემატურობას და ზოგიერთი მონაკვეთის არასათანადო მხატვრულ მოტივირებას. მართალია, ეს შენიშვნები უმრავლეს შემთხვევაში არ არის სამართლიანი, თუმცა საყურადღებო და ანგარიშგასაწევია იმ თვალსაზრისით, რომ გვითვალსაჩინოებს ილიას შემოქმედებისადმი ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების მიმართების თავისებურებებს და ზოგად წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი ქართული კრიტიკის საერთო დონესა და მიზანდასახულობაზე. „ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ გამოქვეყნებული წერილებიდან უდავოდ გამორჩეულია ახალგაზრდა ლიტერატორის სტეფანე ჭრელაშვილის პუბლიკაცია, რომელიც

უპირისპირდება მისი წინამორბედი კრიტიკოსების შეფასებებს და რომელშიც საღველისხმო არაერთი დაკვირვებაა წარმოდგენილი.

დამოწმებანი:

დავითაშვილი 1887: დავითაშვილი შ. „ჩატებილი ხიდი“: „ოთარაანთ ქვრივის“ -ს ბ. ილია ჭავჭავაძის მოთხოვობის შესახებ / მკითხველის შენიშვნები. ტფილისი, გრ. ჩარკვიანის სტამბა, 1887.

ქეზელი 1888: სოსლანი, დ. [ქეზელი დავით]. კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“: (მოთხოვობა ილ. ჭავჭავაძისა), ტფილისი, მიხელსონის სტამბა, 1888.

მანსვეტაშვილი 1987: მანსვეტაშვილი ი. მოგონებანი, წიგნში: მოგონებები გარდასულ დღეთა – ილია, თბილისი, „მერანი“, 1987.

მინაშვილი 2018: მინაშვილი ლ. მწერლის იდეური ჩანაფიქრის გამოხატვის თავისებურება ილია ჭავჭავაძის პროზაში, უკრნ. „მწიგნობარი“, №18, 2018.

ჭრელაშვილი 1957: ჭრელაშვილი ს. მცირე შენიშვნა „ოთარაანთ ქვრივის“ გამო, წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია), თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1957.

Soslan Surmanidze

Ilia Chavchavadze's "Otaraant widow" and Literary criticism

Abstract

„otaraant widow" Ilia's prose of the iceberg. In this work in its totality, revealed Ilia creative craftsmanship, artistic modeling characters peculiar manner, the original narrative, original style. Our current goal is to show how the widow met „otaraant" Ilia kaartuli modern literary criticism as assessment of the work a, how to get into touch at the time of the problems critics of the story and ideological thoughts, what they are thinking and what sadgheisoda are significant - less unbearable and unacceptable. we can say that Ilia modern literary criticism as a whole failed to adequately assess the widow „otaraant" problems and artistic side. kritkiosta remarks were made on the work of the main title, some of the characters and some parts of the improper sketchiness artistic motivation. Although these notes are in most cases is not fair, but challenging and interesting in the sense that in the work of Georgian literature and society gvitvalsachinoebs Ilia thinking towards nature and open a window on the demand of Georgian criticism of the level and determination.

რეცენზენტი: პროფ. ს. სიგუა

ლიტერატურათმცოდნეობა Literature

მეგი შალიკიანი-სხირელი

ქუთაისი, საქართველო

მარაოს სიმბოლურ-ნომინაციური ფუნქცია და უაილდისეული დრამის სიმბოლურ-ნომინაციური ველი


დიალოგთა სიუჟეტურ, ქრონოტოპულ და საკუთრივ ენობრივ ასპექტებთან უწყვეტი კავშირის ფარგლებში დგინდება არა მხოლოდ მარაოს სიმბოლური ფუნქცია, არამედ ამ ფუნქციის დინამიურად ამხახველი კელიც. იხახება მარაოს ფუნქციურ-სიმბოლური კელის დინამიურ-ეტაპობრივი სტრუქტურაც: მარაოს როგორც სიმბოლოს ღია ტექსტობრივი და ქვეტეტური გამოხატულება, ამ გამოხატულების პოზიციური და ნეგატიური მოცემულობა და ამ მოცემულობათა ურთიერთმიმართების შესაძლო გაურკვევლობაც.

დიალოგურობის სამი ნიშანი – ენობრივი, სიუჟეტური და ქრონოტოპული განზომილებები - ბუნებრივია, მნიშვნელოვანია ყველა დრამატული ტექსტისათვის და შესაბამისად, ისეთი უაილდისეული დრამისთვისაც როგორიცაა “ქალბატონ უინდერმიერის მარაო”. მაგრამ უაილდის პიესებს შორის იგი განსხვავდება შემდეგით: უკვე პიესის სათაურში გვაქვს სიტყვა (კონკრეტულად კი – არსებითი სახელი), რომელიც სიმბოლურად ასახავს დრამის სიუჟეტს. რომ არა ამ სიტყვის სიმბოლური მნიშვნელობა, წარმოუდგენელი იქნებოდა სათაურშივე მისი ასეთი მოცემულობა. ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, სიტყვა მარაოს. ეს სიმბოლური მნიშვნელობა კი შემდეგი ორი თვალსაზრისით უნდა გავიაზროთ: ა) დაგუკავშიროთ მარაო როგორც სიტყვა და როგორც არსებითი სახელი ისეთ ენობრივ ფენომენს, როგორიცაა ნომინაცია, ანუ სიტყვის როგორც ენობრივი ერთეულის ნომინაციურ ფუნქციას; ბ) სიტყვის, ამ შემთხვევაში კი ისეთი არსებითი სახელის, როგორიცაა მარაო, ნომინაციურ ფუნქციაზე როგორც უაილდისეული დრამის ფენომენზე დაყრდნობა შესაძლებელი და გააზრებული იქნება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ მარაოს სიმბოლური ფუნქცია შინაარსობრივად დაუკავშირდება ქრონოტოპის როგორც კულტურული ფენომენის ფუნქციას. სხვანაირად რომ ვთქვათ, უაილდისეულ დრამატულ დიალოგთა

ლინგვიკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ამ ორი კონცეპტის – ქრონოტოპისა და გერბალური სიმბოლოს – სინთეზირების გზით.

სიმბოლური ნომინაციის როგორც მხატვრული-ესთეტიკური და კულტურული ფენომენის კვლევა მოცემულია ისეთი ნაშრომის ფარგლებში, როგორიცაა ნინო მატარაძის “მხატვრული დეტალი როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და ქვეტექსტური სემანტიკა მეოცე საუკუნის მხატვრულ ციკლში” (მატარაძე 2005). ვფიქრობთ, ჩვენი კვლევითი კონტექსტის გათვალისწინებით ჩვენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს ნ. მატარაძის მიერ ჩატარებული კვლევის ორი შემდეგი მომენტი: ა) ის დინამიური სქემა, რომელიც ასახავს მხატვრული დეტალის მხატვრულ სიმბოლოდ ქცევის პროცესს და ბ) ხსენებული ავტორის მიერ გამოკვლეული ის კავშირი, რომელიც უნდა არსებობდეს ხსენებულ სქემასა და საკვლევი მხატვრული ტექსტის ქვეტექსტს შორის.

მხატვრული დეტალის მხატვრულ სიმბოლოდ ქცევის პროცესის დინამიური სქემა



ბ) როგორც უკვე ითქვა, ხსენებული ნაშრომის მიხედვით სიტყვის მიერ შესრულებული სიმბოლური ნომინაცია საბოლოო ანგარიშში უკავშირდება ისეთი სიღრმის ქვეტექსტს, როგორიცაა ეგზისტენციალური ქვეტექსტი. ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანიც უნდა იყოს იმის დადგენა, თუ როგორ უნდა იყოს ამ სიტყვიერი სიმბოლოს ქვეტექსტური მნიშვნელობა. სწორედ ამგვარი ამოცანიდან გამომდინარე ჯერ მოყიდვაზე შესაბამის ციტატას, რომლის თანახმად მხატვრულ ტექსტში დეტალის სიმბოლოდ ტრანსფორმირებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს საზრისი და გამართლება, თუ მის შედეგად მივიღებთ უფრო ღრმა ქვეტექსტურ სემანტიკას: სიმბოლო ინარჩუნებს დეტალის მიერ შექმნილ ქვეტექსტურ სემანტიკას, მაგრამ, ამასთან, თვისობრივად გარდაქმნის მას მისთვის სრულიად ახლებური სიღრმის მინიჭების გზით. სიტყვიერი სიმბოლოს მიერ მინიშნებული ქვეტექსტის კონცეპტუალიზაცია ვცადეთ ეგზისტანციის ცნებაზე დაყრდნობით. გამოვთქვით მოსაზრება, რომ მხატვრული დეტალისაგან განსხვავებით, მხატვრული სიმბოლო მიუთითებს არა უბრალოდ შინაგან, არამედ ეგზისტენციალურ ქვეტექსტზე (ბენფილდი 1982 : 8).

როგორც ქვეტექსტის სიმბოლურ ნომინაციასთან დაკავშირებულმა მნიშვნელობამ დაგვანახა ამგვარი ქვეტექსტი შინაარსობრივად უკავშირდება ეგზისტენციის ფენომენს. “ეგზისტენცია” კი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს თანამედროვე ფილოსოფიის ერთ-ერთ

ძირითად ტერმინ-კონცეპტს. “ეგზისტენციის” როგორც ტერმინის მნიშვნელობა კი მისი როგორც სიტყვის ლექსიკონური მნიშვნელობისგან განსხვავებით უკავშირდება ადამიანს. როგორც გერმანელი ფილოსოფოსი ოტო ბოლნოვი წერს, ეგზისტენცია წარმოადგენს რადიკალურად ადამიანური გამოცდილების ფილოსოფიურ გამოხატვას (ბოლნოვი 1999 : 36) და განაგრძობს რა ამ ცნება-ტერმინზე მსჯელობას, ავტორი ამბობს, რომ ისეთ ცნებაზე დაყრდნობით, როგორიცაა ეგზისტენციალური არსებობის ცნება, გამოიხატება ადამიანის უშინაგანესი ბირთვი მისი ზღვრული და უპირობო საზრისით (ibid. : 36). სიმბოლური ნომინაცია იძენს ეგზისტენციალურ საზრისს იმ შემთხვევაში, როცა სიტყვა სიმბოლური ნომინაციური ფუნქციით იძენს ქვეტექსტის მინიშნების ფუნქციას, ანუ ქვეტექსტურ სემანტიკას. ეს კი ჩვენს კვლევით კონტექსტში უნდა ნიშნავდეს შემდეგს: თუ სიტყვა **მარაოს** მივანიჭებოთ სიმბოლურ მნიშვნელობას, მაშინ ამ სიტყვამ უნდა შეიძინოს ის ეგზისტენციალურ-ქვეტექსტური მნიშვნელობა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა მსჯელობა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ ეგზისტენციალურ-ქვეტექსტური მნიშვნელობის აღქმა და გაგება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ დავუყრდნობით სიმბოლური მნიშვნელობის ქმნადობის მატარაძისეულ დინამიურ სქემას. თუმცა, ამავე დროს, თუ კვლავაც დავუყრდნობით ისეთ ფენომენთა განუყოფლობის იდეას, როგორიცაა ქრონოტოპი, სიმბოლური ნომინაცია და ქვეტექსტი, უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ სიმბოლური ნომინაციის, არამედ ასევე იმ “სიმბოლურ-სემანტიკური ველის” ცნებას, რომლის შესახებაც მსჯელობს ერვალე ჩიგოგიძე ნაშრომში “სიმბოლური ნომინაცია როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და სიმბოლურ-სემანტიკური ველი მხატვრულ ნარატივს ტექსტში” (ჩიგოგიძე 2005).

ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანიც შემდეგნაირად იკვეთება: ვცდილობთ ადვიქვათ უაილდისეული დრამა ინტეგრალურად გაგებული ტემპორალობის ნიშნით – დრამატული სიუჟეტის დრო, დიალოგთა რეპლიკურ სტრუქტურაში გამოვლენილი საკუთრივ ენობრივი დრო და ქრონოტოპი. უაილდის დრამაში ხდება ხსენებული ინტეგრალურად გაგებული ტემპორალობის გამოხატვა სხვანაირადაც – სახელდობრ სიმბოლურ-ნომინაციური ფორმით. ამ ფუნქციას ასრულებს ლექსემა **მარაო** და მისი ეს ფუნქციური დატვირთვა ვლინდება უავე დრამის სათაურშივე. მაგრამ, შეიძლება ითქვას, უაილდისეულ დრამაში ქრონოტოპულად აღქმული დროის დომინირება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი მთლიან და ამავე დროს თანამიმდევრულ გამოხატულებას პოვებს სიმბოლურ ნომინაციაზე დაყრდნობით. მაგრამ, ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორი უნდა იყოს უკვე ხსენებული სიმბოლურ-ნომინაციური ლექსემის (მარაო) პოტენციალი იმისათვის, რომ განახორციელოს – უკვე განსხვავებული, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი ფორმა-შინაარსით – უაილდისეული დრამის ზემოთხსენებული და ამავე დროს ქრონოტოპის დომინანტობით აღბეჭდილი ტემპორალობა? როგორც უკვე მივანიშნეთ, ხსენებული პოტენციალი ვლინდება იმით, რომ მარაოსეული სიმბოლური ნომინაცია დრამაში ვლინდება როგორც კონცეპტის ამგვარ გამოყენებას ველის თეორიაზე დაყრდნობით ახორციელებს ე. ჩიგოგიძე ზემოთ

მინიშნებულ ნაშრომში, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ხსენებული ავტორი ამ შემთხვევაში ეყრდნობა არა მხოლოდ გელის თეორიას, არამედ სიმბოლური ნომინაციის იმ კონცეფციასაც, რომელიც, როგორც უკვე ვიცით, განვითარებული აქვს ნ. მატარაძეს. აქედან გამომდინარე კი უნდა დავსვათ კითხვა იმის თაობაზე, როგორ უნდა გამოიყერებოდეს უაილდისეულ დრამაში მარაოს ლექსიკურ-სემანტიკური ველი და უნდა იყოს თუ არა ეს ველი შინაგან თანხვედრაში დროითობის ჩვენს მიერ გაანალიზებულ ფენომენთან. იქედან გამომდინარე, რომ უაილდისეულ დიალოგთა ანალიზის პროცესში იკვეთება ამ დიალოგთა ორი განზომილება – ტემპორალური და სიმბოლური, აუცილებელი ხდება იმის თქმაც, რომ ორივე ეს განზომილება უნდა იქნეს მოყვანილი დინამიურ და სტრუქტურულ ურთიერთმიმართებაში. რაც შეეხება საკუთრივ ამ ურთიერთმიმართებას, დიალოგთა ტემპორალური განზომილება და კონკრეტული იქნა სიუჟეტურ, ქრონოგრაფულ და საკუთრივ ენობრივ ასპექტთა გამოყოფისა და ურთიერთდაკავშირების გზით. მარაოს სიმბოლური ფუნქცია დრამაში “ფორმდება” ველის სახით და მინიშნებულია თვით ამ ველის დინამიური სტრუქტურაც: ეს ველი შეიძლება იყოს ლიად და ქვეტექსტურად მოცემული, შეიძლება ატარებდეს პოზიტიურ და ნეგატიურ ხასიათს და ა. შ. მაგრამ სწორედ იმის გათვალისწინებით, რომ დიალოგთა სიმბოლური განზომილება ისევე მნიშვნელოვანია როგორც მათი ტემპორალური განზომილება, საჭირო ხდება იმის შემდგომი განმარტებაც თუ როგორი უნდა იყოს და რას უნდა ნიშნავდეს მოცემულ შემთხვევაში სიმბოლური ველის მოცემულობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა გადავდგათ სწორედ სიმბოლურ-ნომინაციურ ველთან დაკავშირებული შემდეგი ორი ურთიერთდაკავშირებული ნაბიჯი: ა) უნდა გავიხსენოთ ის, როგორ უკავშირდება ერთმანეთს კვლევით ლიტერატურაში, ერთის მხრივ, სიტყვის სიმბოლური ფუნქციისა და სიმბოლურ-ნომინაციური ვეილს კონცეფციები და ბ) რაც ჩვენი კვლევისათვის უფრო მნიშვნელოვანი, დავუკავშიროთ მარაოს სიმბოლურ-ნომინაციური ველი დიალოგთა სამსაპექტოვან ტემპორალურ განზომილებას. ამით კი, ვფიქრობთ, რამდენადმე მაინც მიღწეული იქნება უაილდისეულ დიალოგთა ის გამოლიანებული ხედვა, რომელსაც გამოვხატავთ ჩვენს კონცეპტუალურ შედეგთა დინამიური მოდელირების გზით.

ლიტერატურა:

1. ბენფილდ 1982 - Banfield Ann. (1982). *Unspeakable Sentences: Narration and Representation in the Language of Fiction*, Boston; Routledge Kegan Paul. London
2. ბოლნოვი 1999 –Больнов О.(1999) Философия экзистенциализма; Санкт-Петербург.
3. მატარაძე 2005 – ნინო მატარაძე, “მხატვრული დეტაილ როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და ქვეტექსტური სემანტიკა მეოცე საუკუნოვან მხატვრულ ციკლში”, თბილისი, 2005.

4. ჩიგოგიძე 2005 – ჩიგოგიძე ე. (2005). “სიმბოლური ნომინაცია როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და სიმბოლურ-სემანტიკური ველი მხატვრულ ნარატივებს ტექსტში”, თბილისი.

Megi Shalikiani Skhiereli

Symbolic function of the fan

Abstract

Within the continuous interrelation of the narrative, chronotope and proper linguistic aspects we determine not just the symbolic function of the fan, but the dynamic field reflecting this function. We also try to outline the dynamic-phased structure of the functional-symbolic field of the fan: the open textual and sub-textual illustration of the fan as a symbol and the positive and negative presentation of this illustration and possible uncertainty of the correlation of the dimensions.

რეცენზენტი: პროფ. მ. ბორისოვა

პედაგოგიკა Pedagogic

იაგონ ბალანჩივაძე

ქუთაისი, საქართველო

ბავშვის ინვარიანტობის წვდომის კვლევა დაწყებით კლასებში

სტატია ეხება ბავშვის აზროვნების განვითარების თავისებურებას, კერძოდ, ინვარიანტობის წვდომას. ბავშვის მიერ ინვარიანტობის ცნების ფორმირების როგორი და მრავალხაფეხურიანი პროცესი ჭ. პიავეგმ აღმოაჩინა. მიღებულია, რომ ბავშვი ნამდვილდად მხოლოდ მაშინ ეუფლება რაოდენობის ინვარიანტობის ცნებას, როდესაც არა მხოლოდ აღნიშნავს რაოდენობის ინვარიანტობას, არამედ ასაბუთებს კიდევ მას.

კვლევა ჩავატარეთ დაწყებითი კლასებში. გამოკითხული 200 ბავშვიდან რაოდენობის ცნების ინვარიანტობა არის 121-თან ანუ 60,5%-თან, ხოლო ცნება არ აქვთ 79-ს ანუ 39,5%-ს, მათ შორის ახლა შეტობას ამბობს 52, ხოლო ნაკლებობას – 28.

ჩატარებული კვლევის მონაცემების გამოყენებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რაოდენობის ინვარიანტობის წვდომა ჩვენს მოხსევლებს კარგად არ აქვთ განვითარებული. მასწავლებლებმა სასურველია, დაგვგმონ კორექციული მუშაობა თვალსაჩინო დიდაჭირი მასალების გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობის მოხსევლით აზროვნების სწორად განვითარებას.

ინტელექტი, გონიერივი განვითარება არის აზროვნებისა და საერთოდ შემცნების დისპოზიციური საფუძველი. გონიერივ განვითარებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს იმ ფსიქიკურ ძალებს შორის, რომლის განვითარების დონეც ბავშვის ასაკობრივი გარემოს შინაარსს განსაზღვრავს. ფსიქიკური განვითარების პროცესს მარტო ინტელექტუალური განვითარების კანონზომიერებათა შესწავლით ვერ ამოვწურავთ, მაგრამ ისიც ნათელია, რომ განვითარების ეს ასპექტი პირველხარისხს უურადღებას მოითხოვს. ბავშვის გონიერივ განვითარებაში ცნობილი შვეიცარიელი ფსიქოლოგი ჟან პიავე გამოყოფს 4 ძირითად სტადიას: სენსო-მოტორული სტადია (0-დან 2 წლამდე); წინაოპერაციული ანუ ოპერაციებამდელი სტადია (2-დან 7 წლამდე); კონკრეტულ ოპერაციათა სტადია (7-დან 11 წლამდე) და ფორმალურ ოპერაციათა სტადია (ვითარდება 11 წლიდან 14-15 წლამდე).

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ ოპერაციებამდელ სტადიაზე. 2 წლის ბავშვთან ადგილი აქვს სიმბოლური ფუნქციის განვითარებას – მეტყველება, სიმბოლური თამაში, გარკვეული ტიპის შინაგანი წაბაზვა, რომელიც წარმოადგენს ხატოვანი აზროვნების

განვითარების საფუძველს. 2-დან 7-წლამდე ბავშვისათვის დამახასიათებელია შექცევითობისა და შემონახვის ცნების უქონლობა. მაგალითად, როდესაც 4-6 წლის ბავშვი ერთი ჭურჭლიდან მეორეში, რომელიც პირველისაგან ფორმით განსხვავდება, გადასხამს სითხეს, ის ფიქრობს, რომ სითხის რაოდენობა იმატებს, თუ მეორე ჭურჭელი პირველთან შედარებით უფრო ვიწრო და მაღალია.

დავაწყოთ მაგიდაზე 6 წითელი ფერის ჟეტონი. შემდეგ მივცეთ ცდის პირს ცისფერი ჟეტონები და ვთხოვოთ დააწყოს იმდენივე ჟეტონი, რამდენიც წითელია. 4-5 წლის ბავშვები შეავსებენ მხოლოდ ჟეტონების სიგრძეს. 5-6 წლის ბავშვები უკელა წითელი ჟეტონის ქვემოთ დადებენ ცისფერს, ე. ი. შეათავსებენ ჟეტონების რაოდენობას. მაგრამ საკმარისია ერთ-ერთი რიგი გავშალოთ, ან შევკრათ და ბავშვი უარყოფს წითელი და ცისფერი ჟეტონების რაოდენობის ექვივალენტობას.

ბავშვის მიერ ინგარიანტობის ცნების ფორმირების რთული და მრავალსაფეხურიანი პროცესი ჟ. პიაუეს მიერ იქნა აღმოჩენილი. მიღებულია, რომ ბავშვი ნამდვილად მხოლოდ მაშინ უფლება რაოდენობის ინგარიანტობის ცნებას, როდესაც არა მხოლოდ აღნიშნავს რაოდენობის ინგარიანტობას, არამედ ასაბუთებს კიდეც მას. რაოდენობის ინგარიანტობის სრულფასოვანი ცნებისათვის სიმტკიცე და სტაბილობაა დამახასიათებელი. ამდენად, ბავშვის შემეცნებითი აქტივობა უნდა განვავითაროთ იმ დონემდე, როდესაც ის შეძლებდა დაუფლებოდა ინგარიანტობის ცნებას.

გონიერივი ოპერაციები, როგორც პიაუემ უჩვენა უმცროს სასკოლო ასაკში კონკრეტულ ხასიათს ატარებს, მაგრამ ყოველი კონკრეტული გონიერივი მოქმედება აგსებს ბავშვის გამოცდილების საცავს და რაც უფრო მდიდარი იქნება ეს უკანასკნელი, მით მეტი მასალა ექნება სუბიექტს ხელთ, ინტელექტუალური განვითარების მომდევნო საფეხურზე.

აზროვნების ამ თავისებურებას უკავშირდება ის გარემოება, რომ საგნებისათვის ფორმის შეცვლის შემთხვევაში ბავშვი ვერ ხვდება მათი მასის უცვლელობას, მათი გაფანტვის ან ერთად თავმოყრის შემთხვევაში რაოდენობის უცვლელობას და სხვა. მაგალითად, დაბალი, ფართო ჭურჭლიდან, მაღალ, ვიწრო ჭურჭელში წყლის გადასხმის შემდეგ ჰგონია, რომ წყლის რაოდენობამ მოიმატა. გაფანტული ბურთულების ერთად შეგროვების შემდეგ ჰგონია, რომ მათი რაოდენობა შემცირდა და ა.შ. ამ მიმართებით მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტი ჩაატარა ჟ. პიაუემ და ამ ექსპერიმენტალურ ფაქტებს მეცნიერებაში „პიაუეს ფენომენები” ეწოდება.

მართალია, თავად პიაუე მიუთითებს, რომ გონიერივი განვითარების კონკრეტულ ოპერაციათა სტადიაზე (7 წლის ზემოთ) ეს ფენომენები დაიძლევა, მაგრამ ჩვენი ყურადღება მიიძყრო იმ გარემოებამ, რომ ზოგიერთ მოსწავლესთან „პიაუეს ფენომენები” სხვა ასაკშიც ვლინდება. ყოველი ცდა ტარდება ინდივიდუალურად. ცდისათვის წინასწარ მომზადებული მაქვს 18 ცალი ერთნაირი ფერის და ზომის დილები, რომლებიც დაწყობილია მცირე ზომის ერთჯერად თევზებე.

ბავშვს პირველად ვაჩვენებ დილებს შეკრებილი სახით, შემდეგ კი მათ გავფანტავ. პროცედურას აქვს სახე: ბავშვს თავდაპირველად განვაწყობ თამაშისათვის, შემდეგ ვთავაზობ: „—მოდი ვითამაშოთ ვინმეს დაბადების დღე, ვისი დაბადების დღე ვითამაშოთ?” ხშირ შემთხვევაში ასახელებენ მეგობრის ან მეზობლის სახელს. ამის შემდეგ კვლავ ვეკითხები: „ვინ

იქნება ამ დაბადების დღეზე ცელქი ბავშვი?” იუბილარისა და ცელქი ბავშვის სახელებით ვთავაზობ სიუჟეტს: „ჩვენ ვართ ბაიას (იგას) დაბადების დღეზე. დედამ დააცხო ნამცხვრები და მოაქეს მაგიდასთან (ვაჩვენებ თევზს და ვუთანხმდები, თითქოს ეს არის ნამცხვრები), უცებ ცელქი გიორგი დაეჯახა დედას და დააყრევინა ნამცხვრები (ამ დროს დილები ისე დავჭარე მაგიდაზე, რომ გაბნეულიყო). ვეკითხები: ახლა უფრო მეტია თუ მაშინ მეტი იყო, როცა თევზზე ეწყო?”. პასუხებს ვინიშნავთ და ვეკითხებით: რატომ ფიქრობთ ასე? პასუხს ვინიშნავთ.


პედაგოგიური დიაგნოსტიკის ჩატარების შემდეგ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შედეგების ანალიზს. სწორედ შედეგების ანალიზით ვეხმარებით ჩვენ მასწავლებელს, რათა დაგეგმოს შესაბამისი კორექციული მუშაობა და გამოასწოროს პრობლემა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ 7 წლიანებში პიაუეს თეორიის შესაბამისად აღარ უნდა ჰქონდეს ადგილი ინგარიანტობის არწვდომას, ანუ „პიაუეს ფენომენს”, მაგრამ გამოკვლევები ამას ასე არ გვიჩენებს. არის შემთხვევები, რომ ინგარიანტობას აღიარებენ, მაგრამ ვერ ადასტურებენ, კიდევ მეტი ამბობენ „ახლა მეტია” და ადასტურებენ, კიდევ უარესია, როდესაც ამბობენ „ახლა ნაკლებია” და ამასაც ადასტურებენ. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელს საკმაოდ დიდი ძალის ხმევა დაჭირდება მდგომარეობის გამოსასწორებლად.

გამოკითხული 200 ბავშვიდან რაოდენობის ცნების ინგარიანტობა არის 121-თან ანუ 60,5%-თან, ხოლო ცნება არ აქვს 79-ს ანუ 39,5%-ს, მათ შორის ახლა მეტობას ამბობს 52, ხოლო ნაკლებობას – 28.

„
პიაუეს ფანომენის” არსებობა დაწყებით კლასებში

კლასი	ახლა ტოლია	ახლა მეტია	ახლა ნაკლებია
IV	45	3	2
III	39	6	5
II	28	17	5
I	9	25	16
სულ	121	51	28

სვეტოვან დიაგრამებს აქვს შემდეგი სახე:



ანალიზის სწორად წარმართვისათვის გამოვყავით სამი ჯგუფი:

1. ბავშვები, რომლებიც აღნიშნავდნენ რაოდენობის ინვარიანტობას და მის ასახსნელად არავითარ სიტყვიერ არგუმენტაციას არ გვაძლევენ;
2. ბავშვები, რომლებიც აღნიშნავენ რაოდენობის ინვარიანტობას და იძლევიან ერთ სიტყვიერ არგუმენტაციას;
3. ბავშვები, რომლებიც აღნიშნავენ რაოდენობის ინვარიანტობას და იძლევიან კარგ სიტყვიერ არგუმენტაციას.

აღსანიშნავია, რომ ინვარიანტობას აღიარებენ, მაგრამ უმეტესად ვერ ხსნიდნენ I და II კლასის მოსწავლეები და დუმდნენ, თუმცა გვიჩვენდა შემთხვევები ზედა კლასებშიც: პირველ კლასში ვერ ხსნიდა 6 მოსწავლე, მე-2 კლასში - 10, მე-3 კლასში - 3, ხოლო მე-4 კლასში - 1. განსხვავებული შედეგები გვაქვს, მაშინ როდესაც ტოლობის ასახსნელად მხოლოდ ერთ სიტყვიერ არგუმენტს იყენებენ, ასეთია გამოკითხულთა პასუხები: პირველ კლასში - 2 მოსწავლე, მე-2 კლასში - 9, მე-3 კლასში - 10, ხოლო მე-4 კლასში - 10. ბავშვების გარკვეული ჯგუფი იძლევა რაოდენობის ინვარიანტობის სრულ დასაბუთებას. შედეგები ასეთია: პირველ კლასში იძლეოდა 1 მოსწავლე, მე-2 კლასში - 9, მე-3 კლასში - 26, ხოლო მე-4 კლასში - 34.

საერთო მონაცემები ასეთია:

კლასი	ახლა ტოლია			ახლა მეტია			ახლა ნაკლებია		
	დუმ	ს	1 არგუმენტირება	დუმ	ს	1 არგუმენტირება	დუმ	ს	1 არგუმენტირება
IV	1	10	34	0	1	2	0	1	1

III	3	10	26	1	2	3	0	3	2
II	10	9	9	9	5	3	2	2	1
I	6	2	1	12	11	2	9	4	3
სულ	20	31	70	22	19	10	11	10	7

ჩატარებული კვლევის მონაცემების ცხრილის გამოყენებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რაოდენობის ინგარიანტობის წვდომა ჩვენს მოსწავლეებს კარგად არ აქვთ განვითარებული, კვლევით კარგად ჩანს - მიუხედავად იმის ჟ. პიაჟე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 7 წლიანებს არ უნდა ქონდეს ინგარიანტობის არწვდომა - ეს ასე არ არის. ჩვენი კვლევა დაეხმარება მასწავლებლებს გააძლიერონ მუშაობა რაოდენობის ინგარიანტობის წვდომის გააზრებასთან დაკავშირებით. გააძლიერონ კორელირებული მუშაობა თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალების გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობის მოსწავლეთა აზროვნების სწორად განვითარებას.

ლიტერატურა:

1. დაწყებითი განათლების ფსიქოლოგია - თბ. 1981წ.
2. კოტებიშვილი ი. – ექსპერიმენტული სწავლების ფსიქოლოგიური შინაარსი დაწყებით კლასებში – თბ. 1987წ.
3. მაღრაძე გ. – ინტერაქტიური მეთოდებით სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლები – ქუთაისი 2001წ.
4. Пиаже Жан – Как дети образуют математические понятия. // Ж. «Вопросы психологии» – 1966г. №9

Iago Balanchivadze

Study of Child's Invariant access in Primary Classes

Abstract

The article deals with the peculiarity of the development of the child's thinking, namely the invariant access. The complicated and multi-stage process of the formation of an invariant concept by the child was found by J. Piaget. It is acceptable that the child really only understands the concept of a number of invariant when it not only points to the number of invariant, but also confirms it.

We conducted research in primary classes. The number of interviews from 200 children is 121, or 60.5%, but the concept does not have 79 or 39.5%, among them is now the increase of 52, and the lack of - 28.

Using the survey data, we can conclude that access to the number of invariants is not well developed for our pupils. Teachers are desirous to plan correctional work using visual didactic materials that will facilitate the development of the thinking of pupils.

პედაგოგიკა Pedagogic

ნინო გელენიძე

ქუთაისი, საქართველო

ზნეობის გაკვეთილები ოტია იოსელიანის ნაზრევში

ოტია იოსელიანი ქართული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მხელი და ტკივილიანი ბაგშვილი პჭონდა, ხოლო სამაგალითო ცხოვრება უფრო მოწამის, დიდი და მძიმე, მაგრამ ამავე დროს საპატიო მისია იყო, ვიდრე ჩვეულებრივი აღამიანისა და შემოქმედისა. უახლეს წარსულში ის ერთადერთი იყო - კუშტი, დაუნდობელი, სამშობლოს უბედურებით გულმოკლელი, თავისი პრინციპების მქონე. არც კომუნისტურ წეს-წყობილებას ეფერებოდა და არც „გოთომ ეროვნულ“ მოღვაწეებს, არც სხვა ქვეყნების აკადემიური იზიდავდა და არც ძვირფასი ვიღები. ამიტომაც მონუსხელები უსმენდებ მას და სჯეროდათ მისი. დიდი ხანი არ გასულა მისი გარდაცვალებიდან, მაგრამ მისი ცოცხალი, იუმორითა და მწვავე სარკაზმით გაზავვებული სიტყვა ენატრებათ, მისი ზნეობრივი გადამდილების ვასი უფრო და უფრო ძეგლ მნიშვნელობას იძენს.

ოტია იოსელიანის ნაზრევი, რომელიც სათავეს არცოუ სახარბიელო სინამდვილიდან იღებდა, საზოგადოებას დღესაც აფხიზლებს, სტიმულსა და ენერგიას მატებს და განაწყობს იმ ბრძოლისათვის, რომელსაც, როგორც მწერალი თავად ამბობდა „ყოველთვის აქვს აზრი“.

მრავალფეროვანი და უხვოემებიანი შემოქმედება დაუტოვა შთამომავლობას, მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო, რაც არ უნდა ეკეთებინა, მისი ტკივილიანი საფიქრალი სამშობლო, მშობელი ხალხი, მშობლიური ენა იყო. „ენა უდრის ერს და მათ შორის ტოლობის ნიშანი უნდა დაისვას!“ ზედმიწევნით ზუსტად და ხატოვნად ასახავს რეალურ ვითარებას, გასაკეთებელსაც გვარნახობს, რადგან სიტყვის დიდოსტატს და მრავალჭირვარამგადახდილ ბრძენებაცს წამს, რომ „ენაა ერის სისხლი, ჯიში და ჯილაგი, წარმომავლობა. რაც ისტორიას დაავიწყდა, ენას ახსოვს. ერები რომ გადაშენდნენ, მათი ენა ცოცხელობს. ენა მკვდარი ერების ძეგლია“.

წუხედა და მისთვის დამახასიათებელი ტქბილ-მწარე პირდაპირობით აცხადებდა: „ენა, რომელზეც „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა, ჩვენს უურნალისტებს არ ყოფნის სათქმელად და საწერად“. და განა მარტო უურნალისტებს? საპატრონოდ და საზრუნვად არა მარტო ენა, არამედ მთელი ქვეყანა მიაჩნდა: „მტრისას, ჩვენ რომ დღეში ვართ... თუმცა ჩვენი ბრძოლის მთავარი იარაღი მაინც სიტყვა... ოდონდ ჯერ სიტყვაზე ვიზრუნოთ!“ ხშირად იმოწმებდა ილიას „ბედნიერ ერს“ და ძალიან აწუხებდა ენის დაბინძურება, ყოველივე არაქართული და

ეროვნული იდენტობის საწინააღმდეგო ქმედება. მტკიფნეულად განიცდიდა ოფიციალური დოკუმენტებიდან მათის სახელის ამოღებას და პროტესტის ნიშნად ახლადგამოცემულ ათტომეულს დააწერა - ოტია შალვას ძე, შალვა ფარნაოზის ძე, ფარნაოზ ბიჭიას ძე იოსელიანი.

ოტია იოსელიანის დატოვებული სახელის უკან ბევრი რამ შეიძლება წაიკითხო. რაც არ უნდა მცირე და „ხელისგულისხელა“ იყოს მისი სიტყვა, წაკითხვა „ვრცლად“ შეიძლება, რადგან თითოეული მისი ნაწარმოები იქმნებოდა ზოგი სარკეში თავის ამოსაცნობად, ზოგიც გულში სიკეთის გასაღვიძებლად, ზოგი სირცხვილის შესაგრძნობად, ზოგიც - სინდის-ნამუსის ძარღვის არგასაწყვეტად, ზოგი - საიმედოდ, ზოგიც - სახეიროდ. მაგრამ ყველაფერი დიდი სიყვარულითა და ჰეშმარიტი რწმენით, რადგან წამდა, „რომ დმერთი სიმართლეა და არ უნდა რწმენას ღრუბლებზე ძებნა, შენს საკუთარ სიწმინდესა და სიკეთეში ეძიეს“.

ოტია იოსელიანი მაღალი მოქალაქეობრივი პასუხიმგებლობის მქონე იყო, როგორც მწერალი, საზოგადო მოღვაწე და რიგითი ჩვეულებრივ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამიტომაც უყვარდათ, უსმენდნენ და პატივს სცემდნენ. „მწერლებმა უნდა მივცეთ მაგალითი ხალხს, ჩინ-მედლები გამოგონილი იყო ჯარისკაცებისათვის... ახლა რად უნდა მწერალსა და ბრძენს ჩინ-მედლები?!" - გაკვირვებული კითხულობდა, როცა 80 წლის ასაკში ილიას პრემიით აჯილდოვებდნენ.

მწერალი და შესაშური სახელმწიფო უნივერსიტეტი მოაზროვნე ოტია იოსელიანი იმითაც იყო გამორჩეული, რომ მისი ცხოვრების წესისათვის პომპეზური ზეიმები და იუბილეები მიუღებელი იყო. იგი მხოლოდ საქმიანი, საინტერესო შეხვედრების მოწყობაზე თანხმდებოდა. ამ შეხვედრებზე კი მისი „ავი მუსაიფი“ იყო დასტური იმისა, რომ ამ ქვეყნად შრომისა და ოფლისდვრის გარეშე არაფერი იქმნება... მისი განვლილი ცხოვრებაც ამაზე მეტყველებს, იოლად არაფრისთვის მიუღწევია. შფრთავდა და მწვავდ განიცდიდა ადამიანის გაზარმაცებას და შრომისადმი აგდებულ დამოკიდებულებას. „შენ უნდა მოიწიო შენი სარჩო, შრომა არ უნდა გეთაკილებოდეთ. დამოუკიდებელი სახელმწიფო დამოუკიდებელი ადამიანებისგან უნდა შედგებოდეს. პურის ნატეხისათვის სხვის ხელში შეჩერებულმა ხალხმა არ შეიძლება თავისუფლებას და კეთილდღეობას მიაღწიოს“. გამათხოვრებულ სიძლიერეს შიმშილზე უარესად თვლიდა.

სამშობლოს სიყვარულს გამოხატავდა არა მარტო სიტყვით, საქმითაც. გარშემომყოფთაგან დაუზარებ შრომას ითხოვდა და თვალით ასეთი იყო. სოფელს ვერ დაშორდა, იქ დასახლდა, მიწასთან ახლოს რომ ყოფილიყო. მზეს საქმესთან ხვდებოდა, „საქმესთან მისვლაა ძნელი, თორემ მერე თვითონ წაგიდებს... ეს მხოლოდ ჩემი ჩვევა კი არაა, ყველა ქართველ კაცს პქონდა“. ადამიანი მიწის შვილად მიაჩნდა და თუ დედას მოწყდება, „ყველა და ყველაფერი დედინაცვლად ექცევა“.

განიცდიდა და შეუფასებლად ვერ ტოვებდა სახელმწიფო მოხელეთა ბაქიობას, მატყუარობასა და ხალხის უპატივცემულობას, თვალში ნაცრის შეყრას: „გამოდისარ და მეუბნები, ვაშენებ ქვეყნასო, კი მაგრამ მე ისე შტერი ვარ, ვერ დევინახე ეს აშენებული ქვეყნა?!" - ამბობს მწერალი და წუხს, „სავარძლებში რომ სხედან და აქცევენ ქვეყნას“...

ოტია იოსელიანი არჩევნების ავ-კარგზეც სამართლიან გულისწყრომას გამოთქამს და ზედმეტად მიაჩნია ასე უხვად სურათებისა და პლაკატების გაკვრა: „ეს იმ დროს იყო საჭირო,

როცა ტელევიზიია არ იყო... სურათში იღიმებიან, ლოფები ასკდებათ. რა გაღიმებს, რა გაცინებს, ქვეყანა დაქცეულია, სიღუხვირის განცდა არ გაქვს?"

უახლესი წარსულის საქართველოში არ ყოფილა შემთხვევა, როცა ქვეყნისათვის კულტურულ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პრობლემებზე თავისი მართალი და მამულიშვილური სიტყვა არ ეთქვას. დიდი გულისხმიერება და სიყვარული იფარება მის მწარე სიტყვაში, როცა ამბობს „ეროვნული გამოთაყვანება" გვჭირსო. ოტია იოსელიანის შემოქმედებაში მთელი სიმძაფრით წარმოჩინდა ქართველი ხალხის ხანგრძლივი ოცნება - პყოლოდა გონებრივი და მორალურ-ზნეობრივი თვისებებით გამორჩეული წინამდღოლი. ლირსეული მეწინავე ყოველგვარ სიბრძნე-გამოცდილებას არა მარტო უნდა ფლობდეს, არამედ საჭიროების დროს, როგორც ხელოვანი, ისე უნდა იყენებდეს". არ იფიქროთ, ამას რაიმე ეშველოს, სანამ ქვეყანას არ უყოლება ქართველი ქაცი. ეს ქართველი კაცი, სამწუხაროდ, აღარ არსებობს".

ცხოვრების ავ-კარგის მცოდნებ და დაკვირვებულ მოქალაქებს მავანთა არასწორი, მიუღებელი მსჯელობა არ მოსწონდა და მთავრობის იმედზე ყოფნა შეცდომადაც მიაჩნდა: „გაჭირვება არ ამართლებს უზნეობას, არ ამართლებს ხელმრუდობას, უწესობას... ყველაზე დიდი დანაშაული უსაქმურობაა, რომლისგანაც ყველა ბოროტება წარმოიშობა..."

სხვისი მოიმედეობა, დახმარებისა და მოწყალების თხოვნა სირცხვილად მიაჩნდა. ტკიოდა დაცარიელებული სოფელი, „გამოკვეტილი სახლები, ბნელი ფანჯრებიდან სიკვდილი ისედება. უნდა შექმნა და გექნება!... არ უნდა გვაკადროო ის, რომ გვიწყალობონ!" სამშობლოს ისტორიის გულშემატკიფარი და დღევანდელობის ფხიზელი მეციონები სინანულით ამბობს, ჩვენ რომ ნამათხოვრები პური გვეჭამა, „ვეფხისტყაოსანს" დავწერდით კი არა, წამკითხავიც არ გვეყოლებოდა დღეს".

ადამიანის ერთ-ერთი მთავარი დირებულება თავმდაბლობაა. ნაკლებად, მაგრამ მაინც მოიძებნებიან ჩვენს დღევანდელობაში ისეთები, ვინც წყნარად, უხმაუროდ აკეთებენ თავის გასაკეთებელს. მაგრამ ამ ბოლო დროს მოდურადაც კი იქცა თავის წარმოჩენა, სოციალური ქსელები კი საკუთარი თავის პირას ლამის მიაქვს. „ნუ ვიცით: მე ეს ვქენი, მე ის ვქენი, ეს გავაკეთე და ის გავაკეთე. თუ შენს მეტს არავის დაუნახავს, რა გალაპარაკებს და თუ სხვამაც იცის - ის იტყვის", - ამბობს ოტია და არ დაეთანხმო, ძნელია.

განსაკუთრებული, გამორჩეული, განსხვავებული და განუმეორებულია ოტიასეული სიყვარული. ჯერ ერთი იმიტომაც, რომ ეს გრძნობა ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელია: „ადამიანი სანამ ცოცხალია, ან უყვარს, ან სიყვარულის მოლოდინით სულდგმულობს", - წერს ბრძენებაცი. თუმცა მიაჩნია, რომ „სიყვარული" დიდი ტგირთია, სუსტი, უძლური და უნიათო ვერ ასწევს, ვერ ატარებს".

სიყვარულს მოვრთხილება, გაძლება, ატანა და ზრუნვა ჭირდება. მეტი უნდა მოთხოვო საკუთარ თავს და პასუხიმგებლობა სხვას არ უნდა დააკისრო, რადგან „თუ ვინმეს მართლა უყვარდი და გიღალატა, იცოდე, იგი ამას უშენოდ ვერ შეძლებდა". თავგანწირვის, თავდადების, ერთგულების, მოვრთხილების ნიჭითა და საყვარელი ადამიანის დაცვის განუზომელი სურვილითაა გაჯერებული მწერლის გულითადი სიტყვები: „არ მინდა შენ ისე გიყვარდე, უჩემობა ვერ გადაიტანო. მე ორი სიკვდილით ვერ მოვავდები". მართლაც, შვილებისა და შვილიშვილების გასაკვირი ცრემლით დაიტირა მეუღლე - მეგობარი და „ტოლფერი"

ქეთევან ფანცხავა. მის ადამიანურ და კაცურ სამყაროს შთამბეჭდავად ხსნის, როცა ამბობს: „გიყვარდა და აღარ გიყვარს, მასეთი რამ არ არსებობს... თუ მართლა გიყვარს, სამუდამოდ გიყვარს. თუ გადაგიყვარდა, ესე იგი არც არასდროს გყვარებია".

იშვიათად შეხვდებით ქალის სიყვარულის იმგარ გააზრებას, ოტია იოსელიანის რომ ახასიათებს. მისი აზრით, ღმერთმა ქალი ადამის ნეკნისაგან იმიტომ კი არ შექმნა, რომ თიხა და ტალახი ვერ იშოვა, არამედ „იმიტომ რომ ის მამაკაცისათვის სიხარული, ბედნიერება ყოფილიყო. ადამს უნდა ებრძოლა მისთვის, სტკენოდა მისი დაკარგვა".

საინტერესოდ და მრავალმხრივ არის გააზრებული ოტია იოსელიანის შემოქმედებაში ქალი. ქალის თემას მან არა ერთი დიდი თუ პატარა ნაწარმოები უძღვნა. „ქალი ისეთი როტული სამყაროა, თვითონაც რომ ვერ ხვდება. ქართველ ქალს - მით უმეტეს თავისი სამყარო აქვს". თავისებური აღქმა ჰქონდა ქალის, მასში მარტო გარეგნობას არ აფასებდა, უფრო შინაგანი სამყარო, სულიერება იზიდავდა. „ქალს შიგნით ვუყურებ... ქალი შენს სამყაროში უნდა იხედებოდეს. ხომ არ შეიძლება ცოლ-ქმარი სხვადასხვა სამყაროში ცხოვრობდნენ".

ქალისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩანს მის ნააზრევსა და ნაწარმოებებში, საოცრად კარგად იცნობდა ქალს, მაგრამ თვითონ მაინც ამოუხსნელად თვლიდა და კითხულობდა: „ნუთუ ისე გადაეგება კაცობრიობა, რომ ქალი ამოუცნობ სამყაროდ დარჩება".

ქალი დიდ ძალად მიაჩნდა, თუმცა თვლიდა, რომ „ქალი პატიოსანიც და უპატიოსნოც საბრალოა, ღმერთმანი, სიყვარულშიც საბრალოა და ღალატში და გაუტანლობაში ხომ ცოდვაა და ცოდვა".

ათასგზის ნათქვამს და განმარტებულს, ოტია იოსელიანი სიყვარულს მისთვის დამახასიათებელი სიმძაფრით განიცდის: „დღედადამ საშველს არ მოგცემს, ლოგინში ღადარს შემოგიყრის, ქვას აგასროლინებს და თავს შეგაშვერინებს" ... „მზარავს, უროსავით მირტყამს თავში და მარეტიანებს, ყელში დანაგაყრილი ხარივით მაზმუვლებს და მაბდავლებს". „დიდი ხნით უსაშველოდ შეეგარებულ ქალთან პირველი პატმანი გახსოვთ, აბა რა ჯანდაბა დაგავიწყებთ". მწერლის აზრით, ყველას თავისი მოცალე ჰყავს, მაგრამ ერთმანეთის პოვნა უჭირთ, „ათასში ერთს თუ გამართლებია და თავისი ნახევარი დასტოლებია".

ცალკე აღსანიშნავია, რომ ოტია იოსელიანის შემოქმედებაში ბებიას, მამიდას და ქართულის მასწავლებელს საპატიო ადგილი უჭირავთ. სამივე ქალმა დიდი ქვალი დააჩნია მწერლის არა მარტო ბავშვობას, არამედ მის პირველულ განვითარება-ჩამოყალიბებას. მათ უმადლის იგი ბავშვობის საუკეთესო მოგონებების გამო, თუ ასეთი იყო. უფრო მეტიც, თვლიდა, რომ „სიმწიფის ატესტატზე ბებიას საპატიო ადგილას უნდა მოეწერა ხელი". მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობაში სულის შეძვრამდე განიცადა, როცა „დედა გათხოვდა", მოწიფულობაში გულწრფელად აღიარა, „დრო ვერ კლავს დედას, ვერ გავიწყებს" ...

სჯეროდა, რომ ახალგაზრდა თაობა ყოველთვის უკეთესი უნდა იყოს, ქვეყანა წინ რომ წავიდეს და განვითარდეს. აკრიტიკებდა და არასწორად მიაჩნდა ახალგაზრდობაზე აუგით ლაპარაკი. უდიდეს პასუხიმგებლობას გრძნობდა თვითონ და ამისკენ მიუთითებდა სხვებსაც: „რას ჰქვია, არ გვივარგა? როგორც გაზარდე, იმნაირია, რას ერჩი ახალგაზრდობას?! კეთილი გენება და დაგეუენებინა გზაზე. ისინი ჩვენგან გაუბედურებული ახალგაზრდები არიან და ახლა არ მოგწონს?" ყველა უბედურების სათავედ უწიგნურობა, გაუნათლებლობა მიაჩნდა.

მაგრამ განათლება არა მარტო თავმოსაწონად და გასართობად კი არ უნდა გამოიყენო, არამედ აზროვნებისათვის, ტექილ-მართლის გასარჩევად, ქვეყნის უკეთ მოსაწყობად, ცხოვრების გასაუმჯობესებლად. „ნებისყოფა, უტეხი ძალა და სიჯიუტე არა გაქვთ"..., საყვე-დურობდა იგი ახალგაზრდებს და ურჩევდა, რომ ოცნებისა და სინამდვილის შეჯახებისას არ დაბნეულიყვნენ, რადგან „ხელჩაქნეული, ყველაფერზე შემრიგებელი, უსულგულო, უმეცარი ლეშია, დაუმარხავი მპვდარია".

არაერთი პედაგოგ-კლასიკოსის მოსაზრებას ეხმიანება ოტია იოსელიანის შეხედულებები ახალგაზრდობაში მოვალეობისა და პასუხისმგებლობის, დამოუკიდებელი ცხოვრების მოსაწყობად საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე. ადრეული ბავშვობიდანვე უნდა ვიზრუნოთ და შემდეგ დროულად ვაღიაროთ ზრდასრულად, მიუღებლად მიაჩნია გახანგრძლივებული ბავშვობა და ზედმეტი მფარველობა. „ოცდაათი წლის ახალგაზრდა არ გამიგია მე. ახალგაზრდა არის თხუთმეტი წლის. ოცი წლის კაცია უკვე, კაცი! თუ თხუთმეტი წლის არაფრად ვარგა, არც სამოცდათხუთმეტის არ ივარგებს. ჭკუა ხანში კი არ არის, ჭკუა თავშია". ახალგაზრდობას კი მოუწოდებდა, კრიტიკულად შეეფასებინათ საკუთარი თავი: "ეჭვით უნდა უყურო ყოველნაირ საკუთარ დირსებას, თორემ თავმა თავისადმი მიკერძოება იცის და დაგდუავს".

ოტია იოსელიანი როგორც მამა და მოქალაქე თავის შეხედულებებს პრაქტიკულად ატარებდა ცხოვრებაში. უკიდურესად მომთხოვნი იყო შვილების მიმართ, ვერ იტანდა უცოდინარობას. „არ ვიცი მისოფის არ არსებობდა. ყველაფერი უნდა გცოდნოდა და თან ძალიან კარგად", - წერს უმცროსი ვაჟი დაჩი. მამა ცდილობდა, ყველაფერი ესწავლებინა შვილებისათვის, მაგრამ თან მაძიებლობისკენ მიმართავდა და მოითხოვდა მათგან, წიგნები-დან დამოუკიდებლად ესწავლათ. თვითონ რთული და მძიმე ბავშვობის წლებგამოვლილს მოფერება და ტკბილსიტყვაობა არ უყვარდა. ზედმეტად მკაცრიც კია დედაშვილობაზე საუბრისას, როცა ხაზს უსვამს, რომ დედას „ბრმად უყვარს" შვილი, „შვილის ყველაფერი მოსწონს".

მთელს მის შემოქმედებასა და გამოსვლებში ბავშვობა ღრმადგააზრებული თემაა, როგორც ფსიქოლოგიურად, ისე პედაგოგიურად. იგი დიდ გავლენას ახდენს ადამიანის მთელ მომავალ ცხოვრებაზე, იმდენად დიდს, რომ მწერლის აზრით, „ბავშვობას და ყრმობას ადამიანი კი არ შორდება, რაც დროს გადის, უახლოვდება... მოწიფულობაში თვალი უკან გრჩება და ბავშვობას მართლა თუ ვერ უბრუნდები, იქ კი ტრიალებ". ამიტომაც იყო ასე შეუვალი, თუმცა მზრუნველიც შვილებისა და შვილიშვილების მიმართ და უდავოდ დიდი კვალიც დააჩნია მათ ბავშვობას.

ღრმად შთამბეჭდავი და გარკვეულწილად საანდერძო სიტყვებით მიმართა მწერალმა ქართველ ახალგაზრდობას თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობასთან შეხვედრისას. მან დაგმო ახალგაზრდების ინერტულობა და გულგრილობაში დასდო ბრალი. „თუ ჩვენ არ გადავარჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ამერიკელი აქ არ მოვა და შენს მაგივრად არ იბრძოლებს შენი ქვეყნის გადასარჩენად. ახლა საქართველოს მხოლოდ განათლებული თაობა თუ გადაარჩენს! თქვენი მთავარი იარაღი განათლება უნდა იყოს!"

განათლების უპირველეს წყაროდ წიგნს თვლიდა და ჭეშმარიტი ქართველობის დასადასტურებლად სწორედ წიგნის სიყვარულისკენ, ტრადიციების ერთგულებისა და ეროვნული საუნჯის გაფრთხილებისკენ მოუწოდებდა მომავალ თაობას.

ოტია იოსელიანს კარგად ესმოდა დღევანდელი ცხოვრების სირთულე, განიცდიდა, ტკიოდა და წუხდა ადამიანების გაუწონასწორებულობაზე, დაბნეულობაზე, თანაგრძნობაცაა და რჩევა-დარიგებაც მის სიტყვებში: „დღ ეს, როცა სულიც ჩვენია და ხორციც, გაჭირდა ღმერთისა და კაცის მსახურება, ხორცი გავაძლიერეთ და სული გაგვიპარტახდა... დღევანდელი ადამიანის ბედი იმდენად რთულია და თაგბოლო გაუსაძლისი, თუ სული, რწმენა და ზნეობა არ გაძადია, ლეში ხარ, ცხოველი”...

ერთხელ ღვთისაგან ნაბომებ სიცოცხლეს კაცი ისე უნდა წარმართავდეს, რომ თავის „გონებისად, რწმენისად, სიმართლისად ცხოვრობდეს”. სხვანაირად ცხოვრება, ცხოვრებად არ მიაჩნდა. „ქვეყანას ნე დააქცევ, შვილო, შენთვის გელაპარაკები ამას. მინდა, საუკეთესო იყო და ქვეყანა იყოს კარგად”.

მწერალს, დრამატურგს, პოეტსა და აქტიურ საზოგადო მოღვაწეს, მეფუტკრეს, მევენახეს, მესიმინდს, მებუხრეს, კალატოზსა და ხუროს ნებიერის ფრთები განგებამ ამ ქვენიდან გასვლის შემდეგ უფრო გადააფარა, მას არდავიწყება ერგო, კაი ყმობისა და მხატვრული სიტყვის დიდოსტატობის, მხოლოდ მისეული ხიბლისა და კოლორიტულობის, სამშობლოს ბედით გულანთების, ქვეყნის დღევანდელობისა და მომავალზე ზრუნვის, მწარე სიმართლისათვის თვალის გასწორებისა და შეუვალი პოზიციის სანაცვლოდ. ბევრი აშენა, აკეთა, შექმნა და სამუდამო აღგილ-სამყოფელი სააქაოს და ნათელი სასუფეველი ზეციურ საქართველოში დაიმკვიდრა. მწერლის დირსების, მოქალაქეობრივი ავტორიტეტისა და ადამიანური სიბრძნის უამრავი ცხოვრებისეული მაგალითით დაადასტურა, რომ „ადამიანისაგან რაც რჩება, მისი სიცოცხლეც ესაა”.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იოსელიანი ოტია, „დაჩის ზღაპრები”, თბ., 1981 წ.
2. იოსელიანი ოტია, „წერილები დაჩის”, თბ., 2017 წ.
3. იოსელიანი ოტია, „გარსკვლავთცვენა”, თბ., 1961 წ.
4. იოსელიანი ოტია, რჩ. ორტომეული, თბ., 1981-82 წ.წ.
5. იოსელიანი ოტია, 55 არაკი, თბ., 1999 წ.
6. იოსელიანი ოტია, თხზ. ათ ტომად, თბ., 2005 წ.
7. იოსელიანი ოტია, ქალი გამოვიდა საღალატოდ, თბ., 2016წ.
8. იოსელიანი ოტია, ჩემი ასავალ-დასავალი, თბ., 2015 წ.

Nino Gelenidze**Morality lessons in the works of O. Ossiani****Abstract**

O. Yoseliani is one of the most visible representative of the literary writings. It was a difficult and painful childhood, and exemplary life was more martyrs, big and heavy but at the same time was an honorary mission rather than an ordinary human and creator. In the recent past he was the only one - a katut, ruthless, disastrous of the homeland, with its proximity. Neither the Communist Rule was stupid and neither "unhappy" actors, nor the academies of other countries, nor the valuable villas. That is why the monks listened to him and believed her. For a long time he did not die, but his living, humor and acute sarcasm literally misses the word, the price of his moral lessons becomes more and more important.

რეცენზენტი: პროფ. ლ. გიროვა

პედაგოგიკა Pedagogic

ნატო დფალი

ქუთაისი, საქართველო

სახალხო განათლება და პედაგოგიური იდეები XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში

აღზრდა-განათლება და სკოლა იყო XIX საუკუნის 60-იანი წლების პერიოდული პრეცენტი უკეთა უფრო დიდი საბრძოლო საკითხი.

ცხადი იყო, რომ ქართველი ახალთაობის აღზრდა-განათლება უნდა დამდგარიყო 60-იანი წლების მოწინავე საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ამოცანების სიმაღლეზე. ეს ამოცანები მოითხოვდნენ ზოგადი და სპეციალური განათლების გავრცელებას, მისი შინაარსის დადგენას და შესაფერისი სასკოლო ქსელის გაშლას.

ასეთი იყო ის საერთო პირობები XIX საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც შეიქმნა სათანადო საფუძვლები ბავშვთა აღზრდისა და ხწავლა-განათლებისათვის.

XIX საუკუნის 60-იანი წლების საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება და მისი განვითარების გზები ნათელ წარმოდგენას იძლევა იმ პერიოდის სახალხო განათლების შინაარსსა და მის განვითარებაზე. ცხადი იყო, რომ ქართველი ახალთაობის აღზრდა-განათლება უნდა დამდგარიყო 60-იანი წლების მოწინავე საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ამოცანების სიმაღლეზე. ეს ამოცანები, მოითხოვდნენ ზოგადი და სპეციალური განათლების გავრცელებას, მისი შინაარსის დადგენას და შესაფერისი სასკოლო ქსელის გაშლას.

რესერვისა და საქართველოს დიდი პედაგოგები და მწერლები პ. უშინსკი, ლ. ტოლსტოი, ი. გოგებაშვილი, ი. ჭავჭავაძე და სხვები გადაუდებელ ამოცანად თვლიდნენ გლეხთა მასებში განათლების შეტანას და სახალხო სკოლების დაარსებას.

აღზრდა-განათლება და სკოლა იყო XIX საუკუნის 60-იანი წლების პერიოდული პრეცენტი უკეთა უფრო დიდი საბრძოლო საკითხი.

60-იანი წლების დაწყებითი და საშუალო განათლების რეფორმა გამოიხატა 1864 წლის „დებულებაში“ დაწყებითი სახალხო სკოლების „შესახებ“ და „სახალხო განათლების სამინისტროს გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების წესდებაში“.

დაწყებითი სახალხო სკოლების დაარსების უფლება ეძღვოდა ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებს, ქალაქის თვითმმართველობებს, სასულიერო უწყებებს და უველა კერძო პირს. ამ სკოლებში შესვლის უფლება ეძღვოდა ყოველი სოციალურ-წოდებრივი მდგომარეობისა და სარწმუნოების ბავშვს.

1864 წლის „გიმნაზიების და პროგიმნაზიების წესდებაში“ განათლების ორივე სახე დააკანონა და შემოიდო გიმნაზიის და პროგიმნაზიის ორი ტიპი: კლასიკური და რეალური.

კლასიკური და რეალური გიმნაზიები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ, როგორც სასწავლო გეგმით და სწავლების შინაარსით, ასევე უფლებით.

XIX საუკუნის 60-იანი წლების პირველ ნახევარში სახელმწიფო სკოლების რიცხვს გარდა ერთი, პირველი თანრიგის ქალთა სასწავლებლისა, მოქმატა რამდენიმე დაწყებითი სკოლა მთელ საქართველოში.. ცალკე საზოგადოებათა სკოლებიდან აღსანიშნავია: 30-მდე ელემენტარული სკოლა, 5-დაწყებითი სკოლა თბილისის საქველმოქმედო საზოგადოებასა" და ერთი სამხატვრო სკოლა.

1862 წელს, თბილისში, სახაზინო ხარჯზე დაარსდა სამაზრო სასწავლებელთა ტიპის „სამხედრო სასწავლებელი“, რომელიც ამზადებდა დაბალი რანგის ოფიცერებს, სამხედრო მწერლებს, ტოპოგრაფებს. თბილისის სამხედრო სასწავლებელში იღებდნენ ყველა წოდების ახალგაზრდებს. მაგრამ რამდენადაც სწავლა მხოლოდ რუსულ ენაზე წარმოებდა, იმდენად ქართველი ბავშვები, პირველ ხანებში, ნაკლებად შედიოდნენ ამ სასწავლებელში.

1862 წელს თბილისში დაარსდა ვაჟთა ახალი პანსიონი. დამაარსებელი იყო დავით ყიფიანი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტი.

60-იანი წლების მანძილზე თბილისში გაიხსნა აგრეთვე: ხატენოვსკის ქვრივის ქალთა პანსიონი (1860), ტერ-აკოფოვის ვაჟთა პანსიონი (1862), ხლამოვის ვაჟთა პანსიონი (1863), აგრძელებენ არსებობას ფავრის ქალთა პანსიონი, ბიუს ვაჟთა პანსიონი და სხვ.

60-იან წლებში თბილისში დაარსდა აგრეთვე ორი ფრანგული კერძო სკოლა-პანსიონი. ამ პეტერბურგი ენა, რუსული ენის პარალელურად, მაღალი ქართველი არისტოკრატიის სალაპარაკო ენად იქცა. ამ გარემოებამ გამოიწვია ფრანგული სკოლის დაარსება თბილისში 1864 წელს.

ცალკე პანსიონები და კერძო სკოლები 60-იან წლებში დაარსდა აგრეთვე ქუთაისში, გორში, სოხუმში და სხვაგან. ცალკე პანსიონების გარდა, რუსი მოხელეები ჩვენში ხსნიდნენ დახურულ პანსიონებს, შეძლებული ფენების ახალგაზრდობისათვის, მაგრამ მთავარი ისაა, რომ პანსიონები იხსნებოდა ადგილობრივი ახალგაზრდობის გარუსების მიზნით.

უველაზე უფრო მნიშვნელოვან ფაქტორს 60-იანი წლების სახალხო განათლებაში წარმოადგენდა თვით ხალხის ინიციატივა. ისინი თავიანთი სურვილით ხსნიდნენ სკოლებს და იწვევდნენ მასწავლებლებს. თავისივე ინიციატივით აგროვებდა ხალხი ფულს სკოლების გასახსნელად. ამ მხრივ, გამოირჩეოდა იმერეთი და რაჭა. მაგალითად, რაჭის მაზრის გლეხობამ 1865 წელს შეაგროვა 3.308 მანეთი დაწყებითი სკოლის დასაარსებლად. მოგზაური

რადე, რომელმაც საქართველო შემოიარა 1864 წელს, საგანგებოდ აღნიშნავდა რაჭველებისა და სვანების ზრდილობასა და განათლების ნიჭს".

60-იანი წლების მეორე ნახევარში, სახალხო დაწყებითი სკოლების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. კერძო საზოგადოებანი და პირები იჩენდნენ სათანადო აქტივობას განათლების გავრცელების საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება", რომელსაც 1871 წლისათვის ჰქონდა 46 სკოლა, 1356 მოწაფით და „თბილისის საქველმოქმედო საზოგადოება" თავისი 9 სკოლით, 397 მოწაფით. სხვა კერძო საზოგადოებათა სკოლებიდან შეიძლება მოვიხსენიოთ: „მუსიკალური საზოგადოების" მუსიკალური სკოლა, 1870 წელს აღდგენილი სამი განყოფილებით.

ქართველი გლეხობა გრძნობდა, რომ მეფე და სამღვდელოება არ მისცემდნენ მას შესაფერის განათლებას და თვით კისრულობდა თავის შვილთა სწავლა-აღზრდის თაოსნობას. ამ მხრივ, კვლავ გამოირჩეოდა იმერეთი და რაჭა დასავლეთ საქართველოში, გორისა და სიღნაღის მაზრები - აღმოსავლეთში.

60-იან წლებში ასევე თვალსაჩინო დგაწლი მიუძღვის ეპისკოპოს გაბრიელს იმერეთის სახალხო განათლების საქმეში. ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი გადმოგვცემს: „წარსული საუკუნის 60-იანი წლებიდან იმერეთს კეთილ ანგელოზად მოევლინა მსოფლიოში უდიდეს მქადაგებლად მიჩნეული გაბრიელი, ეს ნამდვილი ცოცხალი აკადემია დასავლეთ საქართველოსათვის. მან დახსნა მრავალი სკოლები და სკოლებთან ბიბლიოთეკები, მან ბრძანება გასცა ჯვარი არ დაეწერათ, თუ ნეფე-პატარძალმა ხელმოწერა მაინც არ იცოდნენ. მან ამოირჩია თანამშრომლად მრავალი ნიჭიერი და ნასწავლი კაცები და მათი შემწეობით მწიგნობრობა და განათლება მოჰყინა ქვეყნის ისეც ნიჭიერ ხალხს".

გაბრიელ ქიქოძე განათლებული, ხალხის მოყვარული ადამიანი იყო და მდგვდელმთავრის ანაფორა ხელს არ უშლიდა თავის საგანმანათლებლო მოღვაწეობაში, ხოლო სამღვდელოება, საერთოდ ძალზე ჩამორჩებოდა ცხოვრებას 60-იანი წლებიდან. მათი ხელმძღვანელობით არსებული სკოლებიც მეტად პრიმიტიულად გამოიყერებოდნენ.

1868 წლიდან კერძო სასწავლებელთა გახსნისა და შენახვის საქმე რამდენადმე მოწესრიგდა. კერძო სკოლების ტიპები და სტრუქტურა დაუახლოვდა სახელმწიფო სასწავლებელთა ტიპებსა და სტრუქტურას. გაირკვა მათი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენა-დამტკიცების წესი, განისაზღვრა ფაქტიურად მათი შედგენის კრიტერიუმი და აგრეთვე შინაარსი და მოცულობა.

ამგვარად, XIX საუკუნის 60-იანი წლების სასკოლო ქსელის მდგომარეობისა და მისი სტატისტიკის გათვალისწინებით შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ:

ოფიციალური, სახელმწიფო და სასულიერო უწყების სასწავლებელთა ხელმისამართი წონა საქართველოს განათლების სისტემაში უფრო მცირეა, ვიდრე ხალხური, არაოფიციალური სკოლებისა, რომელშიც სწავლობს მოსწავლეთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი.

სასკოლო ქსელის გაშლის ყველაზე უფრო ძლიერ ფაქტორს წარმოადგენს თვით ხალხის, უმთავრესად გლეხობის ინიციატივა. ისინი თვითონ თაოსნობენ, თავისი სწავლა-

განათლების საქმეს, როგორც მორალურად, ისე მატერიალურად და უფრო მეტ აქტივობას იჩენს ამ მხრივ, ვიდრე თავადაზნაურობა.

სწრაფად მცირდება ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლების რიცხვი და მათ მაგივრად სწრაფად იზრდება დამოუკიდებელი სასოფლო-სამეურნეო სკოლების რიცხვი სათანადო სასწავლო გეგმებით და სასწავლო რეჟიმით.

შეიქმნა ქალთა განათლების გარკვეული სისტემა, როგორც ზოგადი, ისე პროფესიული განათლების სკოლების მოწყობით.

საძირკველი ჩაეყარა პროფესიური განათლებას სახელოსნო და სასოფლო-სამეურნეო სკოლებისა და სპეციალური კურსების შექმნით.

ასეთი იყო ის საერთო პირობები XIX საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც შეიქმნა სათანადო საფუძვლები ბაგშვთა აღზრდისა და სწავლა-განათლების ახალი თეორიის, ანუ მეცნიერული პედაგოგიკის აღმოცენებისათვის საქართველოში.

ლიტერატურა

1. გ. თავზიშლვილი - რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1977 წ.
2. ნ. გასაძე - პედაგოგიკის ისტორია, 2007 წ.
3. ზ. კაკაბაძე, „ფილოსოფიური საუბრები”, თბილისი, 1988 წ.

Nato Dvali

Public education and Pedagogical ideas in 60s of 19-century

Abstract

Up - brining, education and school Was Georgians essential demand in 19 century.

Georgia uwo had a slogan: "Language, Homeland, Religion", they see salvation in education. They have made a lot of work for this. They have built new schools, Libraries, they also opened Gymanasium and theological schools.

Georgians from 19 century have fought against education politic, especially against Verbal method and physical punishment.

In this period a lot of Georgians have told their word for Georgian's future.

რეცენზენტი: პროფ. რ. ბალანჩივაძე

პედაგოგიკა Pedagogic

მაგრა თხილავა

ქუთაისი, საქათრიგელო

მუსიკის სწავლება, როგორც პიროვნების ფორმირების საშუალება

მუსიკალური პედაგოგიკა განსაზღვრავს მუსიკის სწავლებისა და განათლების კონცეფციას. მუსიკა ბავშვს აჩვევს შრომას, მუსიკალური განათლება ხელს უწყობს შრომისმოყვარეობისა და ნებისყოფის, მოთმინებისა და მუსიკითობის გამომუშავებას, ავლენს მოხარულის ემოციებს, ასწავლის მას გარესამყაროს აღქმას და უქმნის მასზე მრავალმხრივ წარმოდგენას... ამის საფუძველზე ბავშვის შინაგანი ხამყარო მდიდრდება და ღამაზღვდება.

მუსიკას, როგორც ნებისმიერ სხვა ხელოვნებას, შეუძლია ბავშვის მრავალმხრივი, უფლისმომცველი, ესთეტიკური, პარმონიული განვითარება, აზროვნების გააქტიურება... მუსიკალური განათლება ბავშვს სძენს შემოქმედებით აზროვნებას და ზოგადად, უვითარებს ყველა სახის აზროვნებას: ვიზუალურს, ხმენითს, მოტორულს, ხაროვანს, ასოციაციურს.

ბავშვის პიროვნების ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის მუსიკას. მუსიკა, თავისი შინაგანი ბუნებით, უნდა იყოს განუყოფელი ნაწილი ზოგადი განათლებისა, რაც თავისთავად გახდება თითოეული ბავშვის პიროვნებით განათლებისა და განვითარების საფუძველი.

ცნობილია, რომ ძველად, ადამიანის ბევრ სხვადასხვა შესაძლებლობებს შორის, გამორჩეულად ითვლებოდა მუსიკალური შესაძლებლობები. მუსიკალობის ორი მთავარი მაჩვენებელი - ემოციური გამოძახილი და მუსიკალური სმენა, ბავშვის დაბადებიდან რამდენიმე თვეში ვლინდება. პატარას შეუძლია სიამოვნება მიიღოს და ემოციურად გამოეხმაუროს მხიარულ თუ წენარ მუსიკას. ის მშვიდდება იავნანას გაგონებაზე, მაგრამ, როცა ისმენს მხიარულ, საცეკვაო მელოდიას, შესაბამისად იცვლება ბავშვის სახის გამომეტყველება და მისი მოძრაობა.

მუსიკის სწავლება იწყება სკოლამდელ ასაკში. რეგულარული მეცადინეობა მუსიკაში აუმჯობესებს მეხსიერებას და ააქტიურებს ბავშვის გონებრივ შესაძლებლობებს, ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრირებას.

მუსიკალური პედაგოგიკა განსაზღვრავს მუსიკის სწავლებისა და განათლების კონცეფციას. მუსიკის გაკვეთილები ბავშვს აჩვევს შრომას, მუსიკალური განათლება ხელს უწყობს შრომისმოყვარეობისა და ნებისყოფის, მოთმინებისა და მუსიკითობის გამომუშავებას, ავლენს მოხარულის ემოციებს, ასწავლის მას გარესამყაროს აღქმას და უქმნის მასზე

მრავალმხრივ წარმოდგენას... ამის საფუძველზე ბავშვის შინაგანი სამყარო მდიდრდება და ლამაზდება.

მოსწავლის შემოქმედებით განვითარებაში მუსიკის გავლენა ძალიან დიდია. მუსიკას, როგორც ნებისმიერ სხვა ხელოვნებას, შეუძლია ბავშვის მრავალმხრივი, ყოვლისმომცველი, ესთეტიკური, პარმონიული განვითარება, აზროვნების გაძლიერება.

მუსიკალური განათლება ბავშვს სძენს შემოქმედებით აზროვნებას და, ზოგადად, უვითარებს ყველა სახის აზროვნებას: ვიზუალურს, სმენითს, მოტორულს, ხატოვანს, ასოციაციურს. მუსიკალურ ხელოვნებასთან ზიარება ეხმარება ბავშვს შემეცნებითი ინტერესების, მოთხოვნილებების, ესთეტიკური გემოვნების, ესთეტიკური დამოკიდებულების ფორმირებაში. მხოლოდ რიტმის გრძნობის გამომუშავება, რიგი მეცნიერებისა და პედაგოგების მტკიცებით, არ აძლევს ბავშვს განათლებას და განვითარებას.

მოსწავლის მრავალმხრივ და პარმონიულ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუსიკა, რომელიც ეხმარება მას ნათლად და ღრმად გადმოსცეს და დაასაბუთოს თავისი აზრები, განცდები, გრძნობები... როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუსიკის სწავლება, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის მრავალმხრივ და პარმონიულ ფორმირებას ემსახურება. ამისათვის საჭიროა:

1. ჩავუნერგოთ ბავშვებს მუსიკისადმი სიყვარული, რომელიც მიმართულია მუსიკალური სმენისა და შინაგანი მგრძნობელობის განვითარებისკენ, რაც ეხმარება მათ, შეიგრძნონ ხელოვნების ამ უმშვენიერების დარგის სილამაზე, გასაგები და აღვილად აღსაქმელი იყოს მათვის მუსიკალური ნაწარმოების შინაარსი;

2. გავაცნოთ მოსწავლეებს სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებები და მივცეთ მათ საშუალება, შეაჯამონ მიღებული მუსიკალური შთაბეჭდილებები;

3. გავაცნოთ ბავშვებს ელემენტარული მუსიკალური ცნებები, ვასტავლოთ და გამოვუმუშაოთ მათ მარტივი პრაქტიკული ჩვევები ყველა მუსიკალურ აქტივობაში;

4. განვუვითაროთ ბავშვებს ემოციური რეაგირების უნარი, სენსორული შესაძლებლობები, რიტმის გრძნობა, დავხვევოთ მათი სასიმდერო ხმა და რიტმულ მოძრაობათა გამომსახველობა;

5. ხელი შევუწყოთ მოსწავლეთა მუსიკალური გემოვნების განვითარებას, გამოვლენას და მუსიკალური ნაწარმოებისადმი შევასებითი დამოკიდებულების გამომუშავებას;

6. განვუვითაროთ შემოქმედებითი უნარები სხვადასხვა მუსიკალური შესაძლებლობის მქონე ყველა მოსწავლეს, რომ შეძლონ: თამაშებსა და ცეკვებში სახასიათო მოძრაობების გადმოცემა, ნასტავლი საცეკვაო მოძრაობების გამოყენება, საბავშვო პიესების იმპოვიზაცია და მუზიცირება; გამოიჩინონ ინიციატივა და გაუჩნდეთ სურვილი, გამოიყენონ შესტავლილი მუსიკალური მასალა ყოველდღიურ ცხოვრებაში...

გაკვეთილზე სიმღერის პროცესში ხდება მუსიკალური სმენისა და სასიმდერო ხმის განვითარება, მუსიკალურ-რიტმული მოძრაობის გამომუშავება ხელს უწყობს მოძრაობის კორდინაციას, სხეულის მოქნილობას და პლასტიკას... ბავშვები, რომლებიც უკრავენ მუსიკალურ ინსტრუმენტზე და აქვთ გარკვეული მუსიკალური გამოცდილება, საგრძნობლად განსხვავდებიან სხვებისგან თავისი საშემსრულებლო კულტურითა და მუსიკალური გემოვნებით.

მუსიკასთან ხანგრძლივი და სისტემატური კომუნიკაციით ბავშვს შეუძლია იგრძნოს ნაწარმოების ხასიათი, მისი აგებულება და წყობა, გამოხატოს ემოციური დამოკიდებულება

მოსმენილის მიმართ, აღწეროს მუსიკალური სურათი, დაინახოს კარგი და ცუდი... მოსწავლეებს შეუძლიათ მოისმინონ, შეადარონ, შეაფასონ მეტად ნათელი, მკვეთრად გამოხატული და ადვილად გასაგები მუსიკალური მოვლენები.

უმცროსი ასაკის მოსწავლეთა მუსიკალური გამოცდილება ძალიან მცირე, მაგრამ საქმაოდ მრავალფეროვანია. ესთეტიკური დამოკიდებულების მეშვეობით გარესამყაროს მიმართ, უნარ-ჩვევების განვითარებით, სხვადასხვა გრძნობების, აზრებისა და ემოციების გამოხატვით, რომლებიც გადმოცემულია ამა თუ იმ ნაწარმოებში, ბავშვს სჯერა და მიიჩნევს, რომ თვითონ მოქმედებს აღქმული სიტუაციის შესაბამისად. მუსიკის ზეგავლენით პატარებს კეთილი თვისებები უყალიბდებათ, ახარებთ მეგობრის წარმატება, შეუძლიათ სხვაზე იფიქრონ ისე, როგორც საკუთარ თავზე...

მუსიკა კეთილსინდისიერ გავლენას ახდენს ბავშვის გრძნობებზე, უყალიბებს და სძენს მას მორალურ იქრს. აღმზრდელობითი შინაარსის ნაწარმოების გაცნობისას, მაგალითად, როგორიცაა სიმდერები საქართველოზე, უბიძებს ბავშვებს სამშობლოს სიყვარულისკენ და ადძრავს მოსწავლეებში პატრიოტულ გრძნობებს. სხვადასხვა კუთხის ფერხულები, სიმდერები, ცეკვები იწვევს ინტერესს ამ კუთხის ადათ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებზე. ჟანრული მრავალფეროვნება ეხმარება ბავშვს, აღიქვას გმირული სახეები და ლირიკული განწყობილებები, მხიარული იუმორი და საცეკვაო განწყობილებები... მუსიკის აღქმისგან წარმოქმნილი გრძნობების მრავალფეროვნება, ამდიდრებს ბავშვების გამოცდილებას და მათ სულიერ სამყაროს.

აღმზრდელობითი ამოცანების განხორციელებას ბევრად უწყობს ხელს გუნდური სიმდერა, ცეკვები, თამაშები... ამ დროს ბავშვები იძენენ საერთო გამოცდილებას. გუნდური სიმდერა მოითხოვს მონაწილეთა ერთიან ძალისხმევას, საერთო გამოცდილების ნიადაგზე, ის იძლევა ინდივიდუალური განვითარების კარგ ეფექტს. მეგობრის მაგალითი, ზოგადი ენთუზიაზმი, სიმდერის შესრულების სიხარული ააქტიურებს გამბედაობას მერყევ ბავშვებში, ვითარდება ინდივიდუალური შესაძლებლობები... მუსიკის გაკვეთილები ავლენს საერთო კულტურას. გაკვეთილზე სხვადასხვა მუსიკალური აქტივობების მონაცვლეობა (სიმდერა, მუსიკის მოსმენა, თამაშები, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა, მუსიკალური მოძრაობები და ა. შ.) ბავშვებისგან მოითხოვს ყურადღებას, საზრიანობას, სწრაფ რეაქციას, ორგანიზებულობას, ნებისყოფის გამოვლენას, რაც გულისხმობს: სიმდერის შესრულებისას დროულ დაწყებას და დამთავრებას, ცეკვებსა და თამაშობებში მუსიკის შესაბამისად სწორ მოძრაობას, სწრაფად გაქცევისა და ვინმეზე გადასწრების იმპულსური სურვილისგან თავის შექავებას... ეს ყველაფერი ათავისუფლებს მოსწავლეს დამთრგუნველი პროცესებისგან, გავლენას ახდენს ბავშვის თავისუფლების განვითარებაზე და დამოუკიდებლობის გამოვლენაზე.

ამრიგად, ბავშვის პიროვნების ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის მუსიკას. აშკარად მუსიკალური განათლებისა და სწავლების მიზანშეწონილობა ბავშვის პარმონიულ განვითარებაში. ეს კი ხელს უწყობს მუსიკალური მეხსიერების გააქტიურებას და აზროვნების კონცენტრაციას. მაშასადამე, მუსიკა გვევლინება ემოციებისა და გრძნობების მძლავრ საშუალებად. ის ავითარებს ფანტაზიას, აზროვნებას, ფლობს აღმზრდელობით მეთოდებს და არის ეფექტური საშუალება პიროვნების ფორმირებისა, რომელიც იწყება ბავშვობაში. მუსიკა, თავისი შინაგანი ბუნებით, უნდა იყოს განუყოფელი ნაწილი ზოგადი განათლებისა, რაც

თავისთავად გახდება თითოეული ბაგშვის პიროვნული განათლებისა და განვითარების საფუძველი. მუსიკის სწორება ბაგშვის პიროვნების ფორმირების საშუალებაა.

მუსიკალური უნარების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეპერტუარის სწორად შერჩევა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბაგშვის ასაკობრივ შესაძლებლობებს და თავისებურებებს. სწორების დროს ნაწარმოებები ისე უნდა იყოს დალაგებული, რომ მუსიკალური სახეები თანდათან რთულდებოდეს. რეპერტუარი მაღალმხატვრული, თემატურად მისაწვდომი, გასაგები, საინტერესო უნდა იყოს ბაგშვისთვის, რის შედეგადაც უფრო მრავალფეროვანი ხდება მისი გრძნობები, აქტიურდება და მარტივდება მუსიკის აღქმის უნარი და ზოგადად, თანდათან რთულდება „მუსიკალური ენა“. ბაგშვებს აქვთ უნარი, აღიქვან უფრო რთული ნაწარმოებები, ვიდრე შეუძლიათ შეასრულონ. რეპერტუარი, მუსიკალური მასალა, დალაგებული უნდა იყოს ისე, რომ საბოლოოდ მოსწავლეებმა შეძლონ სერიოზული, „წმინდა“ მუსიკის აღქმა. უფრო რთული მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენა განხილულ უნდა იქნეს, როგორც ბაგშვების მუსიკალური განვითარების ფაქტორი. რეპერტუარის შერჩევის დროს უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ზოგადი, ფიზიკური და მუსიკალური განვითარების დონე, ამავდროულად, საჭიროა ისეთი სირთულის ნაწარმოების შერჩევა, რომელიც ხელს შეუწყობს განვითარების უახლოესი ზონის წარმოშობას. რეპერტუარის შერჩევისას მხედველობაში უნდა მივიღოთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მასწავლებლის კვალიფიკაცია, ჯგუფში ბაგშვების რაოდენობა და ა.შ. მუსიკალური მასალა ხელს უნდა უწყობდეს სასწავლო-აღმზრდელობით ამოცანებს.

მუსიკალური ნაწარმოების აღქმისა და მხატვრული შინაარსის გაგების გამარტივების მიზნით, მასწავლებელი წინასწარ ამზადებს ბაგშვს, დაინტერესდეს მუსიკალური მასალით. ნაწარმოების დამახასიათებელ მომენტებზე ყურადღების აქცენტირება ეხმარება მოსწავლეს, დაამყაროს გარკვეული კონტაქტი ნაწარმოებთან. დროის სიმცირის გამო, მასწავლებელი მოკლედ და მკაფიოდ ამბობს სათქმელს მნიშვნელოვან მომენტებზე, რათა არ გამოიწვიოს მოსწავლეთა გადაღლილობა და ამით ხელი შეუწყოს ნაწარმოების ყურადღებით მოსმენას და მის აღქმას.

ინტერესი და სიყვარული მუსიკისადმი სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს, ამიტომ ის ცდილობს, მრავალგზის მიიღოს ამგვარი განცვდა. რეპერტუარის არჩევანი მიუთითებს ბაგშვის მუსიკალურ გემოვნებაზე, დამოკიდებულებაზე მუსიკის მიმართ. სისტემატური მუშაობა გამოუმუშავებს პატარებს შეფასებით კრიტერიუმებს.

მუსიკალური რეპერტუარი აუცილებლად შერჩეული უნდა იყოს ეროვნული სასწავლო გეგმისა და მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით. ნაწარმოების აღქმა და მასზე მსჯელობა რთული ამოცანაა. მასწავლებელმა უნდა დააინტერესოს ბაგშვები სწორად შერჩეული რეპერტუარით და გაუმარტივოს მათ მუსიკის აღქმა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, მოსწავლეები თავად შეძლებენ ნაწარმოებზე მსჯელობას და მის სწორ შეფასებას.

ლიტერატურა

1. ოხილავა გ., საგანმანათლებლო პროცესის მუსიკალურ-მეთოდური უზრუნველყოფა, ქუთაისი, 2018
2. კაკაბაძე ვ.. მუსიკის ფენომენი, ქუთაისი, 1993
3. მუსიკის რეპეტიტორი, სტუდენტის სახელმძღვანელო, თბილისი, 2016

Magda Tkhilava

Teaching music - the way of human formation

Abstract

Music pedagogy defines the concept of teaching music and education. Music education develops patience and diligence, reveals the student's emotions and teaches him how to perceive the world... On the basis, the child's inner world begins to enrich.

Music has a big influence in the student's creative development. Music can harmonically develop the child's all-round, aesthetic thinking...

Music education develops the child's thinking: visual, auditory, figurative and associative. Learning music forms creative interests, aesthetic taste and aesthetic attitude.

Music has a positive influence on the child's feelings. Introduction of didactic compositions awakens the love to the homeland and develops patriotic feelings. Genre variety helps the child to perceive characters and lyric moods, humor and dancing mood... The variety of the feelings caused from music perception enriches children's experience and their inner world.

Accordingly, music plays a big role in the child's human formation. Music education is important in the child's harmonic development. This activates musical memory and thinking concentration. It develops fantasy, thinking, has didactic methods and is an effective way in human formation which starts in childhood. Music, with its inner world, should be an essential part of general education which will become the basis of the child's education and development.

რეცენზენტი: პროფ. ა. არველაძე

პედაგოგიკა Pedagogic

იზა მუშკულიანი

ქუთაისი, საქართველო

სწავლების მეთოდები: კონსტრუქტივიზმი

21-ე საუკუნის ხეთლა, სახწავლო პროცესები, მახწავლებლები მოტივირებულნი არიან მოხსენენ განვითარონ უნარები, რომლებიც საჭიროა მათი საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის. თითოეული დისციპლინა ორიენტირებულია თავისი წილი აგური დაღოს მოხსავლის აზროვნებაში, მთელი ამ პროცესის სწორად წარმართვის ერთ-ერთ სწავლების თეორიას წარმოადგენს კონსტრუქტივიზმი და მისი შეხედულებები სწავლაზე, ამ მეთოდის ეფექტურად გამოსაყენებლად საჭირო მისი სწორად გააზრება, გაკვეთილის დაგეგმა ამ მეთოდის გამოყენები, დაკვირვება საკუთარ გაკვეთილებზე, თვითრეფლებისა ამ მეთოდით ჩატარებული გაკვეთილის ფარგლებში, რადგან დააკვირდეთ, გაანალიზოთ თქვენი შედეგები თითოეული გაკვეთილიდან მიღებული და შემდგომში გამოახსროთ, გააუმჯობესოთ ამ მეთოდის გამოყენება.

კონსტრუქტივიზმი, როგორც პედაგოგიური ფილოსოფია, რა სახის აქტივობებს ითვალისწინებს ამ მეთოდის სწორად და ეფექტურად გამოყენება, რა განაპირობებს კონსტრუქტიული სწავლების მეთოდის დამკვიდრებას სასწავლო პროცესში- ეს არის მასწავლებლის ფაქტორი, სასწავლო პროგრამები, სასწავლო სახელმძღვანელოები, მოსწავლეების მზაობა ამ მეთოდის უკეთ დასახვეწად თუ სხვა. რა ფაქტორები განაპირობებს მეთოდის ეფექტურად გამოყენებას ყოველდღიურ პრაქტიკაში.

„განათლება ადამიანს ღირსებას ჰმატებს, მონაც კი იწყებს იმის გააზრებას, რომ ის მონობისათვის დაბადებული არ არის.“ -დენი დიდრო. რა არის განათლება, ან ვის შეიძლება ვუწოდოთ დღეს, 21-ე საუკუნეში განათლებული ადამიანი ?!. მას, ვისაც ბევრი წიგნი აქვს წაკითხული, თუ მას, ვისაც ჯანსაღი აზროვნება აქვს, სწორად აფასებს და აანალიზებს საზოგადოების საჭიროებებს, საკუთარი წინსვლისათვის სწორად გეგმავს და ახორციელებს კიდეც თავის მიზნებს. თუ ისინი არიან განათლებული ადამიანები და არა პიროვნებები, რომლებმაც თავიანთი განათლებულობის დამადასტურებელი დიპლომები წარუდგინეს საზოგადოებას?! ვინ არიან ან საიდან მოდიან განათლებული ადამიანები? განათლება და

ზოგადად განათლებული ადამიანი ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებებია, მაგრამ რატომდაც დღევანდელი საზოგადოება ერთ კონტექსტში განიხილავს, თუ განათლება მიიღე ესე იგი განათლებული ადამიანი ხარ და ამის საბუთიც გაქვს. მაგრამ ეს ასე არ არის. განათლება, ეს არის ცოდნის მიღების ორგორც პროცესი, ასევე შედეგი. პროცესი ორგორც, სწავლების გზა, ორმელიც თითოეულმა ადამიანმა უნდა გაიაროს, და შედეგი, ორგორც ცოდნა, ორმლის გამოყენება შეუძლია ადამიანს.

თეორიებიდან თანამედროვე ბავშვზე მორგებული სწავლების თეორია არის კონსტრუქტივიზმი, მთელი მისი ძირითადი პრინციპებით და არსით.

კონსტრუქტივიზმი თავისი არსით საკმაოდ ფართო ცნებაა, რომელსაც იყენებენ, ორგორც ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, განათლების სპეციალისტები ასევე სასწავლო პროგრამების შემდგენლები. გერმანელი ფილოსოფოსი ერნესტ ვონ გლესერფელდი მას უწოდებს „თანამედროვე ფსიქოლოგიის, ეპისტომოლოგიისა და განათლების უზარმაზარ და დამაბნეველ არეალს.“ რაც შეეხება კონსტრუქტივიზმს, როგორც პედაგოგიურ ფილოსოფიას, მისი არსი შემდეგში მდგომარეობს, რომ ცოდნა არ შეიძლება მზა სახით გადაეცეს ბავშვს, საჭიროა ისეთი პედაგოგიური პირობების შექმნა, რომ ბავშვმა თვითონ მოახერხოს ცოდნის კონსტრუირება. ჩვენ ყოველდღიურად ვიყენებთ კონსტრუქტიულ მიდგომას, კერძოდ თითოეული ჩვენგანი ახორციელებს გარესამყაროს შეცნობის, გაგების საკუთარ კონსტრუირებას, აგებას. აქედან გამომდინარე ყველა ადამიანს აქვს საკუთარი მსოფლმხედველობა, შეხედულებები, სამყაროს ხედვა.

კონსტრუქტივიზმის სწავლების მეთოდების ტექნოლოგიები.

კონსტრუქტივიზმი არის პედაგოგიური ფილოსოფია, რომლის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ცოდნა არ შეიძლება მზა სახით გადაეცეს ბავშვს. კონსტრუქტივიზმისტული მიდგომა შეიძლება ითქვას, რომ ლოგიკური შედეგია პიაჟეს, ვიგორსკის, და ბრუნერის თეორიების, რომლებიც ხაზს უსვამენ ბავშვის მიერ პრობლემის გადაწყვეტას, ჯგუფურ მუშაობას და ორიენტირებას ბავშვის აღმოჩენებზე. ამ მეთოდი, ადამიანები სწავლობენ აზროვნების და გამოცდილების საფუძველზე, რის შედეგადაც მათ უფრო დრმად უვითარდებათ შემეცნებითი უნარები. დღევანდელი საზოგადოების ძირითადი გამოწვევაც, სწორედ ეს არის, აღზარდოს პროგრესულად მოაზროვნე მომავალი თაობა. კონსტრუქტიული მიდგომით მოსწავლე აქტიურად არის ჩართული ცოდნის აგების გზაზე, ყოველი ახალი ცოდნა ემყარება უკვე ნასწავლს და შედეგად ვიღებთ იმაზე დრმა და მტკიცე ცოდნას, რაც მოსწავლეს აქამდე ჰქონდა გარკვეული საკითხის ირგვლივ.

კონსტრუქტიული სწავლების მეთოდის გამოყენებით, მოსწავლე დამოუკიდებლად წამოაყენებს იდეებს, იდებს გადაწყვეტილებებს საკუთარი აზროვნებისა და საკუთარი ხედვის შესაბამისად. სწავლების ამ თეორიის პრაქტიკაში დანერგვისათვის მასწავლებელმა განსაკუთრებული აქცენტი მოსწავლის ინტერესებზე უნდა გააკეთოს. ასეთი მიდგომა ხელს უწოდებს მოსწავლეთა მოტივაციისა და სასკოლო ჩართულობის გაზრდას, რაც განაპირობებს მოსწავლის უფრო მაღალ აკადემიურ მიღწევას. სწორი თვითშეფასების ჩამოყალიბებას, რაც ხელს უწოდებს მოზარდის მსოფლმხედველობის ფორმირებას.

კონსტიტუციული მიღებობის ძირითადი ასპექტები და ინტერპრეტაციები

- ცოდნა არ შეიძლება გადავცეთ მზა სახით. უნდა შევქმნათ სათანადო პირობები რათა მოსწავლეებმა თავად შეძლონ ცოდნის აგება.

მაშინ, როდესაც მოსწავლეს კონკრეტული საგნის ასათვისებლად ვთავაზობთ ყველა ლიტერატურას და არ ვტოვებთ მისთვის, დამოუკიდებლად საკვლევად რაიმე საკითხს, ეს ცოდნა შეიძლება იყოს უფრო მოცულობითი, მაგრამ ასეთი სახით მიწოდებული მასალა უინტერესო არის მათვის. როდესაც დამოუკიდებლად მუშაობენ, გარკვეულ თემებზე, ისინი გზადაგზა აღმოაჩენენ ახალ, მათვის უცხო და საინტერესო ფაქტებს, რომელთა ანალიზი შემდგომ პგვით სიამოვნებას, **სწავლის პროცესში მოსწავლე ახალი ცოდნის გააზრებისას იურიდის თავის გამოცდილებას, ცოდნას.**

როდესაც ახალი მასალის ახსნასთან გვაქვს საქმე, არ უნდა დაგვავიწყდეს მოსწავლეებს შევახსენოთ ის საკვანძო საკითხები, რომელიც საჭიროა ახალი მასალის უკეთ ასათვისებლად. როდესაც მასწავლებელი დაიწყებს ახალ მასალაზე საუბარს, შიგა და შიგ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები და ისინი გრძნობენ, რომ უკვე ათვისებული მასალა რამდენად აქვთ გააზრებული და შემეცნებაში გადასული, სად აქვთ მეტად ჩავარდნა, სად სჭირდებათ დახმარება და აშ. **სწავლა გულისხმობს კომუნიკაციას.**

სწორი კომუნიკაცია ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია სათქმელის სწორად გადმოსაცემად და მისი შემდგომი ანალიზისათვის. „ ენას”, რომელსაც მასწავლებელი იყენებს გაკვეთილზე, მოსწავლეებთან კომუნიკაციის პროცესში, უშუალო გავლენას ახდენს შემეცნებითი პროცესების განვითარებაზე” (მელიქიშვილი, 2012, გვ 6). ასევე საუბარზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ჯესტები, მიმიკა რასაც მასწავლებელი იყენებს გაკვეთილზე. ხშირად მოსწავლეები ასოციაციას აკეთებენ და კონკრეტული ტერმინის დამახსოვრებისას იყენებენ მასწავლებლის ჟესტებს. **მაგალითად**, ეს მეთოდი ეფექტურია დაწყებით კლასებში, თუნდაც გეოგრაფიულ სხეულებს ხსნის მასწავლებელი, ერთი დაუხსახა სამკუთხედი, ოთკუთხედი დაფაზე, მასთან ერთად მიუთითა თუ რასთან ასოცირდება სამკუთხედი და ოთკუთხედი საკლასო ოთახში, ხელითაც შემოუხსახა და ყოველივე ამის შემდეგ მოსწავლეს, ყოველთვის როცა სამკუთხედზე ან ოთკუთხედზე ექნება წარმოსადგენი ფიგურები, მისი საკლასო ოთახი და მასწავლებლის ჟესტები გაახსენდება. მეორე საკომუნიკაციოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეტყველებას. თითოეულმა მასწავლებელმა ათასჯერ უნდა გაზომოს სათქმელი და ისე გააუდეროს, რაც შეიძლება მარტივი ენით და გამართული ქართულით, რადგან მათი მსმენელები არიან მოსწავლეები, რომლებიც მასწავლებლის თითოეულ სიტყვას უკვირდებიან

• სწავლა არის სოციალური აქტივობა

სწავლის პროცესში სოციალური ურთიერთობები უფრო ეფექტურია, ვიდრე მოსწავლის მხოლოდ წიგნთან ურთიერთობა. მნიშვნელოვანი მიღწევაა, როდესაც ახალი მასალის ახსნის შემდეგ თანაკლასელები ერთმანეთში განიხილავენ თემას და თავად ცდილობენ, თავიანთი ენით ახსნან, ის რაც დარჩათ ამ გაკვეთილიდან. ერთმანეთის ახსნილი ხშირად

უფრო კარგად ესმით, რადგან თავიანთი თანატოლის აზროვნებას უადვილდება გააგებინოს, რისი თქმა უნდოდა კონკრეტულ თემას, შემდეგ თავად ახდენენ მასალის სხვადასხვა სახით ინტერპრეტაციას.

ასევე მნიშვნელოვანია კონსტრუქტიული მიღების დანარჩენი პრინციპები: სწავლის მოტივაციის შექმნა, რაც ხელს უწყობს არა მარტო შემეცნებას, არამედ გულისხმობს სწავლის მიზნის გაგებას, გონიერივი აქტივობის სტიმულირებას, მოსაზრებების ჰიპოთეზების შინაარსის ორგანიზების მცდელობის წახალისებას, სწავლების ისეთი პირობების შექმნას (მეთოდების, სწავლების ფორმების, შეფასების სისტემის), სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლის ინტელექტუალურ შეხედულებებს და აზროვნების ინდივიდუალურ სტილს და ბოლოს, სწავლების შინაარსი უნდა ემყარებოდეს ზოგად კონცეფციებს, სისტემურ ცოდნასა და ინტეგრირებულ უნარებს.

კონსტრუქტივიზმის მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები, მისი გამოყენების ეფექტურობის შეფასება

კონსტრუქტივიზმის სწავლების მეთოდები მთლიანად მორგებულია მოსწავლის საჭიროებებზე, მათი აზრის თავისუფლებაზე. ამ მეთოდის სწორად გამოყენების შემთხვევაში, მოსწავლეებს უჩნდებათ საკუთარი აზრის გამოთქმის და მისი დასაბუთების სურვილი, რაც საბოლოო ჯამში, მოსწავლის სად აზროვნებას უწყობს ხელს.

დადებითი მხარე

ამ მიღების უმთავრესი დადებითი მხარე მდგომარეობს მოსწავლეებში მოტივაციის და სასკოლო ჩართულობის ამაღლებაში, რაც აისახება მათ აკადემიურ მიღწევაზე. მოტივაციის ზრდა ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითშეფასების ამაღლებას, რწმენას იმისა, რომ მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაჭრან სასკოლო თუ ცხოვრებისეული პრობლემები, მასწავლებელთა მინიმალური ჩარევის საშუალებით. სწორად წარმართული სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებში პასუხისმგებლობის ამაღლებას, არამარტო სასწავლო პროცესის მიმართ, არამედ ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღების გზაზე. სკოლა ხომ ის დაწესებულება, რომელიც რეალური ცხოვრებისთვის უნდა ამზადებდეს მოსწავლეს. ამ პროცესში კი მასწავლებელი „ხარაჩოების ფუნქციას უნდა ასრულებდეს“ (მელიქიშვილი მ., 2012, გვ7).

კონსტრუქტიული მიღების კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს სახელმძღვანელოს, როგორც ერთადერთ საშუალებას ცოდნის მიღების, მის მინიმუმამდე დაყვანას. ამ მიღების ფარგლებში სახელმძღვანელო არ წარმოადგენს ინფორმაციის ძირითად წერტილს, უპირატესობა ენიჭება პირველად წყაროებს, რეალური სინამდვილის ობიექტებს და მოვლენებს, მათზე დაკვირვებას. მაგრამ ეს დადებითი მხარე შეიძლება დღეს გახდეს ამ მიღების უარყოფითი მხარეც, რადგან პირველადი ინფორმაციების მოძიება მოითხოვს საქმაოდ დიდ რესურსს, როგორც მოსწავლის ასევე მასწავლებლის მიერ.

ამ მიღების დადებით მხარეს წარმოადგენს მასწავლებელი, როგორც ინფორმაციის გადამცემი, იმ სახით, რომ მოსწავლეებს აღუძრას ინტერესი დააკვალიანოს, მიმართულება მისცეს, საჭიროების შემთხვევაში გაუწიოს კონსულტაცია. მასწავლებელი ამ მიღების

სწორად გამოყენების შემთხვევაში არ აფასებს მოსწავლის აზრს , როგორც მცდარს ან ჭეშმარიტს. შევასება მასწავლებლის მიერ ხდება, არა მხოლოდ განმსაზღვრელი შევასებით, არამედ ფასდება მოსწავლის სასწავლო- შემეცნებითი აქტივობის ყველა შედეგი- ცოდნა, ძალისხმევა და წარმატება, ინიციატივა.

უარყოფითი მხარე

კონსტრუქტიული მიდგომის უარყოფით მხარეს წარმოადგენს სწავლების საფეხურების ბარიერების დაძლევის სირთულე. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის დიდ სირთულეს წარმოადგენს ახალი მასალის დამოუკიდებლად ათვისება, მაშინ როდესაც მათ წერა-კითხვა, ანგარიში სულ ახლა დაიწყეს. თუმცა მცირე დოზით შესაძლებელია დაგგეგმოთ კონკრეტული პროექტი, სადაც ჯგუფურად იქნებიან ჩართულები მოსწავლეები და მასწავლებელი დაეხმარება , მართალია დიდი დოზით , მაგრამ გარკვეულ სამუშაოს (მასალას) დამოუკიდებლად დაამუშავებენ.

გამოყენების ეფექტურობა

დღევანდელი განათლების სისტემის პირობებში როგორ უნდა შევძლოთ ეფექტურად გამოიყენოთ სწავლების ეს თეორია? პირველი ალბათ უნდა დავიწყოთ მასწავლებელთა სწორი ტრენინგებით ცალკეული დისციპლინების ან მონათესავე დისციპლინებთან ერთად. რას ითვალისწინებს ეს მიდგომა, სწავლების რა საშუალებებს იყენებს ეს მიდგომა, რა სახის ტექნოლოგიები გამოიყენება და რომელ მონათესავე თეორიებთან ერთად აქვს ეფექტი ამგვარ სწავლებას. რაც მთავარია, ეს თეორია არის პრაქტიკული, ეს არ არის მხოლოდ პედაგოგიური ფილოსოფია და დაწერილი იმისათვის , რომ წავიკითხოთ და დავეთანხმოთ ან არ დავეთანხმოთ. არამედ ეს თეორია გულისხმობს, სწორად გავიაზროთ მისი არსი და ვიფიქროთ მის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე და გამოყენებაზე.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, რომ ამ მეთოდს ვერ გამოიყენებს ყველა დისციპლინა ეფექტურად, კონსტრუქტივიზმი უფრო და უფრო მეტ მომხრეს პოულობს რიგით პედაგოგებს და განათლების მიმართულების ექსპერტებს შორის, რომლებიც თავიანთ პრაქტიკაში ამ მეთოდის რეალიზებისათვის კონკრეტულ ნაბიჯებს დგამენ.

ლიტერატურა

მელიქიშვილი, მ. (2012). კონსტრუქტივიზმი. თბილისი. 45 გვ

ნ.ჯანაშია, ნ.იმედაძე, ს.გორგოძე (2008). განვითარებისა და სწავლების თეორიები.

საქართველოს მაცნე.

გ.ჯაფარიძე (2005) განათლების ენტოლოგია. თბილისი.

http://orioniblog.blogspot.com/2011/06/blog-post_5836.html

<http://www.jolo.ge/konstruktivistuli-midgoma/>

<http://mastsavlebeli.ge/?p=1587>

<http://mtm1984.wixsite.com/sophie/-2-3>

Iza Muchkudiani

Methods of Teaching: Constructivism

Abstract

In 21st century schools, teachers and educational programs are motivated to develop skills that will help students in integration in to society. Each discipline is oriented to contri but estudent's analytical thinking, constructivism represents a theory which correctly handles this process. In order to effectively use this method, it's necessary to properly understand it, plan lessons using this method, observe, self-reflect during the lesson, analyze your results to make corrections and improve this method.

Modern school and student give us the opportunity to introduce constructive teaching methods. The most important factors are teacher's willingness and student's readiness. Receiving, analyzing and using of information by student, making correct decisions and solving problems is a result of properly used constructivism. Maybe not today or tomorrow, but it's important to start this process in time.

One of the most significant factors that the teacher should take into consideration is that a teacher for a student should be one of the sources of information, but not the only one. Teachers should encourage students to seek information from alternative sources like internet, it will help students to understand core concepts and study materials better.

რეცენზენტი: პროფ. ვ. იზბულე

პედაგოგიკა Pedagogic

ნინო სოხაძე

ქუთაისი, საქართველო

ქართული განათლება და მე-19 საუკუნის რეალობა

ხვადაში მოცემული გვაქვს ის დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, რასაც ეწეოდნენ ქართველი 60-იანების ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით. განხაკუთრებული კურადღება გავამახვიდეთ წერა-კითხვის საზოგადოების მნიშვნელობაზე. ეს პერიოდი თამამად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოსათვის მეორე ოქროს ხანად, დაგით აღმაშენებლის და თამარის შემდეგ. ასევე მოცემული გვაქვს რუსული პოლიტიკის ზეგავლენა ქართულ კულტურაზე და განათლებაზე, თუ როგორ ცდილობდა რუსული ცარიზმიქართული ენის მოკვლას. ეს კი იყო ტოლვასი ქართული ეროვნულობის მოკვლის კარგად გვაქვს ნარჩენები ქართველ 60-იანებთა დაუღალავი ბრძოლა რუსული ცარიზმის წინააღმდეგ.

ნაშრომში ნაჩვენებია თუ როგორ იხსნებოდა სკოლები, ბიბლიოთეკები, იქნებოდა მცირედ, მაგრამ მაინც სახელმძღვანელოები. თუ რა დიდი კურადღება ეთმობოდა ქალთა განათლებას. იხსნებოდა გიმნაზიები და მზადდებოდა საფუძველი იმ დიდი ტაძრის გასახსნელად, რასაც ქართული უნივერსიტეტი ჰქონდა.

მე-19 საუკუნე ეს არის საქართველოსათვის მეორე რენესანსი ანუ მისი აღმავლობის, განათლების და განხორციელების ხანა. ამ პერიოდს აკავშირებს ქართველი სამოციანებები, რომლებმაც განსაკუთრებული ბევრი ეროვნული საქმე გააკეთეს. ვაულისხმობ წერა-კითხვისთვის გამაგრცელებელ საზოგადოებას, როცა გვერდით დადგა ქართული ეროვნული სული. პეტერბურგიდან დაბრუნებული ახალგაზრდობა ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი და სხვანი მრავალნი ფიქრობდნენ სამშობლოზე „როგორ შევეყრები მე ჩემს სამშობლოს და როგორ შემეყრება იგი მე, რას ვეტყვი ახალს მე ჩემს სამშობლოს და რას მეტყვის იგი მე“. ახალი ბევრი ითქვა. ითქვა, რომ საქართველოს განათლებული პატრიოტი, ძლიერი მომავალი გადაარჩენს.

ამ პერიოდისათვის საქართველოში ყველაზე მასობრივი სასწავლებლები საეკლესიო - სამრევლო სკოლები იყო. სადაც ასწავლიდნენ სადგომ რჩეულს, რუსულ და ქართულ

წერა- კითხვას, სუფთა წერას და არითმეტიკას და საეკლესიო გალობას. სამრევლო სკოლები, ყოველთვის იყო პრიორიტეტი დაბალ ფენებში. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ სხვა სკოლებთან შედარებით სწავლა იაფი იყო და სწავლება მშობლიურ ენაზე იყო.

მე-19 საუკუნის ბოლოს საქართველო რელიგიური სკოლების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. განსაკუთრებით ბევრი იყო კათოლიკური სკოლები. ეს გამოწვეული იყო კათოლიკური რელიგიის პროპაგანდით.

აღსანიშნავია ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, რომელიც 1821 წლის თებერვალში დაარსდა, მას შემდეგ რაც ეპარქიის სათავეში ჩადგა გაბრიელ ეპისკოპოსი სასწავლებელში მდგომარეობა გამოკეთდა. სასწავლებელში იგრძნობოდა ეროვნული სული. 1894 წელს იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის თაოსნობით ქუთაისში სასულიერო სემინარია გაიხსნა. წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი ქალთა პირველი სკოლა იყო ქუთაისში. საქართველოში ასევე არსებობდა სასულიერო- სამეურნეო სასწავლებლები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევდნენ იმ ფენომენს, რომლებთაც არ ჰქონდათ საშუალება მიედოთ ფასიანი განათლება. ასევე საქართველოში არსებობდა გიმნაზიები, რეალური და გაუთა სასწავლებლებლი, გიმნაზიადამთავრებულს უფლება ქონდათ სწავლა გაეგრძელებინა უნივერსიტეტში. მას ეძლეოდა სიმწიფის ატესტაცია. ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიის ისტორიაში დიდი ადგილი ეჭირა იოსებ ოცხელს, რომელიც ქუთაისის სათავადაზნაურო ქართული სკოლის ხელმძღვანელად დაინიშნა და რომელმაც მის გარშემო შემოიკრიბა პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგები. ასევე საინტერესოა, როგორ საგანმანათლებლო პოლიტიკას ეწეოდა რუსეთი საქართვლოში. როგორ ცდილობდა რუსეთი დაეკინებინა ეროვნულობა. ისინი ცდილობდნენ მშობლიური ენის დამკვიდრებას და განსაკუთრებით დაწყებით კლასებში. განსაკუთრებით უნდა ავღნიშნოთ ე.წ. „ნათიევის მეთოდი”, რომელზედაც ილია ჭავჭავაძემ ირონიულად იკითხა; „უნდა ვიცინოთ თუ უნდა ვიტიროთ” ეს მეთოდი ითვალისწინებდა ქართული და რუსული ენების პარალელურ სწავლებას და ბაგშვებს ქართული სიტყვები რუსული ასო - ბგერებით უნდა დაეწერათ.

ქართული ეროვნული ცნობიერება ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით იბრძოდა გარუსების წინაარმდებ. ქართველი სამოციანელები მოითხოვდნენ ქალთა აუცილებელ განათლებას, ამისათვის იხსნებოდა ქალთა სკოლები, პანსიონები, რათა ქალი ეს მომავალი დედად და მათ ღირსეული თაობა აღეზარდათ. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ წერა- კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების როლს ქართული პედაგოგიური აზრის განვითარებაში. საზოგადოების მიზანს ქართული სკოლების გახსნა შეადგენდა მშობლიურ ენაზე სწავლება და ქართულ ენაზე დაწერილი წიგნების გამოცემა. ისინი იბრძოდნენ ყველაფერი,, ქართულისათვის”, მათ სურდათ ქართული სახალხო სკოლებში სწავლება ყოფილიყო ბაგშვებისათვის გასაგებ, მშობლიურ ენაზე. საზოგადოებამ ოციოდე წლის გამავლობაში მხოლოდ რამდენიმე სკოლის გახსნა მოახერხა. პირველი სკოლა, რომელიც ქართველთა შორის წერა- კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გახსნა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა იყო. ასევე აღსანიშნავია ქართველთა შორის წერა- კითხვის

გამავრცელებელი საზოგადოების დვაწლი ქართველ მაპმადიანთა განათლების საქმეში, რადგანაც სწავლა-განათლების მხრივ გამაპმადიანებული საზოგადოება მეტად ჩამორჩენილი იყო. წერა- კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება არა მხოლოდ სსნიდა საკუთარ სკოლებს, არამედ უკვე გახსნილ სხვა სკოლებსაც ეხმარებოდა გაუმჯობესების მიზნით. ეხმარებოდა როგორც ფულით, ასევე ავეჯითა და სასწავლო ნივთებით. წერა-კითხვის საზოგადოების მუშაობას აბრკოლებდა სახელმძღვანელოების უქონლობა. საზოგადოებამ ამ მიზნით იაკობ გოგებაშვილის წინადადებით პრემიებიც კი დანიშნა პირველდაწყებითი ქართული სკოლების სახელმძღვანელოთა ავტორების დასაჯილდოვებლად. სტამბის უქონლობა დიდად უშლიდა ხელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას წიგნების გამოცემის საქმეში.

ამდენად, მე-19 საუკუნე თამამად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოსათვის მეორე ოქროს ხანად. ეს არის დამსახურება იმ ქართველი ეროვნული ინტელეგიციისა, გონებისა, სულისა, რომელთანაც 60-იანელებს ვუწოდებთ და ვისურვოთ, მესამედ ახლა უავე 21-ე საუკუნეში განმეორდეს ეს ხანა.

ლიტერატურა

1. ნათელა გასაძე „პედისტორია”
2. ნათელა გასაძე „პედაგოგიკა”
3. ასათიანი, ბალანჩივაძე „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები”

Nino Sokhadze

Georgian education and reality of the 19th century

Abstract

In the article we have a great cultural-educational work that was carried out by 60 Georgians led by Ilia Chavchavadze. Special attention should be paid to the importance of the writing community. This period can be boldly considered to be the second golden age for Georgia after the David Aghmashenebeli and Tamar. We also have the influence of Russian politics on Georgian culture and education on how Russian Tskhinvali is trying to kill Georgian language. This is a very tough battle for Georgian nationality. We have a wasted battle against Russian Tsarism in the 60s of Georgians.

The paper shows how schools, libraries will be opened, but still less textbooks. What great attention was paid to women's education? The gymnasiums were opened and the foundation was made to open the big cathedral called the Georgian University.

რეცენზენტი: პროფ. ო. გუსევა

პედაგოგიკა Pedagogic

ნინო ჭოხონელიძე

ქუთაისი, საქართველო

დისკუსია, როგორც სწავლების მეთოდი უმაღლეს სკოლაში

სწავლების თანამედროვე მეთოდებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ხასტავლო დისკუსიას. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას, აჩვევს მათ თავისუფალ მსჯელობას და საკუთარი აზრის არგუმენტირებულ დასაბუთებას. ხელს უწყობს სტუდენტებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. ასწავლის სწორად შეაფახოს და გაიაზროს საკუთარი შეცდომები, ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას. დისკუსია არის სწავლების მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია იდეების, შეხედულებების, მტკიცებულებების მიზანმიმართული და მოწესრიგებული ურთიერთგაცვლა მასტავლებელსა და სტუდენტებს შორის. დისკუსია ლექციის მსვლელობის დროს კარგი მეთოდია იმის შესამოწმებლად, რამდენად გაიგეს სტუდენტებმა მიწოდებული ინფორმაცია, რა არის შესაცვლელი და დასამატებელი.

სწავლების თანამედროვე მეთოდებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ხასტავლო დისკუსიას. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას, აჩვევს მათ თავისუფალ მსჯელობას და საკუთარი აზრის არგუმენტირებულ დასაბუთებას. ხელს უწყობს სტუდენტებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. ასწავლის სწორად შეაფახოს და გაიაზროს საკუთარი შეცდომები, ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას. დისკუსია არის სწავლების მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია იდეების, შეხედულებების, მტკიცებულებების მიზანმიმართული და მოწესრიგებული ურთიერთგაცვლა მასტავლებელსა და სტუდენტებს შორის.

საინტერესო შეხედულებები აქვთ გამოთქმული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით . კ. ჯინჯიხაძეს, მ. ახვლედიანს, ნ. ორჯონიქიძეს, ქ. ჭკუასევლს, დ. ლორთქიფანიძეს და სხვ.

დისკუსიის გამოყენება სწავლების პროცესში არც თუ ისე ხშირად ხერხდება. სწავლების თანამედროვე პირობები მოითხოვს კარგად იქნას გააზრებული მისი მნიშვნელობა. იგი, როგორც სწავლების მეთოდი აუცილებელია დიალოგის, შეხედულებათა

შეჯერების, საკითხისადმი შემოქმედებითი მიღომის ჩვევის გამოსამუშავებლად. სასწავლო დისკუსია პრობლემის მრავალმხრივი ინტერპრეტაციით კვლევისათვის გამოიყენება. დისკუსია ლექციის მსვლელობის დროს კარგი მეოდია იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად კარგად გაიგეს სტუდენტებმა მიწოდებული ინფორმაცია.

დისკუსიის სხვადასხვა ფორმა არსებობს. მათგან გამოიყოფა შემდეგი:

- „მრგვალი მაგიდა”, როდესაც ერთმანეთის პირისპირ მსხდომი სტუდენტები ერთმანეთს და მთელ ჯგუფს უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს საკამათო საკითხებზ;
- „პანელური დისკუსია”, როდესაც ერთ-ერთი სტუდენტი ასრულებს წამყვანის როლს და არეგულირებს დანარენი სტუდენტების გამოსვლებს.
- „ფორუმი”, როდესაც ჯგუფი ერთობლივად წარმმართველისა და წარმომადგენლის გარეშე ახდენს აზრების ურთიერთობაცვლას. ჯგუფი საკითხს დამოუკიდებლად განიხილავს და შემდეგ ხდება წარდგენა. ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს თავისი მოსაზრების გამოთქმის უფლება;
- „სიმპოზიუმი”, სტუდენტები თანმიმდევრობით გამოდიან წინასწარ გამზადებული მოხსენებებით: გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ. პასუხობენ შეკითხვებს.
- „დებატები”, ჯგუფი იყოფა მცირე ჯგუფებად, რომლებიც ირჩევენ ლიდერს. ის აქეთებს პრეზენტაციას. დებატების ჩატარება აგებულია მონაწილეობა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზე, რომელთა გამოსვლისას დრო ლიმიტირებულია.
- „სასამართლოს სხდომა”, ფორმალური განხილვა, რომელიც არის სასამართლოს სხდომის იმიტაცია.
- „მოზუზუნე ჯგუფები”, ჯგუფი იყოფა უფრო მცირე ჯგუფებად, რომლებიც იწყებენ პრობლემის განხილვას. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს გარკვეულ პიპოთეზას ან პრობლემის გადაჭრის გზას.
- „მთავარი წრე”, ჯგუფიდან ირჩევა 5-დან 10 სტუდენტამდე და კომპლექტდება კ.წ. „მთავარი წრე”, რომელიც გააჩაღებს დისკუსიას მოცემულ თემაზე.

დისკუსიის ჩატარების დროს გამოიყოფა სამი ეტაპი:

1. მოსამზადებელი

2. ძირითადი

3. შემაჯამებელი (შედეგები და ანალიზი)

ცნობილი მკვლევარი ნორმან მაიერი გვთავაზობს განვითარებადი დისკუსიის პრობლემის გადაჭრის ტექნიკას. „ასეთ შემთხვევაში პრობლემა იშლება ნაწილებად. დისკუსიის ყველა წევრი ამუშავებს პრობლემის ერთი და იგივე კომპონენტს დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში და ორიგინალურად წარმოადგენს თავის პოზიციას. განვითარებადი დისკუსიის დროს მასწავლებელმა სტუდენტებს უნდა დაანახოს დისკუსიის განვითარების ცალკეული ეტაპი: პრობლემის ფორმულირება, პიპოთეზის წამყვენება, შესაბამისი მონაცემების მიღება, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების შეფასება. პირველ ეტაპზე მთავარია პრობლემის მკაფიო ჩამოყალიბება. მეორე ეტაპზე საჭიროა დაზუსტდეს რა იცის სტუდენტმა პრობლემის შესახებ ან მიიძიოს მონაცემები. მესამე ეტაპზე უნდა დაისახოს პრობლემის გადაჭრის მისაღები გზის არსებითი ნიშნები და მეოთხე ეტაპზე

დასახელდეს პრობლემის გადაჭრის გზები და შედარებულ იქნას უკვე ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებთან. იგი შეიძლება ჩატარდეს როგორც მცირერიცხოვან, ასევე მრავალრიცხოვან ჯგუფებში. განვითარებადი დისკუსიის ტექნიკით მიღებული გადაწყვეტილების ხარისხი საკმაოდ მაღალია" [1 : 146].

მასწავლებლის როლი დისკუსიაში უმნიშვნელოვანესია: ის განსაზღვრავს სადისკუსიო საკითხებს; არ ერევა დისკუსიის შინაარსობრივ მხარეში; ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართვას დისკუსიაში; საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები; აკონტროლებს დისკუსიის მსგლელობის პროცესს, რათა მონაწილეებმა არ გადაუხვიონ სადისკუსიო თემას. მასწავლებელი გარდა იმისა, რომ აყენებს პრობლემას და სადისკუსიოდ განაწყობს სტუდენტებს, ზრუნავს ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებაზე, რომელიც საჭიროა ამ პროცესის ნორმალური წარმართვისათვის. იგი ზოგჯერ ერთვება პროცესში და სტუდენტებს განუმარტავს, რომ საჭიროა მოკამათეს აცალო საკუთარი აზრის გამოთქმა, რომ თითოეული სტუდენტის აზრი ფასეულია და იგი არ უნდა გახდეს დაცინვის ობიექტი. მასწავლებელმა სტუდენტებში უნდა გააღვივოს აზრი, რომ დისკუსიის მონაწილეებს აქვთ საერთო პრობლემა და შეხედულებათა შეჯერება მიგვიყვანს პრობლემის სწორად გადაჭრასთან.

დისკუსიის მოსალოდნელი შედეგებია:

- სასწავლო მასალის უკეთ გაგება, გამოყენება, ანალიზი და შეფასება;
- სწავლა სხვების მოსაზრებების და შეხედულებების საფუძველზე;
- საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების შეძენა;
- მოსმენის უნარის განვითარება;
- სტუდენტთა ჩართულობის მაღალი დონე;
- შემოქმედებითი შესაძლებლობების გააქტიურება;
- პრობლემის მყისიერი გადაწყვეტის უნარი;
- მოტივაციის ამაღლება.

საინტერესოა ტრადიციული და დისკუსიის საკომუნიკაციო მახასიათებლების შედარება:

დახასიათება	ჩვეულებრივი საუბარი	დისკუსია
ვინ მეტს საუბრობს	მასწავლებელი საუბრობს მთელი დროის ორ მესამედს.	სტუდენტების საუბარს ეთმობა მეცადინეობის თითქმის მთელი დრო
დამახასიათებელი ქცევა	კითხვები-პასუხები: მასწავლებელი ეგითხება, სტუდენტი პასუხობს. მასწავლებელი აფასებს.	არ არის შეკითხვები და პასუხები; არამედ არის კითხვების და პასუხების გაცვლა-გამოცვლა სტუდენტებსა და მასწავლებელს შორის
ფრაზების გაცვლა-გამოცვლა	მრავალჯერადი მოკლე და სწრაფი ფრაზები.	გაცილებით ნელი და ხანგრძლივი ფრაზები

შეკითხვები	მნიშვნელოვანია არა შეკითხვა, არამედ სტუდენტების მიერ პასუხის ცოდნა.	მთავარია კითხვების არსი
პასუხები და შეფასება	ფასდება როგორც სწორი, ასევე არასწორი პასუხი. არსებობს ერთადერთი სწორი პასუხი.	ფასდება როგორც "თანახმა ვარ" ასევე "არ ვარ თანახმა". სწორია ყველაზე განსხვავებული პასუხები.

დისკუსიის აქტიური ხასიათის მიცემის მიზნით სასარგებლოა წინასწარ იქნას გათვალისწინებული სტუდენტების ცოდნის დონე და ინტერესები. თუ ჯგუფური დისკუსია სწორად არის დაგეგმილი და ორგანიზებული, მან შეიძლება სტუდენტს სტიმული მისცეს. მასწავლებელი აწარმოებს დაკვირვებას, თუ რამდენად იყო სტუდენტი ჩართული დისკუსიის პროცესში, რა ისწავლეს სტუდენტებმა დისკუსიის შედეგად.

დისკუსიას ნაკლოვანი მხარეებიც გააჩნია. კერძოდ: მასწავლებლის ურთიერთობა სტუდენტებთან ერთგვარად შეზღუდულია; ჯგუფურმა დისკუსიამ შეიძლება მიმართულება დაკარგოს; ევექტური ჯგუფური დისკუსია შესაძლებელია მხოლოდ მცირე ჯგუფების შემთხვევაში; ჯგუფურმა დისკუსიამ შეიძლება სასწავლო პროცესისათვის გათვალისწინებული დრო წაიღოს; ძალიან რთულია საჯაროდ გამოთქმულ აზრზე უარის თქმა.

ამრიგად, დისკუსიას ინტერაქტიული სწავლების მეთოდებს შორის ერთ-ერთი წამყვანი აღგილი უჭირავს. იგი დიალოგის ხასიათს ატარებს. ეს მეთოდი სტუდენტს უნგითარებს კომუნიკაციის კულტურას, აჩვევს მსჯელობის უნარს, საშუალებას აძლევს ნათლად ჩამოაყალიბოს, ლოგიკურად დაასაბუთოს და დაიცვას საკუთარი მოსაზრება. აქ სტუდენტი სწავლა/სწავლების პროცესის აქტიური მონაწილეა. სწავლის საფუძველს წარმოადგენს სტუდენტის ინდივიდუალური გამოცდილება, მისი ცოდნის დონე და პიროვნული თვისებები. მასწავლებელიც და სტუდენტებიც მუდმივი გამოწვევისა და ახალ-ახალი შესაძლებლობების წინაში დგანან.

ლიტერატურა:

1. ი. ბასილაძე, ნ. ჭოხონელიძე, ნ. კოსტავა, ნ. ქობულაძე, სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემთხვება-შეფასების საკითხები, ქუთაისი, 2016
2. Reutova E Применение активных и интерактивных методов обучения в образовательном процессе вуза; Методические рекомендации; Новосибирск 2012
3. maswavelbeli.ge

Nino Chokhonelidze**Discussion as a teaching method in high school****Abstract**

Study discussions are among the most modern teaching methods. Discussion process increases the quality and activity of students' involvement, concludes their free discussion and argumentative reasoning of their opinion. Promotes critical and creative thinking in students. Teach them to correctly evaluate and realize their own mistakes and promote motivation. Discussion is a method of teaching through which deliberate and disciplined interaction of ideas, opinions, objective and disciplined interpretation of evidence between teachers and students. Discussion During the course of the lecture, is a good method to test how students learned the information, what to change and add.

რეცენზენტი: პროფ. ლ. ექვემბეგვა

სწავლების მეთოდიკა Методика Methodic of teaching

ბეჭა ლურგლიშვილი

ქუთაისი, საქართველო

რეალური პერსონაჟებიტან სახე–სიმბოლოებამცე როგორ დავგეგმოთ შემაჯამებელი გაკვეთილი ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით

ლიტერატურის სწავლება თანამედროვე ეპოქაში უმნიშვნელოვანები გზაა წიგნიერებისა და მაღალი საბროვნო უნარების დასაუფლებლად ზოგადხაგანმანათლებლობის საშუალო საფეხურზე. ამ თვალსაზრისით განუხომდად დიდია იღია ჭავჭავაძის, როგორც მოაზროვნისა და მწერლის შემოქმედების სწავლების მნიშვნელობა.

სტატიაში ნაჩვენებია, როგორ განიხილება მწერლის მოთხოვობის „ოთარაანთ ქვრივის“ პრობლემატიკა და პერსონაჟები პრობლემაზე ორიენტირებულ გაკვეთილზე მე-11 კლასში. თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, 21-ე საუკუნის მოხსევლის გადახახდიდან, ნაწარმოების პერსონაჟები აღიქმებიან არა ჩვეულებრივ აღამიანებად, არამედ მხატვრულ სახე–სიმბოლოებად.

სტატიის მიხედვით, მასწავლებლის მიერ სხვა მეთოდებთან ერთად გამოყენებული ანალოგის მეთოდით – ტრანსფერით მოსწავლეები ახერხებენ შესწავლილის დაკავშირებას მათ პირად ცხოვრებისუფლ გამოცდილებასთან, ლიტერატურულ წყაროებთან და უკითარდებათ კრიტიკული, ანალიტიკური, სემიოტიკური უნარები, რაც მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიზანია.

იღია ჭავჭავაძის შემოქმედების მიმართ დაუცხრომელი ინტერესი ყოველი ეპოქის თანამდევი მოვლენაა, რადგან თაობებს მუდამ იზიდავთ ერის მარადიულ მეგზურად ქვეული დიდი მოდგამისა და მწერლის შინაგანი სამყარო. თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში სხვადასხვა ნაწარმოების სახით არეალილი მწერლის ნააზრევი უამრავ საფიქრალს უტოვებს მოსწავლესა და მასწავლებელს, მით უფრო, როცა იღიას ზრახვათა შეცნობა ქართველი ერის მომავლის შეცნობასთან იგივდება. განსაკუთრებით საყურადღებოდ, ამ მხრივ, მე-11 კლასის სასწავლო პროგრამაში სავალდებულ შესასწავლი ტექსტის სახით წარმოდგენილი მოთხოვობა „ოთარაანთ

ქვრივი“ გვესახება. მოთხოვთ სომ დღემდე ადმრავს არაერთგვაროვან შეხედულებებს მკითხველთა ფართო წრეში პერსონაჟისა და პრობლემატიკის აღქმის თვალსაზრისით.

წინამდებარე სტატიის მიზანია, 21-ე საუკუნის ადამიანის გადასახედიდან გაგვაცნოს პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილის ფარგლებში ჩატელი დიდი ილიას ამ მოთხოვთის პრობლემებისა და პერსონაჟების შესახებ მოსწავლეთა შეხედულებანი და მოსაზრებები, დაგვანახვოს, როგორ შეიძლება ადიქვან მოზარდებმა მწერლის რთული და მრავალფეროვანი ფილოსოფიურ-სიმბოლური სამყარო და თავიანთ რეალობას დაუკავშირონ.

გაკვეთილის მიზანიც დაგეგმვისას ასე განისაზღვრა: მოსწავლე სწორად აკავშირებს პერსონაჟის მხატვრულ სახეს ტექსტობრივ მასალასთან და კრიტიკულ სალიტერატურო წყაროებთან; აანალიზებს პერსონაჟებს და სახე-სიმბოლოებს ნაწარმოებისა და კრიტიკული წყაროების საფუძველზე; იმსჯელებს და გამოკვეთს როგორია პერსონაჟთა მიმართება სახე-სიმბოლოებისადმი.

გაკვეთილის მიზანი გამომდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგებიდან და მათი შეფასების ინდიკატორებიდან. ამ მიზნების შესაბამისად განისაზღვრა სასწავლო აქტივობების შინაარსი, გათვალისწინებული იქნა თითოეული აქტივობისა და მეთოდის როლი მოსწავლეების სხვადასხვა უნარის განვითარების ხელშეწყობისათვის.

გაკვეთილის თემა თემატური გეგმის შესაბამისად განისაზღვრა. გაკვეთილის გეგმის შედგენამდე მოსწავლეთა საჭიროებების, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა გაკვეთილის მიზანი, რომელიც ფორმულირდა გაკვეთილის გეგმაში და ითვალისწინებდა იმ პრობლემის გადაჭრას, რომელზეც ორიენტირებული იყო გაკვეთილი.

ასევე დაზუსტდა გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:

ქართ. XI . 4. მოსწავლეს შეუძლია ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენება საჯარო გამოსვლის მომზადების დროს.

- ამზადებს ტექსტს წინასწარ, აუდიტორიის წინაშე გამოსვლამდე გადის რეპეტიციას და მოიპოვებს დამხმარე (მაგალითად, ვიზუალურ) მასალას საპრეზენტაციოდ;

ქართ. XI. 9. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების წერილობით გაანალიზება.

- აანალიზებს პერსონაჟთა სახეებს, აჯგუფებს კონფლიქტთან მიმართებით და განსაზღვრავს მათს როლს სიუჟეტის განვითარებაში;

- აანალიზებს ტექსტს მხატვრულ-გამომსახველობითი თვალსაზრისით (როგორ ქმნის ავტორი თხრობაში განწყობას, პერსონაჟთა სახეებს;)

გაკვეთილის პირველი ფაზა-გამოწვევა იყო სამოტივაციო, რომელზეც მოგვარებული იქნა საორგანიზაციო საკითხები. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ყურადღებით დააკვირდნენ ეკრანზე განწყობის შესაქმნელად გამოსახული ფილმის „თარაანთ ქვრივის“ ფრაგმენტს ან ილუსტრაციას-თემატურ ფოტოს, ფილმის

პერსონაჟების გამოსახულებით. აქტივობის მიზანია მოსწავლეების ბუნებრივი ინტერესების სტიმულირება, მამოტივირებელი გარემოს შექმნა და მოსწავლეთა მხრიდან საგარაუდო პასუხების ინიცირება.

წინარე ცოდნის გააქტიურებისთვის გამოყენებული კითხვა-პასუხის მეთოდით და სლაიდზე განთავსებული ვიზუალური მასალის საშუალებით მოსწავლეებმა ამოიცნეს, გაიხსენეს ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის სახეები ნანახი ფილმიდან და წინა კლასებში შესწავლილი მასალიდან და გამოთქვეს ვარაუდები.

მასწავლებელი კლასს აცნობს გაკვეთილის მიზნებს, სტრატეგიებსა და შეფასების კრიტერიუმებს. ასევე შეახსენებს მათ მიერ შექმნილი ქცევის წესების შესახებაც. მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია, რომ გაკვეთილის ბოლოს შეფასებდიან განმავითარებელი და განმსაზღვრებელი შეფასებით. აქტივობის მიზანია მოსწავლეთა ინტერესის გამოწვევა, გუნდურობის, ურთიერთთანამშრომლობის და აზრთა გაზიარების მიღწევა.

გაკვეთილის მეორე ფაზაზე – სიღრმისეული წვდომა – ხელი შეეწყო მოსწავლეთა აქტივობას, რისთვისაც გამოყენებული იქნა ჯგუფური მუშაობა. გაკვეთილის ამ ეტაპზე მასწავლებელი ჯგუფებს აძლევს დეტალურ ინსტრუქციას, წინასწარ არიგებს განმავითარებელი პრეზენტაციისა და მოსწავლეთა თვითშეფასების რებრიკებს. კლასს ჰყოფს 4 ჯგუფად, ავალებს პერსონაჟთა პორტრეტების შექმნასა და მთავარი სახასიათო თავისებურებების გამოყოფას (I ჯგუფი – ოთარაანთ ქვრივი – პერსონაჟი და სახე-სიმბოლო, II ჯგუფი – გიორგი – პერსონაჟი და სახე-სიმბოლო, III ჯგუფი – არჩილი და კესო – პერსონაჟები და სიმბოლური სახეები, IV ჯგუფი – სოსია მეწისჭვილე – პერსონაჟი და მხატვრული სახე-სიმბოლო). დაჯგუფებული მოსწავლეები აგრძელებენ მუშაობას სხვადასხვა პერსონაჟის დახასიათების შესახებ.

მოსწავლეთა ჯგუფებს დაურიგდათ დამატებითი ტექსტი (სხვადასხვა კრიტიკული წყაროდან) და კითხვები, რომელთა საშუალებითაც მათ გამოიყენეს არსებული ცოდნა და გაანალიზეს ტექსტი. შეადარეს ერთმანეთს ტექსტობრივი მასალა და კრიტიკული სალიტერატურო წყაროები, გააანალიზეს პერსონაჟების თვისებები და სახე-სიმბოლოები ნაწარმოებისა და კრიტიკული წყაროების საფუძველზე; ამ კონკრეტული აქტივობის მიზანი კი ისაა, რომ მოსწავლე არგუმენტირებულად იმსჯელებს პერსონაჟზე, ნაწარმოებსა და კრიტიკულ ლიტერატურაში პერსონაჟის შესახებ არსებულ შეხედულებებზე. ჯგუფური მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარმართავენ პრეზენტაციას. პრეზენტატორი შერჩეულია ჯგუფის წევრების მიერ თანასწორობის პრინციპით. ამგვარი აქტივობის შედეგად მოსწავლეები გამოიტანენ სათანადო დასკვნებს და განუვითარდებათ საპრეზენტაციო უნარ-ჩვევები. ჯგუფებისათვის განსხვავებული ტექსტისა და დავალების მიცემაში შესაძლებელი გახადა დიდი მოცულობის მასალის დიფერენცირებით მოკლე დროში დამუშავება და გააზრება.

ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციების წარმოდგენის შემდეგ დისკუსიის მოსწავლეები მსჯელობებს მათთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე: ა)რატომ შექმნა ილიაშ ასეთი მხატვრული სახეები? ბ) რა მიზანს ისახავდა მწერალი? გ) გვყავს თუ არა დღეს რეალურ ცხოვრებაში ასეთი პერსონები?

მასწავლებლის მიერ გამოყენებული ანალოგიის მეთოდით - ტრანსფერით მოსწავლეები ახერხებენ შესწავლილის დაკავშირებას მათ პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან და ამ აქტივობის შედეგად უვითარდებათ კრიტიკული, ანალიტიკური, სემიოტიკური უნარები. დისკუსიის მსვლელობისას მოსწავლეებმა პასუხი გასცეს სადისკუსიო კითხვებს. მათ შეძლეს გაეანალიზებინათ მიღებული ინფორმაცია, გამოეტანათ დასკვნები და არგუმენტირებული მსჯელობით გამოეთქვათ აზრი პრობლემის გადაჭრის გზებზე.

ასეთი ტიპის გაკვეთილებზე იკვეთება, რომ „სწავლა ადარაა სტანდარტული, რუტინული პროცესი – იგი გარდაიქმნება პიროვნების განვითარების ხელშემწყობ საშუალებად, რის შედეგადაც მოსწავლეს უყალიბდება ცოდნის ტრანსფერის, პრობლემის გადაჭრის, კრიტიკული აზროვნებისა და სწავლის სწავლის უნარ-ჩვევები. იმ საკლასო გარემოში, სადაც გამოყენებულია პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლება, მოსწავლეები თანდათან უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ სწავლაზე და ყალიბდებიან დამოუკიდებელ შემმეცნებლებად, ანუ ისეთ პიროვნებებად, რომელთაც დამოუკიდებლად შეუძლიათ მუდმივად იზრუნონ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე. ეს კი თანამედროვე განათლების უპირველესი ამოცანაა.“(გზამკვლევი, 2016: 23)

გაკვეთილის შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების დადგენის მიზნით იყენებს განმავითარებელ მოსწავლის თვითშეფასება და მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა პრეზენტაციების შეფასება) შეფასების რუბრიკებს, გამსვლელ ბარათებს, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. შედეგად იდენტიფიცირდება მოსწავლეთა სუსტი და ძლიერი მხარეები, დაზუსტდება და გამოიკვეთება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევა.

მესამე ფაზაზე-რეფლექსია – შეჯამდა გაკვეთილი. მოსწავლეებმა გაიაზრეს ინფორმაცია, ჩამოაყალიბეს საკითხისადმი საკუთარი მიღები. ამავე ფაზაზე განხორციელდა მათი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება სათანადო რეკომენდაციებთან და რჩევებთან ერთად, ასევე თვითშეფასება და მიეცათ საშინაო დავალება ინსტრუქციითურთ.

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს განხილული საკითხების საფუძვლზე დაწერონ ესე - თანამედროვე სამყარო და ოთარაპიონ ქვრივი. ამ აქტივობის მიზანია მოსწავლეთა ყურადღების ფოკუსირება და ცოდნის ერთგვარი შეჯამება-სისტემატიზაცია.

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგების მიხედვით, მოსწავლე შეაფასებს პრეზენტაციის ავტორთა მეტყველებას საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით; ამოიცნობს და განიხილავს პერსონაჟების მხატვრულ სახეებს; ჩამოაყალიბებს საბუთარ თვალსაზრისს მათ შესახებ; დაუკავშირებს არსებულ

თვალსაზრისს ლიტერატურულ წყაროებს; ადარებს ლიტერატურულ პერსონაჟებს სახე – სიმბოლოებთან და განიხილავს მათ. ასევე ლიტერატურულ პერსონაჟებს აკავშირებს თანამედროვე სამყაროსთან და გამოაქვს დასკვნები მხატვრულ სახეთა აქტუალურობის თვალსაზრისით.

მრავალფეროვანი მეთოდების არსებობამ, რომლებიც ითვალისწინებდა მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს, კლასში შექმნა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

გაკვეთილის მიმდინარეობისას გამოიკვეთა მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა, რაც ეფუძნებოდა პატივისცემასა და დახმარების სურვილს. ყველა აქტივობის ბოლოს მოსწავლეებს ეძლეოდათ ზუსტი და მკაფიო შეფასება.

გაკვეთილი იყო პრობლემაზე ორიენტირებული და მიზნად ისახავდა მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციისა და სემიოტიკური უნარ-ჩვევების განვითარებას. მნიშვნელოვანია, რომ დისკუსიის ეფექტურად წარმართვისათვის ეს უნარ-ჩვევები განსაკუთრებით ღირებულია.

ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეებმა შეძლეს ამ უნარ-ჩვევების შემუშავება და გამოვლენა. ისინი თავისუფლად გამოხატავდნენ საკუთარ აზრს წყაროებზე დაყრდნობით, წახალისდა მოსწავლეთა შემოქმედებითი მიდგომა და შეიქმნა კომუნიკული, უსაფრთხო და თავისუფალი გარემო, რომელშიც მოსწავლეებს არ ეშინოდათ შეცდომების დაშვების.

საბოლოოდ, მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის სამუშაოს საფუძველზე, თვალნათლივ გამოიკვეთა, რომ ოთარაანთ ქვრივი და გიორგი, ასევე დანარჩენი პერსონაჟები არ არიან მხოლოდ რეალური ადამიანების მხატვრული სახეები, ისინი განასახიერებენ პერსონიფიცირებულ საწყისებს, ღირებულებებს, რომელთა არსებობის აუცილებლობაზეც შეგვასხენებს დიდი მწერალი და მოსწავლეებიც ასკვნიან, რომ ადამიანს ეს ღირებულებანი ყველა ეპოქაში უნდა გააჩნდეს.

ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, გვ. 93–98, 2011–2016

<http://mes.gov.ge/content.php?id=3923&lang=geo>

2. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსკლის სქემის გზამკვლევი, ნაწილი II, გვ. 20–23, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016

http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzamkvlevi%20meore%20nawili.pdf

3. პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი
https://eflgeorgia.blogspot.com/2018/03/blog-post_16.html
http://codnakatedrebi.blogspot.com/p/blog-page_61.html

4. როდონაია ვ, ნაცუდაშვილი ნ, არაბული ა, ხუციშვილი გ, დათაშვილი ლ. ქართული ენა და ლიტერატურა, XI კლასის სახელმძღვანელო, XIX საუკუნის მწერლობა, სწავლანი, გვ. 220–271, 2010

Bela Durglishvili

From real characters to face characters.

How to plan a lesson from Ilya Chavchavadze “The Widow Otaraant”

Abstract

In the modern era teaching Literature is the most important way to get a high degree of literacy and high thinking skills at the secondary level of the public school. In this regard, the significance of learning of the creations by Ilia Chavchavadze as a thinker and writer is great.

The article shows how the problem and the characters of the writer's story "Otaraant Widow" are discussed in the 11th grade at the problem-oriented lesson. In the modern educational space, from the point of view of the 21st century students, the characters of the work are perceived to be ordinary human beings but artistic symbols.

According to the article, the teacher used the analog method in conjunction with other methods. With the help of transfer the students are able to connect the studied material with their personal experiences, literary sources, and develop critical, analytical, semiotic skills, which is the aim of the student-oriented teaching.

რეცენზენტი: პროფ. ე. თაბორიძე

სწავლების მეთოდიკა Методика Methodic of teaching

თეონა თეოორიაძე

ბათუმი, საქართველო

ფილმი და მუსიკა ენის სწავლების პროცესში

ენის დაუფლებისათვის ლექსიკურ-სემანტიკური ხიხების შენარჩუნა ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ლექსიკის სწავლება ინგლისური ენის სწავლების პროცესში, რადგან მარტივი არ არის ლექსიკის შერჩევა და წარდგენა. სტატიაში განხილულია ლექსიკის სწავლების ორი საინტერესო და ევექტური ხერხი: ლექსიკის სწავლება მუხის და სიმღერების საშუალებით და ლექსიკის სწავლება ფილმების გამოყენებით. ორივე ძალზედ მნიშვნელოვანი რესურსია. ისინი იძლევიან საშუალებას სტუდენტებმა განავითარონ მოსმენის, საუბრის, კითხვის და წერის უნარები. ორივე შეთოდი პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს მოტივაციაზე და ერთ-ერთი სასიამოვნო რესურსია ენის ათვისების პროცესში.

ლექსიკა და ლექსიკური მარაგის გაუმჯობესება ენის შესწავლის პროცესში ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ენის შემსწავლელთა გარკვეული ნაწილი ლექსიკის შესწავლის დროს ისევ ტრადიციულ მეთოდს იყენებს, რაც სიტყვების მექანიკურად დამახსოვრებას გულისხმობს. ისინი ასევე გამოიყენებენ ინგლისური სიტყვების ჩამონათვალს, რომელთაც თან ახლავს ქართული ეკვივალენტები და ცდილობენ მათ დაზეპირებას.

ტერმინ „ლექსიკის“ რამდენიმე განმარტება არსებობს. მარტივი განმარტება ლექსიკის შეიძლება იყოს სიტყვების და სიტყვათა მნიშვნელობების ცოდნა ან ლექსიკა შეიძლება განისაზღვროს როგორც ანბანის მიხედვით სიტყვების ჩამონათვალი განმარტებებთან ერთად. 6. შმიტი აღნიშნავს, რომ სიტყვის მნიშვნელობა შეიცავს კავშირს სიტყვასა და მის რეფერენტს შორის, რაც გულისხმობს პიროვნებას, საგანს, მოქმედებას და სიტუაციას. სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა მისი ლექსიკონის მიერ მოცემული განმარტებაა, თუმცა სიტყვას შეიძლება დამატებითი მნიშვნელობები ჰქონდეს სხვადასხვა ტექსტებში. ასევე, სიტყვებს შორის არსებობს ასოციაციები. ჯ. აითხისონი ასოციაციების ოთხ კატეგორიას გვთავაზობს: პირველი კატეგორია არის კოორდინაცია - როცა სიტყვები დატალების ერთსა და იმავე დონეზე უკავშირდება ერთმანეთს. მეორე კატეგორია არის სუპერ-განლაგება - როცა ზოგიერთი სიტყვა მოიცავს სხვა სიტყვებს, რომლებიც დაქვემდებარებულები არიან მასზე. მესამე არის სინონიმები ანუ სიტყვები, რომლებსაც ერთნაირი მნიშვნელობა გააჩნიათ; და ბოლო კატეგორია არის კოლოკაცია (Aitcison, J 2003).

სტუდენტებისათვის ენის შესწავლის პროცესში ლექსიკის შესწავლა ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა. ლექსიკის სწავლება და სწავლა შეიძლება კონტექსტით და კონტექსტის გარეშე.

კონტექსტზე დაფუძნებული სწავლება ყოველთვის ხელსაყრელია სტუდენტებისათვის, რადგან მათ უნდა ისწავლონ ენა ლოგიკურ კონტექსტში. ენა კონტექსტში აღიქმება, რაც ნიშნავს, რომ კონტექსტის არარსებობის შემთხვევაში რთულია ცალკეული სიტყვის თუ ფრაზის მნიშვნელობის დადგენა (Thornbury, 1999, p.69).

ლექსიკის შერჩევა არ არის მარტივი, რადგან ლექსიკაზე მუშაობა მხოლოდ ცალკეული სიტყვების სწავლას არ გულისხმობს. სტუდენტს უნდა ესმოდეს სიტყვის მნიშვნელობა, უნდა შეეძლოს მისი სწორად წარმოთქმა, დაწერა და სწორი გამოყენება. ლექსიკის წარდგენა სხვადასხვა ფორმით შეიძლება და გადამწყვეტი მნიშვნელობა სიტყვების კონტექსტში მიწოდებას ენიჭება. ასევე მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული სავარჯიშოები. სიტყვების შესწავლას დიდი დრო ეთმობა, თუმცა არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, თუ როგორ და რა მეთოდით უნდა ისწავლებოდეს სიტყვები. არსებობს ობიექტური (ლექსიკის სირთულე) და სუბიექტური (შემსწავლელზე დამოკიდებული) მიზეზები. შესაძლებელია სიტყვების კლასიფიკაცია: მეტყველების ნაწილები, სიტყვათწარმოება, პარადიგმები, ეტიმოლოგია, სიტყვათა ოჯახი, სემანტიკური ველები და სტილისტური ვარიანტები. ბ. ლაუფერი (Laufer 1997) აღნიშნავს, რომ ლექსიკის შესწავლა სწავლების მთავარ ბირთვს წარმოადგენს და როცა ლექსიკის გადამწყვეტ როლზე ვსაუბრობთ, ენის გამოყენება რელევანტური და მნიშვნელოვანია. ლექსიკის სწავლა მხოლოდ მაღალი სიხშირით გამოყენებული სიტყვების სწავლებას არ გულისხმობს. ლექსიკის სწავლების ძირითად მიღებომად მიიჩნევა შემთხვევითი ანუ არაპირდაპირი მიღებომა (როცა ლექსიკის შესწავლა ხდება კითხვის ან მოსმენის დროს), და ექსპლიციტური ანუ პირდაპირი ინსტრუქციით სწავლება, რაც გულისხმობს პროცესს, როდესაც ადგენენ იმ სიტყვებს, რომელთა შესწავლაც სტუდენტს სჭირდება. ამასთანავე, ხდება მათი წარდგენა, დამუშავება, ცოდნის და დამოუკიდებელი სტრატეგიის განვითარება, სიტყვების გამოცნობა კონტექსტში და ლექსიკონის გამოყენება. მეთოდოლოგიაში ლექსიკის სწავლების უმრავი ტექნიკა და ხერხი არსებობს, რაც მოიცავს: მექანიკურ გამეორებას, დამხმარე ვიზუალური თვალსაჩინო მასალის გამოყენებას, თამაშებს, ლექსიკის შესწავლას კონკრეტულ კულტურულ კონტექსტში, ლექსიკის შესწავლას შემოქმედებითი აქტივობებით, ეტიმოლოგიურ მიღებომას, სიტყვათწარმოებას, მნემონიკურ ხერხებს, როგორიცაა სემანტიკურ ველთა ცნებების გამოყენება, მუსიკის მეშვეობით შესწავლას, ფიზიკურ აქტივობებს, მონათესავე სიტყვების და ნასესხები სიტყვების შესწავლას, კალკით სიტყვების შესწავლას, ანალოგიებს, თამაშებს და სინონიმებს. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ტექნიკა არის ლექსიკის სწავლება მუსიკის და სიმღერების საშუალებით, რადგან სიმღერების დირექტულება სტუდენტების მოტივაციისათვის და მათი ჩართულობისათვის ძალზედ დიდია. როგორც თ. მერფი (Murphy 1992) აღნიშნავს, „ჩვეულებრივი ფაქტია ის რომ გვავიწყდება ყველაფერი, რასაც მეორე ენაზე ვსწავლობთ, გარდა რამდენიმე სიმღერისა, რომლებსაც ამ ენაზე ვსწავლობთ, რადგან სხვადასხვა მიზეზების გამო სიმღერები მეხსიერებაში რჩება და ჩვენი ნაწილი ხდება”. ს. მედინა (Medina 1990,5) სტატიაში „მუსიკის ზეგავლენა მეორე ენის ლექსიკის ათვისებაში” წერს მუსიკალური საშუალებების უპირატესობაზე, და რომ ლექსიკის იმავე რაოდენობით ათვისებაა შესაძლებელი სიმღერებით, რაც მოთხოვის მოსმენით. სიმღერები მნიშვნელოვანი რესურსია, რათა განავითაროს სტუდენტების მოსმენის, საუბრის, კითხვის და წერის უნარები. ახალგაზრდების დიდი ნაწილი მუსიკას იყენებს, როგორც მოტივაციას, რათა აკონტროლონ განწყობა და დამლიონ ისეთი ემოციური

მდგომარეობა, როგორიცაა მარტობა ან გადაჭრან სხვადასხვა სახის პრობლემები (Roberts et al., 2001,4000). ჩვეულებრივ, ისინი მუსიკას უკავშირებენ ტექსტს, რადგან სიმღერების დიდი ნაწილი ეხება სიყვარულს, სიხარულს, ტკივილს, ბედნიერებას და სწორედ ამიტომ შეიძლება სიმღერების გამოყენება, როგორც სწავლების ინსტრუმენტი, რადგან ადამიანები სიმღერის ტექსტს უფრო სწრაფად იმახსოვრებენ, ვიდრე ცალკე არსებულ სიტყვებს. იმდენად, რამდენადაც მელოდია უფრო ადვილი დასამახსოვრებელია მაშინაც კი, როცა მნიშვნელობა არ არის გასაგები, ამიტომ, მუსიკა დადებით როლს თამაშობს მეორე ენის სწავლების დროს. სიმღერების დახმარებით უცხო ენის ყველა ასპექტის სწავლება არის შესაძლებელი, რადგან პრაქტიკულად ნებისმიერი გრამატიკული საკითხის პოვნა შეიძლება სიმღერის ტექსტში და ისინი ფართო ლექსიკას იძლევა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ოთხივე კომუნიკაციური უნარის პრაქტიკისათვის. შესაბამისად, მუსიკის ძალა ინგლისური ენის სწავლების დროს უზარმაზარია.

დღესდღეობით ტარდება მრავალი ექსპერიმენტი და ხელმისაწვდომია საუკეთესო მასალები. ჩვეულებრივი საუბრისგან განსხვავებით მუსიკა შეიცავს ტონალობას, მელოდიას, რიტმს, რაც ეხმარება სტუდენტებს ლექსიკური თუ გრამატიკული სტრუქტურების დამახსოვრებაში. სიმღერების გამოყენებით შეიძლება ვასტავლოთ: ინდივიდუალური ბგერები, მახვილი და რითმის ნიმუშები, ინტონაცია, ლექსიკა, გრამატიკული სტრუქტურები და სასაუბრო ენა. არის უამრავი სიტყვა, რომლებიც სტუდენტებს როულად დასამახსოვრებლად ქმნებათ, სირთულეს განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორი: როული წარმოთქმა, მართლწერა, ზომა და აზრობრივი დატვირთვა, გრამატიკა და მნიშვნელობა. სიმღერის ტექსტებში კი სიტყვები ჩვეულებრივ კონტექსტში არის მოცემული და ახალი სიტყვების უდერადობა ადვილად დასამახსოვრებელია მელოდიასთან ერთად, რაც სიმღერის რამდენჯერმე მოსმენის შემდეგ ადვილად მკვიდრდება მესეიერებაში. ჯ. სტანსელი (Stansell 2005) წერს, რომ მუსიკა ისეთივე დადებით ზეგავლენას ახდენს ენის აქცენტზე, როგორც ადამიანის ხასიათზე, განწყობაზე და მოტივაციაზე, და რომ სიტყვათა წყვილი - სიტყვა და რითმი ეხმარება სტუდენტებს სიმღერის დამახსოვრებაში და აუმჯობესებს მესეიერებას. პირველი მიზეზი, თუ რატომ არის ენის სტავლება ეფექტური სიმღერებით, არის ფსიქოლოგიური იმპლიკაცია. ფსიქოლოგისტურმა კვლევებმა აჩვენა, რომ სიმღერებს შეუძლიათ ენის ათვისების გააქტიურება, რადგან სიმღერების მეშვეობით ხდება ეფექტური შესტავლის სტიმულირება. სტავლების და სტავლის დროს ასევე მნიშვნელოვანია მოტივაცია, რასაც მნიშვნელოვანი დამატებითი როლი მიუძღვის ენის დაუფლების პროცესში, რადგან როგორც წესი, მოტივირებული სტუდენტები უფრო აქტიურად არიან ჩართულები, გამოხატავენ ინტერესს, რაც ხელს უწყობს ეფექტურ სტავლას. სიმღერები იყორობს სტუდენტების ყურადღებას მაშინაც კი, როდესაც მათ არ ესმით ყველა სიტყვის მნიშვნელობა, თუმცა მაინც მოსწონთ და აფასებენ სიმღერას.

როგორც წესი, სიმღერის წარდგენა სამ ეტაპად ხდება. პირველი ეტაპი მოიცავს მოსმენამდე აქტივობებს, რასაც მოსდევს მოსმენის პროცესში შესრულებული აქტივობები, და ბოლოს მოსმენის შემდგომი აქტივობები. პირველი ეტაპის მიზანია სტუდენტი შეამზადოს თემატური, ლინგვისტური, საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიური მოქმედებისათვის. შეორე ეტაპის დროს კი, რომელიც მთავარი ეტაპია, სტუდენტები ასრულებენ აქტივობებს და დავალებებს, რომლებიც უშუალოდ სიმღერას უკავშირდება. მესამე ეტაპი მოიცავს მოსმენის შემდეგ შესასრულებელ აქტივობებს. თანამედროვე პოპ სიმღერები, გარდა ყოველდღიური

ლექსიკისა, ამასთანავე მდიდარია სიტყვების მეტაფორული გამოყენებითაც, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ისწავლონ სიტყვების მეტაფორული მნიშვნელობა. სიმღერები ასევე ბევრ არაფორმალურ სიტყვას, შემოკლებულ ფორმას და ფრაზას და სწორედ აქედან გამომდინარე, მასწავლებლის მიერ სიმღერა დიდი ყურადღებით უნდა იქნას შერჩეული. სასურველია მასში იყოს თხრობა, უნდა იყოს პოპულარული, იძლეოდეს საინტერესო საუბრის თემას, შეიცავდეს სასარგებლო გრამატიკულ კონსტრუქციებს და რა თქმა უნდა, მდიდარ ლექსიკას.

ლექსიკის სწავლების პროცესში ასევე მნიშვნელოვანი და ეფექტურია ფილმების ჩართვა. ფილმები იძლევა ენის გამოყენების შესაძლებლობას ავთენტურ გარემოში და იმ კულტურულ კონტექსტში, რომელშიც ამ ენაზე საუბრობენ. ფილმები ასევე ეხმარება სტუდენტებს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, რადგან ფილმების მეშვეობით ხდება გაგებაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლება. ფილმები, ამასთანავე, იძლევა კონტექსტუალურ ინფორმაციას და ავითარებს ინტერაქტიულ უნარს, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დიდ ინტერესს იწვევს სტუდენტებში. ყოველივე ეს პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს მოტივაციაზე. ამასთანავე, ფილმები გართობის ერთ-ერთი სასიამოვნო რესურსია ენის ათვისების პროცესში. ფილმები უზრუნველყოფენ რეალური სწავლის გარემოს რეალური სცენების წარდგენით.

ენის სწავლება ძალიან საპასუხისმგებლოა. იმისათვის, რომ დაეხმაროს სტუდენტებს ენის დაუფლებაში, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ისინი ხარისხიანი, საინტერესო და უახლესი მასალებით. ჯ. ჰარმერი აღნიშნავს, რომ ფილმები შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც დამხმარე ვიზუალური საშუალება როგორც სწავლების, ისე სწავლის პროცესში (Harmer 2001, 282). ფილმები შეიძლება გამოვიყენოთ ისტორიის, მეცნიერების, ადამიანური ქცევის და სხვა საგნის სწავლების პროცესში. ზოგიერთი ფილმი ასევე სასიამოვნოა და სწავლის პროცესსაც სასიამოვნოს ხდის. რაც შეეხება ფილმის შერჩევას, ამისათვის უვიდიასტური (Widiastuti 2011) რამდენიმე კრიტერიუმს გვთავაზობს, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ: 1. ფილმი საინტერესო უნდა იყოს და ენის შემსწავლელს მისი ყურების სურვილი უნდა ჰქონდეს. 2. ვიდეო უნდა იყოს სრული. შესაბამისად, უნდა იყოს შერჩეული ისეთი კლიპები ან ფრაგმენტები, რომლებიც მეტაკლებად დასრულებულ ამბავს გადმოსცემენ და მსმენელისთვის ადვილია სიუჟეტის აღქმა. ასევე მნიშვნელოვანია 3. ფილმის ხანგრძლივობა და 4. შინაარსის შესაბამისობა. ლექსიკის შესწავლის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფილმები სუბტიტრებით, რადგან სუბტიტრებიანი ფილმების ყურების დროს ისინი გაცილებით ეფექტურად ითვისებენ ახალ ლექსიკურ მასალას და ფრაზებს. ხმის და გამოსახულების კომბინაცია კარგი მოტივაციაა მიზნის მისაღწევად. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ახალი ლექსიკის ათვისება ხდება სიტუაციებში, რომლებშიც ეს სიტყვები და ფრაზები არის გამოყენებული. ფილმები არა მარტო ლექსიკურ მარაგს ზრდის, ასევე აუმჯობესებს მოსმენის უნარს და წარმოთქმას. ფილმები სტუდენტებს რეალურ სიტუაციაში გადაჰყავს. 6. ზანონი სუბტიტრების რამდენიმე ტიპს გამოჰყოფს (Zanon 2006,47):

1. ბიმოდალური სუბტიტრები
2. სტანდარტული სუბტიტრები
3. რევერსიული ანუ შებრუნებული სუბტიტრები

ფილმები სუბტიტრებით ამარტივებს სწავლის პროცესს და ზრდის სტუდენტების მოტივაციას. შესაბამისად, ხდება მათი ლექსიკური მარაგის და ენობრივი უნარების გაუმჯობესება მასალის ადვილად დამახსოვრების გზით. ზემოთ აღნიშნული სამი ტიპის სუბტიტრებიდან უცხო ენის შემსწავლელი სტუდენტებისათვის ყველაზე შესაფერისი ბიმოდალური სუბტიტრებია, რადგან ბიმოდალური სუბტიტრები ეხმარება მათ დაინახონ და გაიგონ ყველა სიტყვა. სუბტიტრებიანი ფილმის ყურების შემდეგ ფილმი უფრო გასაგებია. სუბტიტრებიანი ფილმები მდიდარი რესურსია ენის კომუნიკაციისათვის, რაც ხელს უწყობს მოტივაციას და შესაბამისად გაცილებით მარტივად ხდება ახალი სიტყვების, ფრაზების და იდიომების ათვისება და დამახსოვრება.

ლიტერატურა:

1. Aitcison, J (2003). Words in the Mind: An Introduction to the Mental Lexicon. 3suppl. Oxford: Blackwell
2. Harmer, J. 2001. The Practice of English Language Teaching. London: Pearson education Limited
3. Medina, Suzanne. 1990. The Effects of Music upon Second Language Vocabulary Acquisition. Available at accessed October 12, 201
4. Murphey, Tim, 1992. Music and Song. Oxford: Oxford University Press
5. Roberts, RDonald, F and Christenson, P.G (2001) Popular music in childhood and adolescence.
6. Schmitt, N.(2000). Vocabulary in Language Teaching. Cambridge: Cambridge University Press
7. Stansell, Jon Weatherford. ‘The Use of Music for Learning Languages: A Review of the Literature’
8. Thornbury, Scott. (1999). How to Teach Grammar. Essex: Pearson Education Limited.
9. Widiastuti, W. 2011. Enrich Student’s Vocabulary Using Theme Based Youtube Video. Unpublished Thesis. Surakarta: University Sebelas Maret.
10. Zanon, N . (2006). Using Subtitles to Enhance Foreign Language Learning. Porta Linguarium, 6, 41-52.

Teona Tedoradze

Film and Music in Teaching Languages

Abstract

In order to master the language, it is important to study the lexical-semantic system. Teaching vocabulary is one of the most difficult issues. It is also complicated to choose the vocabulary while teaching. Vocabulary can be presented in different ways; one of the most important techniques is teaching vocabulary using music and songs inasmuch as the value of songs in increasing the students' motivation and involvement is great. Music has a very positive impact on pronunciation, accent, mood and motivation. Songs are an important source to develop students' listening, speaking, reading and writing skills. That is why it is so important to use songs as a teaching tool. Subtitle films play a very important role in the learning and teaching process as well and help students to improve and enlarge their vocabulary, as subtitle movies bring them to realistic situations through which they can learn language in authentic situations. They also improve their spelling, pronunciation, listening and speaking skills. Both methods play a major role in the process of teaching a second language.

რეცენზენტი: მ ღარიბაშვილი

სწავლების მეთოდიკა Методика Methodic of teaching

თამარ თვალაძე

ქუთაისი, საქართველო

**უცხოური ენის სწავლება ენის მატარებელთა
ნაციონალური კულტურის სწავლებასთან კავშირში**

ნაშრომის ნიზანია ვაჩვენოთ, რომ უცხოური ენის სწავლება უნდა წარიმართოს ენის მატარებელთა ნაციონალური კულტურის სწავლებასთან კავშირში. უცხოური ენის შემსწავლელი უნდა გაეცნონ ენობრივ ერთეულებს, რომლებიც შედარებით ნათლად გამოსახულება ენის მატარებელი ხალხის კულტურის ნაციონალურ განსაკუთრებულობებს, რამდენადაც უცხოური ენის დაუფლება განუყოფლადაა დაკავშირებული ნაციონალური კულტურის დაუფლებასთან, რომელიც გულისხმობს არა მარტო კულტუროლოგიურ ცოდნას, არამედ ფორმირებას – გაიგოს შესახვავლი ენის მატარებლის მენტალობა, ამ ქვეყნის ხალხის კომუნიკაციური ქვევის თავისებურებები. ენობრივი მასალების შინაარსობრივი შერჩევა და სისტემატიზაცია ბაზირდება სისტემურობის, ეტაპობრივობის, პროფესიული მიმართულების(საგანთა შორის კავშირის), მოდულობის, ინფორმაციულობის და პიროვნების ეფექტურ სფეროზე ზემოქმედების პრინციპების ერთობლიობაზე. სხვა კულტურის მატარებელი ხალხის რიტუალებისა და სამეტყველო ეტიკეტის ცოდნა ეს არის ვევექტური მოღვაწეობისა და წარმატების საფუძველი ამ ქვეყნის ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობისა და საქმიანი ურთიერთ დამოკიდებულების წარმოებისათვის. სხვა ენობრივი კულტურა, რომელიც შეიცავს სოციოკულტურულ ფაქტორებს, ახდენს სტუდენტის მოტივაციის ამაღლებას, მოთხოვნილებებისა და ინტერესის განვითარებას, ახელე უცხოური ენის მეტად ქვეცნობიურად შესწავლას.

თანამედროვე საზოგადოებაში, საერთო ეკროპული განვითარების ეპოქაში იცვლება და იზრდება უცხოური ენის სტატუსი - როგორც სასწავლო საგანი. მსოფლიო გაერთიანებაში უცხოური ენის, როგორც ურთიერთობისა და ურთიერთგაგების საშუალების არსებითი როლის გათვალისწინებით, თანამედროვე მეთოდიკა მიმართულია უცხოური ენის შესწავლის გრამატიკული და სოციოკულტურული ასპექტების გაძლიერებისა და ამ კუთხით ნაყოფიერი შედეგების მიღწევისათვის. უცხოური ენის თანამედროვე სწავლება შეუძლებელია უცხოური ენის მატარებელთა კულტურის გაცნობის გარეშე. ჩვენი ნაშრომის ნიზანია ვაჩვენოთ, რომ თანამედროვე სწავლებაში აუცილებელია უცხოური ენის სწავლება წარიმართოს ენის

მატარებელთა ნაციონალური კულტურის სწავლებასთან კავშირში. უცხოური ენის სწავლების საწყის და საშუალო ეტაპზე ჩართულია უწინარეს ყოვლისა ენობრივი ცოდნა და ნაციონალური კულტურის ცოდნა. რამდენადაც, უცხოური ენის შემსწავლელთა არავერბალური ურთიერთობის კულტურა ერთის მხრივ და ენის მატარებელთა კულტურა მეორეს მხრივ არ წარმოადგენებს განსხვავებულ მნიშველოვნურ ცნებებს, განვიხილავთ კომუნიკაციის არავერბალური ურთიერთობის ეთიკეტს და ტრადიციულ ჟესტებს შევადარებთ უვხოურს; არავერბალური კომუნიკაციისათვის გამოყენებული საშუალებების შესაბამისობა ინფორმაციის სიტყვიერი გადაცემის მიზანთან და შინაარსთან, წარმოადგენს კულტურული ურთიერთობის ერთ-ერთ ელემენტს. ეს შესაბამისობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პედაგოგისათვის, რომლისთვისაც როგორც ვერბალური ასევე არავერბალური კომუნიკაციის საშუალებები წარმოადგენებს მისი პროფესიული მოღვაწეობის ინსტრუმენტებს.

არავერბალური ენის ფლობა მნიშვნელოვანია არა მარტო კომუნიკაციისათვის, არამედ, უპირველეს ყოვლისა უცხოური ენის შემსწავლელის შინაგანი სამყაროს ფორმირებისათვის და მისი დამოკიდებულებისათვის ვერბალური ენის მატარებლისადმი, მისი კულტურისადმი და ცხოვრების წესისადმი. უცხოური ენის შემსწავლელი უნდა გაეცნონ ენობრივ ერთეულებს, რომლებიც შედარებით ნათლად გამოსახავენ ენის მატარებელი ხალხის კულტურის ნაციონალურ განსაკუთრებულობებს, რამდენადაც უცხოური ენის დაუფლება განუყრელადაა დაკავშირებული ნაციონალური კულტურის დაუფლებასთან, რომელიც გულისხმობს არა მარტო კულტუროლოგიურ(კულტურის ფაქტები) ცოდნას, არამედ შესაძლებლობის და მზადყოფნის ფორმირებას – გაიგოს შესასწავლი ენის მატარებლის მენტალობა, ასევე ამ ქვეყნის ხალხის კომუნიკაციური ქცევის თავისებურებები და განსაკუთრებით კი ყოველდღიური ქცევის ენა. მსოფლიოში ძირითადი კომუნიკაციური ჟესტები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. როდესაც ადამიანები ბედნიერები არიან, ისინი იღიმებიან, როდესაც რაიმეს დარდობენ- იქმუხნებიან, როდესაც ბრაზობენ –აქვთ ბრაზიანი მზერა. არავერბალური ურთიერთობა კომუნიკაციის ძველი და ბაზური ფორმაა. ჩვენი წინაპრები ურთიერთობდნენ წელის მოხრის, მიმიკის, ხმის ტემბრისა და ინტონაციის, სუნთქვის სიხშირისა და მზერის დახმარებით. ჩვენ ახლაც ხშირად გვესმის ერთმანეთის სიტყვების გარეშე. “სხეულის ენა” ატარებს მკვეთრად გამოხატულ კომუნიკაციურ ხასიათს. ურთიერ- თობის დროს ჩვენ არა მარტო გვესმის სიტყვიერი ინფორმაცია, არამედ ვუყურებთ ერთმანეთს თვალებში, აღვიქვამთ ხმის ტემბრს, ინტონაციას, მიმიკას, ჟესტებს. სიტყვები გადმოგვცემენ ლოგიკურ ინფორმაციას, ხოლო ჟესტები, მიმიკა, ხმა ავსებენ ამ ინფორმაციას. ასე მაგ: მჯდომარე მოსაუბრე, რომელიც წინ წამოიწევს, გვაცნობებს რომ თვითონ სურს საუბარი. ჟკან გადაწევით, კი გვეუბნება, რომ ახლა მას სურს მოგვისმინოს. არავერბალური ენა გვეხმარება ჩამოგაყალიბოთ ცხადი და ადექვატური აზრი ჩვენს პარტნიორზე.

ენობრივი მასალების შინაარსობრივი შერჩევა და სისტემატიზაცია ბაზირდება სისტემურობის, ეტაპობრივობის, პროფესიული მიმართულების(საგანთა შორის კავშირის), მოდულობის, ინფორმაციულობის და პიროვნების ეფექტურ სფეროზე ზემოქმედების პრინციპების ერთობლიობაზე. შინაარსობრიობის სტრუქტურირების პრინციპების აღწერა და შერჩევა ორიენტირებულია უცხოური ენის სწავლებისას პედაგოგის პროფესიული კომუნიკაციური უნარების ერთობლიობის განვრცობაზე.

სისტემურობის პრინციპი შესაძლებლობას იძლევა შინაარსობრიობის შერჩევის განსაკუთრებულობაზე და ამავდროულად თითოეულ შემადგენელ კომპონენტზე მართვითი ზემოქმედების ეფეტურად გამოყენებაზე.

ეტაპობრივობის პრინციპი წარმოადგენს მაორგანიზებელ ბაზას ლოგიკურ-ინფორმაციული უნარების განვითარებისათვის, რამდენადაც მათი განვითარების ალგორითმი მიზანმიმართულად ვარირებს კონკრეტული ტექსტის სირთულის დონის შესაბამისად. ტექსტებზე მუშაობა ორგანიზებულია სწავლების ყველა საფეხურზე, რაც შესაძლებელს ხდის პედაგოგის სამეტყველო უნარებისა და პროფესიული ცოდნის ეტაპობრივად გაფართოვებას.

შინაარსობრივობის შერჩევის მესამე პრინციპს წარმოადგენს პროფესიული მიმართულების პრინციპი, რომელიც რეალიზდება საგანთა ურთიერთ კავშირის შექმნებით. საგანთაშორის კავშირის რეალიზაცია მიმართულია პროფესიული ცოდნის(უნარების) გაფართოებაზე, რომლებიც წარმოადგენენ პროფესიული სწავლების პედაგოგის სამეტყველო და ლოგიკურ-კომპოზიციური უნარების ნაწილს

შინაარსობრივობის სტრუქტურირების სხვა პრინციპს წარმოადგენს მოდულირების პრინციპი. მოდულური ტექნოლოგიის ელემენტების სწავლების პროცესში უზრუნველყოფილი ხდება სწავლების პროცესის ინდივიდულიზაცია, მაღლდება დამოუკიდებელი სწავლითი ქმედების ხარისხი, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს პროფესიული სწავლების პედაგოგის ყველა ჯგუფის კომუნიკაციური უნარების განვითარებას.

შინაარსობრივობის შერჩევის შემდეგ პრინციპს წარმოადგენს ინფორმაციულობის პრინციპი, რომელიც ვარაუდობს ინფორმაციის აღექვაზეურობას, სიზუსტეს და სისრულეს, რომლებიც აუცილებელია პედაგოგსა და სტუდენტს შორის პროფესიული დიალოგის ორგანიზაციისათვის. ინფორმაციულობის პრინციპი ურთიერთკავშირშია პიროვნების ეფექტურ სფეროზე ზემოქმედების პრინციპთან. ნებისმიერი დონის სირთულის ტექსტური მასალა შეიცავს შინაარსობრივობის ელემენტებს, რომლებიც პოზიტიურ ზეგავლენას ახდენენ ეფექტურ და ქცევითი სფეროს განვითარებაზე.

ამდენად კომუნიკაციური სიტუაციის შესაქმნელად მასწავლებელმა უნდა განახორციელოს ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა, განიხილოს უცხოური ენა როგორც ორიენტირების სისტემა, რომელიც აუცილებელია ამ სამყაროში მოღვაწეობისათვის, როგორც იარაღი სხვებთან დიალოგისათვის.

არავერბალური შემცველობა – ეს არის მასწავლებლის მიერ არავერბალური საშუალებების: პარალინგვისტიკური (მეტყველების ტექსტურ-რიტმული და მელო- დიურინგონაციური თვისებები), ექსტრალინგვისტიკური ((სიცილი, ტირილი, ხვნეშა), პროქსემიკური (სივრცული გადაადგილება მეცადინეობის დროს), კინესი- კური (მიმიკა, ჟესტები, პანტომიმა) გამოყენება სწავლებისას, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს უცხოური ენის შესწავლის ეფექტურობას, რამდენადაც გარსმყოფი სამყაროს აღქმის სიტუაციური ხასიათი დამასასიათებელია ადამიანისათვის, რომლის ყურადღება კონცენტრირდება მიმიკაზე, ჟესტებზე, რიტმზე, მოძრაობებზე, რომელთა აღთქმითაც ადამიანის ცნობიერებაში მიმდინარეობს ჯაჭვის ყველა რგო- ლების შეერთება. სოციოლინგვისტიკური (არავერბალური და ვერბალური) შემცველობის შერჩევა აუცილებელია ჩატარდეს შემდეგი პრინციპების

გათვალისწინებით: შემცნებითი ფასეულობა, პერძოობა, სისტემურობა, თემატური მიმართულება, კონცენტრირებულ-სინტაგმური და პარადმატიკული განპირობებულობა.

შემცნებითი ფასეულობის პრინციპის გათვალისწინებით არავერბალური და ვერბალური შემცველობის შერჩევისას, მასწავლებელი ორიგნტირდება მოსწავლის შემცნებითი მოდგაწეობის განვითარების ეტაპებზე, განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირებულ საინტერესო სიუჟეტებს და სიტუაციებს, რომლებიც სტიმულს აძლევენ მის შემცნებით ინტერესს. ენობრივი მასალა ჩაირთავს სხვადასხვა მეტყველების ნაწილების ლექსიკურ ერთეულებს:

არსებით სახელებს, ზმნებს, ზედსართავს სახელებს, განსაზღვრებებს და სხვა

გრამატიკულ კონსტრუქციებს. სამეტყველო მასალაში შედის კლიშეები და მეტყველური წარმონაქმნები, რომლებიც გამოხატავენ მოსაუბრის განზრახვას.

კერძოობის პრინციპი გაითვალისწინება აქტიური და პოტენციური ლექსიკონების ფორმირებისას. აქტიურ ლექსიკონში ჩაირთვება ყველა სიტყვა და გამოთქმა, რომ- ლებსაც სტუდენტები უფლებიან უვხოური ენის პრაქტიკულად ათვისების პროცეს- ში მეცადინეობებზე და მის გარეშე. პოტენციური ლექსიკონი შედგება ურთიერთო- ბის პროცესის ორგანიზებისათვის გამოყენებული მიმართვის ფორმებისაგან, რომლებსაც სტუდენტები ითვისებენ თანდათანობით, ინტუიციურად. ლინგვოქვე- ყანათმცოდნეობის მასალა კერძოობის პრინციპის თანახმად ჩაირთავს ა) სახალხო დღესასწაულებს, ტრადიციებს, ჩვეულებებს), ბ) სიმღერებს, ცეკვებს, პოეზიას, მოთხოვებებს, ზღაპრებს, თამაშობებს გ) ანდაზებს, თქმულებებს, გამოთქმებს.

სისტემურობის პრიმციპი ვარაუდობს უცხოური ენის სწავლებისას სოციო- ლინგვისტიკური შემცველობის სისტემატიზაციას, რომელიც ხორციელდება ორი მიმართულებით ვერტიკალურად(ყველა ჯგუფისათვის) და ჰორიზონტალურად (თითოეული ჯგუფისათვის).

ენობრივი, სამეტყველო და ლინგვოქვეყუანათმცოდნეობის მასალების სისტემატი- ზირება აუცილებელია დაფუძნებული იყოს თემატულების პრინციპზე. მასწავლებლის მიერ შერჩეული თემა განსაზღვრავს კომუნიკაციურ სიტუაციას და მეცადინეობის სოუჟეტს. ერთი თემა შესაძლებელია ისტავლებოდეს რამდენიმე მეცადინეობის განმავლობაში და შესაძლებელია ჩაირთოს ერთი ან რამდენიმე

კომუნიკაციური სიტუაცია, ამასთან შესაძლებელია სიუჟეტი იყოს ერთი, ან შეიცვალოს ყოველ მეცადინეობაზე. სასწავლო კურსის ან წლიური მეცადინეობების თემატიკის განსაზღვრისას, საჭიროა გათვალისწინებული იქნას კონცენტრირების პრინციპი, რომელიც ვარაუდობს ამ თემების გამეორებას სწავლების შემდგომ ეტაპებზე შედარებით ღრმა შინაარსობრიობით.

ვერბალური კომუნიკაციის ქმედების გასაძლიერებლად არსებითად მნიშვნელოვანია ურთიერთობის მქონე პირთა სივრცობრივი განლაგება. მხარს იქით ნასროლი რეპლიკა, ნათლად გვიჩვენებს კომუნიკატორის დამოკიდებულებას რეციპიენტის მიმართ. მასწავლებელი ცდილობს განათავსოს სტუდენტები არა ერთმანეთის ზურგს უკან, რაც მიღებულია კლასში, არამედ წრიულად, პირისპირ, რაც არსებითად ამაღლებს ურთიერთობის მქონე პირთა

კომუნიკაციელობას და ინტესიფიცირებას უკეთებს უცხოურ ენაზე ურთიერთობის ჩვევების შეძენას.

უცხოური ენის სწავლების საწყის და საშუალო ეტაპზე სწავლება შეიცავს უწინარეს ყოვლისა ენობრივ და ნაციონალური კულტურის ცოდნას კომუნიკაციური მოძრაობები ჩაირთავენ ე.წ. კინემატოგრაფიულ მოძრაობებს, რომლებიც მეტყველურ შეტყობინებასთან პირდაპირი კავშირის განსხვავებით, ავსებენ და ცვლიან სამეტყველო ქმედებებს. მასწავლებლის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ კინემატიკი, რომლებიც არ ემთხვევიან შესრულებაში თანთხვეულ აზრებს ენის მატარებლის კომუნიკაციურ ქცევაში, ასევე იმ უესტებს რომლებიც

შეიძლება და საჭიროც არის გამოყენებული იქნას ინგლისური ენის გაპვეთილზე, მაგ. ეპროპულ ქვეყნებში მიღებული უესტი – მაგიდაზე თითების ბოლოების დაკავუ- ნება, რომლითაც გამოხატავენ ტრადიციულად მისალმებას მასწავლებელთან, ასევე გამოხატავენ წაკითხული ლექციის მოწონებას და კმაყოფილებას.

ამდენად, არავერბალური ქმედება კომუნიკაციურად და ნაციონალურად განპირობებულია, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას უცხოური ენის სწავლებისას. თუმც ყველას არ ესმის რომ უესტების ენა არ წარმოადგენს საერთო საკაცობრიო ენას და არც თუ იშვიათად გადააქვს უესტების სიმბოლიკა ერთი კულტურიდან მეორეში, რის შედეგადაც კომუნიკაცია ვერ შესდგება ან ფერხდება.

არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს ემოციური მდგომარეობის ფსიქოფიზიო- ლოგიური სიმპტომები და არაკომუნიკაციური მოძრაობები.

ურთიერთობის არავერბალური საშუალებები დაეხმარება უცხოური ენის შემსწავლებლებს სხვადასხვა სოციალურ სიტუაციებში ორიენტირებაში და უცხოელებთან საუბრისას საკუთარი ქცევების რეგულირებაში, ღრმად გაუგონ ერთმანეთს და ამის საფუძველზე ააგონ თავიანთი დამოკიდებულება, სწრაფად შეითვისონ სოციალური ნორმები და კორექტირება გაუკეთონ ქმედებებს. არავერბა- ლური ურთიერთობის დანიშნულება, შესაძლებელია გამოხატული იქნას უფრო

კონკრეტულად მისი ინფორმაციული ფუნქციების სახით. არავერბალური ურთიერთობებით შესაძლებელია გადაიცეს შემდეგი ინფორმაციები: ადამიანის რასობრივი (ნაციონალური), სოციალური და სოციალურ-დემოგრაფიული მიკუთვნების ნიშნების შესახებ; მის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე; ადამიანის ემოციურ დამოკიდებულებაზე რაიმესადმი, ვინმესადმი ან რომელიდაც სიტუაციისადმი; ამა თუ იმ სიტუაციაში ადამიანის ქცევის შესაძლებელ ვარიანტებზე და ქმედების ხერხებზე; ამა თუ იმ სიტუაციის, ღონისძიების, გარემოებების და ა.შ. ადამიანზე ზემოქმედების ხარისხზე; ფსიქოლოგიურ კლიმატზე ჯგუფში და საზოგადოებაში საერთო ატმოსფეროზეც კი. არავერბალური ურთიერთობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფუნქციაა ურიერთობის სუბიექტებს შორის ინფორმაციის გაცვლა მათი პიროვნული და ინდივიდუალური თვისებების შესახებ, როგორიცაა მათი დამოკიდებულება ხალხისადმი, თვითშეფასება, ენერგიულობა, დომინანტობისადმი მიღრეკილება, გულდღიაობა, ტემპერამენტი, თავშეკავებულობა, ნერვიულობა და ა.შ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია არავერბალური ურთიერთობის ტექნიკის დაუფლება, იმისათვის რომ მაგ: განთავსდე მოსაუბრეს გვერდით, დამყარო სწრაფი კონტაქტი და მოიპოვო მისი ნდობა.

არავერბალური კომუნიკაციის მეთოდები და ტექნიკა განხილულია სტატიაში “უცხოური ენის სწავლება კომუნიკაციის არავერბალური საშუალებების გამოყენებით” [1: -] სადაც მოცემულია სავარჯიშოები უცხოენოვანი კომუნიკაციის სწავლებისას, რომლის მიზანს წარმოადგენს შემდეგი: ვასწავლოთ სტუდენტებს არავერბალური საშუალებებით სარგებლობა ურთიერთობის დროს. გავაცნოთ სხვადასხვა ქვეყნების ურთიერთობის ტრადიციები და ჩვეულებები. შედეგად სტუდენტებს უნდა შეეძლოთ განსაზღვრონ ადამიანების განწყობა ქვეყნების, პოზისა და მიმიკის მიხედვით. შეძლონ აწარმოონ მოლაპარაკება სხვადასხვა ჯგუფებთან მიუხედავად საზოგადოებაში მათი მდგომარეობისა. სავარჯიშოები გათვლილია ურთიერთობის პროცესში ბარიერების მოხსნაზე.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის აღექვატურობას, სიზუსტეს და სისრულეს, რომლებიც აუცილებელია პედაგოგსა და სტუდენტს შორის პროფესიული დიალოგის ორგანიზაციისათვის. ნებისმიერი დონის სირთულის ტექსტური მასალა შეიცავს შინაარსობრივობის ელემენტებს, რომლებიც პოზიტიურ ზეგავლენას ახდენენ ეფექტურ და ქცევითი სფეროს განვითარებაზე.

მიგგაჩნია, რომ სწავლების პროცესში არ უნდა განვაცალკავოთ ქესტები და მეტყველება ერთმანეთისგან, რამდენადაც ბუნებრივი საუბრისას ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. მასწავლებლის მიერ არავერბალური ურთიერთობის კულტურის ფლობა უცხოური ენის გაკვთილზე ვარაუდობს, რომ მასწავლებელი თვალყურს აღვნებს თავის ქესტიკულაციისა და ემოციების შინაგანი გამოვლინების სწორად შესრულებას და ცდილობს მიაღწიოს სტუდენტების მიერ შესასწავლი ენის ქვეყნის ტრადიციების დამახასიათებელი კომუნიკაციური და არაკომუნიკაციური მოძრაობების მკაფიოდ შესრულება.

ამგვარად, სხვა კულტურის მატარებელი ხალხის რიტუალებისა და სამეტყველო ეტიკების ცოდნა ეს არის ეფექტური მოღვაწეობისა და წარმატების საფუძველი ამ ქვეყნის ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობისა და საქმიანი ურთიერთდამოკიდებულების წარმოებისათვის. ადგილობრივი სამეტყველო ეტიკების წესების შეუსრულებლობამ, იმ ქვეყნის, სადაც ვიმყოფებით, სამეტყველო ქცევის არასწორმა გაგებამ შეიძლება მიგვიყვანოს სერიოზულ გაუგებრობამდე და კონფლიქტამდეც კი. ამდენად ენობრივ ცოდნას და ნაციონალური კულტურის ცოდნას არ ექნება მნიშვნელობა თუკი სტუდენტები არ ფლობენ სამეტყველო და არასამეტყველო ქცევის უნარ-ჩვევებს.

თეორიული კუთხით ნაშრომი გვიჩვენებს, რომ უცხოური ენის თანამედროვე სწავლება შეუძლებელია უცხოური ენის მატარებელთა კულტურის გაცნობის გარეშე. საჭიროა უცხოური ენის სწავლება წარიმართოს ენის მატარებელთა ნაციონალური კულტურის სწავლებასთან კავშირში. სხვა ენობრივი კულტურა, რომელიც შეიცავს სოციოკულტურულ ფაქტორებს, ახდენს სტუდენტის მოტივაციის ამაღლებას, მოთხოვნილებისა და ინტერესის განვითარებას, ასევე უცხოური ენის მეტად ქვეცნობიერად შესწავლას.

ლიტერატურა:

1. Бабинская П. К. Практический курс методики преподавания иностранных языков. - Минск, 2006
2. Грушевицкая Т. Основы межкультурной коммуникации. Учебник для ВУЗов под редакцией А.П. Садохина. - М. : Юнити. - Дана, 2002.
- 3.Мясоедов С.П. Основы кросс - кульрного менеджмента: Как вести бизнес с представителями других стран и культур. - М., 2003
4. Пассов Е. И. Коммуникативный метод обучения иноязычному говорению. - 2-е изд. - М. :Просвещение, 1991
5. Ruckmick Cr. A. The psychology of feeling and emotion. New York – London, 1996
6. Danes Fr. Cognition and Emotion in the Discourse Interaction. Berlin. 1985

Tamar Tvaladze

Foreign language teaching through the national culture of native speakers

Abstract

The purpose of this work is to show that the process of learning a foreign language must be in close connection with the national culture of native speakers. We believe that in the educational process it is desirable for foreign language learners to get acquainted with the language units that most clearly reflect the national cultural characteristics of the native speakers. The article states that mastering a foreign language is linked with the national culture, which involves not only the cultural acknowledgement, but also the understanding of mental and behavioral skills of the speakers of the target language. The article says that the content selection of lingual units is based on a set of principles, such as systematic approach, professional orientation (interdisciplinary connections), and on personality. The total result of the work shows that knowledge of rituals and speech etiquette of the country of studying language is an important issue and a guarantee of success

in communication and business interaction with local residents and also helps to increase motivation and interest while learning a foreign language.

რეცენზენტი: გ. ლარიბაშვილი

სწავლების მეთოდიკა Методика Methodic of teaching

ათინა თოიძე, ლონარი რიკვაძე

ბათუმი, საქართველო

თამაშით სწავლება

თამაში ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელ ნაწილია, ბევრის აზრით ის მომავალში კიდევ უფრო ღრმად გაიდგამს ფესვებს ადამიანის ცხოვრებაში. ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, დიდი თუ პატარა, რომელიც რაიმე სახის თამაშში არ იყოს ჩართული. უმეტეს შემთხვევაში სწორედ თამაში ეხმარება ადამიანს ნებისმიერ ასაკში, თავი დააღწიოს რუტინას, სტრესს, ხშირად ის პრობლემების გადაწყვეტაშიც კი ეხმარება ადამიანს. დღეისათვის არსებულ, ინფორმაციულ და სწრაფად ცვალებად კულტურაში ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს თამაშები, ის განსაკუთრებით უწყობს ხელს თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, ექსპერიმენტების განხორციელებას ამა თუ იმ სფეროში. ჩვენი დაინტერესება გამოიწვია თამაშების როლმა სასწავლო პროცესში, ვინაიდან სიტყვა „თამაში“—ს ხსენებისას უპირველესად მოზარდები გვახსენდება ხოლმე.

ბევრი დაგვეთანხმება, რომ თამაში არის სწავლების მნიშვნელოვნად ეფექტური მეთოდი, როგორც სასკოლო სწავლების ნებისმიერ საფეხურზე, ისე საუნივერსიტეტო სწავლებისას. ის აქტუალობას არც ზრდასრულთა სწავლების პროცესში კარგავს, ვინაიდან თამაშის, როგორც სწავლების მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესს ბევრად უფრო საინტერესოს, პროდუქტიულს, სახალისოს და სასურველს ხდის, ბევრ ბავშვს თუ ზრდასრულ ადამიანს ის კომპლექსების დაძლევაში ეხმარება, რასაც ხშირად მასებთან ურთიერთობისას იჩენენ.

ჩვენმა დაკვირვებამ გამოავლინა, რომ თამაშის დროს მიწოდებულ სასწავლო ინფორმაციას მოზარდი ბევრად უფრო მარტივად იმახსოვრებს, ისინი აგრეთვე მრავალფეროვანს ხდის სწავლა—სწავლების პროცესს, მოსწავლის ცხოვრებას სასიხარულო განცდებით ავსებს, ემოციურად ამდიდრებს, წარმატების სიხარულს განაცდევინებს და კარგ განწყობას უქმნის მას. თამაშის პროცესში ხელსაყრელი პირობები იქმნება ბავშვის ფსიქოლოგიური პროცესების ფორმირებისა, განვითარებისა და სრულყოფისათვის, მისი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. თამაში წარმოადგენს თვითრეალიზაციისა და თვით გმოხატვის საუკეთესო საშუალებას.

მასწავლებლებთა გარკვეული ნაწილი გაურბის თავიანთ კლასებში თამაშის მეთოდით სწავლებას, ვინაიდან ისინი ერიდებიან ხმაურსა და უწესრიგობას, რომელიც რიგ

შემთხვევებში მსგავსი პროცესის თანმდევია. ზოგიერთი, მიიჩნევს, რომ თამაში გაპვეთილის ათვისების ნაცვლად დროის გაყვანა და მოსწავლისადმი ამ დროის მოპარვის ტოლფასია. იქ, სადაც მოსწავლეთა ან სტუდენტთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, მართალია რთული სამართავიც შესაძლოა გახდეს თამაშისას აუდიტორია, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში არსებობს სათანადო თამაშები, რომლებიც შესაბამის დროს ერგება და სხვადასხვა დონეზეა ადაპტირებული, რაც გვაძლევს საშუალებას მოვარგოთ სხვადასხვა ასაკის და სიღიღის კლასს. მაგალითად: **ბინგო**, **ჩამოხრმნაბა (Hangman)** რაც წერით მეტყველებას და ლექსიკას ავარჯიშებს, **ჯეოპარდი** – რომელიც ძალიან ეფექტურია როგორც სოციალური მეცნიერებების შესასწავლად, ისტორია, ბუნება, ნოველები, ასევე კონკრეტული თემის შეჯამებისთვის. **როლური თამაშები** – სიტუაციის უკეთ აღსაქმელად. აღნიშნული თამაშის გარდა, ძალიან აქტუალურია ონლაინ თამაშები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში უფასოა და ამავდროულად ხელს უწყობს ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებას აუდიტორიაში, <http://www.yoyogames.com/gamemaker/studio> / <http://scratch.mit.edu> /

<http://fuse.microsoft.com/projects/kodu> / <https://kahoot.com> აგრეთვე პირადად ჩვენი შედგენილი ინტელექტუალური თამაში ინგლისური ენაში: <https://learningapps.org/display?v=pgqiq18q317> ეს კონკრეტული თამაში, მოითხოვს ნასწავლი სინონიმების გამეორებას და დაწყვილებას. ჩვენს პრაქტიკაში კარგად აპრობირებული რამოდენიმე თამაში, რომელიც ძალიან მოსწონს ნებისმიერი ასაკის მოზარდს:

1. გამოიცანი მუზემართი

მიზნები: თამაში ხელს უწყობს თანაკლასელების უკეთ გაცნობას, მეტყველების უნარის განვითარებას.

აღწერილობა: ერთი მოთამაშე გამოდის კლასიდან და შედის მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დაუძახებენ. დანარჩენი ბავშვები ირჩევენ სხვა მოთამაშეს და ცდილობენ მის კარგად შესწავლას-სად ზის, რა ფერის ტანისამოცი აცვია და ა. შ. შემდეგ ეძახიან პირველ მოთამაშეს, რომელიც იწყებს მისახვედრი, საკვანძო კითხვების დასმას, მაგალითად:

ეს გოგონაა?-დიახ / ის ზის პირველ რიგში?-არა / ის ზის მეორე მერხზე?-დიახ / მას აცვია ცისფერი კოფთა?-დიახ / ეს თიკაა! / თკა გადის კლასიდან და თამაში იწყება თავიდან

2. მუზიკალური სკამი

მიზნები: თამაშით შესაძლებელია სწრაფი რეაგირების უნარის განვითარება, ის ეხმარება მოსწავლეებს მორცხვობასა და შებოჭილობის მოხსნაში.

მასალა: მაგნიტოფონი (ასევე შეიძლება სიმღერის ჩართვა მობილურით).

აღწერილობა: სკამები დაიღგას წრეში, ზურგით წრის შუაგულისკენ, ყველა მოთამაშე დგას სკამების გარშემო. სკამების რაოდენობა უნდა იყოს მოთამაშეების რაოდენობაზე ერთით ნაკლები. წამყვანი რთავს მუსიკას, მღერის ან აკაკუნებს და ა.შ. ხოლოდ დანარჩენი მონაწილეები ცეკვავენ ან უბრალოდ დადიან სკამების გარშემო. როდესაც წამყვანი მოულოდნელად გამორთავს მუსიკას(ან შეწყვეტს სიმღერას)

მოთამაშეებმა სწრაფად უნდა დაიკავონ სკამებზე აღგილი. ვისაც არშეხვდება სლამი, ანუ ვერ მოასწრევს სკამზე დაჯდომას, ის გადის თამაშიდან. ერთი მოთამაშის თამაშიდან

გასვლის შემდეგ სკამები ერთით უნდა შემცირდეს. თამაში გრძელდება მანამ ,ვიდრე არ დარჩება ბოლო მოთამაშე, რომელიც ხდება თამაშის გამარჯვებული.

როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ, სწავლებისას გამოყენებული თამაში უნდა იყოს ბავშვის ასაცის შესატყვესი, ინდივიდუალური თავისებურებებისა და შესაძლებლობების შესაბამისი, საინტერესო და ადვილად დასამახსოვრებელი. ჩვენ მიერ გამოყენებულ თამაშს უნდა ჰქონდეს ნათელი, ცხადი და გასაგები წესები, რომლებიც საგულდაგულოდ და ზედმიწევნით იქნება დაცული. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თითოეულ მონაწილეს ჰქონდეს წარმატების განცდის შანსი თამაშის მიმდინარეობისას.

თამაშის, როგორც სასწავლო მეთოდის გამოყენებისას აუცილებელია უზრუნველვყოო მისი სასწავლო ეფექტი. ამისათვის საჭირო იქნება მოსწავლეთა მიღწევების დემონსტრირება. ისინი უნდა რწმუნდებოდნენ იმაში, რომ თამაშის დროს რაღაც ისწავლეს. მოზარდი უნდა ხედავდეს, რომ მასწავლებელი მას არა მხოლოდ თამაშში კარგი მონაწილეობისთვის აქებს, არამედ მიღწეული შედეგისთვისაც – შეძენილი ცოდნისა და უნარისთვის. ასეთ სიტუაციაში მოსწავლე საამაყო ხდება, რომ ის ნამდვილი მოსწავლეა, იმიტომ, რომ უბრალოდ კი არ თამაშობს, არამედ სწავლობს კიდეც ([ქათუანი თსიაშვილი](#) : 2019).

თამაშს უნდა შეეძლოს სწავლების პროცესი გახადოს ექმედითი, მისცეს მოზარდს საშუალება, მიიღოს ახალი გამოცდილება. თამაში უნდა დამთავრდეს და მიღებული იქნას გარკვეული შედეგები იმ გაკვეთილზე, სადაც დაიწყო. სწორედ ოპტიმალური თამაშით უვითარდებათ კრეატიული აზროვნება და ლიდერობის უნარი. ასევე აღსანიშნავია, რომ ეფექტურად წარმართული თამაშები ჯანსაღი პიროვნების ჩამოყალიბებას განაპირობებს.

ლიტერატურა:

1. <http://mastsavlebeli.ge/?p=20391>
2. <https://learningapps.org/display?v=pgqiq18q317>
3. <https://www.teachhub.com>

Atina Toidze, Donari Ridjvadze

Games for Learning

Abstract

Classroom games are great tools for learning, they add flair and student engagement to more tedious, yet necessary tasks, grammar rules and vocabulary, reviewing for tests or even completing lab experiments. Adding an element of competition motivates and energizes students.

სწავლების მეთოდის კურსული მეთოდი Metodika ethod of teaching

მაგისტრული კურსული მეთოდი

ქუთაისი, საქართველო

მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაში, როგორც სწავლების ფორმა

დიდაქტიკური თამაშების მეშვეობით მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეები ყოველგვარი დაძაბულობისა და გართულებების გარეშე შეიყვანოს მუსიკის რთულ სამყაროში და ხელი შეუწყოს მუსიკალური ცოდნის მარტივი გზით დაუფლებას. მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაშები ესთეტიკური თვალსაზრისით ბავშვებისთვის უნდა იყოს მარტივი და ხელმისაწვდომი, საინტერესო და მიმზიდველი. თამაშობაში ჩართული უნდა იყოს ყველა მოსწავლე. მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაში შეიძლება განვიხილოთ, როგორც სწავლების მეთოდი, სწავლების ფორმა, დამოუკიდებელი სათამაშო აქტივობა, მუსიკალური კომუნიკაციისა და ბავშვის განვითარების საშუალება. მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაშები კარგი საშუალებაა მორცხვი ბავშვების გააქტიურებისთვის.

სასწავლო თამაშები უყალიბებს ბავშვებს თავდაჯერებულობას, თავმოყვარეობას, წარმატების მიღწევის სურვილს, ქმნის ჯანსაღ, მხიარულ განწყობას, სრულად ავსებს ბავშვების ცხოვრებას, რაც დადებითად აისახება ბავშვის სწავლისადმი ინტერესსა და, ზოგადად, მის განწყობაზე.

დიდაქტიკური თამაშების მეშვეობით მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეები ყოველგვარი დაძაბულობისა და გართულებების გარეშე შეიყვანოს მუსიკის რთულ სამყაროში და ხელი შეუწყოს მუსიკალური ცოდნის მარტივი გზით დაუფლებას. მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაშები ესთეტიკური თვალსაზრისით ბავშვებისთვის უნდა იყოს მარტივი და ხელმისაწვდომი, საინტერესო და მიმზიდველი. მუსიკალური ნაწარმოებები, რომლის ფონზეც მიმდინარეობს თამაში, უნდა აკმაყოფილებდეს ესთეტიკურ მოთხოვნებს, აღმრავდეს ბავშვებში გარკვეულ გრძნობებს... თამაშობაში ჩართული უნდა იყოს ყველა მოსწავლე. მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაში შეიძლება განვიხილოთ, როგორც სწავლების მეთოდი, სწავლების ფორმა, დამოუკიდებელი სათამაშო აქტივობა, მუსიკალური კომუნიკაციისა და ბავშვის განვითარების საშუალება. აქედან გამომდინარე, მუსიკალურ-დიდაქტიკურ თამაშს აქვს მრავალფუნქციური ხასიათი.

პედაგოგიურ ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი მუსიკალური თამაშების კლასიფიკაცია. მაგალითად, საფერხულო და მოძრავი თამაშები, თამაშები

სათამაშოებით, თამაშები სურათებით, გუნდობრივი ცეკვა-სიმღერები, მუზიკირება. რადგანაც ბავშვების მუსიკალური განათლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მუსიკალური შესაძლებლობების განვითარება, მნიშვნელოვანია მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაშების კლასიფიკაცია სწორედ ამ კუთხით: თამაშები კილოგრამივი გრძნობის განვითარებისთვის; თამაშები მუსიკალურ-სმენითი წარმოდგენების განვითარებისთვის; თამაშები რიტმის გრძნობის განვითარებისთვის.

მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაში შინაარსისა და სტრუქტურის მიხედვით უნდა შეიცავდეს თამაშის წესებსა და თამაშის ქმედებებს. თამაშის ქმედებების განვითარება განპირობებულია მუსიკალური გამომსახველობების გაგებითა და სიმღერის ლიტერატურული ტექსტის განვითარებით. ასეთი თამაშების დიდაქტიკური მასალა ეფუძნება მუსიკალური აღქმის განვითარებას. თამაშის მოქმედება უნდა დაეხმაროს ბავშვს მოისმინოს, განასხვაოს და შეადაროს ერთმანეთს მუსიკის ზოგიერთი თვისება და ამის საფუძვლზე იმოქმედოს. ამით შემოიფარგლება სათამაშო მოქმედებების სფერო. სათამაშო მოქმედებების დიდაქტიკური ამოცანების დასახვასთან დაბაგშირებით პირობითად გამოიყოფა თამაშების ზოგიერთი სახეობა და სტრუქტურა. ყველაზე გავრცელებულია სტრუქტურა, რომელიც გულისხმობს მუზიკირებას. ის ატარებს კონკურსის ხასიათს, რომელიც გამოავლენს მუსიკის მოსმენის უნარს, ინსტრუმენტების ამოცნობის შესაძლებლობებს ტემპრალური ჟღერადობით, ნაწარმოების ხასიათის, შინაარსისა და ტემპის განსაზღვრას... ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ თამაშები: „მუსიკალური კიბე”, „მუსიკალური ლოტო”, თამაშები სიმღერით, სადაც თამაშის შინაარსს განსაზღვრავს სიმღერის ტექსტი, თამაშები მოძრაობით (პანტომიმით გაითამაშებენ ბედნიერი, გაბრაზებული, მოწყენილი, დაღლილი, შეშინებული ადამიანების ემოციებს, დამოუკიდებლად დახტიან, დარბიან, თავად არჩევენ მოძრაობებს მუსიკის ხასიათის შესატყვისად) და ა. შ. მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაში ყოველთვის მოითხოვს სმენის კონცენტრაციას. თამაშის დროს ბავშვი მუდმივად უნდა უსმენდეს და ამჩნევდეს, როდის იცვლება ჟღერადობა, რეაგირებას ახდენდეს და მიღებულ შთაბეჭდილებას გადმოცემდეს მოძრაობით ან მოქმედებით. ბავშვები სწავლობენ მოძრაობის დაჩქარებას და შენელებას, თავისუფლად გადაადგილებას მუსიკალური სახეების, მრავალფეროვანი ხასიათის, მუსიკის დინამიკის შესაბამისად. თამაშების ტიპისთვის, რომელიც ხასიათით პგავს საფერხულოს, დამახასიათებელია თამაშის ქმედებების სინქრონულობა. ვინაიდან თამაში შეჯიბრის ელემენტებს შეიცავს, საინტერესოა მისი სპექტაკლივით გათამაშება. მაგალითად, მოსწავლეთა ერთი დაჯგუფება იყოს მსახიობი, ნაწილი ბავშვებისა - შემსრულებელი, ნაწილი კი - შემფასებელი.

მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაშების ორგანიზება ხდება მეცადინეობის დროს და დამოუკიდებლად, როგორც ბავშვების მთელ ჯგუფთან (ქვეჯგუფებთან, წევილებთან), ასევე ინდივიდუალურად. ასეთი თამაშები განიხილება როგორც ცალკე აქტივობა, ისინი ხელს უწყობს ბავშვთა შემოქმედებით განვითარებას, გაკვეთილის ხალისიანად ჩატარებას, მეცადინეობა ხდება შინაარსობრივად დატვირთული, მუსიკალური თამაშები ბავშვებს ეხმარება ინიციატივის გამოვლენაში, უკითარებს მათ მუსიკალური სახეების გამომსახველად გადმოცემის უნარს. თამაშით ბავშვები უფრო სწრაფად ითვისებენ პროგრამულ მოთხოვნებს, უკითარდებათ სასიმღერო უნარები, მუსიკალური სმენა, მუსიკალური მეხსიერება, რიტმის გრძნობა, სმენითი ერთადება, კომუნიკაციის უნარები, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ერთმანეთის

მიმართ, ესთეტიკური აღქმის უნარი, ინტერესი და სიყვარული მუსიკისადმი, ემოციური რეაგირების უნარი...

სწორედ მუსიკის გაკვეთილები უმუშავებს ბავშვებს დამოუკიდებლობის უნარს. მოსწავლეები დავალებას ასრულებენ დამოუკიდებლად, უფროსების დახმარების გარეშე, პატარები ცდილობენ შეუთავსონ მუსიკა მოცემულ ტექსტს, შეასრულონ მარტივი მელოდია საბავშვო მუსიკალურ ინსტრუმენტზე, აკეთებენ რიტმულ აკომპანიმენტს, ახდენენ სიმღერების ინსცენირებას, შეუძლიათ გაარჩიონ სიმღერის არასწორი შესრულება სწორი ვერსიისგან, ცდილობენ, რათა სიმღერა გახდეს უფრო გამომხატველი. ბავშვთა მუსიკალური განვითარებისთვის კლასში უნდა არსებობდეს მუსიკალური კუთხე, სადაც განთავსებული იქნება სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს თითოეული ბავშვისთვის. მათ უნდა შეეძლოთ ამ ინსტრუმენტების გამოყენება თავიანთი ინტერესებისა და სურვილის გათვალისწინებით. მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაშების დროს ვაცნობთ ბავშვებს მუსიკალურ ინსტრუმენტებს. ბავშვები უსმენენ სხვადასხვა მუსიკალური საკრავის ტემპებს, ასხვავებენ მაღალ და დაბალ ჟღერადობას, სწავლობენ ინსტრუმენტების ერთმანეთისგან გარჩევას ხმითა და ფორმით, ბავშვებს შეუძლიათ განასხვავონ ორი ინსტრუმენტის ტემპერაციი შევერილობა, რეგისტრები, მარტივი რიტმი, გამოარჩევენ ხმამაღალ და შშვიდ ჟღერადობას, არჩევენ ნაცნობ სიმღერებს და ცეკვებს. ბავშვები განასხვავებენ კონტრასტულ ჟღერადობას...

მუსიკალური უნარების გასავითარებლად საჭიროა წავხალისოთ ბავშვები, დაუკრან სხვადასხვა სახის მუსიკალურ ინსტრუმენტზე, შეისწავლონ და შეთხზან სიმღერები, მოუსმინონ სხვადასხვა ჟღერადობის ჩანაწერებს, ისაუბრონ ხმებისა და ხმაურების შესახებ. ბავშვებს უკითარდებათ მუსიკალური უნარები სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური ნაწარმოების მოსმენით და სხვადასხვა სახის ხმებთან ურთიერთობით, როცა მუსიკალური ინსტრუმენტებით ქმნიან სხვადასხვა ხმას... მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაშები ეხმარება ბავშვებს გაიცნონ მუსიკალური ჟანრები, მუსიკალური ნაწარმოებების ფორმა, მუსიკის გამომსახველობითი საშუალებები, მუსიკალური ბგერის ძირითადი თვისებები...

ბავშვებს შეუძლიათ დამოუკიდებლად ითამაშონ ერთმანეთთან მუსიკალურ-დიდაქტიკურ თამაშები, შეადგინონ თამაშის გეგმა, გამოიმუშაონ მოქმედებების თანმიმდევრობა, ჩამოაყალიბონ თამაშის წესები. ბავშვების გარკვეული მუსიკალური და ცხოვრებისეული გამოცდილების არსებობა მათ საშუალებას აძლევს, რომ საკმარისად იყვნენ აქტიურები თამაშის მსგლელობაში და დამოუკიდებლად გამოიყენონ ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვები მიშვებული არიან თავის ნებაზე. პედაგოგი ორგანიზატორის როლს ასრულებს, ზოგჯერ ის შეიძლება იყოს თამაშის მონაწილე, მაგრამ ყველაზე ხშირად იგი დამოუკიდებელი დამკვირვებელია. ვინაიდან ბავშვებს ახასიათებთ უფროსების მიბაძვა, აუცილებელია ვეცადოთ, რომ მოსწავლეებმა გამოავლინონ წარმოსახვის უნარი, ინიციატივა, ფანტაზია. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს მათ, მომავალში დამოუკიდებლად ჩაერთონ მუსიკალურ აქტივობებში, ეს კი ხელს შეუწყობს გამოირიცხოს ბავშვებში მიბაძვითი მოძრაობები... აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაშების დირექტულება არის ის, რომ ისინი ადვილად გასაგებია ბავშვებისთვის, იწვევენ ბავშვებში ინტერესს და თამაშში მონაწილეობის სურვილს, ანუ ხელს უწყობს მუსიკალურობის განვითარებას. მუსიკალური და დიდაქტიკური თამაშების ძირითად მიზანს კი წარმოადგენს ბავშვების მუსიკალური შესაძლებლობების ფორმირება.

თანამედროვე მუსიკალური განათლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ბავშვის მუსიკალურობის განვითარება. თავისთავად მუსიკის აღქმა არის საკმაოდ რთული პროცესი, რომელიც მოითხოვს ბავშვისაგან ყურადღებას, აზროვნებას, გარკვეულ ცოდნას. მონაწილეობა მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაშში გულისხმობს ბავშვის ჯერ კიდევ საკმაოდ მცირე მუსიკალური და ცხოვრებისეული გამოცდილების ეფექტურ გამოყენებას, მოითხოვს აზროვნების პროცესების ხარისხობრივ ცვლილებას, უფრო მაღალი დონის მუსიკალურ აღქმას. ამგვარი თამაშებით შესრულებული მუსიკალური ამოცანები მნიშვნელოვნად გაზრდის ბავშვის ინტერესს სწავლის მიმართ, განავითარებს დამოუკიდებელ მუსიკალურ აქტივობას, რომელიც შემოქმედებით ხასიათს იღებს.

ბავშვის მუსიკალურ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუსიკალურ-დიდაქტიკურ თამაშებს, რაღაც ისინი წარმოადგენენ მუსიკალური განათლების, როგორც პედაგოგიური მეცნიერების მეთოდიკის ნაწილს და ეფუძნებიან ისეთ დიდაქტიკურ პრინციპებს, როგორიცაა: სწავლება, მეცნიერებლობა, ხელმისაწვდომობა, თვალსაჩინოება, ცოდნის, უნარ-ჩვევების განმტკიცება და ა.შ. მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაშების გამოყენება აძლევს ბავშვებს საშუალებას, მათვის მარტივი, ხელმისაწვდომი ფორმით მიიღონ ცოდნა მუსიკაში, მის გამომხატველობით შესაძლებლობებზე და განავითარონ მუსიკალური შესაძლებლობები: კილოებრივი სიმაღლე, სმენა, რიტმის გრძნობა, ტემბრული და დინამიური სმენა. მუსიკას აქვს ემოციური გავლენის დიდი ძალა, რაც ხელს უწყობს ადამიანში გრძნობების აღზრდას, რაც მნიშვნელოვანია შემოქმედებითი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. მუსიკალური შესაძლებლობების განვითარება ყოველთვის იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომლის წინაშე დგას სკოლა. ამ თვალსაზრისით, ბავშვთა მუსიკალური შესაძლებლობების განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაშები.

მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაში ყოველთვის ითვლებოდა ბავშვთა მუსიკალური განვითარების ერთ-ერთ ძირითად პედაგოგიურ საშუალებად. მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაშები კარგი საშუალებაა მორცხვი ბავშვების გააქტიურებისთვის. თამაშის დროს ბავშვები არა მხოლოდ იძენენ სპეციალურ მუსიკალურ ცოდნას, მათ უყალიბდებათ აუცილებელი პიროვნული თვისებები, პირველ რიგში მეგობრობის, ურთიერთობის, უურადღების, პასუხისმგებლობის გრძნობა. მუსიკალური და საგანმანათლებლო თამაშების გამოყენებით მასწავლებელს თავისუფლად შეუძლია ხელი შეუწყოს ბავშვის პოზიტიურ მოტივაციას, რაც დადებითად იმოქმედებს ბავშვის განვითარებაზე. თამაშების პროცესში ბავშვები არა მარტო იძენენ სპეციალურ მუსიკალურ ცოდნას, შესაძლებლობებს, მათ უყალიბდებათ პიროვნული და ფსიქიკური თვისებები: პასუხისმგებლობის გრძნობა, ყურადღება, მეხსიერება, გონიერება; ეზვევიან მოქმედების სისწრავეს, თავშეკავებას, საკუთარი შესაძლებლობების შეფასებას, უაქტიურდებათ მრავალფეროვანი ფსიქიკური პროცესები.

სასწავლო თამაშები უყალიბებს ბავშვებს თავდაჯერებულობას, თავმოყვარეობას, წარმატების მიღწევის სურვილს. საინტერესო თამაშები ქმნის ჯანსაღ, მხიარულ განწყობას, სრულად ავსებს ბავშვების ცხოვრებას, რაც დადებითად აისახება ბავშვის სწავლისადმი ინტერესსა და, ზოგადად, მის განწყობაზე.

ლიტერატურა

1. ბაგა-ბადის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო, თბილისი, 2015
2. ბოჭორიშვილი მ., დიდაქტიკური თამაშის ფსიქოლოგიური და კოგნიტური საფუძვლები, ინტერნეტგაზეთი, 2014
3. მუსიკა (სწავლების I-IV წელი), თბილისი, 1997

Magda Tkhilava**A musical-didactic game as a teaching method****Abstract**

Through didactic games a teacher can introduce the students to the complicated world of music without any obstacles and encourage them to learn music through an easy way. Aesthetically, musical-didactic games should be easy and available, interesting and attractive for children. A musical-didactic game can be considered as a teaching method; an independent playful activity; a tool to develop musical communication and child development.

Musical-didactic games have an important role in the child's musical development as they are the integral part of music education and are based on the following didactic principles: teaching, scientific validity, accessibility, illustrations, reinforcement of knowledge and skills etc. Musical-didactic games enable children to get knowledge about music and its expressive tools through easy ways, they can develop musical skills: musical ear, the sense of rhythm, timbre and dynamic ear.

Musical-didactic games are especially good to activate shy children. Through these games children can acquire not only special musical knowledge but necessary personal skills, first of all, the feelings of friendship, relationship, attention and responsibility. By using musical and educational games, a teacher can freely encourage the child's motivation which will have a positive influence on the child development.

Educational games develop confidence, self-esteem and the desire of success in children.

რეცენზენტი: პროფ. რ. ლორთქიფანიძე

სწავლების მეთოდიკა Методика Methodic of teaching

ნათია კალანდაძე

ქუთაისი, საქართველო

„სეგმენტური მეთოდის პრაქტიკული გამოყენება
ისტორიის გაკვეთილზე“

სკოლების უმეტესობა ხელს უწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. პედაგოგებს შესაძლებლობა აქვთ დრო დაუთმონ ერთობლივ დაგეგმვას, მონაცემთა ანალიზს, ინტერვენციებისა და ცოდნის გაღრმავებას. მასწავლებლისთვის ყოველთვის საინტერესო სიახლის ძიება პირადი პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის, ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოსწავლეების წარმატებას.

კონკრეტულ სამოდელო გაკვეთილში ავირჩივთ თანამშრომლობითი სწავლების ერთერთი მიმართულება-სეგმენტური მეთოდი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური პასუხისმგებლობის განვითარებაში და საშუალებას აძლევს მასწავლებელს, შეაფასოს როგორც თითოეული მოსწავლის პირადი წელილი ჯგუფურ მუშაობაში, ასევე ჯგუფის საქმიანობის ხარისხი პროდუქტი.

სკოლების უმეტესობა ხელს უწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. პედაგოგებს შესაძლებლობა აქვთ დრო დაუთმონ ერთობლივ დაგეგმვას, მონაცემთა ანალიზს, ინტერვენციებისა და ცოდნის გაღრმავებას. ისინი თანამშრომლობენ, რათა აკადემიური მიზნების მიღწევაში დაეხმარონ მოსწავლეს და განამტკიცონ ერთობლივი პასუხისმგებლობის შეგრძნება მათთან მიმართებაში. პროფესიონალური სასწავლო საზოგადოების მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ხშირად უგულებელყოფილია, არის გუნდური მუშაობა. პროფესიონალური სასწავლო საზოგადოების მუშაობის მთელი პროცესი ინდივიდის პროფესიული ზრდის ქენა არის მიმართული, თუმცა საჭიროა გუნდებმა სათანადო დრო დაუთმონ ერთობლივ მუშაობას (Collaborating on Project-Based Learning, Andrew Miller).

ეფექტური უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა არის სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საშუალება. მასწავლებლისთვის ყოველთვის საინტერესო სიახლის ძიება პირადი პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის, ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოსწავლეების წარმატებას. სწორედ აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ინოვაციური სამოდელო გაკვეთილი, რომელიც ხელს უწყობს როგორც მოსწავლეების, ასევე პედაგოგის მოტივაციას.

აღნიშნულ სამოდელო გაკვეთილში არჩეულ იქნა თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთ მიმართულება—სეგმენტური მეთოდი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური პასუხისმგებლობის განვითარებაში და საშუალებას აძლევს მასწავლებელს, შეაფასოს როგორც თითოეული მოსწავლის პირადი წვლილი ჯგუფურ მუშაობაში, ასევე ჯგუფის საქმიანობის საერთო პროდუქტი. თანამშრომლობითი სწავლების დროს, დამოუკიდებელი და კონკურენტული სწავლებისგან განსხვავებით, მოსწავლეებს უვითარდებათ ორმაგი – როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური – პასუხისმგებლობა. ამ დროს თითოეული მათგანი პასუხს აგებს არა მარტო საკუთარ თავსა და კეთილდღეობაზე, არამედ ჯგუფსა და მის წარმატებაზეც (სეგმენტური მეთოდი, სოფიკო ლობურიძე, 2012 წ, 16 ნოემბერი)

პედაგოგის მიერ დაგეგმილი თითოეული გაკვეთილი თრიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ესგ მიზნების მიღწევაზე და მოსწავლეებში იმ უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობაზე, რაც მომავალში მისცემს საშუალებას მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.

თანამშრომლობითი სწავლის პროცესში მოსწავლე ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ავლენს ისეთი პასუხისმგებლობების გაზიარებით, როგორებიცაა: მიზნის მიღწევა, მოსაზრების მკაფიოდ წარმოჩენა, საკითხის კრიტიკულად განხილვა, მკაფიო და დია კომუნიკაცია, სხვისი აზრის მოსმენა, მოსაზრებათა ანალიზი და შერწყმა (თეო ნეფარიძე, თანამშრომლობითი სწავლა-სწავლება)

თანამშრომლობითი სწავლება წარმოადგენს სწავლების უველაზე თანამედროვე ფორმას, რომელსაც მასწავლებლები სულ უფრო აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. იგი მიმართულია პარტნიორული და ჯგუფური მუშაობისკენ, პრობლემის ერთობლივად გადასაჭრელად და საერთო მიზნის მისაღწევად. თანამშრომლობითი სწავლების დროს, დამოუკიდებელი და კონკურენტული სწავლებისგან განსხვავებით, მოსწავლეებს უვითარდებათ ორმაგი – როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური – პასუხისმგებლობა. ამ დროს თითოეული მათგანი პასუხს აგებს არა მარტო საკუთარ თავსა და კეთილდღეობაზე, არამედ ჯგუფსა და მის წარმატებაზეც.

თანამშრომლობით გაკვეთილში, თითოეულ მოსწავლეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი წარმატება ჯგუფის წარმატების საწინდარია. თანამშრომლობითი სწავლებისთვის შექმნილი ჯგუფის ერთ-ერთი ამოცანაა, თითოეული წევრი აქციოს მკვეთრად გამოხატულ ინდივიდად (სოფიკო ლობურიძე, იქვე).

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სეგმენტური მეთოდის მეშვეობით გაგვეთილის მიზანი მიღწეულ იქნა, ვინაიდან პედაგოგისა და მოსწავლეების მიერ გათვალისწინებული იყო სეგმენტური მეთოდის ინსტრუქცია. გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში პედაგოგი იყო ფასილიტატორი. მოსწავლეები ინტერესით და პასუხისმგებლობით მოეკიდნენ მასწავლებლის მიერ მიწოდებულ სიახლეს, სწორად გაიაზრეს დავალების არსი და წარმატებით გაართვეს თავი. სწორად მიწოდებულმა ინსტრუქციამ განაპირობა სეგმენტური მეთოდის კრიტერიუმების გათვალისწინება. თემა იყო: „ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოში“, ხოლო მიზანი: მოსწავლეები გაეცნობიან და გაანალიზებენ ბავშვთა უფლებების დაცვის მექანიზმს საქართველოში, იმსჯელებენ მოვალეობებსა და პასუხის-

მგებლობებზე თანამედროვე საქართველოში, ასევე შერჩეული რომელიმე ქვეყნის სიტუაციურ მაგალითზე.

ჯგუფში მუშაობის დროს პირველ ეტაპზე ყველა მუშაობდა დამოუკიდებლად, თითოეულ სეგმენტში დააფიქსირეს თავიანთი აზრი, ხოლო მეორე ეტაპზე დისკუსიის დროს გაითვალისწინეს ერთმანეთის მოსაზრებები, პქონდათ სხვადასხვა მოსაზრებები, მაგრამ შეძლეს და მიიღეს ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება კონსესუსის საფუძველზე, რაც დააფიქსირეს საერთო სეგმენტში. მიუხედავად იმისა, რომ მეთოდი ამ კლასისთვის იყო ინოვაციური, გაპგეთილის მიზანი მიღწეული იქნა სეგმენტური მეთოდის გამოყენებით. მოსწავლეები გაეცვნენ და გაანალიზეს ბავშვთა უფლებების დაცვის მექანიზმი საქართველოში, რასაც ხელი შეუწყო კონკრეტულმა მეთოდმა, მათ სწორად გაანალიზეს სიტუაციური ამოცანები და პრობლემის გადასაჭრელად მოძებნეს ორგანიზაციები მისის მიხედვით. მესამე ეტაპზე ჯგუფების მიერ წარმოდგენილმა პრეზენტაციებმა მეტი თვითდაჯერება შესძინა მოსწავლეებს, მათი არგუმენტები გამჭარებული იყო შესაბამისი მუხლებით ბავშვთა უფლებების დაცვის დეკლარაციიდან. სიტუაციური ამოცანის განხილვისას, პრეზენტაციისა და საერთო საკლასო დისკუსიის დროს მოსწავლეებმა იმსჯელეს მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებზე.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებამ, სადაც გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ასაკი, მათი ინდივიდუალური თავისებურებები: კლასში შექმნა მოსწავლეზე ორიგენტირებული სასწავლო პროცესი, რომელსაც ადასტურებდა მოსწავლეთა მხრიდან დამოუკიდებელი მუშაობა, სადაც პედაგოგი იყო ფასილიტატორი.

სეგმენტური მეთოდის გამოყენებამ ხელი შეუწყო საგაკვეთილო თემის გააზრებას და პრაქტიკულად, სიტუაციურ ამოცანებზე დაყრდნობით, გაიაზრეს პრობლემა, აღმოაჩინეს შესაბამისი მუხლები ბავშვთა უფლებების დაცვის დეკლარაციიდან, შეუსაბამეს ის ორგანიზაციები, რომლებიც მათი აზრით მოაგვარებდა პრობლემას. მოსწავლეებმა მიუხედავად ჯგუფში არსებული სხვადასხვა მოსაზრებებისა, შეძლეს ერთი, საერთო გადაწყვეტილების მიღება კონსესუსის საფუძველზე, რაც გააერთიანეს მთავარ სეგმენტში და წარმოადგინეს შესაბამისი პრეზენტაცია.

სეგმენტური მეთოდი კონკრეტულად VII კლასში, მოსწავლეებისთვის იყო სიახლე ვფიქრობ, რომ მათ მიეცათ იმის შესაძლებლობა, რომ ჯგუფში ყველას აზრი ყოფილიყო დაცული და გათვალისწინებული-აქედან გამომდინარე ეს მეთოდი მათ პირველ რიგში განუვითარებს სხვისი აზრის პატივისცემის უნარს. უფრო მეტად დააფასებენ თანამშრომლობას, მეტად განავითარებენ ამ მიმართულებით შესაბამის უნარებს. მოსწავლეებმა მოახდინეს ცოდნის ტრანსფერი. უფრო მეტად დამოუკიდებლები იყვნენ გადაწყვეტილების მიღებისას, მეტი ნდობა გამოუცხადეს საკუთარ თავს და შესაძლებლობებს.

მიუხედავად იმისა, რომ სეგმენტური მეთოდი პირველად იყო კლასში გამოყენებული, სწორად გაცემულმა ინსტრუქციამ, მოსწავლეებს მისცა საშუალება ემუშავათ, ისე როგორც ითვალისწინებს სეგმენტური მეთოდი. შეძლეს სეგმენტში დამოუკიდებელი მუშაობა და ინსტრუქციის თანმიმდევრულად შესრულება. ჯგუფებში მუშაობისა და დისკუსიის დროს პქონდათ ეფექტური კომუნიკაცია, იცავდნენ საკუთარ მოსაზრებას და მიაღწიეს კონსესუს,

მიუხედავად განსხვავებული მოსაზრებებისა. ჯგუფებმა სწორად და თანმიმდევრულად გამოიყენეს ჯგუფში მიწოდებული რესურსი და ინსტრუქციაც. ჯგუფის ყველა წევრი თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე მუშაობდა აქტიურად და არ იყო სხვის ხარჯზე, როგორც ჩვევია ხოლმე ჩვეულებრივ ჯგუფურ მუშაობას. ამას ადასტურებს ინდივიდუალურად შევსებული სეგმენტები. სწორად მოახდინეს პრობლემის იდენტიფიცირება.

ჯგუფებმა საინტერესოდ წარმოადგინეს საკუთარი ხედვა პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით, სწორად გაიაზრეს სიტუაციური ამოცანა, ორგანიზაციები აირჩიეს მისის და ფუნქციის მიხედვით. პრეზენტატორები მოსაზრებებს ამჟარებდნენ შესაბამისი მუხლებით ბავშვთა უფლებების დაცვის დეკლარაციიდან. სსხმ მოსწავლეებ სწორად მიცემული ინსტრუქციისა და პედაგოგის ფასილიტაციით შეძლო ამოცნო ფოტო სადაც დარღვეული იყო ბავშვის უფლება. შექმნა პოსტერი მიწოდებული რესურსის გამოყენებით. კლასის მართვა ეფუძნებოდა თანამშრომლობით პრინციპებს.

■ მოსწავლეებმა და პედაგოგმა ურთიერთთანამშრომლობით შეძლეს ერთად გასულიყვნენ გაკვეთილის მიზანზე, რომელიც პირდაპირ კავშირში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

ლიტერატურა:

1. **(Collaborating on Project-Based Learning, Andrew Miller, January 7, 2019)**
2. სოფიკო ლობჟანიძე, თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები. სეგმენტური მეთოდი
3. თეო ნეფარიძე, თანამშრომლობითი სწავლა-სწავლება

Natia Kalandadze

Practical usage of segmental method at the History lesson

Abstract

Nowadays, majority of schools support and try to improve, develop quality of education, studying and teaching. Teachers are capable of making plans, data, they tend to team-working, tend to be more skilled and have descent education. Seeking for new information is very interesting and immersing for teachers, since, this way, they practise more and become much more skilled and experienced, having descent education. Simultaneously, this helps students to be much more successful and well-educated. Consequently, we can say, that it is very crucial and essential to plan some innovative model lessons and carry them out. Thus, students and teachers are much more motivated and concentrate on certain issues.

The Segmental method has been chosen in the certain modal lesson. The Segmental method is a type of co-educational system and cooperative teaching. This kind of method helps students to improve, develop

individual and not only individual responsibilities, commitments, and, this way, teachers are capable of evaluating each student, their skills, proficiency and quality of cooperative learning.

I reckon, that in future they will evaluate colleagues and develop proper skills. Inspite of the condition that it was the first time they took part in the abovementioned process, they successfully managed to express their own aptitudes, skills, awareness. During that model lesson teachers were consulted, thus, they had proper instructions and were given to appropriate directions. They managed to become much more independent while making important, vital decisions, they rely on themselves. Eventually, summing up all the things above, we can say, that both, teachers and students understood what was the main idea of the model lesson, they comprehended much from the lesson. The main aim of the model lesson was connected to the national educational system.

რეცენზენტი: პროფ. ო. გუსევა

სწავლების მეთოდის არა და მეთოდის მეთოდი
Metodika და Methodic of teaching

მარიამ კილანავა

თბილისი, საქართველო

აღაპეტიონის მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელობა
ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში
ევროპის უნივერსიტეტი

უცხო ენის სწავლების პროცესში აღაპეტიონის ლიტერატურის გამოყენების საკითხი
თანამდებობები სამეცნიერო საზოგადოებაში აქტუალურია. მნიშვნელოვანი როლი ენის გამოყენება
მხატვრული ლიტერატურის გამოყენებას როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან სასწავლო
რესურსს უცხო ენის შესწავლის პროცესში. ექსტენსიური კითხვისთვის გამიზნები
აღაპეტიონის ლიტერატურის გამოყენებას სწავლების პროცესში სხვა ლინგვისტური და
კულტურული არგუმენტებიც ამყარებს. ლინგვისტურ თუ კულტურულ გამოწვევებს დღეს
არსებული ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლებისთვის გამიზნები სხვადასხვა
რესურსი გარკვეულწილად პასუხობს. ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის შესწავლა
ხდება სხვადასხვა მიზეზით: 1.საკომუნიკაციო მიზნებისთვის, 2.საქმიანი და პირადი
ურთიერთობებისთვის, 3.პროფესიის დასაუფლებლად 4.ქართულ საზოგადოებაში
ინტეგრირებისთვის, ან 5.უკვე დავიწყებული მშობლიური ენის ხელახლა შესახვავლად.

დღეს არსებული სასწავლო რესურსთა დიდი ნაწილი დაკომპლექსებულია ქართული
ენის გრამატიკული მასალით და საკითხებად დაყოფილი სასაუბრო თემებით. თუმცა უცხო
ენის შესწავლის გრავეულ ეტაპზე, შემსწავლელისთვის, მათი გაცნობა უინტერესო ხდება
და იქნება საჭიროება ახალი, დამატებითი საკითხავი მასალის არსებობისა. ენის ფლობის
ზოგადევრობული ჩარჩოს მიხედვით აღაპეტიონის ქართული მხატვრული ლიტერატურა,
საკითხავი მასალის სახით, ჯერ არც ერთ სასწავლო რესურსს არ გააჩნია, შესაბამისად ეს
ერთ-ერთ გადახაჭრება ამოცანად იხახება ქართული ენის სწავლების ხრულყოფაში.

შესავალი

უცხო ენის სწავლებისას გრამატიკულ, ლექსიკურ თუ სხვა ასპექტებთან ერთად
აქტიურად გამოიყენება მხატვრული ლიტერატურით სწავლების პრაქტიკაც. მხატვრულ
ლიტერატურაზე საუბრისას ხაზგასასმელია მისი ენის ფლობის დონეების მიხედვით
დამუშავებული ვარიანტების მნიშვნელობა. მხატვრული ლიტერატურის საშუალებით უცხო

ენის სწავლებისას გამოყოფენ ორი სახის მიღებობას - ინტენსიურ და ექსტენსიურ კითხვას. ინტენსიური კითხვა გულისხმობს შესასწავლი მასალის დეტალურ გაანალიზებას შემსწავლელის მხრიდან, ხოლო ექსტენსიური კითხვა ორიენტირებულია მკითხველის ზოგად ინფორმირებაზე. ამიტომ უკავშირდება ექსტენსიური კითხვა სიამოვნებით კითხვას, ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ინფორმაციის მაქსიმალურ ათვისებას მკითხველის მხრიდან. ექსტენსიური კითხვა არ გულისხმობს წაკითხული მასალიდან ტესტების ან გამოცდის სახით მკითხველის გამოკითხვას, შესაბამისად, მას უფრო სასიამოვნოდ საკითხავის ფუნქცია აქვს. კითხვის ეს ორი მიღებობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს უცხო ენის სწავლების პროცესში და მისი პროდუქტიულობა მისივე კომპლექსური ხასიათით არის განპირობებული.

უცხო ენის სწავლების ამ პრაქტიკას ინგლისური ენა სრულად იზიარებს. ეს კი შეიძლება ერთ ერთ საგულისხმო ფაქტორადაც ჩაითვალოს მისი ლინგვა ფრანგად ჩამოყალიბების საქმეში. ინგლისურენოვანი ადაპტირებული ლიტერატურა დღესაც დიდი აქტივობით იბეჭდება უმსხვილესი გამომცემლობების მიერ. აქედან გამომდინარე ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლებაში დღეს საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენება დონეებად დამუშავებული ლიტერატურა და ის მიიჩნევა ერთ-ერთ ძლიერ დამხმარე რესურსად ენის შესწავლა-სწავლების პროცესში.

ლიტერატურის მიმხილვა

სამეცნიერო ლიტერატურაში აქტუალურია კვლევები ექსტენსიური კითხვის მნიშვნელობაზე უცხო ენის სწავლება-შესწავლის პროცესში. ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ მის უპირატესობას უცხო ენის შესწავლისას. იაპონელი მეცნიერი იამაშიტა ყურადღებას ამახვილებს ექსტენსიური კითხვის მნიშვნელოვან როლზე უცხო ენის შესწავლის პროცესში და განასხვავებს ექსტენსიური და ინტენსიური კითხვის მახასიათებლებს (Yamashita: 2004). პოლ ნეიშენი კი ექსტენსიურ კითხვას ახალი ლექსიკური მარაგის გამდიდრების საუკეთესო საშუალებად მიიჩნევს (Nation: 2005). ვილ რანანდიას მიხედვით კი მიუხედავად იმისა, რომ უცხო ენის სწავლების პროცესში ინტენსიური კითხვის პრაქტიკა ფართოდ გამოიყენება ის მაინც ვერ იძლევა სრულყოფილ შედეგს. ავტორი მიიჩნევს, რომ შესასწავლ ენაზე ექსტენსიური კითხვისთვის გამიზნული ლიტერატურის წაკითხვა უფრო პროდუქტიულია უცხო ენის დაუფლების პროცესში (Renandya: 2007). ქრაშენი ყურადღებას ამახვილებს სიამოვნებით კითხვის უპირატესობაზე და მიიჩნევს, რომ ამ დროს შემსწავლელი ლექსიკურ ერთეულებს უფრო მარტივად ითვისებს, ვიდრე ეს ხდება ლექსიკის დაზეპირებისას (Krashen: 1993). დეი და ბამფორდიც ამტკიცებენ, რომ ექსტენსიური კითხვა აუმჯობესებს როგორც აქტიური და პასიური ლექსიკის შესწავლას, ასევე წერის უნარ-ჩვევის გაუმჯობესებას (Day and Bamford :2002).

ექსტენსიური კითხვის მნიშვნელობაზე საუბრისას, აუცილებელია აღინიშნოს ენის ფლობის დონეებად ადაპტირებული ლიტერატურის როლი უცხო ენის სწავლებისას. ნეიშენი

და ვანგი მიიჩნევენ, რომ ადაპტირებული ლიტერატურის გამოყენება სწავლებისას ხელს განსაკუთრებულად უწყობს ახალი ლექსიკური მარაგის შესწავლას (Nation and Wang :1999).

კითხვის მნიშვნელობის შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში საერთაშორისო კონფერენციები (KOTESOL International Conference) და კონგრესები (The Extensive Reading World Congress) იმართება, ასევე ფუნქციონირებს სპეციალური ფონდები (Extensive Reading Foundation).

უცხო ენის სწავლება-შესწავლისას ექსტენსიური კითხვის ჩართულობის მიმართ ასეთი დიდი ინტერესი ცხადყოფს საკითხის აქტუალობას, რაც თავისებურად აისახება ქართულ გარემოზეც. საქართველოში, ზოგადად, ექსტენსიური კითხვისა და ადაპტირებული ლიტერატურის მნიშვნელობაზე უურადღებას ამახვილებს სხვადასხვა ავტორი (მიქელაძე: 2014; გრიგალაშვილი :2011; გორგაძე :2011; ბალუაშვილი :2016; გოჩიტაშვილი, გაბუნია 2011...), ისინი მიიჩნევენ, რომ კითხვის როლის გაზრდა უცხო ენის სწავლების პროცესში მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მის უვარებიანად შესწავლას. ასევე აღნიშნავენ, რომ ადაპტირებული ლიტერატურის როლი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში ნაკლებად მოიპოვება ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების საკითხზე არსებული თეორიული სამეცნიერო მასალა, შესაბამისად, ნაკლები ინფორმაციაა ხელმისაწვდომი ამ საკითხით დაინტერესებულ პირთათვის.

ანალიზი

ზემოთ უკვე აღნიშნულ არგუმენტებთან ერთად აღსანიშნია ის ფაქტიც, რომ ექსტენსიური კითხვის სწავლების პროცესში ჩართვას სხვა მნიშვნელობებთან ერთად ლინგვისტური და კულტურული არგუმენტებიც ამჟარებს:

- **ლინგვისტური არგუმენტები.** დამატებითი საკითხავი ლიტერატურა (ადაპტირებული სახით ენის ფლობის ყოველი დონისთვის) ექსტენსიური კითხვისთვის ქმნის შესაძლებლობას რათა: 1.ამაღლდეს ენის შემსწავლელის ზოგადი ენობრივი კომპეტენცია (შემსწავლელმა შეძლოს გამართულად წერა, კითხვა საუბარი და მოსმენა); 2. გაიზარდოს ახალი ლექსიკური მარაგის უკეთ დამასხოვრების შესაძლებლობა (ზეპირად ნასწავლი ახალი ლექსიკური მასალა ადვილად შეისწავლება, როცა შემსწავლელი მას მისთვის საინტერესო სიუჟეტის მქონე ნაწარმოებში გარკვეულ კონტექსტში ამოიკითხავს);

- **კულტურული არგუმენტი:** შემსწავლელს მისცეს საშუალება უკეთ გაეცნოს შესასწავლი ენის კულტურას და უკეთ ინტეგრირდეს მის სივრცეში.

ლინგვისტურ თუ კულტურულ გამოწვევებს, გარკვეულწილად, დღეს არსებული ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების სხვადასხვა რესურსი პასუხობს. როგორც წესი, ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის შესწავლა ხდება სხვადასხვა მიზეზით: 1. საკომუნიკაციო მიზნებისთვის, 2. საქმიანი და პირადი ურთიერთობებისთვის, 3.პროფესიის დასაუფლებლად (იგულისხმება საუნივერსიტეტო პროგრამები, რომლებიც ამზადებენ მსმენელს ქართულ უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებლად), 4.ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის, ან 5. უკვე დავიწყებული მშობლიური ენის ხელახლა შესასწავლად (იგულისხმება ამერიკაში, ევროპაში, ფერეიდანში, თურქეთში მცხოვრები

ეთნიკური ქართველები). ზემოთ აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების სამიზნე ჯგუფები განსხვავდება ერთმანეთისგან.

დღეს, ქართულის, როგორც უცხო ენის შემსწავლელთათვის სხვადასხვა სასწავლო რესურსი ფუნქციონირებს (ქვემოთ მოცემულია ხუთი უკელაზე პოპულარული ინტერნეტ გვერდი):

- **geoflige** - "აღმართი" - A1-დან B2 (+) დონებმდე. მოცემულ ელექტრონულ სასწავლო მასალაში მოცემულია შემსწავლელისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო, მასწავლებლის წიგნი, სწავლების მეთოდიკა, ქართული ენის გრამატიკა, ლექსიკონი, დამატებითი საგარჯიშოები და სხვა საინტერესო მასალა. საკითხავი ლიტერატურის ნაწილში მოცემულია სხვადასხვა ინფორმაციული თუ ფოლკლორული ხასიათის ტექსტი; გვერდი გათვლილია იმ შემსწავლელზე, ვისთვისაც ქართული არის უცხო ენა.

- **ice.ge** - ქართულის, როგორც უცხო ენის ელექტრონული სწავლების პორტალი განთავსებულია არნოლდ ჩიქობავას სახელმბის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ოფიციალურ ვებგვერდზე. მოცემული რესურსი ენის შემსწავლელს სთავაზობს A1-დან B2-დონებმდე ლექსიკონს, გრამატიკულ მასალას და სხვადასხვა თემატურ ტექსტს. გვერდი გათვლილია იმ შემსწავლელზე, ვისთვისაც ქართული არის მეორე, ან უცხო ენა.

- **distancelearning.mes.gov.ge** - ქართული ენის დისტანციური სწავლებისთვის განკუთვნილი ვებგვერდი შეიქმნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2016 - წელს. ვებგვერდი განკუთვნილია 5-15 წლამდე ასაკის შემსწავლებზე, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ. ქართული ენის გაპვეთილები ონლაინ რეჟიმში ტარდება.

- **Teach.ge** - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით 2014 წელს შეიქმნა ქართული ენის სწავლებისთვის განკუთვნილი ვებგვერდი. ინტერნეტგვერდი ქართული ენის სწავლებას ონლაინ რეჟიმში ახორციელებს.

- **Moodle** პროგრამა - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს ონლაინ პროგრამას ქართულის, როგორც მეორე/უცხო ენის მასწავლებლებისთვის და შემსწავლებისთვის (ინფორმაციული წიგნიერება და სხვ).

ინტერნეტგვერსურსის გარდა პოპულარულია წიგნებიც, რომლებიც აქტიურად გამოიყენება ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში: ბილიკი (შავთვალაძე 2005); We learn Georgian (ხვედელიძე. 2014.); Beginner's Georgian (კიზირიძ 2012); ქართული ენა (2013. სახელმძღვანელო; პროგრამა - ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის); ქართული ენა (დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი; საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების საკვირაო სკოლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო). ქართული ენის სახელმძღვანელო ზრდასრულთათვის (სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურს-ცენტრი). ზემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოები თუ თვითმასწავლებლები

დაკომპლექტებულია გრამატიკული მასალითა და შესაბამისი დონის საკითხავი თემატური, ინფორმაციული, ისტორიული ხასიათის ტექსტებითა და დიალოგებით.

აქვე უნდა გამოიკვეთოს პრობლემური ხასიათის საკითხი, როცა უცხო ენის შესწავლისთვის სწავლის გრავულ ეტაპზე თემატური, ინფორმაციული ხასიათის ტექსტებისა და დიალოგების გაცნობა უინტერესო ხდება და იქმნება საჭიროება ახალი, დამატებითი საკითხავი მასალის არსებობისა. ენის ფლობის ზოგადევროპული ჩარჩოს მიხედვით ადაპტირებული ქართული მხატვრული ლიტერატურა, საკითხავი მასალის სახით, ჯერ არც ერთ სასწავლო რესურსს არ გააჩნია, შესაბამისად, ეს ერთ-ერთ გადასაჭრელ ამოცანად ისახება ქართული ენის სწავლების სრულყოფის საქმეში¹⁰.

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით ნათელია, რომ ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში გამოყენებული სასწავლო რესურსები არ არის საკმარისი შემსწავლელის მრავალფეროვანი სასწავლო მასალით უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე ჩნდება აუცილებლობა იმისა, რომ სასწავლო პროცესში ჩართული იქნას ექსტენსიური/ინტენსიური კითხვისთვის გამიზნული, სპეციალურად შექმნილი, დონეებად ადაპტირებული ქართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები.

ზოგადი სურათის მიხედვით უცხო ენის სწავლებისას ენის ფლობის მაჩვენებელი ექვს - A 1, A2, B1,B2 და C 1, C 2 დონედ არის გადანაწილებული. ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლებისას გამოყენებული სასწავლო რესურსების დიდი ნაწილი ორიენტირებულია ა 1, ა 2(+), ბ 1, ბ 2(+) დონეებზე.

ზოგადად, ენის ფლობის თითოეული დონე განსხვავდება თავისი გრამატიკული, ლექსიკური თუ სხვა მახასიათებლით, თუმცა ერთი სერიით გამოშვებულ ადაპტირებული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს, რომლებიც სწავლების პროცესში გამოიყენება, ახასიათებთ ერთი ტიპის საფარჯიშოების გამოყენება ტესტში მოცემული ახალი ლექსიკური ერთეულების უკეთ დამახსოვრებისთვის და შინაარსის უკეთ აღსაქმელად.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ არსებობს ენის ფლობის დონეებად ადაპტირებული ქართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები, საინტერესოა განისაზღვროს ძირითადი ენობრივი მახასიათებლები, ენის ფლობის იმ ოთხი დონის მიხედვით, რომლებიც გამოიყენება ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში¹¹. მათი ცალკეული დახასიათება, რომელიც გარკვეულწილად, რეკომენდაციის სახეს იღებს, ნათელყოფს განასხვავებებსა თუ საერთო შტრიხებს.

• ა 1 დონე - ეს არის საწყისი დონე, როდესაც ენის შემსწავლელი ელემენტარულ დონეზე უცნობა შესასწავლ ენას და, შესაბამისად, ამ დონისთვის გათვლილია: 1. მცირე

¹⁰ 2015 წელს შიქმნა ახალგაზდრა მეცნიერთა ჯგუფი (მ.კილანავა; ნ. ფუტკარაძე; ნ.ადამია; ც.კილანავა). შემუშავდა ქართული მხატვრული ლიტერატურის ადაპტირების თეორიული ვერსია პროექტის სახით. ამჟამდ, გამოსაცემად მზად არის ქართული მხატვრული ლიტერატურის ადაპტირებული ვერსიების ა2 - იავნანამ რა ჰქმნა; ბ1 - სამანიშვილის დედინაცვალი და ბ2 - ოთარანთ ქვრივი (ადაპტირება მ.კილანავასი).

¹¹ ენობრივი მახასიათებლები მოცემულია ქართულის, როგორც უცხო ენის, ფლობის დონეების სტანდარტის მიხედვით.

მოცულობის ტექსტები, რომლებიც ხასიათდება წინადაღვებათა უმარტივესი აგებულებებით;

2. ტექსტი, შესაძლოა, შეიცავდეს რამდენიმე ახალ ლექსიკურ ერთეულს; 3. საწყისი დონისთვის გათვალისწინებული ადაპტირებული ტექსტები დატვირთულია ილუსტრაციებით;
4. ტექსტის შინაარსის გაგება კი დახმარების გარეშე თითქმის შეუძლებელია.

- ა 2 დონე - უცხო ენის ფლობის ამ დონეზე შემსწავლელი უკვე იცნობს უცხო ენის ანბანს, კითხულობს და ესმის წაკითხული თუ მოსმენილი მარტივი ტექსტი. უცხო ენის სწავლის ამ ეტაპზე შემსწავლელისთვის გამიზნული ადაპტირებული მხატვრული ლიტერატურა ხასიათდება: 1. შინაარსის სიმარტივით; 2. ახალ ლექსიკურ ერთეულთა ხშირი გამეორებადობით, მათი უკეთ დამახსოვრების მიზნით; 3. ერთი გრამატიკული დროის გამოყენებით (ხშირად აწმყო დრო); 4.პირდაპირი თქმის კონსტრუქციებით, დიალოგებით; 5.წინადაღებათა მარტივი აგებულებით; 6. პერსონაჟთა სიმცირით (მხოლოდ მთავარი პერსონაჟები ჩანან ტექსტში); 7. პეიზაჟის აღწერის არარსებობით, ან ძალიან მცირე დოზით.
- 8. ილუსტრაციების ჩართვით ტექსტის იმ მონაკვეთებში, სადაც მკითხველი, შესაძლოა, ვერ ჩაწვდეს შინაარსს.

- ბ1 დონე - მოცემულ დონეზე ენის შემსწავლელს შეუძლია ტექსტის ძირითადი შინაარსის გაგება, შესაბამისად, ამ დონისთვის გამიზნული ადაპტირებული მხატვრული ლიტერატურის მახასიათებლები განსხვავებულია მისი წინამორბედისგან შემდეგნაირად: 1. შინაარსი შედარებით უფრო კომპლექსური ხასიათისაა; 2. ახალ ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა ერთი, ან ორი ათეულით მეტია; 3. გრამატიკული დროებიდან გამოიყენება როგორც აწმყო, ასევე წარსულიც; 4. პირდაპირ თქმასთან ერთად ირიბი თქმაც გვხვდება ტექსტში; 5. წინადაღებები უფრო რთული და გრძელია; 6. ორიგინალ ტექსტში მოცემული მოქმედი პირების გარდა ადაპტრირებული ტექსტში შემოდის ერთი ან ორი მეორეხარისხოვანი პერსონაჟი; 7. პეიზაჟის აღწერა უფრო კომპლექსური ხასიათისაა, მაგრამ არა დეტალური; 8. ილუსტრაციები არა მხოლოდ ტექსტის საგარაულო "რთულ" მონაკვეთებთან არის განთავსებული, არამედ მათ საინტერესოდ გაფორმების ფუნქციაც გააჩნიათ.

- ბ 2 დონე - ამ შემთხვევაში ენის შემსწავლელი მზადაა რთული ტექსტის წასაკითხად და მისი შინაარსის გასააზრებლად. მოცემული დონისთვის გამიზნული ადაპტირებული მხატვრული ტექსტის მახასიათებლები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1. შინაარსი საშუალოზე მეტად რთული ხასიათისაა; 2. ახალ ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა ბ 1 დონესთან შედარებით ორი და მეტი ათეულით არის გაზრდილი; 3. გრამატიკული დროები უფრო მრავალფეროვანია; 4. ტექსტში მოცემულია რთული თანწყობილი/ქვეწყობილი წინადაღებები; 5. მოქმედ პერსონაჟთა რაოდენობა საგრძნობლად მატულობს; 6. პეიზაჟი, თუ სხვადასხვა გარემო/გარემოებები დეტალურად არის აღწერილი; 7. ილუსტრაციები მოცემულ დონეზე ნაკლებად გვხვდება, ტექსტის შინაარსის მოცელობიდან გამომდინარე.

ზემოთ ჩამოთვლილ მახასიათებელთა გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საწყისი დონიდან ბ2 დონემდე ადაპტირებული მხატვრული ტექსტები ერთმანეთისგან

განსხვავდება, როგორც ფორმობრივი, ასევე შინაარსობრივი მახასიათებლითაც. მათი გათვალისწინებით კი შესაძლებელი გახდება ქართული მხატვრული ლიტერატურის ადაპტირებული ვარიანტების შექმნა და მათი სასწავლო პროცესში ჩართვა.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ენის ფლობის დონეების მიხედვთ ადაპტირებული მხატვრული ლიტერატურის ჩართვა ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო:

- ის აადგილებს შესასწავლი ენის ახალი ლექსიკური მარაგის ათვისებას;
- ქმნის საშუალებას წერის უნარის გასაუმჯობესებლად უცხო ენაში;
- წარმოადგენს საუკეთესო შესაძლებლობას თეორიულად ნასწავლი გრამატიკული კონსტრუქციების ერთ, კომპლექსური შინაარსის მქონე ტექსტში გასაცნობად;
- აქვს როგორც სასიამოვნო საკითხავის, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობაც;
- პასუხობს მოთხოვნას, შემსწავლელის მხრიდან, გაეცნოს შესასწავლი უცხო ენის კულტურას ლიტერატურის დახმარებით;
- ქმნის დამატებით საშუალებას უცხო ენის შესწავლის პროცესი გახდეს უფრო საინტერესო;

ქართული მხატვრული ლიტერატურის ადაპტირებული ვარიანტების შექმნა და შემდეგ მათი სასწავლო პროცესში ჩართვა მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში.

ლიტერატურა:

ბალუაშვილი 2016 - ბალუაშვილი ნინო. გააზრებული კითხვის უნარის განვითარება მხატვრული ტექსტების საშუალებით; დისერტაცია. თელავი;

გორგაძე ნ. 2011 - გიორგაძე ნათის. დონეებად დაყოფილი წიგნები და მათი მნიშვნელობა კითხვის უნარების განვითარებაში; ბილინგვური განათლება; თბ. №8, 2011;

გოჩიტაშვილი, გაბუნია 2011- გოჩიტაშვილი ქეთევან, გაბუნია კახა. ენობრივი ეტიკეტი და მეორე ენის სწავლება; ბილინგვური განათლება ; თბ. №8, 2011.

Day and Bamford 2002 - *Top Ten Principles for Teaching Extensive Reading; Reading in a Foreign Language.* Volume 14, Number 2, October;

Krashen 2004 - *Free Voluntary reading: New Research, Applications, and Controversies.* Singapore, April, 2004 Evidence for the Power of Reading;

Mikeladze T. 2014 - *Extensive reading;* Tbilisi 2014;

Nation 2015- *Principles guiding vocabulary learning through extensive reading;* April, Volume 27, No. 1;

Nation, Wang 1999 - *Graded Readers and Vocabulary; Reading in a Foreign Language,* v12 n2 p355-80;

Renandya A. Willy 2007 - *The power of extensive reading;* RELC Journal; Aug.;

Yamashita 2004 - *Reading attitudes in L1 and L2, and their influence on L2 extensive reading; Reading in a Foreign Language;* Volume 16, No. 1, April;

ინტერნეტრესურსი:

<http://geofl.ge>;

<http://ice.ge>;

<http://diaspora.gov.ge>

<http://teach.ge>

<http://moodle.iliauni.edu.ge>

<https://koreatesol.org/ic2018>

<http://erfoundation.org/erwc4/>

<http://erfoundation.org/wordpress/>

Tamar Kilanava

The importance of adapted literature in teaching Georgian as a foreign language

Abstract

The article deals with the issues connected to the adapted Georgian classical literature and its significant role in a Georgian as a foreign language (GFL) class. The paper tries to prove the importance of reading skills in the Georgian as the foreign language acquisition process. Teaching with reading is beneficial since it improves the students' critical thinking, their reading skills and other aspects of the target language such as speaking, writing or listening. The adapted Georgian classical literature in GFL classes is not popular yet, but already in demand among the learners, who try to explore more than the reading topics represented in books covering only the basic communicative themes. The aim of the paper is to emphasise the importance of extensive reading and illustrate the possible ways for successful integration of the adapted Georgian classical literature in GFL classes.

რეცენზენტი: პროფ. გ. მეგრელიშვილი

სწავლების მეთოდის მეთოდი მეთოდი მეთოდი

ლია კუხიანიძე

ქუთაისი, საქართველო

**სიყვარული, როგორც სულიერი ამაღლების საფუძველი
(ავთანდილისა და თატმანის ურთიერთობა)
ინოვაციური გაკვეთილი შოთა რუსთველის
„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით**

პიროვნების ხაერთო კულტურა ხაკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები ხწორედ მშობლიური ენის ხაფუძველზე ყალიბდება. ის ქმნის იმ ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მოედი შემდგომი პროცესი. ხწორედ ამის გათვალისწინებით განისაზღვრება ქართული ენისა და ლიტერატურის ხწავლების ძირითადი მიზნები. ხელისა განხილულმა ინოვაციურმა გაკვეთილმა ხელი შეუწყო მოხსენელების მსჯელობის უნარის განვითარებას, აზრის ცხადად, ლაკონიურად, მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვის უნარის ჩამოყალიბებას, ხააზროვნო მოქმედებათა (ანალიზი, შედარება, განხოგადება) განვითარებას ენობრივ (ტექსტობრივ) ხაფუძველზე ვუნდციურად და შინაარხობრივად მრავალფეროვანი ტექსტების შეხწავლისა და გააზრების უნარის ჩამოყალიბებას, ტექსტებთან შემოქმედებითი (თავისუფალი) დამოკიდებულების გამომუშავებას, დისკუსიებში მონაწილეობას, მონოლოგური და დიალოგური მუტყველების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბებას, ტექსტის ანალიზის უნარის განვითარებას.

ვაჟა-ფშაველამ თქვა: „შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა“ და, მართლაც, დრო ამ სიტყვების ჭეშმარიტებას კიდევ უფრო ამტკიცებს. თითქოს რაღა უნდა ითქვას „ვეფხისტყაოსანზე“ ახალი და განსხვავებული, მაგრამ კლასიკა ისაა, რაც არ ძველდება, რაც ყველა ეპოქის ადამიანის სულს საჭირო საზრდოს აძლევს, თაობებს კი ახლებური წაკითხვის საშუალებას.

გენიალური ავტორის მიერ შექმნილი „ვეფხისტყაოსანის“ პერსონაჟები კაცთა მოდგმის საუკეთესო წარმომადგენლები არიან, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ უშეცდომოდ ცხოვრობენ, არამედ იმიტომ, რომ ცხოვრებისეული არჩევანის წინაშე მარტოდ დარჩენილნი დაძაბულად ფიქრობენ არა მარტო გამოსავალზე, არამედ ზნეობრივი სახის შენარჩუნებასა და სხვა

ადამიანების მიმართ თავიანთ მოგალეობაზე, მათთვის უკადრისი საქციელის ჩადენის შემდეგ კი სინაცულით განწყობილები ახალ სულიერ სიმაღლეს აღწევენ.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ავთანდილისა და ფატმანის ურთიერთობა, რომელიც აზრთა სხვადასხავობას იწვევს, მაგრამ მოსწავლეებს ძირითადად მაინც წლების განმავლობაში მიღებული სტერეოტიპითა და კლიშეთი უხსნიან. ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებულ შეხედულებათა ინერციას მიჰყვებიან.

ჩვენი სტატიის მიზანია, ზემოაღნიშნულის წარმოჩენა ინოვაციური გაკვეთილის საშუალებით, რათა ბიძგი მივცეთ მოსწავლეებს პოემის ტექსტის უკეთ განჩხრეკვა-გაანალიზებისა და მისი კრიტიკული წაკითხვისათვის.

დაგეგმვისას გაკვეთილის მიზანი ისე განისაზღვრა, რომ გაკვეთილი იყოს თემატურად ინოვაციური, სიახლე შემოქმედებითად, საინტერესოდ შემოტანილი და გაკვეთილმა უზრუნველყოს დაგეგმილი შედეგი. მოსწავლეებს შეეძლოს საჯარო მოხსენებების წარმოდგენა (ზეპირი გამოსვლა) კონკრეტული აუდიტორიის წინაშე კონკრეტული მიზნით. საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად პერსონაჟის ხასიათის, ქცევის მოტივს, დირექტულებებისა და ფასეულობების განხილვა. საკუთარი მოსაზრებების გასამყარებლად ციტატების გამოყენება.

გაკვეთილზე გამოსაყენებელი კოგნიტური „ვენის დიაგრამით“ მოსწავლე ეჩვევა ტექსტის დრმად გააზრებას, ავითარებს თავის კრიტიკულ აზროვნებას, და შეიცნობს მოელისა და დეტალების ურთიერთობიმართებას.

გაკვეთილის მიზანი, რა თქმა უნდა, თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგებთან და მათი შეფასების ინდიკატორებთან. აქედან გამომდინარე დაიგეგმა სასწავლო აქტივობების შინაარსი და მიზნის მისაღწევი მეთოდიც.

დაზუსტდა გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:

ქართ. X. 1.

მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება საკლასო და სასკოლო დისკუსიებში

ქართ. X. 2.

კამათის დროს მოსწავლეს შეუძლია მიმართოს შესაბამის ტაქტიკას და დაიცვას სამეტყველო ქცევის ეთიკური ნორმები

ქართ. X. 4.

მოსწავლეს შეუძლია თანაკლასელთა ზეპირი მოხსენებების გაანალიზება და შეფასება

ქართ. X. 7.

მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ტექსტში ფაქტობრივი, კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაცია

ქართ. X. 11.

მოსწავლეს შეუძლია დაწეროს თხზულება სხვადასხვა მიზნით და სხვადასხვა აუდიტორიისათვის.

გაპვეთილის პირველი ფაზა—გამოწვევა. მასწავლებელი იყენებს პირდაპირი სწავლების სტრატეგიას: აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის თემას, მიზანსა და შეფასების რუბრიკას. შემდეგ მოტივაციის ამაღლების მიზნით კიდევ ერთხელ შეახსენებს მათ, რომ ლიტერატურა ადამიანს მარტო შემოქმედებით აზროვნებასა და ფანტაზიის უნარს კი არ უვითარებს, მარტო ლექსიკას კი არ უმდიდრებს, არამედ საშუალებას აძლევს, მოცემული რეალობა ლიტერატურული პერსონაჟების თვალით სხვადასხვანაირად დაინახოს და ამით თანაგანმცდელი გახდეს იმ გმირების ქმედებისა, რომელებსაც მანამ ცალსახად, მარტივად აფასებდა. ამით - უფრო ჰუმანურიც და დაარწმუნოს იმაში, რომ კლასიკას სწორედ ამ კუთხით წაითხვა ათანამდროვებს. ამის საუკეთესო მაგილითი „გეფეხისტყაოსანი“ გახდავთ.

ამის შემდეგ მასწავლებელი გაპვეთილის თემიდან გამომდინარე მოსწავლეებში არსებული ცოდნის, განცდებისა და შთაბეჭდილებების გასააქტიურებლად ორ მოსწავლეს სთხოვს აუდიტორიას შესთავაზონ მათ მიერ წინასწარ მომზადებული განსხილველ საკითხთან დაკავშირებული ორი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მოსახურება: „ფატმანისა და ავთანდილის ურთიერთობა ტრადიციული წარმოდგენით“ და „ფატმანისა და ავთანდილის ურთიერთობის ახლებური გააზრებისათვის“.

გაპვეთლის ცენტრალური სიღრმისეული წვდომის ფაზაზე გადასვლისათვის, რომლის დროსაც, მოსწავლემ ბოლომდე უნდა გაიაზროს მიწოდებული ახალი მასა (მოსაზრება) და შეძლოს საწყის ფაზაზე აღძრული მოტივაციის შენარჩუნება და განმტკიცება, მასწავლებელი იყენებს არაპირდაპირი სწავლების სტრატეგიას და ჯგუფებს სთავაზობს თემას მცირე დისკუსიისთვის. ხუთ ჯგუფს ურიგებს ფურცლებს თავისი სადისკუსიო თემით (დაფაზე წარმოდგენილია ხუთივე თემა):

- ავთანდილისა და ფატმანის ურთიერთობა ჭაშნაგირის თვალით.
- ავთანდილისა და ფატმანის ურთიერთობა ქრისტიანული მორალის გადასახედიდან.
- ავთანდილისა და ფატმანის ურთიერთობის ავთანდილისეული შეფასება.
- ავთანდილისა და ფატმანის ურთიერთობის ფატმანისეული შეფასება.
- მეხუთე ჯგუფს მასწავლებელი ავალებს დანარჩენ ჯგუფებთან ოპონირებას საკუთარი, განსხვავებული აზრის უკეთ წარმოსაჩენად.

აღნიშნული აქტივობის მიზანია, მოსწავლე ეზიაროს ერთობლივი სწავლების მეთოდს, მოქმედობის შესასწავლი საკითხის უკეთ გააზრებაში, ჩამოაყალიბოს განსხვავებული მოსაზრებები, იმსჯელოს ყველა შესაძლო ვარიანტზე, ახლებურად გაიაზროს მასალა. ყოველივე ეს კი მას განუვითარებს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირების, დასაბუთების უნარს.

სასწავლო პროცესის რომ ეფექტურიანად წარიმართოს დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო რესურსის სწორად შერჩევას.

მიზნის მისაღწევად წინასწარ შერჩეული აქტივობა და მეთოდი. აქტივობა ემსახურება ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებას გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენების გზით. „გენის დიაგრამის“ შექსება (მასწავლებელი განუმარტავს ჯგუფებს, რომ

უნდა დაიცვან დრო და იმუშაონ შეთანხმებულად. განსხვავების სფეროებში უნდა ჩაწერონ ავთანდილისა და ფატმანის შეხედულებათა სხვაობა მიჯნურობაზე, მეგობრობაზე, ერთგულებასა და პატრონისადმი სამსახურზე, მსგავსებაში კი აღნიშნულ საკითხებზე მსგავსება თუ ასეთი საერთო აქვთ). მოსწავლეებს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მომავალი წერითი სამუშაოს არსებით მხარეებზე. დაეხმარება მათ ინფორმაციის გაანალიზებაში, მონაცემების დახარისხებასა და პერსონალების საერთო და განსხვავებული ნიშნები.

ჯგუფური მუშაობის დასრულების შემდეგ ჯგუფის წარმომადგენლები წარმოადგენენ შესრულებულ დავალებას. პრეზენტატორი შერჩეულია ჯგუფის წევრების მიერ თანასწორობის პრინციპით. ამგვარი აქტივობის შედეგად მოსწავლეები გამოიტანენ სათანადო დასკვნებს და განუვითარდებათ საპრეზენტაციო უნარ-ჩვევები.

გაპვეთილის ბოლოს მასწავლებელი აფასებს მოსწავლეებს. საამისოდ იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, გამსვლელ ბარათებს.

მესამე ფაზაზე-რეფლექსია – გაკვეთილზე სრულად იყო მიღწეული დასახული მიზნები. გამოვიყენე აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას და დასახული მიზნების მიღწევას. შერჩეული მეთოდები შეესაბამებოდა სასწავლო აქტივობებს და კლასის ორგანიზების ფორმებს.

დრო გავანაწილე მიზნობრივად და სრულად გამოვიყენე გაპვეთილის გეგმაში გათვალისწინებული აქტივობები. საბოლოო ჯამში შედეგით კმაყოფილი დავრჩი. ამ გაპვეთილით მე და ჩემმა კლასმა შევძელით შედეგზე გასვლა.

განხორციელდა მათი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება სათანადო რეკომენდაციებთან და რჩევებთან ერთად, ასევე თვითშეფასება და მიეცათ საშინაო დავალება ინსტრუქციითურთ.

გაპვეთილის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს განხილული საკითხების საფუძველზე დაწერონ თხზულება: „სიყვარული, როგორც სულიერი ამაღლების საფუძველი (ავთანდილისა და ფატმანის ურთიერთობა)“.

ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, გვ 80-85, 2011–2016

2. <http://mes.gov.ge/content.php?id=3923&lang=geo>

3. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, ნაწილი I, მასწავლებლთა პორფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2015 წ.;

4. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი წამყვანი მასწავლებლებისთვის, მასწავლებლთა პორფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2015 წ.;

5. მასწავლებლის შიდა შეფასების სტანდარტიზირებული ინსტრუმენტი, მასწავლებლთა პორფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2017 წ.;

6. http://tpdc.gov.ge/?action=page&p_id=1000&lang=geo ;

-
7. http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzankvlevi-2016-Web.pdf .
 8. შოთა რუსთაველი „ვეფხისტებისანი" (ნ. ნათაძის რედაქციით)

Lia Kukhianidze

The innovative lesson about relationship between Fatman and Avtandil

Abstract

Common personal culture, communication and professional skills are based on the native language of a person. The whole further process of human development is based on its primary basis. Due to this, the basic objectives of teaching Georgian language and literature are determined. The innovative lesson which is discussed in the article, has promoted students to develop reasoning skills; to express the ideas clearly, concisely, explicitly and coherently; to develop language(text)- based thinking actions (analysis, comparison, generalization); to form the skills of studying and understanding texts with functional and content diversities; to work out a creative (free) attitude towards the texts; to participate in discussions; to form the skills of monologue and dialogue speech; to train the skills of text analysis.

რეცენზენტი: პროფ. ე. თაბორიძე

სწავლების მეთოდიკა Методика Methodic of teaching

ცირა ტყეშელაშვილი

ქუთაისი, საქართველო

**(კუთხით სწავლება-ერთად გავაკეთოთ სივრცული
ფიგურები, გავზომოთ მათი განზომილებები)**

განათლება არის დემოკრატიის მთავარი ინსტრუმენტი (დიუ)؛ ეს ნიშნავს, რომ დემოკრატიას ან თავისუფლებას უბრალოდ აბსტრაქტული სიტყვებით ან ცნებებით კი ვერ მოვიპოვებთ, არამედ იმ უნარებით და გამოცდილებებით, რასაც სკოლაში და უნივერსიტეტში ვიღებთ (<http://mastsavlebeli.ge/?p=15896> „სწავლა კეთებით“ სილაბუსი საუნივერსიტეტო სწავლებაში, ცირა ბარბაქაძე, 2018 წ.22 ივნისი).

პროგრესული განათლების მოძრაობა, რომლის მთავარ პრინციპსაც გამოცდილებით ანუ „კეთებით“ სწავლა წარმოადგენს, ამერიკელი ფსიქოლოგისა და განათლების სპეციალისტის, პროგრესივისტული განათლების პრინციპების აქტიური იდეოლოგის ჯონ დიუს სახელს უკავშირდება. დიუს კონცეფციით, სწავლა მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი გამოყენების უნარი – კიდევ უფრო მნიშვნელოვანი. ცოდნა სამყაროსთან ურთიერთობის პროცესში ყალიბდება. კეთებით სწავლა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლე საკუთარი ცოდნის, წარმოსახვის, ინტელექტისა და შემოქმედების ნაყოფს ხედავს. ეს მას სიამოვნებას ანიჭებს, რაც, ერთი მხრივ, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების სტიმულს აძლევს, მეორე მხრივ კი აცნობიერებინებს და აჩვევს მას, რომ მოვიქრება და ჩანაფიქრის განხორციელება ერთი მთლიანი პროცესის ორი ფაზა. კეთებით სწავლების ანუ პრაქტიკის მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეს ვაწვდით ზუსტ ინსტრუქციას ექსპერიმენტის ან სიმულაციისთვის და არა ინფორმაციას. ამის მიზანია, მოსწავლეებმა შეასრულონ ისეთი ქმედებები, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის ან ჩვევის ფორმირებას (<http://mastsavlebeli.ge/?p=18444> მაია ბლიაძე, 2017 წ. 25 ოქტომბერი).

კაცობრიობა თავისი განვითარების ყოველ ეტაპზე დასახული ამოცანის გადაწყვეტისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გზებს, საშუალებებსა და ხერხებს, რომელთაც იყენებდა დასახული მიზნის მისაღწევად. სწავლების პროცესში კი ასეთ საშუალებად გამოყენებული იყო სწავლების მეთოდები. სწავლების მეთოდი არის მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ცოდნა-ჩვევების გადაცემისა და გადაცემულის მოსწავლეთა მიერ შეთვისების გზა, ხერხი, საშუალება. ამასთან, სწავლების ყოველგვარი

მეთოდი არის განპირობებული სწავლა-აღზრდის მიზნით და განსაზღვრული სწავლების შინაარსით. (ი. ბასილაძე, სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და პედაგოგიური ტექნიკოლოგიების არსისა და განსხვავების საკითხებისათვის, აწსუ, ქუთაისი).

წარმოუდგენელია თანამედროვე პრობლემების გადაჭრა მათემატიკის გამოყენების გარეშე. მათემატიკური მოდელირება მეცნიერებისა და ტექნიკის ნებისმიერი სფეროს პრობლემური ამოცანების გადაწყვეტის საშუალებას იძლევა, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა მათემატიკურ განათლებას. მათემატიკით მოსწავლეთა დაინტერესება და მოტივაცია საგნის სწავლების ხარისხის პირდაპირპროცესულია. მათემატიკა არც თუ იოლად ასათვისებელ საგანთა კატეგორიას განეკუთვნება, შესაბამისად მხოლოდ ფორმულების დაზეპირებითა და დაფაზე ამოცანების ამოხსნით შეიძლება მოსწავლეთა ფრუსტრაცია გამოვიწვიოთ და მათემატიკის საგნისადმი მათი დამოკიდებულება არასახარბიულო გავხადოთ, ამის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია სწავლებისას გამოვიყენოთ სხვადასხვა მეთოდი, რათა გაკვეთილები იყოს ერთმანეთისაგან განსხვავებული, საინტერესო და ხშირ შემთხვევაში სახალისოც, ამით გამოვიწვევთ მოსწავლეთა დაინტერესებას მათემატიკით. ნასწავლი მასალის პრაქტიკაში გამოყენება ახალისებოთ მოსწავლეებს, ისინი ახდენენ ცოდნის კონსტრუირებას, ახდენენ სწავლას კეთებით, შესაბამისად ხდება მათი ცოდნის განმტკიცებაც, ეს იწვევს აკადემიური მოსწრების ამაღლებასაც და საბოლოოდ მიზანი, რომელიც ისახავს ცოდნის გადაცემას და მის გამოყენების უნარის გამომუშავებას მოსწავლეებში, მიღწეული იქნება. მეთოდები და პროცესის მოკლე აღწერა: V კლასში ჩავატარე გაკვეთილი მათემატიკაში. ისინი სწავლობენ გეომეტრიულ ფიგურებს მათ თვისებსა და ფართობების გამოთვლას. შესაბამისად შევარჩიე გაკვეთილის თემაც და მიზანიც. დაგვეგმე მიზნის შესაბამისი აქტივობები და შევარჩიე რესურსები, სწავლების მეთოდები, კლასის ორგანიზების ფორმები. ჩემს მიერ შერჩეული აქტივობა ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას.

გაკვეთილის თემა: სივრცული ფიგურების ამოცნობა, აღწერა და განზომილებების დადგენა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე :

- ამზადებს მართვულხა პარალელებიპედისა და კუბის შლილს; მოცემული შლილის მიხედვით ამზადებს მოდელს და ასახელებს მიღებულ ფიგურას.

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე შეძლებს ამოცნობს სივრცული ფიგურის სახე და დაადგინოს მისი განზომილებები.

გაკვეთილის მისაღწევი შედეგები: ესგ მათ. V.7. მოსწავლეს შეუძლია გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა, აღწერა და გამოსახვა.

- ამზადებს მართვულხა პარალელებიპედისა და კუბის შლილს; მოცემული შლილის მიხედვით ამზადებს მოდელს და ასახელებს მიღებულ ფიგურას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლეს : შეუძლია შლილის მიხედვით დაადგინოს სივრცული ფიგურის სახე, შეუძლია გაზომოს მისი სამი განზომილება.

მოსწავლეები დავყავი ჯგუფებად. ჯგუფებს მივეცი სხვადასხვა დავალება. ერთმა ჯგუფმა დაამზადა ჩხირებით სირცული ფიგურები .მოახდინეს სიგრძის, სიგანის და

სიმაღლის გაზომვა. მეორე ჯგუფმა წინასწარ ჩემს მიერ მოტანილი შლილების მიხედვით ამოიცნეს სივრცული ფიგურა. მოახდინეს კლასის წინაშე პრეზენტაცია.

მიმართია, რომ სტერეომეტრიული საკითხების სწავლება პლანიმეტრიულ საკითხებთან შედარებით რთულია, რადგან პლანიმეტრიული ამოცანების ამოხსნისას დაფა და ცარციც კი საკმარისია, რომ მოსწავლეებს ნათელი წარმოდგენა მიეცეთ სხვადასხვა ნახაზსა თუ ამოცანაზე, რაც შეეხება სტერეომეტრიას, აქ ძალიან ხშირად საჭირო ხელსაწყოების ქონების შემთხვევაშიც კი ძნელია ნათელი წარმოდგენის შექმნა მოსწავლეთა უმრავლესობისათვის, რადგან თითოეული ამოცანა ერთმანეთისაგან განსხვავებულია და შეუძლებელია ყველა ამოცანის შესაფერისი ფიგურის მოძიება თუნდაც ძალიან კარგად აღჭურვილ მათემატიკის კაბინეტშიც კი, და მით უმეტეს, თუ ამის საშუალება არ არის. სწორედ ამ სიტუაციიდან ერთ-ერთი საუკეთესო გამოსავალი დამანახა კეთებით სწავლებამ.

ასეთი მუშაობისას მოსწავლეებს უვითარდებათ 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევები და გადიან ევროკავშირის საქანძო კომპეტენციებზე:

1. თანამშრომლობის კომპეტენცია-ჯგუფში მუშაობისათვის
2. ცოდნის ტრანსფერი- ერთ სიტუაციაში ნასწავლის სხვაგან გამოყენება
3. პასუხისმგებლობის კომპეტენცია
4. თვითშეფასების კომპეტენცია
5. პრეზენტაციის კომპეტენცია

დასკვნა: მათემატიკის სწავლებისას მნიშვნელოვანი და თითქმის აუცილებელია სწავლების სხვადასხვა მეთოდების და კეთებით სწავლების გამოყენება, რათა გაკვეთილი იყოს ეფექტური და ნაყოფიერი. წარმოდგენილი სტატიით შევეცადე მეჩვენებინა ჩემი თვალთახედვა და პედაგოგიური პრაქტიკა: კეთებით სწავლება ჩვეულებრივ, ტრადიციულ გაპეტილებთან შედარებით, შესაძლებელი ხდება თეორიის პრაქტიკაში გადატანა ანუ ცოდნის ტრანსფერი.

ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2019
2. <http://mastsavlebeli.ge/?p=15896>
3. <http://mastsavlebeli.ge/?p=18444>

Tsira Tkeshekashvili

Doing exercise in mathematics lessons

Abstract

While teaching mathematics, it is important and essential to use different teaching methods and doing the lesson to be effective and fruitful. With the presented article, I tried to show my vision and pedagogical practice. By conventionally-traditional lessons, my facilitation is made possible to move the theory into the practice, or transfer the knowledge.

რეცენზენტი: პროფ. ს. საფიევი

სწავლების მეთოდის მეთოდის მეთოდის გამოყენება სტუდენტთა შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებისათვის

მზია კუბეცია

ქუთაისი, საქართველო

სწავლებისა და კვლევის მეთოდების გამოყენება სტუდენტთა შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებისათვის

გარემოზე მზრუნველი მოზარდის ჩამოყალიბება ქვეყნისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული შემოქმედებითი მიმართულებაა, რომელიც ხორციელდება ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების საშუალებით.

სწავლებისა და კვლევის მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს ხტერების შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას მათი სამეცნიერო შეხედულებების ფორმირებასა და სხვადასხვა მიმართულების დარგების წარმატებულ განვითარებაზე.

კომპეტენციები ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობის ღინამიური კომპინაციაა. კომპეტენციების გამომუშავება საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, რომელიც უკავშირდება ისეთი უნარ-ჩვეულების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: კვლევა, რეზლუქსია და თვითშეფასება; ეს კომპეტენციები პრიორიტეტულია სწავლისა და ცხოვრების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების კავშირის განხორციელებისათვის.

მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესება და საკვანძო კომპენტეციების ჩამოყალიბება ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა სასკოლო განათლების მოდერნიზაციაში, რაც გულისხმობს მომავალი სტუდენტების აქტიურ დამოუკიდებელ პოზიციას სწავლების პროცესში, ამავდროულად საგანმანათლებლო უნარების განვითარებას, რომელიც უკავშირდება ისეთი უნარ-ჩვეულების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: კვლევა, რეზლუქსია და თვითშეფასება; ეს კომპეტენციები პრიორიტეტულია სტუდენტთა შემეცნებითი ინტერესის განვითარებისათვის, სწავლისა და ცხოვრების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების კავშირის განხორციელებისათვის.

თანამედროვე ხედვის თანახმად, ტრადიციული ფუნქციების გარდა სწავლება და კვლევა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელიცაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლოკალურ დონეზე რეგიონის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების მომცველი თემების კვლევა, სადაც ხედვის საფუძველს სწორედ რეგიონი, ქვეყანა და სახელმწიფო განიხილება სივრცით მოდელად.

საგანმანათლებლო პროცესი განსაზღვრავს სტანდარტულ თანმიმდევრულ სქემას „მასწავლებელი”- „მოსწავლე”. პირველი ითარგმნება როგორც ცოდნა, მეორე კი შთანთქავს მათ. კვლევის განვითარებაში ეს პოზიციები რეალობებს ემყარება. ცოცხალ ბუნებაში არსებულ ფენომენებს არ შეესაბამება მექანიკურად მზა სქემები და საჭიროებს კონკრეტულ სიტუაციაში ცვლილებებს, დამოუკიდებელ ანალიზს [ბერძენიშვილი ც. 2015, სექტემბერი 21].

მეოცე საუკუნის შუა რიცხვებში, ფრანგი ანტუან და სენტ-ეგზიუპერი აღწერს კაცობრიობის ბევრ პრობლემას და ის თვლის რომ: „არ მოამზადოთ ბავშვები მზა ფორმულით, ფორმულები-სიცარიელეა, გაამდიდრეთ მათი ბუნება გამოსახულებებითა და სურათებით, რომელზეც სავალდებულო თემა ჩანს. ნუ ტვირთავთ ბავშვებს მკვდარი წონის ფაქტორებით, ასწავლეთ მათ ტექნიკური თანამედროვე მეთოდებით, რომლებიც დაეხმარება გაგებაში და წარმატებულად გადალახავს დაბრკოლებებს, ცოდნის სიყვარული არის მთავარი ღონისძიება” [„ციტადელი”-ეგზიუპერი ა. 1948].

სწავლის შედეგები არის განაცხადი თუ რას მოელოდეს სტუდენტი, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და ან რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს მას სწავლის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები გამოიხატება კომპეტენციების საშუალებით. კომპეტენციების გამომუშავება საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი მიზანია. კომპეტენციები ფორმირდება სხვადასხვა კურსის ერთეულის/მოდულის მიერ და ფასდება სხვადასხვა ეტაპზე. მაგალითად, სწავლების პირველ ან მეორე საფეხურის პროგრამებზე. სწავლების შედეგები განისაზღვრება კომპონენტების: ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაციით.

კომპეტენციებიდან განასხვავებენ დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს. მართალია დარგობრივი ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბება წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიური ხარისხის პროგრამების საფუძველს, მაგრამ მნიშვნელოვანია განვითარების ის ფაქტიც, რომ ყურადღება უნდა დაეთმოს ასევე ზოგადი კომპეტენციების ანუ ტრანსფერული უნარების განვითარებას. ეს უკანასკნელი კომპონენტი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება სტუდენტის უკეთ მოსამზადებლად საზოგადოებაში მისი მომავალი როლისათვის, რაც დასაქმების შესაძლებლობებსა და წარმატებულ მოქალაქეობაში გამოიხატება.

პროგრამულად განასხვავებენ ზოგადი კომპეტენციების სამ ტიპს:

- **ინსტრუმენტული კომპეტენციები:** კოგნიტური (შემცნებითი), მეთოდოლოგიური,, ტექნიკური და ლინგვისტური უნარები;
- **ინტერპერაციონალური კომპეტენციები:** სოციალური, ინდივიდუალური უნარები (სოციალური ინტერაქცია და კოოპერაცია);
- **სისტემური კომპეტენციები:** მთელ სისტემასთან დაკავშირებული უნარები (აღქმა, დამოკიდებულებებისა და ცოდნის კომბინაცია); საჭიროა ინსტრუმენტული და ინტერპერაციონალური კომპონენტების წინასწარი ფორმირება;

გარემოზე მზრუნველი მოზარდის ჩამოყალიბება ქვეყნისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც უნდა განხორციელდეს როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური

განათლების საშუალებით. მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი განათლების მიმართ სისტემური მიღების დანერგვა. გარემოსდაცვითი თემატიკა უნდა ინტეგრირდებოდეს განათლების ყველა საფეხურზე მისი სპეციფიკის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო აქტივობები ცოდნის გარდა ორიენტირებული უნდა იყოს უნარების განვითარებაზე. განათლების პარალელურად სტუდენტმა უნდა მიიღოს გარემოსდაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა, რათა გამოიმუშაოს შესაბამისი უნარ-ჩვევები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯანსაღი, ეკოლოგიური გარემოს შექმნას; ეს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ სწავლის შედეგების მიღწევას, არამედ მოსწავლეებსა და სტუდენტებში გარემოსდაცვითი ცნობიერების განვითარებას. გარემოსდაცვითი ჩვევების შეძენა, სასწავლო დაწესებულებების გარდა ხდება ოჯახში, ამიტომ, აუცილებელია ისეთი პროგრამების განხორციელება, რომლებიც ფოკუსირებული იქნება მშობლების გარემოსდაცვითი ცნობიერების გაზრდაზე, ეკოლოგიური და ენერგოდაზოგვითი ქცევების განხორციელებაზე.

კრეატიული საქმიანობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს. შემოქმედებითი საქმიანობის ძირითადი ფორმალური შედეგია სტუდენტებისა და მოსწავლეების მიერ კონკურსებისა და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მიერ წარმოდგენილი დასკვნითი სამუშაოები.

ახალგაზრდებში სპეციალობების არჩევა ხდება სხვადასხვა კავშირებით. დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ბევრადაა დამოკიდებული, თუ როგორ წარუდგენენ და დაანახებენ სპეციალისტები სპეციალობას. მაგალითად, თუ არსებობს უნივერსიტეტებსა და სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებს შორის ეფექტური კომუნიკაციები სპეციალობის სამეცნიერო საქმიანობის წარდგენა ხორციელდება სავალდებულო კომპეტენციების გაცნობით და ა.შ. ექსპედიციის დაწყებამდე, და მის შემდეგ რსებობს მთელი რიგი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაც შეიძლება მოხდეს ყველა მიმართულებისა და ყველა მონაწილის ერთობლივი საქმიანობით. თითოეული 216ტუდენტი ინდივიდუალური ამოცანის წინაშე დგას.

როგორ მიაღწევენ მოსწავლეები და სტუდენტები ამ ყველაფერს?

სწავლებისა და კვლევის მეთოდები საშუალებას იძლევა ჩაერთოს ცოდნა სხვადასხვა სფეროდან, ანუ მოხდეს ცოდნის აკუმულირება და ის პრაქტიკაში გამოვიყენოთ ახალი იდეების გენერირებისათვის. საგანმანათლებლო კვლევა არის მოტივირებული მოსწავლისა და სტუდენტის აღზრდის ერთ-ერთი ტექნოლოგია.

კვლევის მიზანი, როგორც წესი, წარმოადგენს შესწავლის ძირითად საკითხების დადგენას, რატომ არის აქტუალური საკვლევი თემა? კვლევაში მნიშვნელოვანია დააყენო ჰიპოთეზა. მაგალითად, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სფეროში—მყინვარების სარეზერვო რაოდენობა მთიან რეგიონებში რა ცვლილებებს განიცდის მყინვარები დნობის შემდეგ. ჰიპოთეზა საშუალებას გვაძლევს განსაზღვრო კვლევის თემა. სამუშაოს შესრულებისას ლოგიკურ მოსაზრებებზე დაყრდნობით მათ შეუძლიათ დაადასტურონ ან უარყონ ჰიპოთეზა. ჩვენს მაგალითში ჰიპოთეზა შეიძლება იყოს მყინვარების დნობის დამოკიდებულება ვერტიკალურ ზონალურობაზე, აქედან გამომდინარე ვიღებთ უახლესი

ტერიტორიის მთიან რეგიონს, სადაც ვსაზღვრავთ დღევანდელ პროცესებს, გავეცნობით სხვადასხვა ლიტერატურას დღემდე არსებული მოვლენების შესახებ. შემდეგ გაანალიზების საფუძველზე ჩამოგყიყალიბდება გარკვეული პიპოთება, რომელსაც არგუმენტირებულად გავამყარებთ. სტუდენტური გამოკვლევა შეიძლება განვიხილოთ სამეცნიერო კონფერენციებში, სხვა კონკურსებსა და ფორუმებზე. ასეთი კვლევები დისკუსიებისა და განხილვების შემდეგ ბევრ შემთხვევაში წარმოადგენს გარემოში მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილების საფუძველს.

კვლევითი ამოცანები და მიზნები არ არის იგივე. ამოცანები აჩვენებს, თუ რას აკეთებ, ქმედებებზე და ინდიკატორებზეა დამოკიდებული, მაგალითად, ზღვის დონიდან როგორი კანონზომიერებები მყარდება ნივალურ ზონაში სეზონების მიხედვით, როგორია პაერის ამპლიტუდე, მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურის განაწილება, მყარი სახის ნალექების მოსვლის დღეთა რაოდენობის დადგენა და ა.შ, ხოლო მიზანი აქცენტირებულია რაში გამოვიყენებთ შესასწავლ საკითხს. აგრეთვე სტუდენტებმა და მოსწავლეებმა ისწავლეს ლიტერატურაზე მუშაობის პრინციპები. გააკეთეს გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა, თუ რა არის ცნობილი და მოძიებული მათ შეირ განხილული საკითხების მიმართულებით სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომებში.

პრეზენტაცია კი წარმოადგენს ტექსტის, ციფრების, კონკრეტული მაგალითებითა და არგუმენტებით დასკვნების გაკეთებას. ქედან გამომდინარე უნდა ესმოდეს სტუდენტს 10-15 წუთის განმავლობაში როგორ წარმოაჩინოს ნამუშევარი. პრეზენტაციის დასრულებისას წარმოდგენილი დასკვნები უნდა შეესაბამებოდეს კვლევის მიზნებს, ამოცანებსა და პიპოთებზებს, სიღრმისეულად საკითხების ცოდნა ემსახურება დისკუსიაში პასუხების შემოქმედებით და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას. არ უნდა დავივიწყოთ სამეცნიერო სამყაროში დამკვიდრებული ეთიკის წესები, ნებისმიერი კონფერენციის მონაწილეების მიმართ უნდა გამოვხატოთ ურთიერთაბატივისცემა. ზოგჯერ უყურადღებობა, შეიძლება აუდიტორიის დატოვების შედეგიც კი გახდეს.

სამეცნიერო-კვლევითი მიღგომა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა კაცობრიობის მიერ მიმდებარე სამყაროს შეცნობისა. ეს მიღგომა მიღებულია სამეცნიერო გარემოში, როგორც კვლევითი მუშაობების გამოცდილების გაზიარების ერთ-ერთი საუკეთესო ფორმა.

როგორ გამოვიყენოთ კვლევითი მუშაობა?

კვლევის ორგანიზების მთავარი მიზანია ანალიტიკური აზროვნების კვლევისა და უნარების განვითარება. აქედან გამომდინარე კვლევის თითოეულ ეტაპზე სტუდენტს უნდა მიენიჭოს გარკვეული თავისუფლება მუშაობის პროცესში, რომლის პირადი მიზანია შემეცნებითი საქმიანობის გაძლიერება.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის სტუდენტები უმველწლიურად ახდენენ საუნივერსიტეტო პროგრამებით მიღებული სააუდიტორიო თეორიული ცოდნის საველე პრაქტიკებით ინტერპრეტაციას და ველზე (საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ) კვლევითი და შემეცნებითი სამუშაოების

ჩატარებას, გარკვეული უსაფრთხოების ზომების დაცვით. ასეთი მუშაობის შესრულება ხელს უწყობს სტუდენტის ინტელექტუალური განვითარების გაუმჯობესებას. 10 დღიანი სამუშაოს დასრულების შემდეგ სტუდენტი სთავაზობს სტუდენტებსა და სხვა დამსწრე საზოგადოებას საგანმანათლებლო გამოცდილების გაზიარებას რამდენიმე სტრატეგიით. ერთ-ერთი პოტენციური სტრატეგიაა მიღებული ცოდნის პრეზენტაციით და ნანახის განცდით შთაბეჭდილებების გაზიარება, ხოლო მეორე სერთიფიკატით წახალისება, რომელიც მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს. მაგალითად 2018 წლის 28 ნოემბერს გეოგრაფიის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა გარემოს ეკოლოგიური პრობლემების საკითხებისადმი მიღვნილი კომფერენცია, მომხსენებლად მონაწილეობა მიიღო 9 სტუდენტმა და წარმოადგინეს საველე პრაქტიკის პერიოდში გაწეული კვლევებისა და დაკვირვებების ანგარიშები. კონფერენციას ესწრებოდა გეოგრაფიისა და სხვა სპეციალობების სტუდენტები, მოწვეული ლექტორ-მასწავლებები, არსამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, სხვადსხვა სკოლის მე-10-11 კლასის მოსწავლეები და სხვა. მომხსენებლები აუდიტორიის წინაშე წარდგნენ საინტერესო ინფორმაციებით, სლაიდ -შოუებითა და ვიდეო მასალებით, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა მსმენელთა მხრიდან, რაც გამოიხატა მრავალფეროვანი კითხვებითა და აუდიტორიის ჩართულობით.

კონფერენცია გააშუქა ტელევიზიამ და სხვა საინფორმაციო წყაროებმა. ა/ო „კოორდინირებული განათლების“ წარმომადგენლებმა სერთიფიკატებით, დიპლომებითა და სხვადსხვა ავტორთა წიგნებით დააჯილდოვა მომხსენებლები საინტერესო ინტერაქტიური ნაშრომების წარდგნისათვის.

კვლევა სტუდენტს ეხმარება სუბიექტური იდეოლოგიის სქემის განვითარებაში, შემოქმედებითობისა და გარკვეული უნარების ფორმირებაში. ნებისმიერი თეორია დემაგოგია იქნება თუ მას არ ახლავს პრაქტიკული გაძლიერება. ამიტომ არის აუცილებელი სწავლებისა და კვლევის კონცეფცია პრაქტიკაში.

სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების პროცესის ცენტრალური, სემანტიკური და ორგანიზებული შემოქმედებითი ნაწილი საექსპედიციო პირობებში საველე კვლევაა, სადაც რეგიონის არჩევანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ბევრი კვლევა შეიძლება სრულყოფილად განხორციელდეს ლაბორატორიაში ან რეგიონში, სამყაროს მსოფლმხდველობისა და ცნობიერების გაფართოების მიზნით და მიღებული რეკომენდაციები რეგიონის კეთილდღეობისათვის გასათვალისწინებელიც გახდეს.

საგანმანათლებლო კუთხით დირსშესანიშნაობების მონახულება სასკოლო ასაკში სხვა დატვირთვას დებულობს, მაგრამ როდესაც უკვე მოზარდი, როგორც სტუდენტი, მის მიერ კვლევის ჩატარება პასუხისმგებლობასთან ერთად ცოდნასა და უნარ-ჩვევებს მოითხოვს. დეკლარირებული ცოდნა ნაკლებად ეფექტურია დირსშესანიშნაობების ვიზიტის დროს იდეოლოგიური პოზიციების ჩამოყალიბებისათვის. ექსპედიციამ უნდა განსაზღვროს კონკრეტული რეგიონის სპეციფიკური კვლევის ამოცანები და განხორციელება. ანუ ექსპედიცია არის კვლევის საქმიანობის ორგანიზების გარკვეული მოდული (თუმცა არა მხოლოდ ერთი, არამედ უველაზე ეფექტური). ნებისმიერ ექსპედიციაში რთული ან ვიწრო

თემაზური, კვლევითი პროგრამების განხორციელება ხდება სპეციალიზაციის სფეროში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და არის ფუნდამენტური წერტილი, რომ სტუდენტი ირჩევს სპეციალობების ჩამონათვალს სპეციალობების სიიდან.

ჩვენი კვლევის პიპოთეზაა: ვივარაუდოთ, რომ სწავლებისა და კვლევის მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს სტუდენტთა შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას, მათი სამეცნიერო შეხედულებების ფორმირებას და გეოგრაფიის დარგების წარმატებულ განვითარებას.

რეკომენდაცია სტუდენტებისათვის. კვლევის მეთოდების გამოყენება უნდა მოხდეს გარკვეული ქრონოლოგიის მიხედვით:

- პრობლემის იდენტიფიცირება და მისგან გამომდინარე სამეცნიერო ამოცანების დასახვა (ერთობლივი კვლევის დროს გონივრული მეთოდისა და მრგვალი მაგიდის გამოყენება), მათი გადაჭრის პროპაგანდა;
- კვლევის მეთოდების განხილვა (სტატისტიკური, ექსპერიმენტული, დაკვირვებები და ა.შ.);
- საბოლოო შედეგების შემუშავების გზების განხილვა (პრეზენტაციები, დაცვა, შემოქმედებითი ანგარიშები, მოსაზრებები და ა.შ.);
- მიღებული მონაცემების შეგროვება, სისტემატიზაცია და ანალიზი;
- შეჯამება, შედეგების პრეზენტაცია;
- დასკვნები, ახალი კვლევის პრობლემების ხელშეწყობა.

სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის კომბინაცია, როგორც ცენტრალური ბმული საგნმანათლებლო პროცესისა განსაზღვრავს სტუდენტთა შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას საზოგადოებაში. ეს სქემა ხელს უწყობს სტუდენტთა განათლებას, მოქალაქეობის განვითარებას სტუდენტთა ჯანმრთელობის გაძლიერებას, რათა გაეცნონ თავიანთი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებს, პრაქტიკაში შეისწავლონ გეოგრაფიული, ბუნებრივი, ანთროპოგენური და ტექნოგენური გარემო, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობებით.

ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი, ც. (2015, სექტემბერ 21). კონსტრუქტივისტული შეხედულებები სწავლაზე.
2. გიუნაშვილი ზ., კოკილაშვილი ლ. ცოდნის კონსტრუირება პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული სწავლებისას. კრებული, „ დიალოგი+ ალმანახი” 2009-10, გ. II, თბ.,
3. კროპლი ა., კროპლი დ. შემოქმედებითობის სტიმულირება შეფასების მეშვეობით., სტატიები განათლების საკითხებზე, თბ., 2010.

Mzia Kubetsia**Learning and Research Methods Use for Realization of Students Creative
effectiveness****Abstract**

Development of an adolescent who takes care of the environment is one of the priority cognitive directions for the country, which is implemented through formal and informal education. The use of teaching and research method supports the realization of students' creative potential, formation of their scientific perspective and the successful development of geography trends.

Competences are a dynamic combination of knowledge, awareness, skills and abilities. Achievement of Competencies is the goal of an educational program and it is connected with the development of such skills as research, reflection and self-esteem; These competencies are the priority for the implementation of the link between the learning and its usage in life practice.

რეცენზენტი: პროფ. გ. იშბულე

სწავლების მეთოდიკა Методика Methodic of teaching

ნები ურუმაშვილი

თბილისი, საქართველო

საბჭოთა ეპოქაზე შექმნილი ნაწარმოებების სწავლებისათვის

საბჭოთა ეპოქაზე შექმნილი პროზაული ნაწარმოებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ზედა საფეხურზე, მეშვიდე კლასიდან ისწავლება. ამ ასაკის მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, გაანალიზოს და სათანადო არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთოს, რით გამოირჩევა ეს ეპოქა სხვა, თუნდაც დღევანდელი, თანამედროვე ეპოქისგან. ამ ეპოქაზე შექმნილი ნაწარმოებების დიდი ნაწილი მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასების სახელმძღვანელოებშია თავმოყრილი, ხოლო მცირედი ნაწილი-მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასებში. მეათე კლასის სახელმძღვანელო ძველ და საშუალო საუკუნეების მწერლობას აქვს დათმობილი.

ჩემმა მრავალწლიანმა პედაგოგიურმა გამოცდილებამ მიჩვენა, რომ გარეკვეული მომზადების, ე.წ. „მოთელვის“, გარეშე თითქმის შეუძლებელია მოსწავლემ მხატვრულ ნაწარმოებში ქვემდებარების მეშვეობით ამოიცნოს, თუ რისი თქმა სურს მწერალს, ანუ რა არის მწერლის მთავარი სათქმელი. მე არ მყავს მხედველობაში ღრმად მოაზროვნე მოსწავლეები, რაც, სამწუხაროდ, არც თუ ისე ბევრია.

მეთოდური ლიტერატურის შექმნა შემდეგმა ფაქტობრივმა მდგომარეობამ განაპირობა. კერძოდ, არ ხდება მოსწავლეთა ასაკისა და მათი გონიერივი შესაძლებლობების გათვალისწინებით ეპოქის მიმოხილვა, რაც თავისთავად ართულებს მწერლის სათქმელის ამოცნობას; სწავლების პროცესში ხშირად ყურადღება გადატანილია იმ ყოფით პრობლემებზე, რაც საერთოა მოსწავლისა და მისი თანატოლი პერსონაჟისათვის, თუმცა რა არის ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზი, ეს უკვე ყურადღების მიღმა რჩება, ე. ი. არსებითი, მირითადი გადატანილია უკანა პლანზე და წინ არარსებითია წამოწეული. უნდა გვახსოვდეს, არსებული პრობლემის განხილვა და მისი გადაწყვეტის გზების ძიება ეპოქის ანალიზის გარეშე ზედაპირულია.

მეთოდური ლიტერატურის შექმნის მიზანია, ცალკეული კლასების მიხედვით წარმოგიდგინოთ საბჭოთა ეპოქის შინაარსის ამსახველი ნაწარმოებების სწავლების მეთოდიკა, რაც მასწავლებლებს გარკვეულწილად გაუადვილებს მუშაობის პროცესს.

მეშვიდე კლასში ისწავლება გურამ პეტრიაშვილის „ზღაპარი „პატარა დინოზავრი“. ზღაპარი კარგი მოსახმენია და, ამავდროულად, არაჩეულებრივი მასალაა საბჭოთა ეპოქის გასაცნობად. მოცემული ლიტერატურული ზღაპრის შესწავლისას პედაგოგების წინაშე ორი პრობლემა იჩენს თავს. პირველი, ხომ არ არის ადრე, არიან მზად მოსწავლეები იმისათვის, რომ გაიაზრონ ეპოქა და მეორე, როგორ მოიქცეს პედაგოგი, ჯერ ეპოქა გააცნოს და შემდეგ დაიწყოს ზღაპრის შესწავლა, თუ პირიქით. პირველ პრობლემასთან დაკავშირებით ჩემი პასუხი ცალსახაა - არა და აი, რატომ. მეცხრე კლასში ისწავლება „მოსე ზამთარაძის ნაამბობი“, ნაწყვეტი ჭაბუა ამირეჯიბის რომანიდან „დათა თუთაშხია“, რომელშიც თავმოყრილი დიქტატორული სახელმწიფოს თითქმის ყველა ნიშანს მოსწავლეები ერთდროულად ეცნობიან. მეცხრე კლასის პროგრამა ამ ნაწარმოების შესწავლით მთავრდება და აქვე ხდება წინა კლასებში მიღებული ცოდნის გაღრმავება- განმტკიცება, რაც აუცილებელია, რადგან მეათე კლასი მთლიანად აგიოგრაფიული და საშუალი საუკუნეების ქართულ მწერლობას მოიცავს და რომ არა სწავლებისადმი ასეთი მიღგომა, მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებს თითქმის დავიწყებული ექნებათ წინა კლასებში (მეშვიდე-მეცხრე) შესწავლილი საბჭოთა ეპოქის ამსახველი ნაწარმოებები.

რაც შეეხება მეორე პრობლემას, ჩემი მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ნაწარმოების შესწავლამდე, კონკრეტულ ფაქტებსა და მოვლენებზე დაკვირვებამდე, რაც არ უნდა ბევრი ვესაუბროთ მოსწავლეებს დიქტატორული სახელმწიფოს შესახებ, მისი ამოცნობა მაინც გაუჭირდებათ და შეიძლება ეს მათთვის გარკვეულწილად დამაბნეველიც აღმოჩნდეს. პრობლემას ისიც ართულებს, რომ არ ხდება თანმთხვევა ისტორიის სახელმძღვანელოში მოცემულ მასალასთან.

ყველაფერი ნათელი და გასაგები რომ იყოს, მივყვეთ თანამიმდვრულად. გურამ პეტრიაშვილის „პატარა დინოზავრის“ გაცნობამდე მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება ლიტერატურული ზღაპრი შესახებ. წაკითხვამდე უხსნის უცხო სიტყვებს და ეხმარება მათი შინაარსის გაგება-გაზრებაში. მოსწავლეები ასახელებენ წინადაღებებს, რომლებშიც ეს სიტყვები მათთვის გასაგებ კონტექსტში იქნება გამოყენებული. შემდეგ ზღაპარი იკითხება გამომეტყველებით. მეორედ წაკითხვის პროცესში მუშავდება ტექსტი. თავდაპირველად ვახასიათებთ პატარა დინოზავრს შემდეგი თვისებების მიხედვით.

სტრატეგია1

პატარა დინოზავრი

ცნობისმოყვარე, პრინციპული, უშიშარი, თავგანწირული, თავისუფლებისმოყვარე.

ანალოგიური გზით დახასიათდებიან დიდი დინოზავრები

ზარმაცები, ხარბები, პირადი კეთილდღეობის მოყვარულნი.

სტრატეგია 2

პერსონაჟი - თვისება - არგუმენტი

მოსწავლეებს ევალებათ ტექსტიდან მოიძიონ არა ნებისმიერი, არამედ აზრობრივი და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ეპიზოდები. ანალოგიურად იმუშავებენ დიდ დინოზავრებზეც (შეიძლება ვენის დიაგრამის გამოყენება).

სტრატეგია 3


მოსწავლეები იმსჯელობენ შემდეგი კითხვების მიხედვით: 1. იმსჯელონ და სათანადო არგუმენტების გამოყენებით შეაფასონ პატარა დინოზავრის საქციელი ა. დიდ დიმოზავრებთან თანაცხოვრების დროს; ბ. მათთან კონფლიქტის დროს; გ. დიდი დინოზავრებისგან წამოსვლის შემდეგ. 2. იმსჯელონ პატარა დინოზავრის მიერ მიღებულ ალტერნატიულ ვარიანტსა და პრობლემის გადაჭრის საკუთარ ვერსიებზე.

ჩატარებული მუშაობის შემდეგ მასწავლებელმა უნდა შეძლოს მოსწავლეთა ცოდნის განზოგადება. ამ მიზნით ეძლევათ შემდეგი სახის წერითი დავალება: სათანადო არგუმენტების (მაგალითები მათი პირადი ცხოვრებიდან) გამოყენებით უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

1. იკმაყოფილებთ თუ არა თქვენს ცნობისმოყვარეობას და გზლუდავთ თუ არა ამ მხრივ ვინმე;
2. როგორ გეხმის თავისუფლება და რას ნიშნავს იგი შენობის. მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების მოსმენის შემდეგ წყვილებში სამუშაოდ გურიგებთ შემდეგ სქემებს:


სტრატეგია № 4

ეპოქა – საბჭოთა სახელმწიფო – დიქტატორული
ა)



გარემოსგან მოწყვეტილია

უმპაცრესი დისციპლინა



მოსწავლეები ტექსტიდან სათანადო არგუმენტების მოშველიებით მსჯელობენ საბჭოთა ეპოქაზე, მასში მცხოვრები განსხვავებული ადამიანის (პატარა დინოზავრი) ბედსა და მწერლის ჩანაფიქრზე.

მოცემულ თემაზე მუშაობას ეთმობა ორი გაკვეთილი. დასასრულს მოხსავლეებს ეძლევათ წერითი დავალება, რომელიც მოიცავს სამ ძირითად კითხვას:

1. დაახასიათონ დიდი დინაზავრები;
2. დაახასიათონ პატარა დინოზავრი;
3. ისაუბრონ დიქტატორულ სახელმწიფოზე.

VII კლასშივე ისწავლება, აგრეთვე, რევაზ ინანიშვილის მოთხოვნა „ჩიტების გამომზამთრებელი“. ნაწარმოები მთლიანად დიალოგზე აგებული და ჰყავს სამი მთავარი პერსონაჟი - დედა, მამა და თხუთმეტი წლის შვილი, ბიჭი. სახელმძღვანელოში განთავსებული სხვა ნაწარმოებებისაგან განსხვავებით მოთხოვნას არ ახლავს კითხვები, მითითებაში კი წერია: დასვით კითხვები და დაეხმარეთ ერთმანეთს წაკითხულის გააზრებაში, რაც მასწავლებელს ფართო არჩევანის საშუალებას აძლევს; მას შეუძლია ნაწარმოები განიხილოს როგორც ერთი ოჯახის დრამა, როგორც ფსიქოლოგიური ხასიათის მოთხოვნა და ა. შ. ჩვენ მხოლოდ ერთი რჩევა გვინდა მივცეთ პედაგოგებს - აუცილებლად გაამახვილონ ყურადღება იმ ეპოქაზე, რომლის მძიმე კვალიც ამჩნევია თითოეულ პერსონაჟს, ეს კი აგადსახსენებელი, შავბნელით მოცული საბჭოთა ეპოქაა.

მოხსავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით ნაწარმოების გაცნობამდე მივეცით შემდეგი წერითი სახის დავალება: 1. როგორ წარიმართებოდა პატარა დინოზავრის ცხოვრება თვისტორია შორის (ყურადღება გაამახვილეთ მის სულიერ მდგომარეობაზე). წერისათვის განსაზღვრული დრო შვიდი წუთი გახლდათ.

დავალების წაკითხვის შემდეგ მოხსავლეების ყურადღება გავამახვილეთ იმ უცხო სიტყვების ახსნაზე, რომელიც მოთხოვნას აქვს წამდგარებული. ამის შემდეგ ნაწარმოების მხატვრულად კითხვას ვიწყებ მე და ვაგრძელებინებ გამომეტყველებით კითხვაში გაწაფულ მოხსავლეებს. მოთხოვნის უკეთ გაგებისა და გაანალიზების მიზნით ვიყენებ შემდეგ სტრატეგიებს.

სტრატეგია I. მოთხოვნას ვყოფთ სამ ნაწილად და ნიშანთა სისტემის გამოყენებით ვმუშაობთ წყვილებში.

სტრატეგია II. – "დაამყარე კავშირი".

იწერება შესასწავლი და შესადარებელი ტექსტების სათაურები. შესასწავლი ტექსტიდან მოტანილი ციტატების მიხედვით მოხსავლემ უნდა იფიქროს და იმსჯელოს, რა ახსენდება უკვე შესწავლილი ნაწარმოებიდან. ასე, მაგალითად: „ჩიტების გამომზამთრებლიდან“ მოტანილია შემდეგი წინადადება: „ციხიდან უშვებენ და შენი სამსახური რა გახდა ისეთი; გარკვეული პასუხისმგებლობა მაინც ხომ გეგისრება; მეც ხომ ადამიანი ვარ, კარგი ადამიანის ადარა შემრჩა არაფერი, სულდგმული ხომ ვარ“, - ეუბნება ცოლი ქმარს; ან კიდევ წინადადებები დედა-შვილის ურთიერთობიდან, საიდანაც ჩანს, რომ მათ შორის უსიყვარულობაა. დედას შვილის მიმართ მხოლოდ მოვალეობა და პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნია.

მოხსავლეები გურამ პეტრიაშვილის ზღაპრიდან „პატარა დინოზავრი“ იხსენებენ შესაბამის ადგილებს.

მოსწავლეებმა ადრე შესწავლილი ნაწარმოებებიდან იციან, რა რისი სიმბოლოა. იციან, რომ ჩიტი თავისუფლების სიმბოლოა (გურამ პეტრიაშვილის ზღაპარი „თეოტრსულელა“). ჩატარებული მუშაობის შემდეგ მათ ადარ უჭირთ ავტორის მთავარი სათქმელის ამოცნობა, ზოგიერთ მათგანს სათაურის შეცვლის სურვილიც კი გაუჩნდა და „უწოდეს: „დაკარგული ბედნიერება“, „მძიმე ბავშვობა“, „უსიყვარულობა“ და სხვა.

მთავარი ახლა ეპოქის დახასიათებაა. ცოდნა, რაც მათ ეპოქის შესახებ გააჩნიათ, უნდა განვუმტკიცოთ და გავუდრმავოთ. ამისათვის ვიყენებ უკვე ნაცნობ დიქტატორული სახელმწიფოს სქემას და მოცემული ნაწარმოების მიხედვით ვსაუბრობთ გულქვა, სასტიკ და ბრმადმორჩილ ადამიანებზე, რომელთაც ყველასი და ყველაფრის სიყვარული გულიდან განუდევნიათ. მოსწავლეები მსჯელობენ, თუ რა ბედი ელის თითქმის მათ თანატოლს ასეთ გარემოცვაში; ვსაუბრობთ ბიჭის ორგორც გარეგნულ, ისე სულიერ მხარეებზე.

მოსწავლეთა ყურადღებას ვამახვილებ მოთხრობის დასაწყისში ნახსენებ ფოტოსურათზე, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის, რომ ყველაფერი იდეალურადაა, მხოლოდ ბავშვია რაღაცაზე განაწყენებული; ასეთი მოჩვენებითი იყო საბჭოთა რეჟიმი, ხოლო თავად ბავშვი კი ცხოვრების რეალური სარკეა.

საშინაო წერით დავალებად ეძლევათ თემა, რომელიც სამი კითხვის ირგვლივ უნდა გააქრთიანონ. ეს კითხვებია: 1.სათანადო არგუმენტების გამოყენებით იმსჯელეთ ეპოქის შესახებ; 2. დაახასიათეთ ბიჭი; 3. იმსჯელეთ ავტორის მთავარ სათქმელზე.

VIII კლასში ისწავლება რევაზ ინანიშვილის ნოველები „წიგნი და „პატარა ბიჭი გილგოთაზე“. მათი გაცნობის ერთ-ერთი მიზანია, იმსჯელონ მოსწავლეებმა, თუ ორგორ აისახა ჩვენი ქვეყნის მნელბედობის ხანა მწერლის ოჯახის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. წიგნში მოკლედაა მიმოხილული 1924 წლის ვაზიანის აჯანყება და 1937 წლის რეპრესიები. სახელმძღვანელოს მიხედვით მოსწავლეები ეცნობიან ჯერ „წიგნს“ და შემდეგ მეორე ნოველას- „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“.

ნოველების გაცნობა-შესწავლამდე მოსწავლეები დავყავი თრ ჯგუფად. ერთ ნაწილს დაყვალა მოეძია მასალა 1924 წლის ვაზიანის აჯანყების, ხოლო მეორე ნაწილს - 1936-1938 წლების რეპრესიების შესახებ. ეს საშუალებას მოგვცემდა მოსწავლეები უკეთ გასცნობოდნენ ეპოქასა და ამ ეპოქაში მიმდინარე პროცესებს.


მოკრძალებით მინდა აღვნიშნო, რომ სახელმძღვანელოში მოცემული თანმიმდევრობა დავარდვის და თავდაპირველად შევასწავლე „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“, რადგან მივიჩნიე, ნოველა „წიგნი“ ერთგვარად „გზა ხსნისაა“ ქართველი ერის, თან მას მოსდევს „კითხვა“, ნაწყვეტი ამერიკელი მწერლისა და ფილოსოფოსის წიგნიდან „უოლდენი ანუ ტექში ცხოვრება“ და რომელიც ერთგვარი ლოგიკური გაგრძელებაა ნოველა „წიგნის“.

ნოველის „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“ სათაურის გააზრების შემდეგ, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, გამოვიყენ „გარაუდების სქემა“. მათ უნდა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები, თუ რის შესახებ იქნებოდა ნოველაში საუბარი. მინდა აღვნიშნო,

რომ ეპოქის შესახებ არსებულმა ცოდნამ მოსწავლეებს გაუადვილა სწორი ვარაუდების გამოთქმა.

ნაწარმოების გაცნობის შემდეგ ნოველა პირობითად სამ ნაწილად დავყავით: მამა დაპატიმრებამდე, დაპატიმრების შემდეგ და ეპოქის მიმოხილვა.

აქტივობა I - პერსონაჟის რუპა:



მოცემული სქემის მიხედვით მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები თვალნათლივ დაინახავენ, თუ როგორ იქცა მხრების შელილი, მკრდგანიერი, სიცოცხლითა და ჯანდონით სავსე ადამიანი ორივე ფეხით კოჭლ, საკუთარი სხეულის ნახევრად და ნამესამედად გადაქცეულ პატიმრად; ყველსათვის მოსიყვარულე და ყველსათვის საყვარელი, სიკეთით სავსე, ჭავიანი, ალალი და კეთილი, მუდამ დიმილიანი პატარა ბიჭის მამა ასე სასტიკად ისჯება იმიტომ, რომ ის მავანთათვის, ახალი საბჭოთა ხელისუფალთათვის, მიუღებელია.

ეპოქის განსახილებელად ვიყენებთ:

აქტივობა I:

Т სქემა



ნოველიდან ამოწერენ სათანადო ადგილებს და კომენტარების გრაფაში იმსჯელებენ შესაბამისად.

საშინაო დავალებად ეძლევათ წერითი სამუშაო, რომელიც მიზნად ისახავს თემის დამუშავებას შემდეგი სამი კითხვის მიხედვით:

1. მიმოხილეთ ეპოქა;
2. დაახასიათეთ პატარა ბიჭის მამა;
3. იმსჯელეთ რა არის აგტორის მთავარი სათქმელი

სწავლების პროცესში ჩემთვის ამოსავალი ეროვნული სასწავლო გეგმა გახლდათ, რომლის მიხედვითც VIII კლასის მოსწავლე:

- დაწვრილებით შეისწავლის ტექსტის შინაარსს, ყურადღებას ამახვილებს დეტალებზე და მათზე დაყრდნობით ახსნის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;
- აანალიზებს და კონკრეტული ნიშნის მიხედვით სისტემტურად ახდენს ტექსტში მოცემული ინფორმაციის კლასიფიკაცია-კატეგორიზაციას;
- ამოიცნობს და განსაზღვრავს პრობლემის საკითხებს წაკითხულ ტექსტში.
- არკვევს ტექსტში დასმული პრობლემის გამომწვევ მიზეზებს.

მოცემული მოთხოვნებიდან გამომდინარე, რევაზ ინანიშვილის ნოველა „წიგნზე“ მუშაობის პროცესში მაქსიმალურად ვცდილობდი, მოსწავლეები დამოუკიდებლად გარკვეულიყვნენ მასში არსებულ პრობლემაში და ნაწარმოების საშუალებითვე მოეძებნათ ამ პრობლემის გადაჭრის გზები.


ტექსტს კითხულობენ მხატვრულ კითხვაში გაწაფული მოსწავლეები. ნოველაში ნახსენებია პოემები: აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ და ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“. ამ უკანასკნელის შინაარსს მოსწავლეები ანა კალანდაძის ლექსის „საქართველოო ლამაზო“ შესწავლის დროს გაეცნენ, ახლა მხოლოდ ვახსენებ, რომ ხევსურებსა და ქისტებს შორის არსებული დაპირისპირებისა და მტრობის გამო ხევსურმა ალუდა ქეთელაურმა მოკლა ქისტი მუცალი. მუცალის ვაჟგაცურმა სიკვდილმა ხევსური დაარწმუნა, რომ არა მტრობა, ისინი კარგი მეგობრები იქნებოდნენ ლხინშიც და ჭირშიც. ალუდა მთელი პოემის მანძილზე დიდ სინანულს განიცდის. იგი მოკლულ ქისტს „ლამაზ მმაღ“ მოიხსენიებს.

პოემა „გამზრდელში“ საფარ ბეგი ნამდვილად იმსახურებს სიკვდილს ჯერ შეურაცხყოფილი ქმრისგან და შემდეგ შეურაცხყოფილი მასწავლებლისგან. ორივემ აპატია, შეუნდო მას უდიდესი ცოდვა. ერთმაც და მეორემაც კარგად იცის, რომ ბოროტება ბოროტებით არ ჩამოირცხება, შერისძიებით დანაშაული არ გამოისყიდება. სინანული, შენდობა და პატიება დანაშაულის გამოსყიდვის საუკეთესო საშუალებაა. მოსწავლეებს სამუშაოდ ეძლევა შემდეგი შინაარსის სქემა (დასაშვებია როგორც წყვილებში, ისე ჯგუფებში მუშაობა):


	ამოიწერეთ ეპოქის დამახასიათებელი ფრაზები	იმსჯელეთ მოცემულის მიხედვით
1		
2		
3		

მოსწავლეებს არ გასჭირვებიათ მოცემული სქემით მუშაობა, რადგან ეპოქის ისტორიული მიმოხილვის შესახებ მასალა მოძიებული და დამუშავებული პქნდათ.

შემდეგი სქემაა პერსონაჟის რუპა.



შეიძლება გამოყენებული იყოს შემდეგი სქემაც:



დასასრულს, ყოველგვარი მითითების გარეშე მოსწავლეებს უნდა ემსჯელათ მათთვის ნაცნობი სამი კითხვის მიხედვით ისე, რომ ერთი მთლიანი თემის სახით ყოფილიყო წარმოდგენილი.

მეცხრე კლასის სახელმძღვანელოში ბევრი საინტერესო მხატვრული ნაწარმოებია შეტანილი, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია „მოსე ზამთარაძის ნაამბობი” - ნაწყვეტი ჭაბუა ამირეჯიბის რომანიდან „დათა თუთაშეია”. ის ერთგვარად შემკრები, დამაგვირგვინებელია ჩვენ მიერ განხილული ნაწარმოებების. აქ მკვეთრად გამოჩნდა ტოტალიტარული სახელმწიფო მთელი თავისი ნიშნებით.

არქიფო სეთურის საბრძანისი დიქტატორული სახელმწიფოს მოდელია, მინი სახელმწიფოა, რომელიც გარემო სამყაროსაგან მოწყვეტილია (საირმის მიუვალ ტყეშია), სადაც ხალხი ფსიქოლოგიური წევების ქვეშაა მოქცეული, უმკაცრესი დისციპლინაა, ხელფასი მინიმალურია, თუმცა უსაფუძვლო დაპირებების (მომავლის იმედის) წყალობით უპყევ ბრძოდ ქცეული მასა კმაყოფილია. ისინი ბრძადმორჩილნი, ერთმანეთის მიმართ ნდობადაგარგულნი, უგუნურნი, გულქვა და სასტიქი არიან.

„სახელმწიფოს მმართველი“ არქიფო სეთური, რომელიც საბჭოთა ეპოქის ნებისმიერი ბეჭდადის პროგრესიად შეგვიძლია მივიჩნიოთ, მანკიური თვისებებით არის შემკული - მედროვე, თავდაჯარებული, გულქვა, სასტიქი, კაცომოძულე და უსამართლოა.

აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება დემაგოგიაზე, რომელსაც არქიფო სეთური მუდმივად იყენებს და ბოლოს, თუ რა ბედი ეწევა ასეთ სახელმწიფოში განსხვავებულ ადამიანს.

აი, ეს ის მოკლე მიმოხილვაა, რომელზედაც „მოსე ზამთარაძის ნაამბობის“ სწავლებისას პედაგოგმა უნდა გაამახვილოს ყურადღება.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე, ნაწარმოების გაცნობის შემდეგ, მისი უკეთ შესწავლა-გაანალიზების მიზნით წარვმართე ჯგუფური მუშაობა.

თითოეულ ჯგუფს კითხვების სახით ეძლევათ დავალება. პირველი ჯგუფი - ლიტერატორები - იმსჯელებენ საზოგადოების ბრძოდ ქცევის პროცესზე; ბრძოს ფსიქოლოგიასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე; მეორე ჯგუფი - ფილოლოგები - იმსჯელებენ არქიფო სეთურის ცხოვრებისეულ „ფილოსოფიაზე“, მის უმკაცრეს დისციპლინასა და „იმედის ტექნოლოგიაზე“; მესამე ჯგუფი - ანალიტიკოსები - იმსჯელებენ დათა თუთაშეიაზე, როგორც განსხვავებულ პიროვნებაზე და არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთებენ, რატომ ვერ შეძლო მან ხალხის გამოფხიზლება; მეოთხე ჯგუფი - ენათმეცნიერები და ლიტერატურათმცოდნები - ისაუბრებენ ნაწარმოების სტილსა და მასში გამოყენებულ მხატვრულ ხერხებზე; გრამატიკულ კანონებთან შესაბამისობაში გაასწორებენ ენობრივ შეცდომებს; მეხუთე ჯგუფში კრიტიკოსები არიან გაერთიანებულნი. ისინი სათანადო სქემების გამოყენებით იმსჯელებენ ავტორის მთავარ სათქმელზე და გაავლებენ პარალელებს შესწავლილ მხატვრულ ნაწარმოებებსა და ისტორიულ მასალასთან. დასასრულს, შეგვიძლია ვანახოთ ფილმის მოცემული ნაწყვეტი და ვისაუბროთ მათ შორის არსებულ განსხვავებასა და პირად შეხედულებებზე.

დამატებით აქტივობებად შეიძლება გამოყენებული იყოს „მაგიდის გარშემო წერა“ თემაზე: რაში გამოვიყენებ ნაწარმოებით მიღებულ ცოდნას, ან რას ნიშნავს ჩემთვის თავისუფლება. ჯგუფის თითოეული წევრი წერს მხოლოდ ერთ წინადაღებას, რომელიც უნდა გააგრძელოს მეორემ და ა.შ. დასასრულს მივიღებ სათაურის შესატყვისს ექვს-შვიდ ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ წინადაღებისგან შედგენილ თემას.

ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმები, კარი III, თავი XI, საგნობრივი პროგრამა.
2. გ. როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი, ქართული ენა და ლიტერატურა, VII კლასი, სწავლანი, 2016.
3. გ. როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი, ქართული ენა და ლიტერატურა, VIII კლასი, სწავლანი, 2016.
4. გ. როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი, ქართული ენა და ლიტერატურა, IX კლასი, სწავლანი, 2016.

რეცენზენტი: პროფ. ლ. ჩერნოვატი

სწავლების მეთოდიკა Методика Methodic of teaching

თამარ ლვინიანიძე

ქუთაისი, საქართველო

**ჩატარებული მუშაობის სინთეზირება და
ცოდნის განმტკიცება N-VI კლასებში**

ქართული ლიტერატურის კომბინირებულ გაკვეთილზე საქმე გვაქვს მოსწავლეთა ცოდნის ყოველდღიურ აღრიცხვასთან, რითაც სისტემატურად ვაკვირდებით მოსწავლეთა მუშაობას, ვახდებოთ მათი ცოდნის აღრიცხვა-შეფასებას. ეს უკანასკნელი კი უშუალოდადა დაკავშირებული განმეორების სწორ ორგანიზაციასთან. განმეორება ბუნებრივად უნდა შეერწყას სწავლების პროცესს. მისი ორგანიზაციის პრინციპებია: თემატური და უანრობრივი სიახლოებები, კონკრეტული და მხგავსი მოვლენა-ტიპების დაპირისპირება, პოეტური ხერხებისა და საშუალებების ურთიერთშედარება, ამა თუ იმ მწერლის ადრე შეხვავლილ ნაწარმოებებთან პარალელის გავლება. არ არსებობს სწავლება განმეორების გარეშე და პირიქით. მაშასადამე, განმეორება ახალი ცოდნის მიწოდების საშუალებაცა.

დაწყებითი სწავლების ეტაპზე ნაწარმოების შესწავლის ძირითადი მომენტებია ნაწარმოების წაკითხვა, მისი მთლიანობაში აღქმა, ტექსტზე მუშაობა, ანალიზი და სინთეზი, რაც თვისთვის გულისხმობს მიწოდებული ცოდნის ათვისების შემოწმებასა და განმტკიცება-გაღრმავებას.

დასკვნითი მეცადინეობის ეტაპზე შემაჯამებელი სიტყვა შეიძლება გააკეთოს მასწავლებელმა, ან კითხვებზე პასუხით გაარკვიოს როგორ აითვისეს მოსწავლეებმა შესწავლილი მასალა.

ყველა მასწავლებელს მოსწავლეთა ცოდნის აღრიცხვისა და შემოწმების საკუთარი მეთოდი აქვს, გამომდინარე იმ საერთო პრინციპებიდან, რომლებიც შემუშავებულია სკოლაში, მაგრამ მას აქვს უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ მიმართოს იმ ფორმებსაც, რომელიც უკეთეს შედეგს აძლევს.

ქართული ლიტერატურის კომბინირებულ გაკვეთილზე ჩვენ ყოველთვის გვაქვს საქმე მოსწავლეთა ცოდნის ყოველდღიურ აღრიცხვასთან. ამით ჩვენ სისტემატურად ვაკვირდებით მოსწავლეთა მუშაობას, ვახდებოთ მათი ცოდნის აღრიცხვა-შეფასებას.

დაწყებით კლასებში შემაჯამებელ გაკვეთილზე მასწავლებელმა შეიძლება დასვას ასეთი საერთო კითხვები: 1. რომელი ეპოქაა ასახული ნაწარმოებში? 2. სად ხდება მოქმედება? 3. რა არის ნაწარმოების მთავარი თემა? 4. კიდევ რომელ პრობლემებს ეხება ნაწარმოები? 5. ჩამოთვალეთ მოქმედი პირები. 6. რა ურთიერთობაში არიან ისინი ერთმანეთთან?

7. ვინ შეიძლება მივიჩნიოთ მთავარ მოქმედ პირად? 8. რა ნიშნების მიზედვით? 9. დააჯგუფეთ ნაწარმოების პერსონაჟები მათი სოციალური მდგომარეობისა და დადებითი და უარყოფითი თვისებების მიხედვით. 10. რომელი პერსონაჟი უფრო გხიბლავთ, რატომ? რა ნიშნების მიხედვით? ვინ იწვევს უარყოფით ემოციებს, რატომ? რა ნიშნების მიხედვით? 11. რა არის ნაწარმოების დედააზრი? 12. რომელი პერსონაჟის ხასიათშია ჩაქსოვილი იდეა და როგორ? 13. აღწერეთ ბუნების სურათები! 14. როგორია მწერლისა და პერსონაჟის მეტყველება? 15. რომელ პოეტურ ხერხებს იყენებს მწერალი? 16. რომელ ქანრს განეკუთვნის ნაწარმოები?

მოსწავლეთა ცოდნის აღრიცხვა-შეფასება უშუალოდაა დაკავშირებული განმეორების სწორ ორგანიზაციასთან. არ არსებობს სწავლება განმეორების გარეშე და პირიქით, განმეორება და განმტკიცება უნდა ხდებოდეს გაკვეთილის უკლა ეტაპზე. განმეორება არ უნდა იყოს მექანიკური და ფორმალური. იგი ბუნებრივად უნდა შეერწყას სწავლების პროცესს. განმეორების მიზანი, მასშტაბი და თემატიკა სასურველია ექიდნობოდეს მოსწავლეთა მომზადების დონესა და გონიერივ შესაძლებლობებს.

განმეორების ორგანიზაციის პრინციპებია: თემატური და ქანრობრივი სიახლოეს, კონკრეტული და მსგავსი მოვლენა-ტიპაჟების დაპირისპირება, პოეტური ხერხებისა და საშუალებების ურთიერთშედარება, ამა თუ იმ მწერლის ადრე შესწავლილ ნაწარმოებთან პარალელის გავლება.

მასწავლებელი უფლებამოსილია გამოიყენოს მისთვის სასურველი და შედეგის მომზანი მეთოდები და ხერხები.

ლიტერატურული ნაწარმოების სწავლების მთელ პროცესში და საერთოდ ქართული ლიტერატურის ყველა გაკვეთილზე ჩვენ განუწყვეტლით გვაქს საქმე მოსწავლეთა ცოდნის ყოველდღიურ აღრიცხვასთან. ყოველ ასეთ გაკვეთილზე ახალი მასალის ახსნა წარმოებს წინა მასალის ცოდნის შემოწმების საფუძველზე. ვასწავლით ტექსტის შინაარსს, ვახასიათებთ პერსონაჟებს, თუ ვარჩევთ ნაწარმოების მხატვრული ფორმის ელემენტებს, ყველგან და ყოველთვის ჩვენ ჯერ მიცემულ საშინაო დავალებას ვამოწმებთ, ხოლო შემდეგ ახალ მასალაზე გადავდივართ.

მაშასადამე, ყოველი დიდი მოცულობის კონკრეტული ნაწარმოების ყოველდღიური სწავლების მთელ პერიოდში, დასკვნითი მეცადინეობის ჩატარებამდე, ჩვენ სისტემატურად ვაკვიდებით რა მოსწავლეთა მუშაობას, ვახდენთ მათი ცოდნის მიმდინარე აღრიცხვა-შეფასებას.

ქართულ ლიტერატურაში, ცოდნის მიმდინარე და წლიური აღრიცხვის გარდა, აუცილებელია გარკვეული ლიტერატურული თემის გარშემო მიღებული მთლიანი ცოდნის შემოწმება-შეფასება. მასწავლებელი მოვალეა აღრიცხოს მოსწავლეთა მიერ ახალი თემის გარშემო მიღებული ცოდნა. ცოდნის ყოველი ამგვარი შემოწმების დროს ძნელია მოვახერხოთ ყველა მოსწავლის ინდივიდუალური გამოძახება. მაგრამ სასწავლო წლის განმავლობაში ლიტერატურულ თემათა რიცხვის ზრდასთან ერთად თანდათან გაიზრდება შემოწმებულ მოსწავლეთა რაოდენობა. შეგვიძლია მივმართოთ ჯგუფურ შემოწმებას.

ნაწარმოების მთლიანი იდეურ-თემატური შინაარსის ცოდნის შესამოწმებლად ყველაზე კარგ შედეგს იძლევა კლასის წინაშე ფრონტალური კითხვების დასმის ხერხი. ეს კითხვები განმაზოგადებელ, საკვანძო ხასიათს უნდა ატარებდეს და გამომდინარეობდეს თითოეული კლასისათვის პროგრამით წაყენებული მოთხოვნებიდან. საორიენტაციოდ, V-VI კლასების

ფარგლებში მთლიანი ტექსტის გარშემო შეიძლება დასმულ იქნეს დაახლოებით ასეთი საერთო კითხვები: რა დროა (ან რომელი ეპოქაა) ასახული ნაწარმოებში? სად ხდება მოქმედება? რა არის ნაწარმოების მთავარი თემა? კიდევ რა საკითხებს ეხება იგი? ჩამოთვალეთ ნაწარმოების მოქმედი პირები; რა ურთიერთობაში არიან ისინი ერთმანეთთან? ვინ შეიძლება აქედან მივიჩნიოთ მთავარ მოქმედ პირად (პირებად)? რა ნიშნების მიხედვით? დააჯიშვეთ ნაწარმოების მოქმედი პირები მათი სოციალური მდგომარეობისა და დადებითი და უარყოფითი თვისებების მიხედვით; რომელი მოქმედი პირი უფრო გხიბლავთ ნაწარმოებში? რატომ? რა ნიშნებით? ვინ იწვევს ზიზდს? რატომ? რა ნიშნებით? რა არის ნაწარმოების მთავარი იდეური აზრი? რომელი გმირის ხასიათშია ჩაქსოვილი ეს იდეა და როგორ? რომელ თავშია მოცემული მოქმედებათა განვითარების კულმინაციური წერტილი? აღწერეთ ბუნების სურათი, როგორია პერსონაჟის მეტყველება? რა პოეტურ ხერხებსა და საშუალებებს იყენებს მწერალი ნაწარმოებში? განმარტეთ თითოეული მათგანი; რომელ უანრეს განეკუთვნება ნაწარმოები? რით განსხვავდება ის სხვა უანრისაგან? რითმის რომელი სახეა გამოყენებული ლექსში? ვინ არის ნაწარმოების აგტორი? ამ მწერლის კიდევ რომელ ნაწარმოებს იცნობთ? და ა. შ.

მოსწავლეთა ცოდნის აღრიცხვა-შეფასება უშუალოდ დაკავშირებული განმეორების სწორ ორგანიზაციასთან. სისტემატური განმეორების გარეშე არ არსებობს ნამდვილი ცოდნა. არ არსებობს სწავლება განმეორების გარეშე და განმეორება სწავლების გარეშე. ისინი ერთმანეთისაგან განუყოფელი ბუნებრივი, კანონზომიერი და განუყოფელი ნაწილებია, რომლებიც უნდა იგნოროდეს ახალი მასალის ახსნისას და განმტკიცებისას, გაკვეთილის დასაწყისშიც და დასასრულშიც; სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე, რადგან მხოლოდ ის საგანი გვახსოვს ჩვენ ყველასზე უფრო, რომელსაც ხშირად ვეხებით. ამ თვალსაზრისით ცოდნის ყოველი აღრიცხვა-შეფასება მასალის განმეორების პროცესია. ამდენად, განმეორების დაახლოებით იმდენი სახე არსებობს, რამდენიც თვით ცოდნის აღრიცხვისა, მაგრამ განმეორების ორგანიზაციის პრინციპი ყოველთვის როდი ემთხვევა ცოდნის აღრიცხვისა და შეფასების პრინციპებს. ყოველი განმეორება უნდა განვიხილოთ, როგორც არა მხოლოდ ცოდნის უბრალო რეგისტრაცია, არამედ მისი შეფასების, გაღრმავებისა და განმტკიცების ქმედითი საშუალება. თვით განმეორების გაკვეთილებზეც კი, რომლებიც სასწავლო წლის განმავლობაში შეიძლება ზოგჯერ იქნას ორგანიზებული. ყოველი ახალი მასალის სწავლებაში, უჭრებული არის ძველის განმეორების ელემენტები.

განმეორება, როგორც სწავლების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, მასწავლებელთა ყოველდღიური ყურადღებისა და ინტერესის საგანი უნდა გახდეს. მაგრამ სკოლის პრაქტიკაში ზოგჯერ პროგრამული მასალის განმეორებას მექანიკური, ფორმალური ხასიათი აქვს. იგი ატარებს მოჩვენებით ხასიათს, არ არის ორგანულად ჩაქსოვილი სწავლების ბუნებრივ პროცესში, რის შედეგად ჯერ კიდევ ვერ ასრულებს ცოდნის გაღრმავებისა და განმტკიცების საქმეში მასზე დაკისრებულ როლს. განმეორების ორგანიზაციული საკითხების განხილვისას უნდა გამოვდიოდეთ თითოეული კლასის სპეციფიკიდან. VI კლასში განმეორების მიზანი, მასშტაბი და თემატიკა აგებულია იმ მოთხოვნების საფუძველზე, რომლებსაც უყენებს ცხოვრება ამ ასაკის მოსწავლეებს. ამიტომ აქ მეორდება არა მხოლოდ ერთი კლასის, არამედ IV-V კლასების მასალებსაც. განმეორებისას, პირველ რიგში, აუცილებელია სამი საკითხის გარკვევა: როდის ვაწარმოოთ განმეორება? რა გავიმეოროთ? და როგორ გავიმეოროთ?

პირველ საკითხზე, ვფიქრობთ, უპევ გაცემულია პასუხი. რაც შეეხება მეორე საკითხს, აქ გამოსავალია მოსწავლეთა მომზადების დონე. მეტად ძნელია ყველა პროგრამული საკითხი, ყველაფერი, რაც ჩვენ გავლილი და შესწავლილი გვაქვს წლიდან წლამდე, კლასში მასწავლებლის ხელმძღვანელობით განმეორების ობიექტად ვაქციოთ. ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს მოსწავლეთა მიერ მასალის დამოუკიდებლად განმეორების მეთოდიც. მოსწავლეებს უნდა მიეცეთ გავლილი კურსიდან შინ გასამეორებლად კონკრეტული ხასიათის თემები და დროდადრო კლასში შემოწმდეს მათი ცოდნა. ეს არ იქნება ხელახლა დაბრუნება სწავლების თავდაპირველ ფორმასთან. მასწავლებელს უნდა შეეძლოს განვლილი პროგრამული მასალებიდან კლასში გასამეორებლად შეარჩიოს ყველაზე მთავარი, მოსწავლეთა ლიტერატურული განათლებისა და ცოდნა-ჩვევებისათვის აუცილებელი საკითხები და მოაქციოს ისინი სწავლების ყოველდღიური მიმდინარეობის ორბიტაში.

V-VI კლასებში განმეორების ორგანიზაციის განმსაზღვრელ პრინციპებად შეიძლება მიჩნეულ იქნას შემდეგი:

1. თემატური სიახლოების პრინციპი.
2. ჟანრობრივი სიახლოების პრინციპი.
3. კონტრასტული და მსგავსი მოვლენა-ტიპაჟების დაპირისპირების პრინციპი.
4. პოეტური ხერხებისა და საშუალებების ურთიერთშედარების პრინციპი.
5. თვით მწერლის ადრე შესწავლილ ნაწარმოებთან პარალელის გავლების პრინციპი.

განმეორების სპეციალურ გაკვეთილს ვატარებთ, თუ განმეორების სხვა ფორმას ვიყენებთ, ყოველთვის უმჯობესია განმეორება ძირითადი საკვანძო საკითხების გარშემო კითხვების დასმის ხერხით; ამასთან, უნდა ვცდილობდეთ ეს კითხვები მიმართული იყოს შესწავლილი მასალის შევსებისა და გაღრმავებისაკენ. აქ მასწავლებელს ზოგჯერ მოუხდება თვითონვე გასცეს პასუხი მის მიერ დასმულ კითხვაზე. ასე იქცევა განმეორება ახალი ცოდნის მიწოდების ერთ-ერთ საშუალებადაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. [მაღლაკელიძე ნ., ქართული ენის სწავლების მეთოდიკა I-IV კლასები: 2013]
2. [მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, დაწყებითი საფეხური: 2008]
3. [სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო: 2005]
4. [საყვარელიძე რ., ლიტერატურის სწავლება და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები: 2004]
5. [ჯინჯიხაძე ჯ., თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები: 2012]
6. [ჯინჯიხაძე ჯ., ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა და ტექნოლოგია: 2014]

Tamar Gvinianidze**Synthesize the work carried out and strengthening knowledge in IV-VI classes****Abstract**

In the combined lesson of the Georgian literature we deal with the day-to-day knowledge of pupils, thus we are constantly looking at the work of the pupils and evaluate their knowledge. The latter is directly related to the correct organization of the recurrence. Repetition should naturally merge the teaching process. The principles of its organization are: thematic and genetic proximity, concrete and similar events confrontation of tapes, interaction between poetic techniques and means.

რეცენზენტი: პროფ. ლ. ჩერნოვატი

სწავლების მეთოდიკა Методика Methodic of teaching

მეგი შალიკიანი-სხირელი

ქუთაისი, საქართველო

ინოვაციური სწავლების სტრატეგიები გაცვეთილის
დაგეგმვისათვის

ინოვაციური სწავლების სტრატეგიები გაცვეთილის დაგეგმვისათვის დღევანდველი ხასტავლო სივრცის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. წინამდებარე სტატიის მიზანია აჩვენოს, რამდენად საჭიროა თანამედროვე მოხსენელის მზარდი ინტერესის შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა მოხსენელის წარმატებულობისათვის. მოხსენელების მიზნის შესაბამისი აქტივობები და ინტეგრირების პროცესი ხელს უწყობს მოხსენელების ჩართულობას, ინტერაქციას და ავითარებს თანამშრომლობითი სწავლების მოდელს.

მნელად თუ მოიძებნება მასწავლებელი, ვისაც არ გამოუცდია, თუ რას ნიშნავს, მოსწავლეებისათვის სხვადასხვა კონცეპტების ახსნის მთელი ძალით მცდელობის მიუხედავად, გაკვეთილი რომ არა და არ გამოდის.

თუ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან გაქვთ ურთიერთობა, მაშინ ეს პრობლემა ხშირად წამოიჭრება ისეთი აბსტრაქტული ცნებების სწავლებისას, როგორიცაა პასუხისმგებლობა, პატიოსნება, მიმტევებლობა ან სხვათა მიმართ გულისხმიერება. ხოლო თუ თქვენი მოსწავლეები თინერჯერები არიან, ისეთ ცნებებთან გამკლავება, როგორიცაა საზოგადოებრივი სამართალი, მთავრობა და პოლიტიკა, ყველაზე ხშირად განწირების მარცხისათვის.

ნებისმიერ შემთხვევაში, რას აკეთებთ, როცა გრძნობთ, რომ ყველაფერი სცადეთ, რათა მიზნისთვის მიგეღწიათ და თქვენი მოსწავლეები ჩაწვდომოდნენ სამიზნე ცნებებს? ჩვენ უკვე ვიცით, რომ არ არსებობს ჯადოსნური ფორმულა ამგვარი პრობლემის მოსაგგარებლად, თუმცა არსებობს გზები, რომლებიც უნდა მოისინჯოს, რათა გადავლახოთ ეს მუდმივი ბარიერები.

განათლების სხვადასხვა ექსპერტის ნააზრებსა და კვლევებზე დაფუძნებით გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი რჩევები, რომლებიც დაგვეხმარება გადავლახოთ საკლასო

ოთახში წამოჭრილი სირთულეები. საინტერესოა, რამდენად დაგვეხმარება ეს რჩევები ჩვენ და ჩვენს მოსწავლეებს. ვცადოთ სწავლების შემდეგი სტრატეგიები, რათა ბოლომდე ჩავწვდეთ ჩვენი მოსწავლეების შინაგან სამყაროს.

1. ყურადღება მიაქციეთ მიმდინარე ტენდენციებსა და ინტერესებს.

მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა ვისწავლოთ საუბარი იმ ენაზე, რომელზეც საუბრობენ ის მოსწავლეები, რომლებსაც ვასწავლით. დღესდღეობით ეს ნიშნავს, რომ კარგად გავეცნოთ ტექნოლოგიებს, რაც ასე ბუნებრივია ახალგაზრდებისათვის. იმ თემების ინტეგრირება საგაკვეთილო პროცესში, რაც აინტერესებს ჩვენს მოსწავლეებს, საუკეთესო გზაა მათი ჩართულობისათვის. მაგალითად, მას შემდეგ, რაც პოდკასტების სერია ვირუსულად გავრცელდა, რამდენიმე დამამთავრებელი კლასის მასწავლებელმა მათი გამოყენების დიდი შესაძლებლობა დაინახა და ჩართო ისინი თავიანთ გაკვეთილის გეგმებში. მოსწავლეები პოზიტიურად შეხვდნენ სიახლეს და, უფრო მეტიც, მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ ამ პროცესმა შეაგულიანა მოსწავლეები მეტი ეკითხათ. ზოგიერთი მასწავლებელი კიდევ უფრო შორს წავიდა. ისინი ქმნიან და საგაკვეთილო პროცესში იყენებენ საკუთარ პოდკასტებს. ასათაურებენ პოდკასტებს ისე, რომ აღიძრას ინტერესი, მოსწავლეებმა მათი საშუალებით განიხილონ სხვადასხვა ცხოვრებისეული საკითხი და შეიძინონ ისეთი საბაზისო უნარები, როგორიცაა პასუხისმგებლობა, საკუთარი მომავლის დაგეგმვა და ა.შ. ამ ყველაფერს კი შედეგად მოჰყვა ის, რომ გაიზარდა არა მხოლოდ მოსწავლეთა ჩართულობა, არამედ მათი ნდობაც მასწავლებლის მიმართ. უმცროსკლასელებისათვის იმავე მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ კლიპები პოპულარული საბავშვო შოუებიდან, რომელთა საშუალებითაც ისინი გაკვეთილებზე შეისწავლიან მნიშვნელოვან საკითხებს.

2. ჩართეთ მოსწავლეები.

განათლების ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა, რომ გაკვეთილი შედგეს, არის მოსწავლეების პირდაპირი ჩართულობა. სწორედ ამ მიზეზით მივმართავთ ხოლმე ე.წ. სკეტჩებსა და იმიტირებულ სასამართლო პროცესებს. ამ პრაქტიკული აქტივობების მეშვეობით გაკვეთილი შეიძლება გადაიქცეს საინტერესო გამოცდილებად. უმცროსკლასელთა განმავითარებელი აქტივობების კვლევის დროს გამოიკვეთა, რომ ემპათიის გენერირება შესაძლებელია მხოლოდ იმ დროს, როცა მოსწავლეები შეიგრძნობენ, რომ ისინი თავად არიან ამ მოვლენის ნაწილი. მსგავსი აქტივობების კომპლექსი მოიცავს ისეთ ნიმუშებს, როგორიცაა პერსონაჟების ხატვა, მათი განლაგება სცენაზე და ალაპარაკება. ჩამოთვლის ტექნიკებს ყოველთვის მოაქვს სასურველი, რათა მოსწავლეებმა შეისწავლონ კულტურული და სოციალური მოვლენები.

ამგვარი პედაგოგიური პრაქტიკის საინტერესო მაგალითი აღწერა ამერიკული განათლების ექსპერტმა ჯენიფერ ტენგმა. მერვე კლასში სოციალური მეცნიერებების შესწავლისას, როცა ის ცდილობდა აქსენა მოსწავლეებისათვის მმართველობის სხვადასხვა ფორმის შესახებ, მან გამოქვებნა ძალიან საინტერესო გზა. პირველ დღეს დაფაზე დაწერა

ცნება “ანარქია”. მოსწავლებმა დაიკავეს თავიანთი ადგილები საკლასო ოთახში. ამის შემდეგ მასწავლებელმა კლასში მოისროლა კანფეტები, რამაც გამოიწვია ქაოსი მათში, რადგანაც კანფეტების აღებას ცდილობდნენ. მასწავლებელმა ჩუმად დატოვა საკლასო ოთახი. მოსწავლებმა მალევე შეამჩნიეს მისი არყოფნა და დასვეს კითხვები: “რა ხდება?”, “სად არის მასწავლებელი?”. კლასში შემოსულმა მასწავლებელმა პასუხის ნაცვლად მიუთითა დაფაზე დაწერილ ცნებაზე: “ანარქია”. ტენგის მოსწავლებმა შეისიერად გაიგეს ცნების აზრი და საგამოცდო ტესტის შედეგმაც აჩვენა, რომ ყოველმა მათგანმა სწორი პასუხი დააფიქსირა.

3. წაახალისეთ ინტერაქცია

ხშირად ამტკიცებენ, რომ მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლება უპავ წარსულში დარჩა და ახლა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დროა. თანამშრომლობითი სწავლება ისეთი სწავლების სტრატეგიაა, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა დონის უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლეები ერთიანდებიან მცირე ჯგუფებში, რათა განახორციელონ მთელი რიგი ისეთი აქტივობები, რომელთა საბოლოო მიზანი საგნის ზოგადი გაგების გაუმჯობესება იქნება.

თანამშრომლობითი სწავლების მოდელში მასწავლებლის როლი გადაინაცვლებს და უახლოვდება ფასილიტატორის როლს. ნაცვლად იმისა, რომ გამოიკითხოს ერთი მოსწავლე ერთ ჯერზე, მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ სასწავლო მასალა განიხილებოდეს ჯგუფებში. იზრდება ინტერაქციის დონე და მონაწილეობა იწვევს ჩართულობას. მოსწავლეები სწავლობენ ერთმანეთისგან უფრო მეტად, ვიდრე მხოლოდ მასწავლებლისაგან. შედეგად, მოსწავლეთა მიღწევები იზრდება.

4. მოიწვიე ექსპერტები საკლასო ოთახში

დროა თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს – მასწავლებლები შეუძლებელია იყვნენ ექსპერტები ყველაფერში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს შეუძლებათ, მოსწავლეები მარტივად დაიკარგებიან მონოგრაფიაში, რაც გამოწვეულია ერთი და იმავე ადამიანის მოსმენით ყოველდღე. ამ დაბრკოლების დაძლევის საუკეთესო გზა, როცა საგაკვეთილო პროცესში როულ მასალას ვაწყდებით, გარე ექსპერტის მოწვევა.

მოწვეულ სტუმრებს შეუძლიათ არა მხოლოდ განსხვავებული პერსპექტივა შესთავაზონ მოსწავლეებს, არამედ შეუძლიათ შეცვალონ ის ტემპი, რომელსაც თქვენი მოსწავლეები მიჰყებოდნენ. დამატებითი სარგებელი? კავშირი რეალურ ექსპერტებთან ამა თუ იმ სფეროში მისცემს მოსწავლეებს საშუალებას ახლებურად დაინახონ თუ რა განსხვავების მოტანა შეუძლია მათ ყოველდღიურ სწავლას საკლასო ოთახის კედლებს გარეთ.

მოიწვიეთ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი თქვენს საკლასო ოთახში, რათა დაგეხმაროთ, რომ განიხილოთ თუ როგორ მიიღება კანონები; ან ნიჭიერი ავტორი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს გააცნობიერონ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ცხოვრებისეული გამოცდილებების სიტყვებით მართებულად გადმოცემა ფურცელზე.

თუმცა, ეს ყველაფერი სათქმელად ადგილია, ძნელად შესასრულებელია – ყველა მასწავლებელს არ აქვს კავშირი ამა თუ იმ სფეროს ექსპერტთან. ამ პრობლემას ადგილად

მოვაგვარებთ, თუ შევუერთდებით ისეთ ონლაინ პლატფორმას, როგორიცაა Nepris – ის ვირტუალურად აკავშირებს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ყველა სფეროს პროფესიონალთან. მოსწავლეებს შეუძლიათ პირდაპირ იურთიერთონ ექსპერტებთან და კომპანიებთან მთელს მსოფლიოში. (<https://www.nepris.com/home/v4>)

მზად ვართ ჩავწერეთ 21-ე საუკუნის მოსწავლეების სამყაროს? 21-ე საუკუნის სწავლის მამოძრავებელი ძალა არის ფოკუსირება ჩვენი მოსწავლეების მოსამზადებლად თანამედროვე სამყაროში წარმატების მისაღწევად. რადგანაც ეს სამყარო დღევანდელ ციფრულ ხანაში სწრაფად იცვლება, მოსწავლეთა საჭიროებებიც შესაბამისად ასეთივე სისტრატეგით იზრდება. ზემოთ აღნიშნული სწავლების სტრატეგიები სწორად მასწავლებელთა დასახმარებლადაა გამიზნული, რათა მათი გაძვეთილები გახდეს უფრო მიმზიდველი და პროდუქტიული თანამედროვე მოსწავლეებისათვის.

ლიტერატურა

1. ესგ 2018-2024 სასწავლო წლები
2. იმედაძე ნ, ფარჯანაძე დ, მირიანაშვილი მ, გორდელაძე ნ. - ეფექტიანი სწავლება, 2010

Megi Shalikiani-Skhiereli

Innovative teaching strategies for planning lessons

Abstract

One of the most important challenges of modern study space is innovative teaching strategies for planning lessons. The purpose of this article is to demonstrate the need for elaborating the methodology for the modern student's growing interest and implementing it for the success of the student. The relevant activities and the integration process aimed at student oriented learning increase students' interaction and develop a model of cooperative learning.

რეცენზენტი: პროფ. ლ. ჩერნოვატი

კულტუროლოგია Культурология Kulturologhy

ნათია ბლიაძე

ქუთაისი, საქართველო

გზა ტრიუმფისაკენ
(თ. აბულაძის თვილმი „მონანიება“)

ხტატია ეხება ე. წ. „ბოროტების იმპერიის“ ეპოქაში შექმნილი ქართული კინოშედევრ „მონანიების“ ტრიუმფალურ სკლას, მსოფლიო კინოკრანებზე. მისთვის უმაღლეს კინოაკადემიათა მიერ მინიჭებულ უამრავ ჯილდოს, ფილმს, რომელმაც ჩვენს პატარა სამშობლოს მსოფლიო ასპარეზზე გაუთქვა სახელი, მსოფლიო კინემატოგრაფიის ისტორიას კი არ ახსოვს შემთხვევა, რომ ფილმს ოდესაში ისეთი პოლიტიკური აქტორები გამოეწვიოს, როგორც „მონანიებას“. ამ ფილმმა გადაღებიდან კარგა ხნით კინოარქივის თაროზე დაიდო ბინა და რომ არა მისი მოხვევური პრემიერა, შესაძლოა, მაყურებლისათვის იგი დღესაც ტაბულადებული ყოფილიყო. ეს არის ფილმი „ვარლამიზმაზე“, როგორც ზოგადად კაცობრიობის სენზე. „ვარლამიზმი“ კი - ძალადობა, შურია, დაბეზღებაა, შეუწენარებლობაა. თუმცა, გულმხევრვალე კედრებითა და მონანიებით, შეიძლება მოშემება იმ წელებისა და იარებისა, რაც საუკუნეთა მანძილზე მიაყენა ბოროტებამ კაცობრიობას.

კანის მე-40 საერთაშორისო კინოფესტივალის სამი პრიზი: ქუთაის მთავარი სპეციალური პრიზი, კათოლიკური ეკლესიის ქიურის პრიზი ჰუმანიზმისათვის და კინოპრემიის საერთაშორისო ფედერაციის პრემია - ფიპრესი", გარდა ამისა, პრიზები ჩიკაგოსა და ჰუგესუნის საერთაშორისო კინოფესტივალებზე და იტალიის კინემატოგრაფისტთა ეროვნული ასოციაციის პრემია საუკეთესო საზღვარგარეთული ფილმისათვის, ეს იმ ჯილდოთა არასრული ნუსხაა, რომელიც რეჟისორ თენგიზ აბულაძის ფილმ „მონანიებას“, ერგო და რომლითაც სრულდება კიდეც მისი კინოტრილოგია. თავად რეჟისორს 1988 წელს ლენინური პრემია მიანიჭეს.

„მონანიების“ პირველი ჩვენება ტრიუმფით გაიმართა მოსკოვში. 2014 წელს კი ფილმს 30 წელი შეუსრულდა.

მკითხველს ვთავაზობთ ინტერვიუს მცირე ამონარიდს ფილმის სცენარის თანაავტორთან, ბატონ ნოდარ წულეისკირთან:

- კინოსცენარი ისეთი მძაფრი არ არის, როგორც ჩემი რომანია, მაგრამ „მონანიება“ ხალხში დღემდე პოპულარულია, რაც უდავოდ რეჟისორისა და მსახიობების დიდი დამსახურებაა.

- თქვენ, დისიდენტურად განწყობილ ადამიანს, როგორ მოგცეს ფილმზე მუშაობის საშუალება? ეს არ იცოდნენ ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა, თუ იცოდნენ და თვალი დახუჭებ?

- დღეს კომიკურიც კია ის ვითარება, რომელშიც ამ კინოსცენარის გამო მე და ოქნგიზი აღმოვჩნდით. სასაცილოა ფარული შეხვედრების გახსენება „მზიურში“ სცენარზე მუშაობისას, ჩემი სახელისა და გვარის დამალვა, ვინაიდან დისიდენტად მივიჩნეოდი, მაშინდელმა ცეკას მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ თავიდანვე იცოდა სიმართლე და საქმის ვითარება, ვფიქრობ თვალები დახუჭებს მარტივი მიზეზის გამო - სიუჟეტი მოეწონათ.

- ეს ფილმი საბჭოთა ჩინოვნიკების ერთგვარი სარკეა, როგორ დაგთანხმდნენ ფილმის გადაღებაზე?

- უთუოდ თენგიზ აბულაძის ავტორიტეტის გამო დაგვრთეს ნება, ალბათ ჩათვალეს, რომ კარგი სიუჟეტისა და ცნობილი რეჟისორის თანხვედრა წარმატებლი ფილმს შექმნიდა.

- საზოგადოების უდიდესი ნაწილი ვარლამ არავიძეს ლავრენტი ბერიას პროტოტიპიდ მიიჩნევს, რასაც კატეგორიულად არ ეთანხმება ბერიას ვაჟი, ეს ასეა თუ ვარლამ არავიძე საბჭოთა ჩინოსნების კრებითი სახეა?

- ვარლამ არავიძე არა მარტო საბჭოთა ჩინოვნიკთა კრებითი სახეა, ის უფრო მასშტაბური პერსონაჟია, არამზადა სახელმწიფო მოხელე, რომელიც ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ სახელმწიფოში შეიძლება გაჩნდეს.

- თავად ნაწარმოებს ფილმისაგან განსხვავებით სახელად ჰქონდა „აფთარი“.

- დიახ, რადგან ამ მხეცში ვგულისხმობდი ადამიანის სახედაკარგულ ვარლამ არავიძეს, რომანი ნამდვილად ამართლებს სახელს - გააფთორებული ნაწარმოებია.

- ხომ არ გწყდებათ გული, რომ ბევრმა არ იცის ფილმის სცენარის თანაავტორი რომ თქვენ ხართ?

- საქმე ის არის, რომ სცენარი მრავალჯერ შეიცვალა, ასცდა ჩემი რომანის სიუჟეტურ ხაზს და სცენარის თავდაპირველ ვარიანტს, თუმცა ძირითადი ნაწილი დარჩა. რომანი უკვე მეორედ გამოქვეყნდა და სწორედ ისეთია, როგორიც უნდა ყოფილიყო.

ამბობენ, საკუთარ ფილმებს იშვიათად უყურებდა, ყველაზე მეტჯერ „ვედრება“ ჰქონდა ნანახი, მის ამ თუ სხვა ფილმებს უურადღება არასოდეს აკლდა, თუმცა ისეთი აღიარება და წარმატება, როგორიც თენგიზ აბულაძეს „მონანიების“ ეკრანზე გამოსვლამ მოუტანა, საბჭოთა რეჟისორთაგან ცოტას თუ ერგო. 31 იანვარი მისი დაბადების დღეა, 2014 წელს რეჟისორს დაბადებიდან 90, ხოლო „მონანიების“ გადაღებიდან 30 წელი შესრულდა.

ფილმი უკვე გადაღებული იყო, თუმცა დრამა ეკრანებზე მოგვიანებით გამოვიდა. მის სიუჟეტურ დერძად შემთხვევით მოსმენილი ამბავი იქცა, თუმცა სცენარის გარშემო რამდენიმე ვერსია გავრცელდა, ერთის მიხედვით, თენგიზ აბულაძეს პოლიტიკური

რეპრესიების თემაზე სურათის გადაღება სურდა და საამისო მასალას ეძებდა, როცა ერთ დღეს, ქუჩაში, მარტვილიდან ახალდაბრუნებული მწერალი ნოდარ წულეისკირი შეხვდა და უამბო, რომ სოფლის ერთმა მაცხოვებელმა კაცმა თანასოფლელი პროკურორის ცხედარი საფლავიდან რამდენჯერმე ამოთხარა და ჭირისუფლის ჭიშკართან მიაყუდა.

მან ამ გზით იძია შური მის ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის მთავარ გმირზე. ეს ფაქტი რეალურად მოხდა საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში.

მეორე გერსიით კი, ეს ამბავი რეჟისორმა ხაშურში სუფრასთან მოისმინა, ფაქტი ისაა, რომ ამბავმა რეჟისორი იმდენად შეძრა, რომ მან ამ ისტორიის გავრცობა და მისთვის პოლიტიკური ელიტერის მიცემა გადაწყვიტა. სცენარზე მუშაობას იგი დრამატურგ რეზო კვესელავასა და თავის რძალთან, რეჟისორ ნანა ჯანელიძესთან ერთად შეუდგა.

ფილმის სცენარის პირველი ვარიანტი რეჟისორმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძეს წააკითხა და გადაღებაზე თანხმობაც სწორედ მისგან მიიღო. აქვე დავძენო, რომ იმსანად ყველა სცენარს დასამტკიცებლად მოსკოვში აგზავნიდნენ.

„მონანიების“ სცენარის დამტკიცების შანსი ნულის ტოლი იყო. ედუარდ შევარდნაძის აქტიური ჩარევის შედეგად, „მონანიება“ საქართველოს ტელევიზიის ფილმად გაფორმდა და მოსკოვში გაგზავნას გადაურჩა. საქართველოს უშიშროების კომიტეტში „მონანიების“ შესახებ მაშინ შეიტყვეს, როცა ფილმის დიდი ნაწილი უკვე გადაღებული იყო. ეს მაშინ მოხდა, როცა ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელმა გეგა კობახიძემ 1983 წელს მეგობრებთან ერთად თვითმფრინავის გატაცება სცადა, ის ფილმში თორნიკე არავიძის როლზე იყო დაკავებული, მაგრამ „თვითმფრინავის ბიჭების“ ცნობილ საქმეზე გეგას დაკავების გამო გადაღები შეჩერდა.

როდესაც მის სახლში ჩერეკა ჩატარეს, უშიშროების თანამშრომლებმა „მონანიების“ სცენარი იპოვეს. ალექსი ინაურმა შევარდნაძეს მაშინვე წერილი მისწერა, სადაც აღნიშნავდა, რომ თენგიზ აბულაძე ანტისაბჭოთა ფილმს იღებდა, სცენარი უნდა განადგურებულიყო, რეჟისორი დაპატიმრებასაც კი ელოდა, მაგრამ გადაურჩა თავადაც და... ფილმიც განადგურებას.

შემდეგში ეს როლი გეგაზე რამდენიმე წლით უმცროსმა მერაბ ნინიძემ ითამაშა. მისთვის ეს ერთგვარ ტრამპლინად იქცა პროფესიაში, ერთგვარ სავიზიტო ბარათად, რადგან მერაბის ნათამაშებს დაღებითი შეფასებები მოჰყვა, დედამისის გულიკოს როლი ია ნინიძემ შეასრულა, ზეინაბ ბოცვაძემ კი ქეთევან ბარათელის სახე მოირგო.

ფილმის დასრულება კი მოხერხდა, მაგრამ „მონანიების“ დიდ ეპრანებზე გაშვების ნებართვას საბჭოთა სელისუფლება არ იძლეოდა, თუმცა როცა ეს დღეც დადგა და ფილმი კინოეკრანებზე გამოვიდა, ეს ფაქტი არა მარტო კულტურულ, არამედ პოლიტიკურ მოვლენადაც იქცა. კინოთვატრები მაყურებელთა სიმრავლეს გერ აუდიოდა, ფილმის ნახვის მსურველთა რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა - წესრიგის დასაცავად საგანგებო ზომებს იღებდნენ.

როდესაც მოსკოვში „მონანიების“ პირველი ჩვენება მოეწყო, კინოდარბაზს ცხენოსანი პოლიცია იცავდა. ჩვენებიდან გამოსული მაყურებელი რეჟისორს კინოდარბაზის კარებთან ხვდებოდა და მადლიურების ნიშნად ხელზე კოცნიდა. „მონანიების“ დიდ ეკრანზე გამოსვლის შემდეგ თენგიზ აბულაძე საბჭოთა კავშირის ყველაზე პრესტიული ჯილდო - ლენინური პრემიით დაჯილდოვეს.

ფილმში ყველა კადრით გაკრიტიკებულია საბჭოთა რეჟიმი და ამ რეჟიმს აყოლილი ხელისუფლების პირები, ისინი, ვისი ძალითაც საქართველოში მოისპონ ნამდვილი პატრიოტი, ხელოვანი და მორწმუნე ადამიანი. ფილმში გამოკვეთილია ჩატეხილი ხიდი წინაპრებსა და შთამომავლობას შორის, ხიდი, რომელიც ვეღარ უძლებს ცოდვათა სიმძიმეს, ცოდვების, რომლებსაც ჩვენ გადავცემთ საკუთარ შთამომავლობას, ამის დასტურია ფილმის ტრაგიკული დასასრული, იმ ერთადერთი ფესვის მოსპობა, რომელიც ვარლამ არავიძემ დატოვა, (თორნიკე, მსახ. მერაბ ნინიძე). მაყურებელზე სულის შემძვრელად მოქმედებს ბოლო კადრი - ზარი მთავარი გმირის კარზე და მოხუცი ქალი, რომელიც ეკლესიის გზას კითხულობს. ამ კადრში უდიდესი ემოციითაა აღბეჭდილი რელიგიასთან მებრძოლი ადამიანების სიცოცხლის ამაოება, რამეთუ რაღაა სიცოცხლე იგი, თუკი მისი ბოლო არ არის გზა უფლისა, ეს ფილმი უნდა ნახოს ყველამ, რადგან მისგან წამოსული უდიდესი მუხტი ადამიანს ზრდის რამდენიმე წლით, გაფიქრებს იმაზე, რაზეც არასდროს გვიფიქრია: რანი ვართ და საით მივდივართ, როგორები არ უნდა ვიყოთ და როგორ უნდა შევინარჩუნოთ საკუთარი ადამიანობა, თუნდაც სიკვდილის ფასად, ის კი, ვინც ტკივილი მოგვაყენა, ვინც გაგვწირა, ვერ გაუძლებს დროს, დროს, რომელიც თავად მას სულიერად დაჯაბნის.

„ხელოვანი - წინასწარმეტყველი უნდა იყოს, იგი უნდა გრძნობდეს, როგორ განვითარდება ისტორია, რა მოხდება ამ სამყაროში? ამბობდა სერგეი ეიზეშტეინი, თენგიზ აბულაძემ მართლაც იგრძნო „კაცობრიობის სატკივარი“, ალბათ ამიტომაც მისმა „მონანიებაში“ ხელახლა გაუთქვა სახელი ქართულ კინოხელოვნებას. ამ ფილმში სიმართლეს მოწყურებულმა ადამიანებმა კონკრეტული, საკუთარი სისხლით გამოვლილი ისტორიული წარსული დაინახეს და თავიანთი ბედი შეიცნეს ეკრანზე.“

„მონანიების“ პრემიერით, მართლაც დაიწყო ახალი ეპოქა - „ბოროტების იმპერიის“ ნგრევის ეპოქა, მისი ტრიუმფიდან ამდენი წლის გასვლის შემდეგ კი, საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

ხშირად მიფიქრია, რომ ადამიანები, ვინც დინების საწინააღმდეგოდ მიდიან, ყველაზე საინტერესონი არიან კაცობრიობის ისტორიაში. იმაზეც მიფიქრია, რომ შეიძლება სხვებისათვის თავისუფლების მიღწევას სულაც არ დასჭირებულია იმდენი თავგანწირვა, სისხლი თუ ცრემლი, რამდენიც ქართველებმა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად საუცუნების მანძილზე გაიდეს. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ სულ ვიბრძვით და მოვიპოვებთ, მაგრამ ყოველთვის ვკარგავთ და მერე თავიდან ვიწყებთ.

უკვე მერამდენედ ვიწყებთ და არც გვბეზრდება და მგონი, იმიტომ რომ ყველაფრის მიუხედავად, ის ხალხი ხვდება, შინაგანი ინტუიციით მაინც, რომ თავისუფლებაზე ძვირფასი ამ სამყაროში მაინც არაფერი არსებობს.

Natia Bliadze

"Repentance" Nin the video and beyond the scene

Abstract

The article refers to triumphal movements of the Georgian masterpiece film "Repentance" created in the epoch of "Evil Empire" on world screen. It received a lot of prizes awarded by the highest film academies that made our little homeland famous. The history of world cinematography does not remember the film with such a big political agitation as "Repentance". After filming, it was kept on the shelves of the movie archives and if not its Moscow premiere, it might have been taboo for the audience today. This is the film about "Varlamism" as in general humanity. "Varlamism" is – violence, jealousy, spying and intolerance. However, with heartfelt prayers and repentance, it is possible to heal those ulcers and traps that have been caused by evil for centuries.

რეცენზენტი: პროფ. ა. არველაძე

კულტუროლოგია Культурология Kulturologhy

რესუფან გოგოხია

თბილისი, საქართველო

ენა კულტურათაშორის ურთიერთობებში

ყველა მულტიკულტურულ ურთიერთობაში ერთი ადამიანი მაინც საუბრობს მეორე ენაზე. ამგვარად, შეუძლებელია ყველა სცენარის განხილვა, სადაც ყველა მონაწილე მხარე ენის საშუალებით უგებს ერთმანეთს. ენას დიდი მნიშვნელობა აქვს: 1. ინტერპერსონალურ ურთიერთქმედებაში; 2. ინტერპერეტაციასა და თარგმნაში; 3. კულტურათაშორის ქორწინებაში; 4. საკომუნიკაციო ტექნიკა და ენა.

1.ინტერპერსონალური ურთიერთქმედება

როცა სხვადასხვა კულტურის ადამიანებს აქვთ კომუნიკაცია, ერთი მათგანი მაინც არის ისეთი, რომელიც არ საუბრობს მშობლიურ ენაზე. მიუხედავად იმისა, არის თუ არა მეორე ენა სრულყოფილი, მაინც არსებობს გაუგებრობის რისკი. ამიტომ, არამშობლიურ ენაზე მოსაუბრესთან კომუნიკაციის დროს, გაუგებრობის რისკის შესამცირებლად აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში გარკვეული საკითხები.

ყურადღება. კულტურათაშორისი ურთიერთობების დროს, მნიშვნელოვანია ვიყოთ ყურადღებიანები. ეს ითვლება ახალი კატეგორიების შექმნის, ახალი ინფორმაციის ათვისების საშუალებად და ვაანალიზებთ გაიგო თუ არა მეორე ადამიანმა ჩვენი ხედვები. ახალი კატეგორიების შექმნა გულისხმობს იმ კლასიფიკაციის საზღვრებიდან გადახვევას, რომელსაც შეიძლება წლების განმავლობაში ვერდნობოდით. მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ ვიდაც ჩავთვალოთ უბრალოდ აზიელად, სჯობს კლასიფიცირება მოვახდინოთ ისეთი ნიშნებით როგორიცაა სქესი, ასაკი, რელიგია, ეროვნება და ა.შ. ახალი ინფორმაციის კარგად ათვისებით კი ვიგებთ ისეთ ელემენტარულს, როგორიცაა მაგალითად ის, რომ ვიდაცისთვის ძაღლის ხორცი დელიკატესია, ან იმას, რომ სახლში ფეხსაცმლით არ დადიან. ეს ყველაფერი შეიძლება ისეთივე გაუკვეველი იყოს, როგორც ის, თუ რატომ ითვლება ვიდაცისთვის მიუღებლად მთავრობის მოქრთამვა ან ოჯახის წევრებისთვის ტიტულების მინიჭება.

მეორე ენაზე საუბარი მოითხოვს უფრო მეტი შეგნებით საუბარს, ვიდრე მშობლიურ ენაზე საუბარი. მეორე ენაზე მოსაუბრე, უფრო ყურადღებით უსმენს სხვას, თუ რა და როგორ თქვა და ფიქრობს, როგორ უპასუხოს. ენის სრულყოფილად ცოდნის მიხედვით, მეორე ენაზე მოსაუბრეს ზოგჯერ უწევს, რომ მოსმენილი გონიერაში თარგმნოს მშობლიურ ენაზე, გასცეს აასუხი მშობლიურ ენაზე, თარგმნოს შემდეგ ის მეორე ენაზე და ასე უპასუხოს. სირთულე იმატებს, თუ მოსაუბრების აქცენტი განსხვავებულია. მაგალითად, თუ პიროვნებას ნასწავლი აქვს ავსტრალიური ინგლისური და ამერიკულ ინგლისურად მოსაუბრესთან აქვს კომუნიკაცია, რომელიც არის ნიუ იორკიდან და იყენებს ჟარგონებს, საუბრობს სწრაფად, გაგების პრობლემა საქმაოდ დიდია. მეორე ენაზე მოსაუბრე უფრო მეტად უპირისპირდება გონებრივ სამუშაოებს, ვიდრე მშობლიურ ენაზე მოსაუბრე. ეს პროცესი იწვევს როგორც გონებრივ, ასევე ფიზიკურ დაღლას. აქედან გამომდინარე, არსებობს რაღაც საფეხურები, რომელიც უნდა გავიაროთ კომუნიკაციის პრობლემების შესამცირებლად.

საუბრის ტემპი. ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც მშობლიურ ენაზე მოსაუბრესთან გახვდება არის სწრაფად საუბარი. მაგალითად, თუ შეხება გააქვს ინგლისურთან, როგორც მეორე ენაზე მოსაუბრესთან, ავტომატურად ვერ ჩავთვლით, რომ მისი საუბარი იქნება სრულყოფილი. ამიტომ, სანამ მის დონეს დავადგენთ, უმჯობესია თუ ვისაუბრებთ იმაზე ნელა, ვიდრე ჩვეულებრივ. მოსაუბრისგან წამოსული უკუკავშირით, შეგვიძლია ეს სისწრაფე სწორად დავარეგულიროთ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მას ვუყეროთ პირდაპირ, ეს დაგვეხმარება გაგებაში.

ლექსიკა. მეორე ენაზე მოსაუბრის ლექსიკის დონის განსაზღვრა ასევე მნიშვნელოვანია. სანამ მის შესაბამის შესაძლებლობას არ დავადგენთ, თავი ავარიდოთ პროფესიონალურ ლექსიკას, აკრონიმებს. მეტაფორებმა, ჟარგონებმა, ხალხურმა, სალაპარაკო გამოთქმებმა შეიძლება ხელი შეუშალოს გაგებას. ასევე, უნდა დავამატოთ, რომ იუმორი არ ზიარდება კულტურებს შორის. რაც ერთისთვის ითვლება სასაცილოდ, მეორისთვის შეიძლება აღმოჩნდეს შეურაცხმყოფელი.

არავერბალურ უკუკავშირზე დაკვირვება. მეორე ენაზე მოსაუბრესთან, ყურადღებით უნდა ვიყოთ არავერბალური აასუხების მიმართ. ეს მიგვანიშნებს ჩვენი საუბრის ტემპზე, გამოყენებულ ლექსიკაზე, ისევე როგორც იმაზე, გაიგო თუ არა მან ჩვენი ნათქვამი. კულტურათა განსხვავებების ცოდნა ამ საკითხშიც მნიშვნელოვანია. მაგალითად, თუ იაპონელი იცინის ჩვენს ნათქვამზე, რომელიც არ არის სასაცილო, მივხვდებით, რომ მან ეს ვერ გაიგო. ამასთანავე, არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკეს ვერ მოვთხოვთ ჩვენთვის ჩვეულ არავერბალურ პასუხებს. თუ შორს დგას, შემოიფარგლება დიმილით, თავს არიდებს თვალით კონტაქტს, ეს შეიძლება ნორმალური იყოს მისი კულტურისთვის.

შემოწმება. შემოწმებაში იგულისხმება ის ზომები, რომელიც დაგვეხმარება დავრწმუნდეთ, რომ პარტნიორმა გაიგო ჩვენი შეტყობინებები. თუ შევნიშნავთ, რომ გაგება გაუჭირდა, ვუთხრათ „სხვაგვარად გეტყვით“ და შევცვალოთ ფრაზა. ეს გავაკეთოთ დაქვემდებარებულის პოზიციიდან. მაგალითად, ნაცვლად კითხვისა „გაიგეთ?“ ჯობია

ვუთხრათ, „უფრო გასაგებად ვიტყვი“. ამ დროს საქუთარ თავზე ვიღებთ პასუხისმგებლობას და ვიცილებთ მეორე პიროვნების შესაძლო დაბნეულობას. გადამოწმების კიდევ ერთი ხერხია იმ სიტყვების დაწერა, რომლის გამოთქმასაც ვცდილობთ, რადგან ზოგის კითხვითი უნარები, სმენითზე უკეთესია.

2. ინტერპრეტაცია და თარგმნა

გლობალურ სამყაროში მზარდია ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის საჭიროება. გაერო იყენებს 6 ოფიციალურ ენას: არაბულს, ჩინურს, ინგლისურს, ფრანგულს, რუსულს და ესპანურს ყველა შეხვედრასა და დოკუმენტაციაში. იმისათვის, რომ გაერომ წარმართოს კომუნიკაციები 23 სხვადასხვა ენაზე, არსებობს სპეციალური ხელმძღვანელობა (directorate general for translation and a directorate general for interpretation).

ტერმინი თარგმნა გამოხატავს შეტყობინებების, ჩანაწერი იქნება ეს თუ სიტყვიერი, ერთი ენიდან მეორეთი შეცვლას. როცა საქმე გვაქვს პროფესიულ კონტექსტან, როგორიცაა მაგალითად საერთაშორისო ურთიერთობები ან ბიზნესი, თარგმნა გულისხმობს წერილობით შეტყობინებებზე მუშაობას. ეს ყველვერი მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების სამუშაოში, რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ ინფორმაციის ნაკადებს ორ ან მეტ ენაზე.

ინტერპრეტაცია. თანამედროვე საზოგადოებაში თარჯიმნის არსებობა უფრო და უფრო ჩვეულებრივი ხდება. აშშ-ში თარჯიმნის სერვისი ნორმალურია ჯანმრთელობაზე ზრუნვის ცენტრებში, სასამართლოს სხდომათა დარბაზში, ბიზნეს კონფერენციებზე და საკლასო ოთახებშიც კი. სატელევიზიო სიახლეებში ხშირად აჩვენებენ საერთაშორისო შეხვერების მონაწილეებს ყურსასმენებით. თარგმნა ყურსასმენებით ხდება თუ თარჯიმნის დახმარებით, მიანიშნებს ეს პროცესი სიმულაციურია თუ თანმიმდევრული.

თანმიმდევრული უფრო მეტად გამოიყენება ბიზნეს შეხვედრებზე ან პატარა, არაფორმალურ შეკრებებზე. ამ მეოთხით მოსაუბრე ლაპარაკობს ცოტახნით, შემდეგ ჩერდება და თარჯიმანს აძლევს შეტყობინების გადაცემის საშუალებას. სიმულაციური მიმდინარეობს აუდიო ალტურვილობით. ამ დროს მოსაუბრე არ ჩერდება, ამიტომ თარჯიმანს უწევს უწყვეტად მოსმენა და საუბარი. ორივე მეთოდში, ორივე ენის სრულყოფილად ცოდნა მნიშვნელოვანია, ისევე როგორც მოსაუბრის ხმაში ემოციური რეაგების გაგება, რომელიც შეიძლება კულტურების მიხედვით განსხვავდებოდეს.

თარგმნა. მთარგმნელის ამოცანაა ერთ ენაზე არსებული ტექსტის მეორე ენაზე გადათარგმნა. ტექსტები შეიძლება განსხვავდებოდეს, არსებობს ოფიციალური სამთავრობო დოკუმენტები, სამეცნიერი ნაშრომები, ნოველები და პოეზიაც კი. თარჯიმანს მოეთხოვება, იყოს კარგად გათვითცნობიერებული და ფლობდეს ამომწურავ ლექსიკას ამა თუ იმ სფეროში. ზოგიერთი დავალება მოითხოვს კულტურულ ნიუანსებში გარკვევას, როგორც ქვევაში, ასევე ენაში. თუ იაპონურ ნოველას ვთარგმნით ინგლისურად, თარჯიმანი უნდა ერკვეოდეს თანამედროვე სასაუბრო ენასა და უარგონებში. მაგალითად „american dog“-ის ავსტრალიური ვერსია იქნება „agwood dog“, ხოლო ამერიკული ინგლისურით „corn dog“.

მექანიკური თარგმნის ინტერესი იზრდება კომპიუტერულ ერაში. ენათა გრამატიკის, წინადაღების სტრუქტურის და კულტურის სხვადასხვაობა ამ პროცესს აფრთხობს. მიუხედავად იმისა, რომ მექანიკურმა თარგმნამ შეამცირა რუტინული თარგმნა, ის უახლოეს მომავალში მაინც ვერ ჩაანაცვლებს თარჯიმნებს.

3. კულტურათაშორისი ქორწინება

კულტურათაშორისი ქორწინება იზრდება მსოფლიოს მასშტაბით. ქორწინებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა არსებობს, თუმცა, როდესაც ორი სხვადასხვა კულტურის ადამიანი ქმნის ოჯახს, ჩნდება დამატებითი პრობლემები. ზოგიერთი გადაწყვეტილება მშვიდად მიიღება, მაგალითად თუ რა მიირთვან, სად იცხოვონ, რომელი დღესასწაულები აღნიშნონ. სხვა არჩევანი შეიძლება უფრო პრობლემატური იყოს, როგორიცაა მაგალითად გენდერულ როლთან დაკავშირებული კულტურული სხვაობები, დირექტულებები, შეხედულებები, სოციალური ქცევები, ბავშვის აღზრდის საკითხები, ოჯახური ურთიერთობები, და ძალიან ბევრი სხვა რამ. როგორც ნებისმიერ ქორწინებაში, კომუნიკაცია არის ამ გამოწვევებთან გამკლავების და შეთანხმების მიღწევის გასაღები. თუმცა, უფასტური კომუნიკაციისთვის, წყვილი უნდა გაუმკლავდეს ენობრივ პრობლემებს.

ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილებაა, თუ რომელ ენაზე უნდა ჰქონდეთ კომუნიკაცია. თუ თითოეული არ ფლობს სრულყოფილად მეორის მშობლიურ ენას, ამან შეიძლება წარმოშვას იდენტობასა და ძალაუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები, ისევე როგორც გაურკვეველი ყოველდღიური კომუნიკაციები. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება გამოიყენონ მესამე ენა, რომელიც მათვის საერთოა. თუ, მაგალითად, ქმარი არის გერმანელი, ხოლო ცოლი ესანელი და არც ერთი საუბრობს მეორის ენაზე, მათვის შეიძლება ოპტიმალური იყოს მესამე ენა, ფრანგული ან ინგლისური. ძალაუფლებების დისბალანსი შეიძლება წარმოშვას მხოლოდ ერთი მათგანის შესაძლებლობამ, ისაუბროს მეორე ენაზე. ასეთ შემთხვევებში, არამოსაუბრე შეიძლება იძულებული გახდეს იყოს მამაკაცზე დამოკიდებული, რომელიც გავლენას ახდენს საკუთარი თავის პატივისცემასა და იდენტობაზე.

კიდევ ერთი პოტენციური პრობლემა იმის განსაზღვრა, თუ რომელ ენას გამოიყენებენ ბავშვის აღზრდისთვის. ერთი მშობლის ენის შემთხვევაში, მეორის კულტურა მეორეხარისხოვანი ხდება. ბევრ მსგავს ქორწინებაში, ეს პრობლემა გადაიჭრა სტრატეგიით „1 მშობელი-1 ენა“. ეს ნიშნავს, რომ თითოეული თავის ენაზე, ან მესამე შერჩეულ ენაზე ესაუბრება ბავშვს. ამ დროს ბავშვი აღიზრდება ორ ენაზე, ხდება ორ ენაზე მოსაუბრე და ორივე მშობლის კულტურა აღიარებული და მიღებულია.

თანამედროვე ტექნოლოგიურმა კომუნიკაციებმა ხალხს მარტივი კავშირის საშუალება მისცა, როგორც ხმოვანი, ასევე ტექსტური შეტყობინებებით. ინტერნეტი ეხმარება ხალხს, შორ მანძილზე ჰქონდეთ კომუნიკაცია სხვადასხვა კულტურებთან, თუმცა მათ უნდა ისარგებლონ საერთო ენით.

ინტერნეტის მომხმარებლებს შორის ინგლისური ყველაზე გავრცელებული ენაა. ამან გახადა ინგლისური დომინანტ მსოფლიო ენად. ამის 2 მთავარი მიზეზი არის: 1. ეს სისტემა ჩაისახა აშშ-ში, შესაბამისად შეიქმნა ინგლისურენოვანებისთვის; 2. ინგლისური არის

სამეცნიერო და აკადემიური გამოცემების ენა. მიუხედავად ამისა, სხვა ენების თანაარსებობაც იზრდება. აშშ-ს მოსახლეობის 72%-ზე მეტი ინტერნეტის მომხმარებელია, ეს ნიშავს, რომ 220 მილიონზე მეტი ამერიკელი ონლაინშია. 2008 წლის ივნისში, ჩინეთმა ამერიკას გადააჭარბა ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვით, 253 მილიონი მომხმარებელით. ეს ჩინეთის მოსახლეობის მხოლოდ 19%-ია. ეს მიანიშნებს, რომ მომავალში ჩინური გაბატონდება ინტერნეტის ენად. ინდოეთი კი, მოსახლეობის 5%-იანი წვდომით ინტერნეტთან, შეიძლება მომავალში გახდეს ლინგვისტური ვებსივრცის კიდევ ერთი ელემენტი.

როგორც დასავლურმა მასმედიამ, ტელევიზიამ, მუსიკამ, ვიდეომ, გაზარდა ინგლისურზე ზემოქმდება, ასე მოხდა ინტერნეტის საკითხშიც. შესაძლებელია, არის მსოფლიოს უდიდესი ენების ოლიგარქია: ჩინურის, ესპანურის, ინგლისურის, არაბულის, ინდურის, რუსულის. თითოეული მათგანი დომინანტურია თავის რეგიონში. ენების ასეთი განხილვის შემდეგ, ვნახავთ იმ პრობლემების მაგალითებს, რომლებიც კომპიუტერით კომუნიკაციისას გვხვდება.

4. საკომუნიკაციო ტექნიკა და ენა

ინტერნეტით კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმა არსებობს: ბლოგები, ჩატები, სკაიპი, სოციალური ქსელები, ელ.ფოსტა. ეს უკანასკნელი ჩვეულია კორპორაციული სამყაროსთვის, რითაც დასაქმებულები შეტყობინებებს აგზავნიან სხვა ქვეყანაში, სხვა შტატში, ან თუნდაც იმავე ოთახში. ელ.ფოსტით კონტაქტისას შეიძლება წარმოიშვას შინაარსის პრობლემა, რაც მნიშვნელოვანია ზოგიერთი კულტურისთვის. ზოგიერთმა იაპონელმა შეიძლება ჩათვალის, რომ ელ.ფოსტა უზრუნველყოფს ანონიმურობას, რაც ხალხს უბიძგებს ყოველდღიური, ჩვეულებრივი ენის გამოყენებისკენ. ზოგიერთ შემთხვევაში, პირდაპირობა ქმნის კონფლიქტს თანამშრომლებს შორის. ინტერნეტის ანონიმურობა ისლამურ ტრადიციულ ბარიერებს სხის, უფრო თავისუფალს ხდის, თუნდაც საპირისპირო სქესთან ურთიერთობას.

კომპიუტერულმა კომუნიკაციებმა გაამარტივა და უფრო სწრაფი გახადა ურთიერთობა, თუმცა ამან შეიძლება გამოიწვიოს პრობლემები მულტიკულტურულ ორგანიზაციებში. პრობლემები იმატებს, როდესაც რაღაც საკითხზე შეტყობინება იგზავნება სხვადასხვა ეროვნების დასაქმებულებები. შეტყობინება უნდა იყოს საერთო ენაზე, თუმცა მშობლიურ ენაზე მოსაუბრები წაიკითხავენ, გაიგებენ, შეაფასებენ და უპასუხებენ უფრო სწრაფად, ვიდრე მეორე ენაზე მოსაუბრებები. მათი მიხვედრა და პასუხის გაცემა ჭიანურდება და შეიძლება თავიანთი თავი იგრძნონ დანარჩენებისგან გარიცხულად.

რაოდენ გავლენას ახდენს ენა, კულტურა და ტექნოლოგია კულტურათაშორის კომუნიკაციაზე, რამდენადაც ტექნოლოგია ფართოვდება და უფრო და უფრო გუაგშირდებით სხვა ენაზე მოსაუბრებებს, შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენება იმდენად მეტად ხდება ჩვენს კულტურათაშორის კომპეტენციაზე დამოკიდებულია.

რამდენადაც საზოგადოება ხდება უფრო დაკავშირებული ერთმანეთზე, იქმნება ერთზე მეტ ენაზე საუბრის სათანადო საჭიროება. მაშინ, როდესაც ორენოვანობა დამახასიათებელია მხოლოდ ცოტა ერთსთვის: შევიცარითსთვის, ბელგიისთვის, ინდოეთისთვის, კანადისთვის. ის

პრაქტიკაში თითქმის ყველა ქვეყნაში გვხვდება. აშშ-ში ბევრი ადამიანი საუბრობს ინგლისურის გარდა სხვა ენაზე. ბევრი მათგანი უმიგრანტია, თუმცა არის ამერიკელი ინდოელებიც, რომლებიც განაგრძობენ თავიანთი ტომების ენაზე საუბარს.

უცხო ენის შესწავლა ძალიან როგორია. მოითხოვს დიდ დროსა და ძალისხმევას, თუმცა უპირატესობები იმდენად დიდია, რომ დირს ამ ძალისხმევად. უცხო ენის და კულტურის შესწავლა, გვეხმარება, მსოფლიოს კუუროთ სხვა განხომილებით. როგორც კულტურათაშორის ქორწინებაზე აღვნიშნეთ, თრ კულტურაში ყოფნა ამდიდრებს ცხოვრებას. მეორე ენის ცოდნა გვეხმარება, უკეთ გავუგოთ სხვა კულტურის ადამიანებს და კულტურულ გავლენებში უფრო მეტად გათვითცნობიერებულები ვიყოთ. მშობლიურ ენაზე მოსაუბრეს აგრძნობინებს, რომ ვაფასებთ მას და მის კულტურას. ამასთანავე, საშუალებას გვაძლევს უკეთესად გამოვხატოთ ჩვენი თავი და განვმარტოთ სხვადასხვა საკითხები. ლაი, ინდურად, მშობლიურ ენაზე მოსაუბრე, ამბობს, რომ ინგლისურში არ არის გარკვეული ურთიერთობებისთვის შესაბამისი სიტყვები, რომლებიც მათთან გვხვდება. ვონგი, რომელიც საუბრობს ჩინურად და ინგლისურად, ამბობს იგივეს მხოლოდ ინგლისურზე დაყრდნობით: „აშირად ვერ გპოულობ სიტყვებს მნიშვნელოვანი შინაარსის გამოსათქმელად“. ასე რომ, მეორე ენის შესწავლა გვიზრდის სხვა კულტურის ემოციებისა და შეხედულებების გაგების უნარს. ისევე როგორც, არც ერთი კულტურა არ არის მეორეზე უკეთესი, იგივე შეგვიძლია ვთქვათ ენაზეც. კულტურების მსგავსად, ენაც არის მათთვის, ვინც საუბრობს.

ყველა კულტურათაშორის კომუნიკაციაში ვიდაც მაინც გამოიყენებს მეორე ენას. მეორე ენა მოითხოვს შეგნებულობას. მეორე ენაზე მოსაუბრესთან, საჭიროა ვაკონტროლოთ ყურადღება, სისწრაფე, ლექსიკა, არავერბალური პასუხები და შევამოწმოთ გაიგო თუ არა ჩვენი შეტყობინება. თარჯიმანს საქმე აქვს ნათქვამ შეტყობინებებთან ან ნიშნებთან, ხოლო მთარგმნელს წერილობით შეტყობინებებთან. სინქრონულია თარგმნა, როდესაც ყოველ წუთში ვჩერდებით, რათა თარჯიმანმა გამოთქვას ის მეორე ენაზე. სიმულაციურია, როდესაც მოსაუბრე ორიგინალ ენაზე ლაპარაკობს. კულტურათაშორის ქორწინებაში ენა დიდ როლს თამაშობს კომუნიკაციაში და გავლენას ახდენს იდენტობასა და ძალაუფლებაზე. „ერთი მშობელი, ერთი ენა“ არის, როდესაც თითოეული მშობელი თავის ენაზე ეკონტაქტება ბავშვს და ის ხდება ორენოვანი. ინგლისური ყველაზე მეტად გამოყენებადი ენაა ინგლისური. კულტურათაშორისი კომპეტენციის ზრდის ერთ-ერთი გზა არის სხვა ენის შესწავლა.

ლიტერატურა:

1. Blair-Loy, M. (2001). Cultural constructions of family schemas: The case of women financial executives. *Gender & Society*, 15, 687-709.
2. Danet B. and Herring, S. C. (2007), “Introduction,” in B. Danet and S. C. Herring (eds.), the Multilingual Internet: Language, Culture, and Communication Online (New York: Oxford University Press,
3. Esposito, A. (2007). Verbal and nonverbal communication behaviours [electronic resource]: COST Action 2102 International Workshop, Vietri sul Mare, Italy, March 29–31, 2007: revised selected and invited papers / Anna Esposito. [Et al.] (Eds.). Berlin; New York: Springer, c2007.

5. Gudykunst, William B., Stella Ting-Toomey, and Elizabeth Chua. (2014). Culture and Interpersonal Communication. Sage Publications, Inc, 1988. Google Scholar. Web. 15 Oct.
6. Hogan, Christine F. (2007), "Facilitating Multicultural Groups: A Practical Guide", London: Kogan Page, ISBN 0749444924
7. Kids Matter, (2016). Effective communication between families and early childhood staff, Australian Early Childhood Mental Health Initiative, pp. 3-6 James, R, Cross-Cultural Communication, EMBRACE
8. Kim, M.-S. (2005). Culture-based conversational constraints theory. In W. B. Gudykunst (Ed.), Theorizing intercultural communication (pp. 93-117). Thousand Oaks: Sage. [See this source for review of other theoretical work by Kim in 1997, 2001, & 2002, as well as for other research than that listed below.]
9. Lai, B. B. 2007."Three Worlds: Inheritance and Experience," in M. Besemer and A. Wierzbicka (eds.), Translating Lives: Living with Two Languages and Cultures (Queensland, Australia: University of Queensland), 27.
10. McCann, R. M., & Giles, H. (2007). Age differentiated communication in organizations: Perspectives from Thailand and the United States. *Communication Research Reports*, 24, 1-12.
11. Wong, J. 2007."East meets West, or does it really?" in M. Besemer and A. Wierzbicka (eds.), Translating Lives: Living with Two Languages and Cultures (Queensland, Australia: University of Queensland), 22.

Rusudan Gogokhia

Language in intercultural communication

Abstract

Using a second language can be both physically and cognitively demanding. When speaking to someone who is using a second language, you should be mindful, monitor your speech rate, vocabulary, and nonverbal feedback, and check to ensure that the other person understands your message. Interpreters work with spoken or signed language; translators work with written messages. Consecutive translation is when you stop every minute or so to allow the translator to relay your message in the other language. Simultaneous translation occurs while the speaker talks in the original language. In a cross-cultural marriage, language plays a key role in communication and can also influence identity and power relationships. English is the most common language used on the Internet at this time. Using computer-mediated communication can affect the interaction between members of high-context cultures. One way of enhancing your intercultural communication competency is to learn another language.

კულტუროლოგია Культурология Kulturologhy

რესურსი კაშია

ქუთაისი, საქართველო

გვიანთეოლოგიის ხანის ქუთაისის ეკონომიკური
ისტორიიდან
(სესხი და კრეპიტი)

XVIII ს. ბოლოს ხაქართველოში შეახაუკუნებრივი ვახშის გვერდით გაჩნდა თანხის დაბანდების ახალი ფორმა – კრედიტი. კრედიტორი აფინანსებდა ცალკეული საქმოსნის ან ვაჭართა გაერთიანებების – ხავაჭრო ამხანაგობების მიერ წამოწყებულ ხავაჭრო ოპერაციებს.

გვიანთეოლოგიური ხანის ხოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის გაცილებით შემთხვევი პირობები იყო შექმნილი, არსებობდა განვითარებული ხახაჭონლო, მანუფაქტურული წარმოება. ამ პერიოდის დახმარებული ხაქართველოში წარმოების არსებობა არ დასტურდება, მაგრამ კარხაკეტილი მეურნეობის აღვილი უკვე დაიკავა ცოცხალმა საბაზო კავშირებმა, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს მორის რეგულარულმა ცულად-სასაქონლო ურთიერთობებმა. ვაჭართა და საქმოსანთა ხელში მნიშვნელოვანი კაპიტალის თავმოყრა შედგომი ხოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას ქმნიდა.

განხანილები ხანის ხავაჭრო პროცესები, ხავაჭრო ხაქმეში კრედიტის გამოყენება, ვაჭართა და საქმოსანთა ხელში მნიშვნელოვანი კაპიტალის თავმოყრა, თვისობრივიად ხცილდება ცენტრალური წყობისათვის დამახასიათებელ ნორმებს და ნათლად მიუთითებს დახმარებული ხაქართველოში ცენტრალური ურთიერთობების რღვევის საწყის ეტაპზე.

სავაჭრო კაპიტალი თავისი განვითარების პირველ ეტაპზე, როგორც ცნობილია, მჭიდროდ უკავშირდებოდა სავაჭრო კაპიტალს. ცენტრალური ურთიერთობის რღვევის საწყისი ეტაპისათვის დამახასიათებელი ეს მოვლენა ნათლად გამოვლინდა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოში. ვაჭარი ზოგჯერ მთლიანად იყო დამოკიდებული მევახშეზე. ქართული ისტორიული დოკუმენტები ცნობებს გვაწვდიან იმის შესახებ, რომ ცალკეული ვაჭრები თუ სავაჭრო ამხანაგობების წევრები საჭის დაწყებისას ხშირ შემთხვევაში იღებდნენ კრედიტს დიდი სარგებლით.

მევახშეობა, პროცენტით თანხის გაცემა, ფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის ორგანული ნაწილი იყო. შეა საუკუნეების ფულად-სასაქონლო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ეს მოვლენა გვიანფერდალურ ხანაში განიცდის ცვლილებებს. ქართული ისტორიული საბუთების, სავალო თამასუქების შესწავლით, XVIII ს. II ნახევარში ვხედავთ საწყის ეტაპს, ცალკეულ შემთხვევებს სოციალ-ეკონომიკური პროცესებისა, რომლებმაც მასშტაბური ხასიათი მიიღო XIX ს. II ნახევარში. ვგულისხმობთ ურთიერთობებს, როცა სათავადო სახლი წარმომადგენელი სოციალურად მასზე უფრო დაბალ საუკეურზე მდგომი პირის მევალე ხდება და ვალში დაგირავებული უძრავი ქონება მევახშის ხელში გადადის.

მევახშეობამ XVIII საუკუნეში თბილისში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. შ. მესხია თავის შრომებში ჩამოთვლის გირაოში ქონების გაყიდვის შემთხვევებს(შ. მესხია: 320). საკითხის მკვლევარი მ. სამსონაძე ასკვის, რომ XVIII საუკუნეში ვახშით თანხებს გასცემდა საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი, მათ შორის სამღვდელოება და ქალაქში დაფუძნებული იტალიელი კათოლიკე მისიონერები (მ. სამსონაძე, 1980: 78)

განსაკუთრებით მდიდარი მასალა მოგვეპოვება ამ მხრივ მანუჩარ და სულხან თუმანიშვილების საქმიანობის შესახებ. მნიშვნელოვანია ამ საგვარეულოს ხვედრითი წილი XVIII ს. II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. მათი შემოსავლის მთავარ წყაროს მევახშეობა წარმოადგენდა. ჩვენ დეტალურად არ შევუდგებით, აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისში სოციალ-ეკონომიკური ვითარების გაცნობას. ჩვენი საკვლევი თემაა დასავლეთ საქართველოში, ქუთაისში მიმდინარე ფულად-საკრედიტო პროცესები. ქართული დოკუმენტების შესწავლამ საფუძველი მოგვცა დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში თვისობრივად ტიპური მოვლენები დასტურდება. მაგალითად მოგვავს წერილი წერეთლისა ყობიასადმი, რომლის თანახმად, წერეთელმა აიღო „ორმოცდათექვსმეტი მარჩილი“ ყობიასაგან, თვეში ნახევარი შაურის სარგებლით (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-5095).

1793, 1795 წლების ორი საბუთით ლევან აბაშიძე თავისი მსახურის – მამუკელა დამბაშიძის მევალე გამხდარა, რაკი ვალი ვერ გადაუხდია, მსახურს დარჩა გირაოში დაწინდული ვენახი (ნ. ბერძენიშვილი, 1953: 101; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Hd-14549). 1802 წლის საბუთით ზაალ ჯაფარიძე ვერ იხდის ვაჭრების მოშიასა და ისხაკას ვალს და აძლევს მათ ყმებს (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-1208). ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის მოგვავს XVIII ს. II ნახევრით დათარიღებული საბუთი, რომლის თანახმად, არობელიძემ ნაკაშიძეს წაართვა 140 მარჩილ ვალში ყმა, გვარად ხატისკაცი (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, №5). საინტერესოა ასევე 1790 წლით დათარიღებული დოკუმენტი, სადაც ნათქვამია, რომ თავად მხეიძეებს დაედოთ ბუჭუა ჩინჩალაძის ვალი, ამიტომ თავის აზნაურ როინიშვილებს მიჰყიდეს ყმები და მიღებული თანხით შეძლეს ვალის გადახდა (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, №280).

XVIII საუკუნის ბოლოს ქუთაისში ფულად—საკრედიტო საქმიანობას ეწევა რამდენიმე საქმოსანი: ნიკოლოზ ქორქაშვილი, მელქონ მეფისაშვილი, ბეჟან ბაინდურაშვილი და სხვ. სავახშო კაპიტალის ბრუნვის ზრდითა და სავაჭრო საქმიანობით გამოირჩევა აზნაური — ნიკოლოზ ქორქაშვილი. მისი შემოსავლის მნიშვნელოვან წესარის წარმოადგენს მევახშეობა. საბაზო კავშირებიდან, სავაჭრო საქმიანობიდან მიღებული თანხები მას გასესხებული აქვს დიდი სარგებლით (სარგებელი „თუმნის თავზე“ — თითო ფურუში, ან თუმანზე - 5 აბაზი). ქორქაშვილის მევალეთა სოციალური შედგენილობა მრავალფეროვანია. მათ შორის ვხედავთ როგორც წვრილ ვაჭრებსა და ხელოსნებს, ასევე ფეოდალური კლასის წარმომადგენლებს, თვით მეფესაც კი. ერთ-ერთი თამასუქით, ნიკოლოზს მარტო სარგებლის სახით 600 თუმანი მიუდია. მევალემ უნდა გადაიხადოს ასევე „საბჭო, საბოქაულო“ იმ შემთხვევაში, თუ იგი გალს არ გადაიხდიდა და გამსესხებელს მოუწევდა თამასუქის გასაჩივრება (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი — №2194)

დოკუმენტური მასალის გაცნობა გვიჩვენებს, რომ აღებული ვალის გადახდას ფეოდალი მამულებისა და ყმა-გლეხების გაცემით ახერხებდა. 1810 წელს დაწერილი ორი თამასუქით ვიგებთ, რომ გიორგი წულუკიძემ „ექვს ქესა“ (1 ქესა ანუ ქისა უდრიდა 30 თუმანს) თეორში მევახშეს გადასცა 5 კომლი გლეხი. მომდევნო წელს წულუკიძეს კვლავ აუდია ვალი გლეხების დაწინდვის პირობით (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, №1623, 1624)

ანალოგიური შინაარსისაა საბუთები, რომელთა თანახმად, აგიაშვილებისაგან ვალში ქორქაშვილს ვენახი და გლეხები მიუთვისებია (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, №2224)

ფეოდალური ურთიერთობების დროს, წარმოების არარსებობის პერიოდში, როცა მთავარ სიმდიდრეს მიწა წარმოადგენდა, კაპიტალის დაბანდების მირითად საშუალებად რჩებოდა მამულებისა და ყმა-გლეხების შექნა.

1807 წელს ნიკოლოზ ქორქაშვილმა იყიდა გეგუთსა და ქუთაისში ხულები (დუქნები), რომელთა მდებარეობა ასეა აღწერილი „პარუნას ხულისკენ რომ გზა არის“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Hd-1311) 1808წ. საქმოსან მელქონ მეფისაშვილთან ერთად იჯარით აიღო ლომსიათხევისა და ხონის სამღებროები (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, №1994, 2200)

დოკუმენტური მასალის განხილვა გვიჩვენებს, რომ ქორქაშვილისაგან ხშირად იღებდა ვალს იმერეთის მეფე სოლომონ II. მეფის მიერ ნიკოლოზისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „როდესაც დამჭირვებია, ხან რვა ქესა მისესხებია, ხან ათი“ ... საბუთის მიხედვით, ამჯერად მეფის „თხოვნა“ ბრძანებას უფრო ჰგავს: „რო არ მომიხერხო... მაგას შენი ერთგულებისაგან არ მოველი“ — ვკითხულობთ საბუთში (დ. უჩანევიშვილი, 1967: 137)

აქვთ გავიხსენოთ თუმანიშვილების გიორგი მეფესთან დამოკიდებულების ზოგიერთი ასპექტი. პერიოდულად მეფე ითხოვს მათგან „ვალად“ მსხვილ თანხებს. მეფეზე გაცემული ვალი ფაქტობრივად დაკარგული თანხაა, ხოლო 1799 წელს, როდესაც გიორგი 12 დაიქირავა

ლეგის ჯარი ხელისუფლების განსამტკიცებლად, დაარბია ძმები თუმანიშვილები და სწორედ მათ წაართვა დაქირავებული ჯარისათვის გადასახდელი თანხა (ნ. ბერძენიშვილი, 1953: 142)

XVIII საუკუნის ბოლოს საქართველოში შუასაუკუნეობრივი ვახშის გვერდით გაჩნდა თანხის დაბანდების ახალი ფორმა – კრედიტი.

კრედიტორი აფინანსებს ცალკეული საქმოსნის ან ვაჭართა გაერთიანებების მიერ წამოწყებულ სავაჭრო ოპერაციებს.

XVIII ს. სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში პრიორიტეტი მოიპოვა ახალმა გაერთიანებამ – სავაჭრო ამხანაგობამ.

XVIII ს. II ნახ. ამხანაგობების შიგნით აშკარად გამოხატულია ქონებრივი დიფერენციაცია „თავნის” მფლობელ საქმოსანსა და მასზე დამოკიდებულ, საქმის მკეთებელ პირს შორის. ძირითადი თანხის – თავნის მფლობელი მოქალაქე საქმეში მხოლოდ ფულს აბანდებს, იგი ადგილზე (თბილისი, გორი, ქუთაისი) იმყოფება, ხოლო სავაჭრო ოპერაციას აწარმოებს პირი, რომელსაც ამხანაგობაში გაცილებით ნაკლები თანხა შეაქვს და თავისი შრომით ანაზღაურებს თანხის მეორე ნახევარს. ვაჭრობიდან მიღებულ მოგებასა თუ ზიანზე ამხანაგები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ.

დასტურად მოგვყავს ქუთაისის მუზეუმში დაცული რამდენიმე „საამხანაგო წიგნი”. დოკუმენტების მიხედვით, სავაჭრო წამოწყებებს ნიკოლოზ ქორქაშვილი აფინანსებს, მას ამხანაგობაში შეაქვს „სარმია” ანუ თავნი: ერთი საბუთით „ათას ხუთასი ყურუში” (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, №1993), სხვა შემთხვევაში - „ცხრაას ორმოცი ყურუში” (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, №1621) ან „ხუთასი ქესა ოსმალოს თეთრი” (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, №1922) ხოლო წვრილი ვაჭრები, რომლებიც უშუალოდ სავაჭრო ოპერაციას ატარებენ, ესენია: გუარაშვილი პეტროზა, ნალბანდიანთ სტეფანა, ასევე ჩიკვაშვილი, საქმეში გაცილებით ნაკლებ თანხას დებენ და ვაჭრობას ისინი ეწევიან. მოგებაც და ზარალიც საამხანაგო პირობების თანახმად, თანაბრად ნაწილდება.

დოკუმენტი ერთნაირი ფორმულირებით მთავრდება: „მოგება საზიარო და თავნი შენი არის”, ანუ მოგების ნაწილთან ერთად კრედიტორს უბრუნდება ძირითადი საბრუნავი თანხა.

XVIII ს, II ნახ. ქართლ-კახეთის სამეფოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის გაცილებით უკეთესი პირობებია შექმნილი, არსებობს განვითარებული სასაქონლო წარმოება. დასავლეთ საქართველოში არ დასტურდება წარმოების არსებობა, თუმცა კარჩაკეტილი მეურნეობის ადგილი ამ პერიოდში უკვე დაიკავა ცოცხალმა საბაზრო კავშირებმა, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის რეგულარულმა ფულად-სასაქონლო ურთიერთობებმა. ვაჭართა და საქმოსანთა ხელში მნიშვნელოვანი კაპიტალის თავმოყრა შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას ქმნიდა.

XVIII ს. II ნახ. იმერეთში ეკონომიკური წინსვლისათვის რამდენადმე უკეთესი პირობები შეიქმნა. საგარეო ვაჭრობამ თურქეთთან თანდათან მიიღო ფულად-სასაქონლო

ურთიერთობათა სახე, თუმცა ვაჭრობა, საბაზრო კავშირები დასავლეთ საქართველოსათვის ჯერ კიდევ პასიურ ხასიათს ატარებდა. – გაჰონდათ მეტწილად ნედლი პროდუქცია და შემოდიოდა მზა საქონელი.

1750 წ. რუსეთთან „დარიალის გზის” გახსნის შემდეგ ინტენსიური ხასიათი მიიღო საქართველოდან ვაჭრების მიმოსვლამ რუსეთის ქალაქებში. ქუთაისელი ვაჭრები გამოჩნდნენ მოზღვისა და ასტრახანის, მაკარიევოსა და ნიკეგოროვის ბაზრობებზე, რასაც ნათლად მოწმობს მოზღვის გამშვები პუნქტის მასალები. (გამრეკელი ვ., 1968). ქუთაისელ ვაჭრებს ძირითადად გასაყიდად გაჰონდათ: აბრეშუმი, იმერული თავთა, კვერნისა და მელის ბეწვი, ტილო და ა. შ.

XVIIIს. ბოლომდე ქართულ დოკუმენტებში მაინც ირანული და თურქული საქონელი ჭარბობს (დ. კაციტაძე, 1982: 55)

ქუთაისის მუზეუმში დაცული რამდენიმე საბუთში დაცულია ცნობები იმერეთის სამეფოს ახალციხესთან სავაჭრო საქონელბრუნვის, სავაჭრო გზებისა და საქონლის შესახებ.

ახალციხელ ვაჭართა ერთი ნაწილი ქუთაისსა და ბალდათში საქმიანობდნენ, სადაც ბევრ მათგანს ჰქონდა სახლი და სავაჭრო. კვირა დღეს ახალციხის ბაზარზე ჩამოსულებიდან იმერლები ჭარბობდნენ. ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ, რომ ახალციხეში ბევრი იმერელი ვაჭარი საქმიანობდა და თავისი სავაჭრო ხულები (დუქნები) ჰქონდათ, მათ შორის ვხედავთ ქუთაისელ ვაჭარს ბევრა ბაინდურაშვილს.

საგარეო სავაჭრო მიმოსვლას მეტწილად სავაჭრო ამხანაგობების წევრები აწარმოებდნენ: მათი საქმიანობის კრედიტორად ძირითადად ნიკოლოზ ქორქაშვილი გვევლინება. მისი წარმომადგენლები, სავაჭრო პარტნიორები: ანტონ ქურთოველი, ხოჯოვნაშვილი და მესარქიშვილი ახალციხესა და სტამბოლში ვაჭრობენ. მათი საქმიანი მიმოწერა საინტერესო ცნობებს იძლევა იმდროინდელი იმერეთის საგარეო სავაჭრო კონტაქტების შესახებ.

ნიკოლოზ ქორქაშვილს ახალციხეში მუდმივი სავაჭრო წარმომადგენელი ჰყავს, სახელად ანტონი, მისი მიმოწერა სავაჭრო ანგარიშებს შეიცავს. ანტონს საქონელი (საკვები პროდუქტი და იმერული აბრეშუმი – თავთა) ქუთაისიდან ჩააქვს თავის ამხანაგ ანდრიასთან, რომელსაც ახალციხეში ხულა (დუქანი) აქვს და იქ ვაჭრობს (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, №1991). მომდევნო წერილებში იგი ნიკოლოზს ატყობინებს, რომ ახალციხიდან სტამბოლს მიემგზავრება ფარჩის შესაძენად და სხვა ქუთაისელ ვაჭრებთან შესახვედრად, რომლებიც სტამბოლში ხულაზე ვაჭრობენ (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, № 1900, 2200, 2236).

ამდენად, XVIII ს. IIხას. ფულად-საკრედიტო საქმიანობის ამსახველ ისტორიულ დოკუმენტებში ასახულია კაპიტალის დაბანდების, მისი ბრუნვისა და ზრდის ნათელი სურათი. განსახილველი ხანის სავახშო პროცესები, სავაჭრო საქმეში კრედიტის გამოყენება, თვისობრივად სცილდება ფეოდალური წყობისათვის დამახასიათებელ ნორმებს და ნათლად

მიუთითებს დასავლეთ საქართველოს ფეოდალური ურთიერთობების რღვევის საწყის ეტაპზე.

ლიტერატურა:

ბერძენიშვილი ნ., მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, თბ., II, 1953
ბერძენიშვილი ნ., სამდებროთა შესახებ XVIIIს. საქართველოში, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. VI, ტფ., 1937

კაციტაძე დ., თურქეთ-საქართველოს საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები XVII-XVIIIსს., მაცნე (ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია), №2, 1973

ლომსაძე შ., გვიანი შეს საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979

მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1983

სამსონაძე მ., სოციალ-ეკონომიკური ვითარება XIX ს. I მეს. საქართველოში, თბ., 1980

უჩანეიშვილი დ., დოკუმენტები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, თბ. 1967

Гамрекели В., Документы по взаимоотношениям Грузии с северным кавказом, Т., 1968

Rusudan Kashia

From the economic history of Kutaisi late-feudal period

A b s t r a c t

At the end of XVIII c. a new form of investing money – credit developed alongside the medieval usury. A creditor was financing single traders as well as trade unions – commercial operations initiated by trade cooperatives.

The conditions for social-economic development were much better in Kartli and Kakheti in late-feudal period than in other parts. Developed commodity, manufactory production existed there by that time. But in West Georgia there were no signs of producing things. The place of enclosed agriculture was taken by live trade connections. There were monetary-commodity relationships among the different regions of the country. The accumulation of major capital in hands of traders was a perspective of economic development.

Usury processes including the use of the credit in trading, are beyond the standards which are characteristic of feudal structure. All these factors obviously indicated that it was an initial stage of collapsing feudalism in West Georgia.

რეცენზენტი: პროფ. მ. ჩიკვილაძე

შინაარსი

ციური ახვლელიანი, ქეთევან გაბუნია	
ფრანგული სარეკლამო ტექსტების ესთეტიკური ფუნქციისა და დინამიკური ექვივალენტობის შენარჩუნების თავისებურებანი ქართულ თარგმანში.....	11
რუსულან გერსამია	
მოძრაობის ზმნების სამთაზიანი მორფოსინტაქსური მოდელის ანალიზი ლაზურში.....	15
Яговкина Е.П., Мелкадзе Н.С.	
Нарратология в свете семиотики	21
გურამ მარკოიძე	
“ქართულ-თურქული აფიქსებით ნაწარმოები ლექსიკისათვის სამხრულ კილოებში”	25
თამარ მახარობლიძე	
პარადიგმულად ფუნქციონირებადი მორფოლოგია (PFM) და მეგრიული ზმნის სისტემა.....	31
მანანა მიქაძე	
ფრაზეოლოგიზმებისა და ანტაზების ადგილისათვის ჯეკ ლონდონის პროზაში.....	36
A. C. Журавлёва	
Эволюция русского глагола от истоков до современности	41
Ramaz Svanidze	
Assoziierungsabkommen zwischen der EU und Georgien aus der diskursanalytischen Perspektive	51
ნათაა სვინტრიძე	
სპარსული ფრაზეოლოგიური ერთეულების ქართულად თარგმნის თავისებურებები	58
Нелли Сичинава	
Концепт «жизнь» в русских и грузинских паремиях: лингвокультурологический аспект.....	65

გიორგი ყუფარაძე, ციური ახვლედიანი	
თრიანგულ და ინგლისურ ექოლოგიურ ტერმინთა ფუნქციონირების თავისებურებანი	69
ბეჭა ჭურჭელაური	
დაფებითი და უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიებისა და სახის შელახვისა და შენარჩუნების აქტების შესწავლის მნიშვნელობა მუქარის ფერმენტან მიმართებაში.....	72
ნანა გონჯილაშვილი	
„ქვეყანა ზეცას, ზეცა ქვეყანას ეკავშირება...“ (აკაკი წერეთლის ლირიკის მიხედვით)	80
თამარ ვეფხვაძე	
„ხე ცხოვრებისა“ გოლერიდი ჩოხელის მოთხოვნაში „წერილი ნაძვებს“.....	87
სალომე ზვიადაძე	
ტიპიკონების შესწავლის ისტორიიდან	96
ნინო თოლუა	
„...რის დავიწყებასაც დღემდე ვერ ვახერხებ...“ (ერეულე დეისაძის პიესა „FaceFuck“).....	101
ლია კუხიანიძე	
აკაკი ქართველ ინტელიგენციაზე	106
ნათია ნასარიძე	
ერნსტ თეოდორ ამალექს ჰოფმანი „ქატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფია“ – პაროდია გერმანულ განმანათლებლურ „ალზონის რომანზე“	112
სოსლან სურმანიძე	
ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“ და ქართული ლიტერატურული კრიტიკა	118
მეგი შალიერანი-სხირელი	
მარაოს სიმბოლურ-ნომინაციური ფუნქცია და უაილდისეული ცრამის სიმბოლურ-ნომინაციური ველი	127

იაგორ ბალანჩივაძე

ბავშვის ინვარიანტობის წვდომის კვლევა დაწყებით ყლასებში 132

ნინო გელენიძე

ზნეობის გაკვეთილები ოტია იოსელიანის ნააზრევში 137

ნატო ლვალი

სახალხო განათლება და პედაგოგიური იდეები

XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში 144

მაგდა თხილავა

მუსიკის სწავლება, როგორც პიროვნების ფორმირების საშუალება 148

იზა მუშკულიანი

სწავლების მეთოდები: კონსტრუქტივიზმი 153

ნინო სოხაძე

ქართული განათლება და მე-19 საუკუნის რეალობა 159

ნინო ჭოხონელიძე

დისეჯსია, როგორც სწავლების მეთოდი უმაღლეს სკოლაში 162

ბელა ფურგლიშვილი

რეალური პერსონაჟებიდან სახე-სიმბოლოებამდე

როგორ დავგეგმოთ შემახამებელი გაკვეთილი

ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით 167

თეონა თელორაძე

ფილმი და მუსიკა ენის სწავლების პროცესში 173

თამარ თვალაძე

უცხოური ენის სწავლება ენის მატარებელთა

ნაციონალური კულტურის სწავლებასთან კავშირში 178

ათინა თოიძე, დონარი რიყვაძე

თამაშით სწავლება 185

მაგდა თხილავა

მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაში, როგორც სწავლების ფორმა 188

ნათია კალანდაძე

„სეგმენტური მეთოდის პრაქტიკული გამოყენება ისტორიის გაკვეთილზე“ 193

მარიამ კილანავა

ადაპტირებული მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელობა ქართულის,

როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში ევროპის უნივერსიტეტი 198

ლია კუხიანიძე

სიყვარული, როგორც სულიერი ამაღლების საფუძველი

(ავთანდილისა და ფატმანის ურთიერთობა)

ინოვაციური გაკვეთილი შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით 206

ცირა ტყეშელაშვილი

კეთებით სწავლება-

(ერთად გავაკეთოთ სივრცეული ფიგურები, გავზომოთ მათი განზომილებები) 211

მზია კუბეცია

სწავლებისა და კვლევის მეთოდების გამოყენება სტუდენტთა

შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებისათვის 214

ნელი ურუმაშვილი

საბჭოთა ეპოქაზე შექმნილი ნაწარმოებების სწავლებისათვის 221

თამარ ლვინიანიძე

ჩატარებული მუშაობის სინთეზირება და

ცოდნის განმტკიცება IV-VI კლასებში 231

მეგი შალიკიანი-სხირელი

ინოვაციური სწავლების სტრატეგიები გაკვეთილის დაგეგმვისათვის 236

ნათია ბლიაძე

გზა ტრიუმფისაკენ (თ. აბულაძის ფილმი „მონანიება“) 240

რუსულან გოგოხია

ენა კულტურათაშორის ურთიერთობებში 245

რუსულან კაშია

გვიანთეოდალური ხანის ქუთაისის ეკონომიკური ისტორიიდან

(სუსი და კურეტიტი) 252

Content

Tsiuri Akhvlediani, Ketevan Gabunuia

Features of French Aesthetic Function of Dedicated Texts and Maintaining Dynamic Equivalence in Georgian Translations	14
---	----

Rusudan Gersamia

Analyzing the three-phase morphosmination model of motion verbs in Laz	20
--	----

Iagovkina Helen, Melkadze Nanuli

Narrative Structure in Semiotics	24
--	----

Guram Markoidze

“To productive for dictionary with Georgian_ Turkish affix in Southern moods”	30
---	----

Tamar Makharoblidze

Paradigm Function Morphology (PFM) and Megrelian Verbal system	35
--	----

Manana Mikadze

Phraseological units and adverbs of Jack London's Proze (according to original and Georgian translations)	39
--	----

Hanna Zhurauliova

Exceptions and the Norm, Exemplified by Russian Verb Forms; the Historical Aspect	50
---	----

Ramaz Svanidze

Association Agreement between the EU and Georgia from the perspective of discourse analysis	57
---	----

Natia Svintradze

Persian Phraseological Units and the Issue of Their Georgian Translation.....	64
---	----

Sitchinava Nelly

The concept "life" in russian and georgian proverbs: linguocultural aspect.....	68
---	----

Giorgi Kuparadze, Tsiuri Akhvlediani

Peculiarities of Functioning of French and English Ecological Terms	71
---	----

Bela Churchelauri

Positive and negative politeness strategies as well as FTAs 79

Nana Gonjilashvili“World is Tied to the Heaven and the Heaven is Tied to the World”
(Based on AkakiTsereteli’s Lyrics) 86**Tamar Vepkhvadze**

“Cheers to Us till We Stay Clean” Goderdzi Chokheli – “A Letter to the Firs!” 95

Salome Zviadadze

From the history of studying typikons 100

Nino Todua"...What I am still trying to forget"....
(a play by Erekle Deisadze "Facefuck") 105**Liana Kukhianidze**

Akaki about intelligentsia 111

Natia Nasaridze

Hoffman "The Philosophy Life of Cat Mur" - a parody of a German Enlightenment novel..... 117

Soslan Surmanidze

Ilia Chavchavadze’s “Otaraant widow” and Literary criticism 126

Megi Shalikiani Skhiereli

Symbolic function of the fan 131

Iagor Balanchivadze

Study of Child’s Invariant access in Primary Classes 136

Nino Gelenidze

Morality lessons in the works of O. Ossiani 143

Nato Dvali

Public education and Pedagogical ideas in 60s of 19-century 147

Magda Tkhilava

Teaching music - the way of human formation 152

Iza Muchkudiani

Methods of Teaching: Constructivism 158

Nino Sokhadze

Georgian education and reality of the 19th century 161

Nino Chkhonelidze

Discussion as a teaching method in high school 166

Bela Durglishvili

From real characters to face characters.

How to plan a lesson from Ilya Chavchavadze “The Widow Otaraant” 172

Teona Tedoradze

Film and Music in Teaching Languages 177

Tamar Tvaladze

Foreign language teaching through the national culture of native speakers 184

Atina Toidze, Donari Ridjvadze

Games for Learning 187

Magda Tkhilava

A musical-didactic game as a teaching method 192

Natia Kalandadze

Practical usage of segmental method at the History lesson 196

Tamar Kilanava

The importance of adapted literature in teaching Georgian as a foreign language 205

Lia Kukhianidze

The innovative lesson about relationship between Fatman and Avtandil 210

Tsira Tkeshekashvili

Doing exercise in mathematics lessons 213

Mzia Kubetsia

Learning and Research Methods Use for Realization of Students Creative effectiveness220

Tamar Gvinianidze

Synthesize the work carried out and strengthening knowledge in IV-VI classes235

Megi Shalikiani-Skhiereli

Innovative teaching strategies for planning lessons239

Natia Bliadze

"Repentance" Nin the video and beyond the scene244

Rusudan Gogokhia

Language in intercultural communication251

Rusudan Kashia

From the economic history of Kutaisi late-feudal period257

